

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტი

**მარიაჲ კარგელაშვილი**

# ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის



ბავოცაელოზა „მეცნიერება“  
თბილისი  
1977

კ 261

ნაშრომი ეძღვნება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ტექსტოლოგიურ ანალიზს პოემის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციის მიზნით. ნაშრომში გამოყოფილი და შესწავლილია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტილისტური რედაქციები (სამეფო სახლის, ზაზასეული, ბებურიშვილისეული, მზეხათუნისეული); აღდგენილია მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგის პროტოგრაფი და გარკვეულია პროლოგის კავშირი პოემასთან რედაქციული წარმომავლობის თვალსაზრისით; საუკუნეთა განმავლობაში მეფის ღმრთისსწორობის იდეის ევოლუციის ფონზე შესწავლილია ხელნაწერების რედაქციათა „სიძველე-სიახლე“; ბოლო თავი ეხება ვეფხისტყაოსნის ცალკეულ ხელნაწერთა მნიშვნელობას „რთული წაკითხვის“ პრინციპით პოემის ტექსტის დადგენაში.

რედაქტორი ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი

## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ვეფხისტყაოსნის მეცნიერული შესწავლის ისტორიულ ტრადიციას ღრმა ფესვები აქვს, ოგი ქართული ფილოლოგიური აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

მრავალმხრივ და მრავალგვარ რუსთველოლოგიურ ინტერესთა შორის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერული მემკვიდრეობის შესწავლა ყოველთვის იყო საგანგებო კვლევა—ძიების სფერო; მის სათავეებთან პირველი მეცნიერი რუსთველოლოგი—მეფე ვახტანგ მეექვსე დგას. მან ჩაუყარა საფუძველი ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიას.

ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიის მეცნიერული ბალაეარის შექმნის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით პოემის მკვლევართ და გამომცემელთ; რუსთველოლოგიური ტექსტოლოგიის ახალი მიღწევები ქართული ფილოლოგიური სკოლის როგორც უფროსი, ისე უმცროსი თაობის მკვლევართა შრომითაა მოპოვებული.

თანამედროვე რუსთველოლოგიის რთულ პრობლემატიკაში პოემის ტექსტოლოგიას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამ დარგში შესრულებულმა ღრმა გამოკვლევებმა რუსთველოლოგიური მეცნიერების მაღალი დონე განაპირობა. ხელნაწერთა შესწავლის დარგში შესრულდა პირველი რიგის ისეთი უმნიშვნელოვანესი სამუშაო, როგორცაა შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ ვეფხისტყაოსნის ვრცელი რედაქციის ტექსტის და ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემა.

ხსენებულ გამოცემათა საფუძველზე 1961—1966 წლებში მომზადდა პოემის ტექსტის ახალი მეცნიერულ—კრიტიკული გამოცემა აკად. აკ. შანიძის და აკად. ალ. ბარამიძის რედაქციით— ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ ორ ტომად ა. შანიძის და ა. ბარამიძის რედაქციით, ტომი პირველი—ტექსტი და ვარიანტები; „მეცნიერება“, თბილისი—1966 წ. ამ გამოცემისთვის პოემის ძირითადი ტექსტის ვარიანტთა შედგენა მე დამევალა და ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შესწავლა გარკვეული ტექსტოლოგიური ინტერესების თვალსაზრისით სწორედ ამ წლების დამაბულმა და საინტერესო მუშაობამ განაპირობა. ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ—კრიტიკული ტექსტისთვის ვარიანტების შედგენისას მოპოვებული საყურადღებო და უმდიდრესი მასალა დაედო საფუძვლად ჩვენს მიერ შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებაში 1966—1971 წწ. შესრულებულ ნაშრომს, „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია (ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციის საკითხები)“, რომლის ძირითადი დებულებები წინამდებარე გამოკვლევაშია წარმოდგენილი.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციის თაობაზე ჩვენი თვალსაზრისის ჩამოყალიბებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ტექსტოლოგიური სკოლის მეცნიერთა თეორიულ ნაშრომებს, მათ შორის დ. ს. ლიხაჩოვის გამოკვლევა— „Текстология. На материале X—XVII вв.“, М.—Л., 1962, ჩვენი კვლევის მეთოდს საფუძვლად დაედო ტექსტოლოგიის თეორიის ის ზოგადი დებულებები, რომლებიც უფართოესი მასალის მოხმობით დადგენილი და დასაბუთებულია ამ გამოკვლევაში.

რადგან ხსენებული ნაშრომის სრული სახით დაბეჭდვა შეუძლებელი იყო, ამიტომ

ვარჩიეთ შრომის აღნაგობა ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციის კვლევის ძირითადი პრინციპებისათვის დაგვემორჩილებინა და ნაკვლევის აგებულება ამ ძირითად ხაზს მიჰყვება.

ვეფხისტყაოსნის სტილისტურ რედაქციათა კვლევისას ჩვენთვის მთავარია საკუთრივ ვეფხისტყაოსნის ტექსტი, რომელიც, ტრადიციულად შემუშავებულ შეხედულებათა თანახმად, არსებითად, ვახტანგისეული გამოცემის ფარგლებში აღიქმება. საინტერესო საკითხთა წყება გარკვეული მიზნებით შემოიფარგლა:

ა. ვარიანტთა სახეები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში და მათი კუთრი წონა პოემის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის; ხელნაწერთა სტილისტური რედაქციები, სტილისტური რედაქციები გენეტიკური და ტიპოლოგიური თვალსაზრისით, რედაქციათა ურთიერთმიმართება (თავი პირველი — ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისთვის (საკითხის დაყენება და კვლევის პრინციპები); თავი მეორე — ვეფხისტყაოსნის სტილისტური რედაქციები).

ბ. პოემის პროლოგის კავშირი საკუთრივ პოემის ტექსტთან ხელნაწერთა რედაქციული წარმომავლობის მიხედვით (თავი მესამე — ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შუებათუნისეული რედაქციის პროლოგისათვის (პროტოგრაფის აღდგენის ცდა);

გ. რედაქციათა ტიპი "სიძველის" და "სიახლის" (არა გადაწერის თარიღის) მიხედვით, რისთვისაც მასალა ისტორიულად დამოწმებულ იდეათა ევოლუციასა და პოემის ხელნაწერებში მათ ასახვაში ვიპოვეთ (თავი მეოთხე — მეფის ღმრთისწრობის იდეის შესახებ ვეფხისტყაოსანში (იდეოლოგიურ ცვლილებათა კვლადაკვალ);

დ. ცალკეულ ხელნაწერთა მნიშვნელობა "რთული წაკითხვის" (lectio difficilior) პრინციპით ტექსტის დადგენაში (თავი მეხუთე — "მეორისამებრ განსჯისა" ... (ძიება ერთი სიტყვისა).

ვეფხისტყაოსნის სტილისტურ რედაქციათა რაობის ნათელსაყოფად საგანგებო ყურადღება ამა თუ იმ რედაქციის ძირითად თავისებურებებს და განსაკუთრებულ მომენტებს მიექცა. ასეთებად მივიჩნეთ: პარიზული ნუსხის, როგორც ამ რედაქციის არქეტიპის ნიშნების შემცველი ხელნაწერის, მნიშვნელობა; მუხბათუნისეული რედაქციის რესტავირებული სახე და სხვა. რა თქმა უნდა, რედაქციათა მხოლოდ და მხოლოდ ამგვარი დახასიათება დასმული პრობლემის თვალსაზრისით უკმარის გრძნობას გამოიწვევდა, ამიტომ ნაშრომში, იმ ძირითადი ხაზის თვალსაზრისით, რომელსაც გავყვეით, ვცადეთ ისე შეგვეჩინა მასალა, რომ ცალკეულ რედაქციათა სახეც შესაძლებელი სისრულით წარმოჩენილიყო: ნაშრომის მესამე თავი, რომელშიც პოემის ტექსტის და პროლოგის ურთიერთმიმართების საკითხია დასმული, ფაქტურად მუხბათუნისეული რედაქციის ანალიზია, მეფის ღმრთისწრობის იდეასთან დაკავშირებული ძირითადი მასალა წარმოგვიდგენს სამეფო სახლის რედაქციის რაობას, დამატება B ვეფხისტყაოსნის გურგენისეული ხელნაწერის შესახებ ამავე დროს ბებურიშვილისეული რედაქციის დახასიათებაცაა; ნაშრომის ბოლო თავში — "მეორისამებრ განსჯისა" — იმ საინტერესო ფაქტობრივი მასალის ფონზე, რომელიც აღძრული საკითხის გაანალიზებისთვისაა მოხმობილი, ცალკეულ ხელნაწერთა სახეც ჩანს. ნაშრომში საილუსტრაციო მასალა შეძლებისამებრ მინიმუმამდგა დაყვანილი და ემორჩილება ერთადერთ პრინციპს: თვალსაჩინო გახადოს დებულების არსი და ლოგიკურობა.

მეორე თავს ერთვის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტემა, რომელშიც გრაფიკულად აისახა რედაქციათა ურთიერთმიმართება. ხელნაწერთა რედაქციური რაობის კვლევისას ჩვენ შეგნებულად შემოვიფარგლეთ ვეფხისტყაოსნის უძველესი ე.წ. ძირითადი ხელნაწერებით, და სტემაჲ მათზე დაყრდნობით ავაკეთ, რადგანაც პირველ რიგში თავად სტილისტურ რედაქციათა რაობა გვაინტერესებდა.

დასასრულ, საპატიო მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მადლობა მოგახსენო ჩემს ძვირფას მასწავლებლებს აკად. აკაკი შანიძეს და აკად. აღეჟისანდრე ბარამიძეს – რომელთა დავალებითაც მოგვიღო ხელი ამ საკითხის დამუშავებას – იმ შესანიშნავი რუსთველოლოგიური სკოლისთვის, რომელიც გავიარე მათ მიერ ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის მოზადებისას; მათ წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა ყოველთვის თან ახლდა ამ ნაშრომის ავტორს.



ზოგიერთი განმარტება: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები აღნიშნულია იმ ლიტერებით, რომლებიც მიღებულია შოთა რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ “ვეფხისტყაოსნის ძირითად ხელნაწერთა ვარიანტებში”; ნაირკითხვათა ჩვენებისას ძირითად საფუძვლად აღებულია პოემის ე.წ. “აღმურაანთ” H 757 (A) ნუსხა; სხვა ხელნაწერთა ნაირკითხვებს ვწერთ შესაბამისად სტრიქონის ქვემოთ; ბრკუალები ( “ ) ნებისმიერ სტრიქონში ნიშნავს, რომ მეორდება პირველი (და არა წინამაჲალი) ტაეპის სიტყვა; თუ რომელიმე სიტყვას აქვს ვარიანტი, რომელიც განხილულ შემთხვევაში განსაკუთრებულ ინტერესს არ შეიცავს, მის ადგილას ბრკუალების ნაცვლად ვწერთ ტირეს ( - ) ვარიანტებით ტექსტის გადატვირთვის ასაცილებლად; სტროფის აღმნიშვნელი პირველი ნომერი ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემისაა, ფრჩხილებში მოთავსებული ნომერი აღნიშნავს ამავე სტროფის ნომერს პოემის 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

## თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული

კლასიფიკაციისათვის

(საკითხის დაყენება და კვლევის პრინციპები)

ვეფხისტყაოსნის ბედი განუყრელად დაუკავშირდა ქართველი ერის ისტორიულ ცხოვრებას არა მხოლოდ იმ განუთსაზღვრელი ინტელექტუალური, ზნეობრივი, ემოციური თუ ესთეტიკური ზეგავლენის წყალობით, რომელიც მან თაობებზე მოახდინა, არამედ იმითაც, რომ მის ხელნაწერებში ნებისთ თუ უნებლიეთ აისახა თვით ამ თაობათა ისტორიული ცხოვრებით განპირობებული მოვლენები — ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ერის ბედი წიგნის ბედად იქცა.

ეს არაა ლამაზი სიტყვები ან ფიგურალური გამოთქმა — ეს კე შემარიტებაა: ქართველი ერის ისტორიულმა ძნელბედობამ, ომებმა და რბევამ არც ვეფხისტყაოსანი დაინდო: უძველესი მანუსკრიპტები საუკუნეთა ორომტრიალმა შეიწირა — დაირღვა დროთა და ხელნაწერთა კავშირი... გვიანდელ ხელნაწერებს ცხადად აჩნია ისტორიული რეტუში: ვეფხისტყაოსანში აისახა ქართველი ერის ცხოვრების ისტორიული ცვლადები და მასთან განუყოფლად დაკავშირებულ ცვლილებანი ადამიანის ფსიქიკისა — შემდგომი ეპოქებისათვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობა, იდეოლოგია, ზნეობრივი შეხედულებანი; პოემის ხელნაწერებში გაჩნდა მათი გამომხატველი ვარიანტები, ინტერპოლაციები, გაგრძელებები.

ყოველივე ეს ფაქტობრივი საკვლევი მასალაა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის.

ტექსტოლოგია, უპირველეს ყოვლისა, ფაქტის მეცნიერებაა, მაგრამ ფაქტისა არა მხოლოდ მისი ემპირიული და ელემენტარული მნიშვნელობით, არამედ ფაქტისა, რომელიც ხშირად ურთულეს მსოფლმხედველობრივ, იდეოლოგიურ და მსგავსი რიგის საკითხებს უკავშირდება.

ახალ ფაქტიურ მასალას უკვე არსებულ შეხედულებათა ახალი გააზრება მოსდევს. სწორედ გაგებულ და ახსნილი ფაქტის გარეშე შეუძლებელია ტექსტის დადგენა, სარწმუნო ტექსტის გარეშე შეუძლებელია მსჯელობა მის ავტორზე. ბოლო წლებში რუსთაველის პოემის ხელნაწერული მემკვიდრეობის ინტენსიურმა კვლევამ, გამოქვეყნებულმა ვრცელმა ფაქტობრივმა მასალამ შესაძლებელი გახადა აღწერილობით და კლასიფიკაციურ ტექსტოლოგიაზე დაყრდნობით პოემის ხელნაწერთა სტრუქტურული არსის ძიება.

ამ ნაშრომში ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის შესწავლისათვის პოემის ხელნაწერთა კლასიფიკაციის საფუძვლად აღებულია ნაირკითხვათა ჩვენებანი, როგორც ძირითადი თ ვ ი ს ო ბ რ ი ე ი ნიშანი პოემის ხელნაწერთა მსგავსება-განსრავლებისა და ზოგად ტექსტოლოგიაში შემუშავებული ის კონსტანტი, რომელიც მუარ საფუძველს წარმოადგენს ხელნაწერთა ისტორიული განვითარების კვლევისთვის.

\* \* \*

ტექსტის ისტორიის შესწავლაში განვლილია ის ეტაპი, როდესაც ხელნაწერის სიძველეს, შედარებით სიმოკლეს ან ნუსხათა უმეტესობით დადასტურებულ წაკითხვას განსაკუთრებული ავტორიტეტი ენიჭებოდა. ვეფხისტყაოსნის ჩვენთვის ცნობილ თარიღიან ნუსხათა შორის უძველესია მამუკა თავაქარაშვილის მიერ 1646 წელს გადაწერილი ხელნაწერი (E), მაგრამ იგი არ წარმოადგენს პოემის ტექსტის ყველაზე ადრინდელ სახეს. — თუმც ხელნაწერი შედგენილობით შედარებით მოკლეა, მის ტექსტს უფრო გვიანდელ ხელნაწერებთან შედარებით აშკარად ატყვია სწორების კვალი: ცხადია, ნუსხის სიძველე და მის მიერ წარმოდგენილი ტექსტის სიძველე არაა ადეკვატური ცნებებზე. ტექსტის დადგენისას საკითხის მართებულად გადაჭრაში ვერც იმას მიეკუთვნება უპირატესობა, რომ ამა თუ იმ წაკითხვას რიცხობრივად უფრო მეტი ხელნაწერი ემხრობა, ვიდრე სხვას — ადვილი შესაძლებელია, რომ მკდარი წაკითხვა მომდინარეობდეს ამ ხელნაწერთა საერთო პროტოგრაფიდან. ამავე დროს არაა საკმარისი “უკეთესი” წაკითხვის ან “კარგი” კონიექტურის არჩევა, მთავარია დასაბუთება, რომ ესაა ერთადერთი მართებული წაკითხვა.

რაც უფრო ღრმად შევიკრებით ხელნაწერთა სამყაროში, მით უფრო ნაკლები რჩება ბუნდოვანი, შემთხვევითი და აუხსნელი, მასალა თანდათან გარკვეული განვითარების რკალში თავსდება.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მრავალრიცხოვან ვარიანტებში, როგორც ფოკუსში, მოიყარა თავი ცალკეულ ხელნაწერთა თუ რედაქციათათვის დამახასიათებელმა თავისებურებებმა. საკვლევი ტექსტოლოგიური მასალის უზოპო სიმდიდრე ღრმა და საფუძვლიან ისტორიულ-ფილოლოგიურ ანალიზს განაპირობებს. საჭიროა ამ მრავალგვარობასა და სიჭრელეში მოინახოს გარკვეული ერთიანობა, სისტემა, მიმართულება “რედაქტორის” აზრისა, რომელიც ძიების საშუალებას მოგვცემს; მაშინ გარეგნული ალოგიზმის მიღმა თანდათან გამოიკვეთება “რედაქტორის” ლოგიკა.

საუკუნეთა განმავლობაში ხელნაწერებში ქვეშარითად რუსთველისეული სიტყვების თუ ფრაზების პარალელურად ურიცხვი ნაირ-ნაირი, ხშირად საკმაოდ “კარგი” წაკითხვა გაჩნდა; ამიტომ გამოირჩევა ვეფხისტყაოსნის გამოცემები ტექსტის ნაირგვარობით — გამომცემლებს მეტად მდიდარი არჩევანი ჰქონდათ, პრინციპი კი ხშირ შემთხვევაში სუბიექტური შეხედულება და წაკითხვათა “ვარგისიანობა-უვარგისობა” იყო. ვეფხისტყაოსნის გამოცემებში მეტწილად დარღვეულია ე.წ. “ერთიანი ტექსტის” პრინციპი; ხელნაწერთა გან გამოკრეფილი “კარგი”, “ნათელი” ან “ხელნაწერთა უმრავლესობის” წაკითხვა, შერჩეული მკაცრი ისტორიული პრინციპის გარეშე, ქმნის ნარეგ, მოზაიკურ ტექსტს, სხვადასხვა ხელნაწერთა ხელოვნურ კონტამინაციას. რა თქმა უნდა, ამგვარი რეკონსტრუირებული ტექსტის წარმოდგენა კონკრეტულ ისტორიულ ფაქტად შეუძლებელია.

ხელნაწერთა ტრადიციას განაპირობებენ ფრიად მკაცრი კანონზომიერებანი და შემთხვევითი აქ მეტად მცირეა. ყველა ის გადახვევა, რაც ამა თუ იმ ხელნაწერს

ახასიათებს, ბოლოს და ბოლოს მისი განვითარების გარკვეულ ეტაპს ასახავს. თავად ვარიანტთა მრავალფეროვნებაც ნუსხაში შინაარსობრივი გრადაციის თავისებური ლოგიკითაა შეკრული, რაც ნუსხათა ურთიერთკავშირს წარმოაჩინებს. ნებისმიერი ხელნაწერის სტრუქტურა, როგორც განსაკუთრებული ტიპისა, განსაზღვრულია იმ სპეციფიკური სტილით, რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი; შემდგომ ამ თავისებურებათა ტიპოლოგიას — სპეციფიკური ნიშნების შეჯამებას — მიეყვართ ცალკეული რედაქციებისაკენ, სადაც უკვე საერთო არქექტიპიდან მომდინარე რამდენიმე ხელნაწერი იყრის თავს.

ამრიგად, ხელნაწერებში დაგროვილია უამრავი მასალა, რომელიც ახსნას მოითხოვს; მათ შექმნეს ცალკეულ ხელნაწერთა სპეციფიკა. ჩვენ ამ ფაქტებს ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციის ასპექტში განვიხილავთ.



ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში საძიებელი და დასადგენია ორი რამ — პოემის შედგენილობა და ტექსტი. ეს ორი კომპონენტი ერთი მთლიანობაა, რომელთა გათიშვა არ შეიძლება.

გასულ საუკუნეებშივე კარგად იყო ცნობილი, რომ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი და შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანი ერთი და იგივე არაა; განათლებულმა, მოაზროვნე მკითხველმა იცოდა, რომ ყოველივე ის, რაც ვეფხისტყაოსნის სახელით ინათლება, რუსთაველს არ ეკუთვნის: "ნანუჩას რუსთველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია, საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია"... ამგვარად "ამღვრეულ" და "შეუწყობელ" ვეფხისტყაოსანს წინა საუკუნეების კომპეტენტური ფილოლოგია არ აიგივებდა რუსთველის ნაწარმოებთან; თეიმურაზ ბაგრატიონი, პოემის ერთ-ერთი პირველი "მთარგმანებელი", მოუწოდებდა: "რაც რუსთველისა არ არის, იმას ნუ ურევთ". აქედან ცხადია, რომ იღუა რუსთველის ნაწარმოების სტრუქტურისა და კომპარატიული ფარგლების შესახებ ამ საუკუნეებში მყარად არსებობდა.

რუსთველოლოგიური მეცნიერების ორსაუკუნენახევრის ისტორიის მანძილზე განსაკუთრებული სიმწვავეთ სწორედ პოემის სტროფული შედგენილობის საკითხი იდგა.

საესებით გასაგებია ვეფხისტყაოსნისადმი ამ კუთხით მიდგომა ტექსტის შესწავლის გარკვეულ ეტაპზე, რადგან ხელნაწერებში ყველაზე შესამჩნევ ელემენტს სწორედ პოემის სივრცე-სიმოკლე, ე.ი. მისი სტროფული შედგენილობა წარმოადგენს. ახალი დროის რუსთველოლოგიაშიც ტექსტის შესწავლის უპირატეს და განმსაზღვრელ ფაქტორად ცალკეულ სტროფთა სინამდვილე — სიყალბის ძიება და მტკიცება იქცა, თვით ტექსტს კი შედარებით მეორეხარისხოვანი ადგილი მიეკუთვნა. მივიწყებულ იქნა ვახტანგისეული გამოცემის ავტორიტეტი და შესანიშნავი ტრადიცია, რომელიც მოწმობს, რომ, თუმცა პოემის გამომცემელი იცნობდა ვეფხისტყაოსნის ვრცელ რედაქციებს, მას ცხადად ჰქონდა გააზრე-



ბული რუსთველის თხზულების! კეშმარტი მოცულობის რაობა. იყო ეს გენია -  
ლური ინტუიცია პირველი მეცნიერი-რუსთველოლოგისა. თუ შოთა რუსთველის  
ქმნილების საზღვრების შესახებ არსებული ზეპირი ტრადიციის უკედავი სული,  
ერთი ცხადია - რუსთველის ტექსტზე ორასორმოცდაათწლიანი დაძაბული მუ-  
შაობის შემდგომ ახალ აკადემიურ გამოცემებს ძირითადად კვლავ ვახტანგისე-  
ულმა ვეფხისტყაოსანმა "დაუსამზღერა საშუღარი".

მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები რომ ტრადიციულად არ აღიქმე-  
ბოდა, როგორც რუსთველის ნაწარმოები, ცხადია. აქ უკვე დგება საკითხი ტექ-  
სტოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი ცნების განსაზღვრისა, როგორცაა "ტექსტი".  
ცნობილი ტექსტოლოგი დ.ს. ლიხაჩოვი ასე განსაზღვრავს ამ ტერმინს - "ტექსტი  
არის ენობრივი გამოსახვა მისი შემქმნელის ჩანაფიქრისა" (Текст—это выраже-  
ние мысли автора произведения). ამ განსაზღვრის მიხედვით შ.რუსთვე-  
ლის ვეფხისტყაოსნის ტექსტად უნდა ჩაითვალოს ჩვენამდე არმოდწეული ხელ-  
ნაწერი, რომელიც უშუალოდ მისი შემქმნელის ხელიდან გამოვიდა; ჩვენთვის  
იგი "წარმოსახვითი" ტექსტია და მისი კეშმარტი სახე საძიებელი და დასად-  
გენია ვეფხისტყაოსნის ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერებში. საკითხის ამ კუთ-  
ხით განხილვისას საფუძვლად იგულისხმება საკუთრივ ვეფხისტყაოსნის ტექსტი  
— დაახლოებით ვახტანგისეულ და ახალ აკადემიურ გამოცემათა ფარგლებში,  
რადგან ყოველგვარი ჩანართ—დანართი აქ ნაკლებ მოსალოდნელია. კვლევის ამ  
მიმართულებით წარმართვისას ხელნაწერთა შედარებისთვის უკვე აღარაა რ ა -  
ო დ ე ნ ო ბ რ ი ე ი მაჩვენებელი, ტექსტის შედარებითი სიგრძე—სიმოკლე, რომ-  
ლის მიხედვით შესაძლებელი ხდება ხელნაწერთა გარკვეული თანრიგის დადგენა;  
აქ მთელი სიმძიმე ნაირკითხვებზეა გადატანილი — ეს უკვე თ ე ი ს ო ბ რ ი ე ი  
მაჩვენებელია.

ამ თვისობრივი მაჩვენებლის მიხედვით რა განსხვავებანია ხელნაწერთა  
შორის? ნაირკითხვები ის ძირითადი თვისობრიობაა, რაც ერთმანეთისაგან გან-  
ასხვავებს ხელნაწერებს, მაგრამ ნაირკითხვები არა ყოველგვარი (ორთოგრაფი-  
ული, გრამატიკული და სხვა), არამედ მხოლოდ ის, რაც გარკვეული ტექსტის  
ინდივიდუალურ სახეს და თავისებურებას ქმნის.

\*  
\*   \*   \*

ლიტერატურული ძეგლის შესწავლაში ენობრივ ფაქტორს ერთ—ერთი გადამ-  
წვევტი როლი ენიჭება ხელნაწერის სიძველის ნათელსაყოფად. ზოგადი ტექსტო-  
ლოგიის ისტორიაში ცნობილია ფაქტები, რომ ზოგჯერ გადამწერი შეგნებულად  
აარქაულებს ხელნაწერის ენას, მაგრამ კვლევის პროცესში ამგვარი მისტიფი-  
კაცია ყოველთვის აშკარავდება; მაგალითისთვის ე.წ. კრალედვორის (Kriemhild)  
ხელნაწერების ქრესტომათიული ფაქტი გამოგვადგება.

ჩვენს წიგნთსაცავებში არსებული ვეფხისტყაოსნის უძველესი ხელნაწერებიც  
კი სულ მცირე — ოთხი საუკუნით მაინც არიან დაცილებული პოემის შექმნის დროს,  
ამიტომ სავსებით ვასაგებია, რომ მათში არაა დატული ძველი ქართული ენის კა-  
ნონზომიერებანი და ხელნაწერები ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქ-  
სური რიგის მოვლენების განსაკუთრებული სიჭრელის დაღს ატარებენ. უნდა ით-

ქვას, რომ ვარიანტთა უმეტესი წილი სწორედ ამ სახის ნაირკითხვებზე მოდის.

თაობათა მიერ პოემის გადაწერისას დაირღვა ვეფხისტყაოსნის დაწერის დროისთვის ნიშანდობლივი ე.წ. კლასიკური ქართული ენის ორთოგრაფიული და გრამატიკული ნორმები: გადამწერის პიროვნებამ, მისმა გარემომ, მისმა დრომ უნებლიე კვალი დააჩნია პოემის ენას. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში მეტ წილად დაიკარგა ძველი ასოები ჳ, უმარცვლო უ და ი, ზოგჯერ ისინი სრამართებულადაა ნახმარი; უხვადაა დიალექტური ფორმები, სისტემატურია გრამატიკულ ფორმათა შეუფხვებელი, გაუცნობიერებელი მოდერნიზაცია; განსაკუთრებით თვალსაჩინოა პარალელურად ზმნის ორი ფორმის — ძველის და ახლის — არსებობა.

არის რიგი ხელნაწერებისა, რომლებიც შედარებით მტკიცედ იცავენ კლასიკური ქართულის გრამატიკულ ნორმებს, მომდინარეს პოემის უძველესი ხელნაწერებიდან, მაგრამ შეუდარებლად მეტია ხელნაწერები, რომლებშიც ეს ნორმები ნაკლებადაა დაცული ან თითქმის უგულვებელყოფილია და შეცვლილია ხელნაწერის გადაწერის დროისთვის არსებული გრამატიკული ფორმებით. ძნელია დაეასახელოთ ხელნაწერი, რომელიც აბსოლუტური სიზუსტით წარმოგვიდგენდეს პოემის შექმნის ეპოქისთვის ნიშანდობლივ გრამატიკულ ნორმათა ზუსტ სურათს.

ვეფხისტყაოსნის ენა, მის ხელნაწერთა ენობრივი თავისებურებანი საგანგებო ენათმეცნიერული კვლევის საგანია. რუსთველის ენის კვლევა მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დადგა აკად.აკაკი შანიძის მიერ ამ დარგში შექმნილი ფუნდამენტური გამოკვლევების წყალობით. უპირველეს ყოვლისა, ეს ითქმის აკაკი შანიძის გამოკვლევის შესახებ — “ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები”, რომელიც უძღვის მისივე ხელმძღვანელობით შედგენილ სიმფონიას პოემისას. მზექალა შანიძემ დიდი მეცნიერული სიზუსტით გამოიკვლია ეახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ენობრივი თავისებურებანი, და ასევე საფუძვლიან გამოკვლევას იმსახურებს ვეფხისტყაოსნის ყველა ძირითადი ხელნაწერი — მათი ამ მიმართებით მკვლევარი მეტად საყურადღებო და მადლიერი მასალის მფლობელი აღმოჩნდება.

ამ დარგში შესრულებულ უკანასკნელ გამოკვლევათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ივ.გიგინეიშვილის “გამოკვლევები “ვეფხისტყაოსნის” ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ”, რომელიც 1975 წელს გამოიცა ცალკე წიგნად.

თუ რამდენად ზუსტი და ზედმიწევნითი შეიძლება იყოს ენის ამგვარი კვლევა, მოწმობს აკაკი შანიძის მიერ თეორიულად დასაბუთებული შესწორებანი პოემის ტექსტისა. მკვლევარს იმჯერად არ ჰქონდა შესაძლებლობა პრაქტიკულად ხელნაწერებში შეემოწმებინა მის მიერ საექვოდ მიჩნეული და გასწორებული გრამატიკული ფორმები (გამოკვლევა გამოქვეყნდა 1956 წელს), ვეფხისტყაოსნის ვარიანტთა გამოქვეყნების შემდგომ კი მეცნიერის მიერ შეტანილ შესწორებათა ქეშმარიტება დასაბუთდა ხელნაწერთა მონაცემებით. აი, რამდენიმე მაგალითი აკაკი შანიძის გამოკვლევიდან იმის ნათელსაყოფად, თუ რა ზუსტი და ქეშმარიტად მეცნიერულია ტექსტის ამგვარი ანალიზი და მისი შედეგები:

1. (318). “მთევმ ბრძანა: “შვილად გაეზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა”.

ამ ტაეპის მიმართ ა.შანიძეს ასეთი შენიშვნა აქვს: “მეფემ ბრძანა” — ასეთი შეკვეცილი ფორმა მოთხრობითისა“ ვეფხისტყაოსანში“ საერთოდ არ გვხვდება. ამიტომ ხომ არ იყო თავდაპირველად: “მეფე ბრძანებს”?“<sup>1</sup>

ხელნაწერებმა დაადასტურეს მეცნიერის ექვის სამართლიანობა: ამ სიტყვებს ასეთი ვარიანტები აქვს:

მეფემან თქვა ABCDELMUWXVZ

მეფეს ეთქვა JT

მეფემ ბრძანა F GHTKO [ R ]

ცხადია, ამათგან ძირითადია “მეფემან თქვა“, “მეფემ ბრძანა“ კი შემდეგ-დროინდელი გადანაკეთებია (საერთოდ დამახასიათებელი ამ რიგის ხელნაწერთათვის).

2. (216) „რადგან ისი არი სადმე უცნობო და ისრე რეტად“. ა.შანიძე წერს: “უნდა იყოს “უცნობოდ და“ (დღაიკარგა გამოთქმაში და მერმე წერაში მომდევნო დ—ონის გამო“<sup>2</sup>.

ეს ვარაუდი სავსებით გაამართლეს ხელნაწერებმა:

უცნობოდ და ABCEFMNRXZ

უცნობოთ და L

უცნობო და DGHIJOTUVW

უცნობოდა K

3. (1059) — “რაცა აჯა ჩვენ გემართებდა, იგი თქვენვე გაიჯღია“. ა.შანიძის აზრით “დ ზედმეტია (გიაჯღია). ამ შემთხვევაში რითმა აღარ იქნება კარგი, მაგრამ სჯობს, რომ ნაკლები რითმა იყოს, მაგრამ ფორმა სწორი, ვიდრე კარგი რითმა და მიუღებელი ფორმა“<sup>3</sup>.

მართლაც, აკაკი შანიძის მიერ სწორად მიჩნეული ფორმითაა წარმოდგენილი ეს სიტყვა ხელნაწერთა აბსოლიტურ უმეტესობაში, “გიაჯღია“ კი მხოლოდ ორშია — DE (ზაზასეული და მამუტა მდივინისეული).

ა. შანიძის. მეცნიერულ განკვერტათა კეშმარტება დაადასტურეს ვეფხისტყაოსნის ძველმა ხელნაწერებმა. უნდა ითქვას, რომ უმთავრესი წილი იმ გრამატიკული ფორმებისა, რომლებიც თეორიულ წინამძღვრებზე დაყრდნობით გაასწორა აკაკი შანიძემ, პრაქტიკულად დამოწმდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების, ძირითადად A (“სამეფო სახლის“) ტიპის ნუსხებში.

ამგვარად, ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული შესწავლის დარგში შესრულდა ისეთი უპირველესი რიგის და მნიშვნელობის საეტაპო სამუშაო, როგორცაა აკაკი შანიძის გამოკვლევანი პოემის ენის შესახებ.

\*  
\* \* \*

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შესწავლის საქმეში მნიშვნელოვან საეტაპო ნაშრომად ს. ცაიშვილის გამოკვლევა“ ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ მიგვაჩნია.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მრავალჯონ გადაწერის პროცესში პოემამ მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადა.

ისმის კითხვა — რომელი ხელნაწერი იმსახურებს მეტ ნდობას? რომელია უფრო დაახლოებული ავტორის ხელიდან გამოსულ ნაწარმოებთან? ვეფხისტყა-

ოსნის ტექსტის ალდგენისათვის პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება პოემის ხელნაწერთა ტექსტის ისტორიის შესწავლას.

მრავალრიცხოვანი ხელნაწერებით წარმოდგენილი პოემის შედგენილობის გარკვევას, მისი განვითარების კანონზომიერებათა დადგენას განსაკუთრებული სიძნელეები ახლავს. ეს სადისკუსიო საკითხი ორნახევარისაუკუნის მანძილზე რუსთველოლოგთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი და მართლაც რომ სასინჯო ქვაა ლიტერატურული თუ ისტორიულ-განეტიკური ჰიპოთეზებისათვის.

ჩვენი პოემის ხელნაწერთა საგანძური ქაოსად გადაიქცეოდა, ამ სიმრავლეში გარკვეული სისტემა და კანონზომიერება რომ არ ყოფილიყო მოძებნილი. ასეთი სისტემის მონახვა კი მხოლოდ ხელნაწერთა მეცნიერული კლასიფიკაციის საშუალებითაა შესაძლებელი. ხელნაწერთა კლასიფიკაციის საკითხი რუსთველოლოგიის ისეთ პრობლემურ საკითხად იქცა, რომელსაც თეორიულს გარდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს პოემის ტექსტის დასადგენად. ამგვარად, მეცნიერული კლასიფიკაციის ამოცანას შეადგენს ხელნაწერებში საერთო ნიშნით გაერთიანებულ ძირითად ჯგუფთა გამოყოფა.

ს. ცაიშვილმა პირველწყაროების შესწავლის საფუძველზე შეასრულა ისეთი რთული საეტაპო სამუშაო ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის დადგენის საქმეში, როგორცაა პოემის ხელნაწერთა ძირითადი რედაქციების გამოყოფა. მან გარკვეულად მყარ სისტემაში მოიყვანა პოემის ხელნაწერები და მათ შორის ოთხი ძირითადი რედაქციის გამოყოფით შექმნა საყრდენი ზუსტი მეცნიერული კვლევისთვის. ს. ცაიშვილის მიერ ნათლად ჩამოყალიბებული ისტორიული განვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტისა საფუძველია რედაქციათა შედარებითი ანალიზისათვის, მხოლოდ ამ რთული სამუშაოს შესრულების შემდგომია შესაძლებელი ცალკეულ რედაქციათა და ხელნაწერთა შინაგანი სტრუქტურის შესწავლა.

წიგნის ნათელ კონსტრუქციაში ცალკეული რედაქციების განხილვისას მასალიდან გამორჩეული და წინ წამოწეულია ის მთავარი და განმსაზღვრელი, რაც ამ რედაქციათა წარმოქმნის შინაგან ტენდენციას ახასიათებს. ხელნაწერთა შესწავლისას მათ გარკვეულ რედაქციულ ფარგლებში მოსაქცევად ავტორმა გამოავლინა ხელნაწერთა შინაგანი კანონზომიერებანი. ს. ცაიშვილის მიერ წარმოებულმა კვლევამ და მისმა კლასიფიკაციამ კი არ შეზღუდა ძიების სფერო, არამედ პირიქით, გააფართოვა და დააზუსტა იგი, სწორედ ამაში მდგომარეობს "ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის" უპირველესი ღირსება.

ამრიგად, ს. ცაიშვილის მიერ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში გამოყოფილმა ძირითადმა ოთხმა რედაქციამ გააფართოვა კვლევის ფარგლები და დასახა რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხებისა, რომლებიც შედგომ ჩაღრმავებულ კვლევას განაპირობებენ. ხელნაწერთა განვითარების მყარმა სისტემამ, რედაქციათა წარმომავლობის გარკვევამ ხელნაწერთა შინაგანი თავისებურებების კომპლექსური და შედარებითი შესწავლის აუცილებლობა გამოიწვია.

ხელნაწერთა შესწავლას სამი ძირითადი ეტაპი აქვს: ნუსხათა წინასწარი ფორმალური კლასიფიკაცია, ტექსტის ისტორიის დადგენა, ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაცია. ახლა ხელნაწერთა შესწავლა ანალიტიკურ სტადიაში შევიდა და ამ პროცესისთვის ზღვარის დადება შეუძლებელია. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერ-

თა რედაქციების ურთიერთმიმართების ს.ცაიშვილისეული სტემა კიდევ უფრო ღრმა კვლევას აპირობებს —სწორედ ესაა არსი ტექსტოლოგიური მეცნიერების განვითარებისა.



ჩვენთვის მთავარია პოემის ტექსტის ნაირკითხვათა შედარებითი ანალიზი — მხოლოდ ამგვარად შეიძლება მიკვლევულ იქნეს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შორის არსებითი მსგავსება — განსხვავებანი. ცხადია, ნუსხათა კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს მათში მოცემულ ყველაზე სტაბილურ მომენტს — ესაა ტექსტის გადაწერის პროცესში შეტანილი გააზრებული ცვლილებანი ცალკეული სიტყვის, ფრაზის ან ტაეპისა, რომელნიც წარმოშობის თვალსაზრისით არ შეიძლება შემთხვევითი ხასიათის იყოს, და რამდენიმე ხელნაწერში ერთგვარად წარმოიდგენილი, აუცილებლად გულისხმობს მათთვის დასაბამის დამდებ საერთო არქეტიპის არსებობას. ტექსტის შეგნებული ცვლილებები — იქნება ეს ძველი ან გაუგებარი სიტყვის ახლით ან უფრო გასაგებით შეცვლა, ფრაზის თავისებური ინტერპრეტაცია, რთული პასაჟის გააზრების ცდა, იდეოლოგიური ხასიათის ცვლილებანი თუ სხვა რამ — გაცილებით უფრო სტაბილურია, ვიდრე შემთხვევითი ცვლილებები. ამიტომ ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტექსტის ამგვარ შეგნებულ „სწორებას“, რომელიც ხელნაწერის ახალ რედაქციას ქმნის.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში არის შეგნებული და შეუგნებელი ვარიანტული ცვლილებანი, განპირობებული მომდევნო საუკუნეებში ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობით, იდეოლოგიური და პოლიტიკური მრწამსით, მაგრამ არსებითად ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ახალ ტექსტს სტილისტური ხასიათის ნაირკითხვანი ქმნიან; პოემის ხელნაწერთა სწორედ ამგვარი კატეგორიის განსხვავებანია ნუსხათა კლასიფიკაციის საფუძველი. მაშასადამე, პოემის ხელნაწერებს ერთმანეთისაგან განასხვავებს სტილისტური რედაქციის თავისებურება.

ცალკეულ წაკითხვათა შესწავლა მათი წარმოშობის თვალსაზრისით შესაძლებელს ხდის ვარიანტთა შექმნის კონკრეტული მიზეზების გათვალისწინებას; ნაირკითხვათა ურთიერთშეპირისპირებით კი ცხადი ხდება, რომელი წაკითხვაა ადრინდელი თუ გვიანდელი. ბუნებრივია, როდესაც საქმე ეხება შელახულ ტექსტს, გვიანდელი ეტაპების ცოდნის გარეშე შეუძლებელია მისი პირვანდელი სახის აღდგენა, ამიტომაც ვარიანტთა შინაარსობრივი ანალიზის მიზანია ტექსტის ისტორიის გარკვევა — *lectio facillior* —ის გამოირჩევა *lectio difficillior* —ისგან, ჩვენს ხელთ არსებულ ძველ ხელნაწერთა ურთიერთმიმართების და გენეალოგიის დადგენა.

ვარიანტთა შესწავლის მიზნით წინასწარ აუცილებელია მათი შექმნის ვითარების გარკვევა, წარმოშობის თვალსაზრისით გარკვეული სისტემატიზაცია. ყოველ პროვინციას თავისი ინტერესები და, მაშასადამე, საკუთარი „ხელწერა“ აქვს — გადამწერთა შორის ტექსტოლოგია არჩევს სამ ტიპს: კოპისტს, რედაქტორს,

რესტავრატორს. ყოველ მათგანს ერთმანეთისაგან განსხვავებული სახის ვარი-  
ანტების შეტანა შეუძლია ტექსტში.

\*

\*

\*

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში ტექსტოლოგიურ ცვლილებათა ამპლიტუდა  
მეტად ვრცელია: აქ გვხვდება კითხვასხვაობანი, დაწყებული ასოთა აღრევით  
და მთაწერებულის ურთულესი იდეოლოგიური მოვლენებით. მათ შორის ვარიანტთა  
მრავალგვარობის დიდი გრადაციაა.

ხელნაწერებში არაიშვიათია ასოთა აღრევა; ამგვარი „მექანიკური“  
მიზეზით წარმოქმნილი ვარიანტები სხედასხვა ხასიათისაა და შინაგანი გან-  
სხვავებანი აქვს. ამ ხასიათის ვარიანტთა გაჩენის ერთ-ერთი უმარტივესი მი-  
ზეზია ის, რომ გადამწერს ვერ ამოუკითხავს ასო და მხოლოდ გრაფიკული მოხა-  
ზულობით მიუმსგავსებია: ასეთ შემთხვევაში საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ,  
რომ გადამწერი ე.წ. „კოპისტა“ როგს მიეკუთვნება და შეძლებისდაგვარად  
ცდილობს დაიცვას დედნის გრაფიკული სახე.

მაგალითად, KO ხელნაწერთა გადამწერი რომ მხოლოდ და მხოლოდ ასლის  
გადამღებია, მოწმობს ასეთი მაგალითი:

652 (509): სამეფოსა ვაპატრონოთ სახელმწიფო შევანახოთ  
KO სამეთოსა " " "

ჩანს, გადამწერმა „ფ“-არი ვერ გაარჩია და მის ნაცვლად „თ“ დაწერა.  
ამ ხელნაწერთა ვადამნუსხავი ერთი პირია, კარგი კალღრაფი, მაგრამ კალი-  
გრაფი და კარგი კოპისტი რომ ერთი და იგივე არაა, ეს მაგალითიც მოწმობს.  
უნდა ითქვას, რომ ეროვნებით ქართველი გადამწერისაგან ასეთი შეცდომის  
და შეება ძნელი წარმოსადგენია.

640 (498): ორგნით ჩანს ლები მჯილისა მართ მკერდსა გარდანა კრისა  
O " " " მიჯლისა " " "  
K " " " მიჯლისა " " "

სხვათა შორის, ხელნაწერებში არის რამდენიმე ვარიანტული წაკითხვა,  
რომელთა გაჩენა შეიძლება აიხსნას ნუსხური მსგავსი ასოების ერთმანეთში  
არევიით:

1) (572): შენ დაგიზახა მიხმეო ხმამალა გახმამუივარდა  
A X " " " " გახდაყივარდა

ამგვარი ვარიანტის გაჩენას ვერ მივაწერთ გადამწერისეულ გააზრებას თუ

ემანდაციას, ოგი დედნის უფლი ამოკითხვის შედეგი ჩანს, „მ“ და „დ“ კი სწორედ ნუსხურით ნაწერ ტექსტშია ადვილად ასარევი.

2) (1399): სჯობს დადევით დამალულნი თქვენ ადგილსა იღუმალსა  
M " დადებით " " " " " " " " " " "

პირველი ნიმუშის მსგავსად, აქაც მოხაზულობით მსგავს ჯ - ჯ არევით შეგვეძლო ხელნაწერში გაჩენილი წაკითხვის ახსნა.

3) (1495): შიგან მათ დიდთა მინდორთა ყოვლენით კაც-მიუმხვდარეთა  
A B C M X " " " " " " " " " " " " კაც-მიუმცვდარეთა

ამ შემთხვევაში შეიძლება გვეფიქრა, რომ ვარიანტი გაჩნდა პროტოგრაფი-სეული ასო ჯ —ს არასწორად ამოკითხვის გამო, რადგან მოხაზულობით "ჯ" და "კ" ერთმანეთში ადვილი ასარევი (შდრ= ჯ და კ). სხვათა შორის, ვარიანტი "კაც-მიუმცვდარეთა" შემდგომში პოემის მკვლევართა უმეტესობა მგაიაზრა როგორც "კაც-მიუმწვდარეთა" და ასე დაბეჭდა კიდეც.

საინტერესოა, რომ ამგვარი შეცდომები ძირითადად "სამეფო სახლის" ხელნაწერებში გვხვდება. რა თქმა უნდა, ეს არაა ამ სიტყვათა ტრანსფორმაციის ერთადერთი ახსნა, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ამგვარ ვარიანტებში შორეული პროტოგრაფის უნებლიე კვალი მოჩანდეს.

ჩა მოთვლილ მაგალითებში I lapsus calami მეტად თვალსაჩინოა და მათზე შეჩერება არც ღირდა, ამ ხასიათის შეცდომებს გარკვეული წილი რომ არ ჰქონდეთ ისეთი სახის ვარიანტების შექმნაში, რაც უკვე უბრალო შეცდომის ფარგლებს სცილდება.

ხელნაწერთა ვარიანტებში ხშირია შემთხვევები ორი ერთმანეთის მომდევნო თანხმოვნიდან ერთის დაკარგვისა, "ს"—ანის რედუქციისა და სხვა.

534 (400)

C D I J K N U V W X არც რამე ჩვენ ვართ ჯაბანნი არც ციხე უმაგრონია  
A B E F H L O T Y Z " " " " " " " " " " არ " "

"ს"—ანის ამოვარდნის ნიშანდობლივ მაგალითს წარმოადგენს გამოთქმა „არს სათუები“ რომელიც ვეფხისტყაოსანში ორჯერ გვხვდება და ორჯერვე რ იგ ხელნაწერებში წარმოდგენილია ვარიანტით "არ სათუები" (როგორც ვხედავთ, შინაარსი დიამეტრალურად იცვლება):

10 29 (852): ცოცხალი დაეხვდე უკვირდეს სიციოცხლე არს სათუები  
D U V " " " " " " არ "  
F I R " მნახოს " " " " არ "  
(1403) სამთავე შესვლა არ ვარგა თუ გვიგრძნან არს სათუები  
D E M N V W " " " " " " " " " " არ "  
F R Z " " " " გვიგრძნობენ არ "

ყველა ამ შემთხვევაში გადაწყვერის შეცდომა ახალ ვარიანტს ქმნის, მაგრამ შეუღარებლად რთულდება მდგომარეობა მაშინ, როდესაც გადაწყვერის მიერ დაშვებული შეცდომის გამო ხელნაწერში ჩნდება ახალი სიტყვა, რომელიც არაა მოკლებული გარკვეულ აზრს კონტექსტში და ამის გამო უპირისპირდება თავდაპირველ წაკითხვას:

288 (206)  
 EPIKY ამან მართ ოდენ მორევენა გვითხრა ვუალლეთ ჩვენ ნებით  
 ABCGHJLM - - - - -<sup>4</sup> ჩვენებით  
 ORTU VWXZ

ორი "ნ"-არტიდან (ჩვენ ნებით) გადაწყვერისას ერთი „ლაიკარგა“ , ამ-გვარი ოქსუს-ის გამო გაჩნდა სრულიად ახალი სიტყვა: ჩვენ ნებითაჩვენებით, და ეს მეორე წაკითხვა იმდენად ბუნებრივი და აზრიანი ჩანდა კონტექსტში, რომ პოემის ბეჭდურ გამოცემებშიც კი გადავიდა (ბროსე, ჩუბინაშვილი, 1937 წლის გამოცემა).

მსგავსი მგალითების დასახელება მრავლად შეიძლება. მაგალითად, ძალზე ხშირია მოხაზულობით მსგავსი ასოების კ-ე, მ-ძ, ს-ხ, მ-შ ერთმანეთში აღრევა:

314 (227)  
 ABCDFGHJK ასრე უჩს მოკლვა ლომისა მართ ვითა ლომსა ვაცისა  
 LMO TU VWZ " " " " " " " " კაცისა  
 N " " " დევისა " " " " კაცისა  
 I " "

735 (585)  
 ABCEFL XYZ მეტმან ზარმან გამაშმაგა მომიკიდა ცხრო და თრთოლა  
 DGHKORTU VW - - - - - მომივიდა - - -

1175 (992)  
 BCFJ ძე დიდებულთა დიდგვართა ზრდილი მეფეთა შვილობით  
 ADEGHJKM  
 OTU VWXZ მე - - - - -

არაიშვითად სიტყვას ცვლილებათა რიგი საფეხურები აქვს, და ეს გარემოება ტექსტში ახალ სიტყვათა გაჩენის მიზეზია:

i 559 (1367)  
 FIKV პოეს ერთი ზარდახანა აბჯრისათვის სახლად ქნილი  
 ABCDELMOTU WX - - - - - ახლად "  
 GHJY - - - - - ახლა "  
 N - - - - - ახალ "

აქ თავდაპირველ და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა ერთგვარი ფონეტიკური მსგავსება, მაგრამ ღრმა აზრობრივი განსხვავება იმდენად თვალსაჩინოა, რომ ტაეპის "ახლად" გაშინაარსებთანაზე ლაპარაკის გაგრძელება სრული-



ად ზედმეტია.

წინა მაგალითში ორი "ს"—ანის შეხვედრამ თუ ერთის დაკარგვა და ახალი ვარიანტის შექმნა გამოიწვია, შეიძლება მოხდეს საპირისპირო მოვლენაც — გადამწერი კარნახის და თვითკარნახის დროს აორმაგებს ბგერას და ამ შემთხვევაშიც ახალი სიტყვა, და მაშასადამე, ახალი ვარიანტი იქმნება.

(454):

ABCDEFGHIJ

LMN TU VWXZ ერთსა კაცსა ეყოფოდეს დიდებანი რომე მქირდეს

HKO " " " " რომ მე "

დ—ლ—ს აღრევაც ახალ სიტყვას ქმნის და სრულიად მოულოდნელ შინაარსს სძენს კონტექსტს:

341 (250)

ABCLMN WY Z ვარ მიჯნური ხელი ვინმე გაუძღებლად სულთა დგმისად

JN [T] გაუძღებლად " "

EFKO გაუძღომლად " "

I გაუძებლად " "

GHIIV გაუწყვეტლად " "

"გაუძღებლად >გაუძღებლად//გაუძღომლად" ვარიანტები მხოლოდ და მხოლოდ გრაფიკულ ნიადაგზეა წარმოქმნილი, ბოლო, GHUV ხელნაწერთა ვარიანტი კი (" გაუწყვეტლად სულთა დგმისად"), რომელიც უკვე ნაიჩივითხვათა სრულიად სხვა კატეგორიას მიეკუთვნება, შეიძლება წამხდარი ტექსტის ("გაუძღებლად") გადამწერისეულ ემენდაციად მივიჩნიოთ.

ორი სიტყვის ერთად აღქმა გადაწერისას ზოგჯერ საოცარ ტრანსფორმაციას იწვევს:

(308)

CEFGIKMO

RU VWXY Z ვითა მზე ჯდა მორღებლებით დიდხან შექნი არ ადარნა

AB " " და " " " " "

JT " მზეა " " " " "

: 300(1116)

A და ყველა სხვა

მკვერეტელთა მზე და მებრძოლთა მხეცი და ვითა ზარია

P " " " " " "

აქ ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითები, თუ როგორ წახდა სიტყვა გადაწერისას ერთ თუ სამ—ოთხ ხელნაწერში, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხელნაწერთა რაოდენობით შეიძლებოდა ამა თუ იმ წაკითხვის მართებულება—დომილების გადაწყვეტა ( ე.ი. საკითხის ასე წარმოდგენა — ამ წაკითხვას მხარს უჭერს უმეტესი წილი ხელნაწერებისა, მაშასადამე, იგი კეშმარტია). ვეფხისტყაოსი

ხელნაწერებში მეტად ხშირია შემთხვევები, როდესაც ნამდვილ, ავტორისეულ წაკითხვას იცავს მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერი, უმრავლესობაში კი წარუ-  
ვნილია. საინტერესო შემთხვევა გვაქვს 674 (529) სტროფის მეორე ტაეპში;  
აქ სიტყვაში ერთი ასოს არასწორმა ამოკითხვამ და შეცვლამ გამოიწვია მი-  
სი შინაარსობრივი ცვლილება (რაც კონტექსტს განსხვავებულ აზრს სძენს),  
ამ შეცვლილ სიტყვას კი სხვა ხელნაწერებში სინონიმი შეენაცვლა. ეს სიტ-  
ყვაა ძალი ძილი//ლული.

674 (529)

CNY	კელა მიეცა თვალთა ძალი მის ნათლისა	ეგრევე	კერეტად
ABDFGHIJL			
MTU VWXZ	- - ძილი - - - -		
EKO	- - ლული - - - -		

როგორც ვხედავთ, აქ ვარიანტთა წარმოშობის ამგვარი გზაა: ძალი >  
ძილი (Ispas calami ან ცუდად ამოკითხული ტექსტი) > ლული (ვარი-  
ანტის სინონიმით შეცვლა).

სხვათა შორის, ამავე კატეგორიის შეცდომებს (ასოთა კერძოდ ს-ხ აღ-  
რევას) მიეკუთვნება საკმაოდ განხმარებული და რუსთველოლოგიურ მეცნიერე-  
ბაში დიდხანს სადაოდ მიჩნეული 650 (507) სტროფის მეორე ტაეპი:

CFGJL TY	ენახე ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა
ABDEHIKM	- - - - სახითა - - - -
OU VWXZ	

გამოცემებში, დაწყებული ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნიდან, დიდხანს  
იბეჭდებოდა "სახითა". ცნობილია ვახტანგისეული განმარტება ამ ტაეპისა  
და მისი დაექვებაც ამ განმარტების გამო. ამგვარად, დიდხანს საკმაოდ ქცე-  
ული ტექსტი მხოლოდ და მხოლოდ გრაფიკული ცდომილებს შედეგია.

ჟღერადობით მსგავსი სიტყვების არევის და ამის მიხედვით ტაეპის აზრის  
ახლებური "გაშინაარსიანების" ნიმუშია ეს ტაეპები:

(701)

	იტყვის რა ვუთხრა პასუხი მას სათნებლისა თნებისა
GH	" " " " " " სანთლებისა ნთებისა

(1023)

	აქა მათ ზანგთა მონათა მზე მოიყვანეს ნავეითა
JI	" " გზათა " " " "

(1456)

	ნარგისთად იძვრის ბორიო ვარდსა ზრავს იანვარია
G	" " " " " " იავარია

ამგვარი ცვლილებებით ტაეპს ახალი შინაარსი ეძლევა, თუმცა ვარიანტთა

წარმოშობის მიზეზი მეტად აშკარაა. ამგვარი ვარიანტები არაიშვიათად პოემის ბექტურ გამოცემებშიც შევიდა; მაგალითად მოვიხმობთ (970) სტროფს.

(970)

ABCWX	აქამდის ზღვარი თურქთაა	მოზღვრე ფრიდონის	ზღვებითა
DEGHJYZ	—	—	შზღვრებითა
FUV კაკ <sup>1</sup>	—	—	მოსამზღვრე ფრიდონ შზღვრებითა
I	—	—	ფრიდონ მოსამზღვრე შზღვრებითა
KO იმ 57 წ.	—	—	ფრიდონ მომზღვრეა მზღვრებითა
T	—	—	თურქთ მომზღვრე ფრიდონისაა მზღვრებითა

ვარიანტი "ზღვებითა — შზღვრებითა" ცვლის ტაეპის შინაარსს: A ტექსტით ფრიდონის სამეფოს ზღვარი ზღვავა, ეს მნიშვნელოვანი დეტალი რუსთველს ფრიდონის სიტუეტურ ფუნქციასთან აქვს დაკავშირებული (ნესტანის კიდობნის ნახვა ზღვაზე, ტარიელის და ფრიდონის შეხვედრა ზღვის პირს), და ბუნებრივია, რომ ამ სტროფშიც, როდესაც ავთანდილს ფრიდონის ამბავს ეუბნებიან, ზღვაა ნახსენები მისი სამეფოს საზღვრად. გადამწერს კი წინამავალ სიტყვათა ასოციაციით თუ ფონეტიკური მსგავსების გამო „ზღვებითა“ შეუცვლია სიტყვით „მზღვრებითა“ და ტაეპი ტავტოლოგიად იქცა („აქამდის მ ზ ღ ვ ა რ ი თურქთაა, მ ო ზ ღ ვ რ ე ფრიდონის მ ზ ღ ვ რ ე ბ ი თ ა“).

ანალოგიური მიზეზებით უნდა იყოს განპირობებული ცნობილი (903) სტროფის ძეგოთხე ტაეპის ვარიანტებიც:


ABCDMX	ბელი ცდაა გამარჯვება	ღმერთსა უნდა	მოცაგხვდების
UV	ბელის "	" "	" "
EFGHIJKOWY	" ცდა და "	" "	" "
RTZ	ბელის ცდა და "	" "	" "

ოთხივე ვარიანტი ერთმანეთისაგან განსხვავდება შინაარსით. 1966 წლამდე პოემის გამოცემებში უცვლელად იბეჭდებოდა "ბელი, ცდა და გამარჯვება"; მაგრამ A ტიპის ტექსტთან შედარებით იგი აშკარად გადანაკლებია. ამ ტაეპის მართებულ გაგებასთანა დაკავშირებული რუსთველის მსოფლმხედველობისთვის შეტად მნიშვნელოვანი საკითხი "ბელისა .რუსთველის გმირებისთვის" "ბელი" შეიძლება "უბედო" იყოს (" ბელი უბედო" (1175, 2), "უბედოსა ბელისა" (1141, 3), მაგრამ "ღმერთი კარგსა მოაველინებს" (1492, 2) და მის მოსაპოვებლად "ცდა" (შდრ. "ცდა — მცდელობა, გარჯა")<sup>6</sup> — ბრძოლა საპირო-ესაა პოემის მამოძრავებელი იდეა, აღამიანის თავისთავისადმი, თავისი ძლიერებისადმი რწმენის საფუძველი, ასეთი სრულყოფილი ლაპიდარობით გამოთქმული ავთანდილის მიერ: "ბელი ცდაა გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების"<sup>6</sup>, UV ხელნაწერებში "ბელი ცდაა" ("ბელი ცდა არის") გაგებულია როგორც "ბელის ცდა" (შდრ. გამოთქმა "ბელის ცდა"), E ტიპის ვარიანტებშიც კი "ცდაა" ორ სიტყვადაა დაშლილი — "ცდა და"; უნდა ვიფიქროთ, რომ "არს" ზმნის ნაშთი "ა" "და" კავშირად იქცა წინამავა-

ლი "ცდაა"-ს გავლენით: "ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცა-გხედების". აქ სავსებით შეცვლილია ტაეპის შინაარსი, მისი იდეა და ვარიანტი "ბედის" ფატალისტურ გააზრებას შეიცავს. (რაც სავსებით უცხოა რუსთველის მსოფლმხედველობისათვის) — "ბედი, ცდა და გამარჯვება" — ყოველივე მხოლოდ და მხოლოდ ღმერთზეა დამოკიდებული, და ადამიანის თავისუფლება, ქმედობა, აქტივობა სავსებით გამოირიცხულია.

ბუნებრივია, რომ ამგვარი "შექანიკური" გზით წარმოშობილი ვარიანტები ვადაწერის პროცესში ვადადიოდა ერთი ხელნაწერიდან მეორეში და ზოგჯერ ნუსხათა ერთგვარი გენერაციის სურათსაც კი წარმოგვიდგენენ<sup>7</sup>, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ვარიანტები ხშირ შემთხვევაში გააზრებული ვარიანტების ზღვარზე დგანან და გარკვეულ აზრს შეიცავენ, წარმოშობის თვალსაზრისით მაინც *l'opus* -ის რიგს განეკუთვნებიან და ამიტომ შემთხვევითი ხასიათის მქონენი არიან. ამ რიგის ვარიანტებზე დაყრდნობით რაიმე კლასიფიკაციური სისტემის შექმნა აუცილებლად ე.წ. "დიქტომურ" სტემებამდე მიგვიყვანდა, რადგან მსგავს დამახინჯებათა დიდი წილი შედეგია ე.წ. "შედომათა ფსიქოლოგიისა", რაც თავისთავად მეტად სტაბილურია საერთოდ ადამიანის ბუნებისათვის.

ამ ნიშნით ხელნაწერთა დაჯგუფებას არა აქვს მყარი ნიადაგი, და ეს იყო *error fundamentalis* ("ცდომილება საფუძველში"), რაც ლახმანისეული ტექსტოლოგიის ძირითადი ნაკლი შეიქმნა. ეს კანონომიერი მოვლენაა, რადგან ამ შემთხვევაში დაყოფის პრინციპია "ნამდვილის" გამორჩევა "მცდარისგან" ამიტომ რომ, არ შეიძლება იყოს "მეტად" ნამდვილი ან "ნაკლებად" ნამდვილი, რაც სწორედ ორშტოვანი სტემის შექმნას აპირობებს. ამასთან "ნამდვილი" წაკითხვის დამცველ ხელნაწერთა ჯგუფი მეტად მერყევია (ეს ჩვენს მაგალითებშიც კარგად ჩანს — მართლაც, ვინაა დაზღვეული შეცდომისაგან?), ამგვარად, "საერთო შეცდომათა" საფუძველზე ნუსხათა კლასიფიკაცია საბოლოოდ აუცილებლად დიქტომურ სტემას ქმნის. მაგალითად (მარცხენა შტო "ნამდვილი" წაკითხვა, მარჯვენა — მცდარი):



აოქმის ხელნაწერებში განსაკუთრებით ხშირია ცალკეულ სიტყვათა შეცვლა. ამგვარ ვარიაციას მთელი რიგი შინაგანი განსხვავებანი ახასიათებს და თავისი ბუნებით სხვადასხვაგვარია: სიტყვის შეცვლა უღერადობით მსგავსი სიტყვით, სინონიმით, განმარტებით, ძველისა — ახლით, გაუგებარისა — გასაგებით, ვადაწერის სუბიექტური შეხედულებით "შეუფერებელისა" — კონტექსტისთვის უფრო შესაფერით.

ტექსტოლოგიური ანალიზის დროს ვარიანტთა რაობის და შედარებითი ღირებულების დასადგენად აუცილებელია მათი წარმოშობის კონკრეტული პირობების გარკვევა. სიტყვის შეცვლას სინონიმით (რაც ხშირად სტერეოტიპის სახეს ატარებს და ზოგიერთი ხელნაწერისთვის ერთგვარ სისტემადაა ქცეული), განმარტებით, "უფრო შესაფერით" არაიშვიათად ისტორიული მოვლენებით განპირობებული საფუძველი აქვს და ტექსტის განვითარების გარკვეულ ეტაპს ასახავს, რაც თავის მხრივ კერძო გამოხატულებაა ხელნაწერის საერთო ბუნებისთვის დამახასიათებელი ტენდენციებისა.

ვარიანტთა ამ კატეგორიას მიეკუთვნება სიტყვის შეცვლა სინონიმით, რაც, შესაძლებელია, გაუცნობიერებელიც კი იყოს გადამწერისთვის. მსგავს ნაირკითხვათა შექმნა რომ ერთგვარად „მექანიკურია“ გადამწერისთვის, იქიდანაც ჩანს, რომ ხშირად ერთმანეთს ენაცვლება გარკვეული წყვეილი სიტყვებისა ( მაგ. საქმე-სიტყვა, კლდე-ტყე, კმუნვა-ნადველი, თქმა-ბრძანება, წადილი-ნდომა და სხვა), და ამგვარი შენაცვლებანი სტერეოტიპულ ვარიანტთა გარკვეულ სისტემას ქმნიან.

299 (215)

R Z ხაის თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაცოს  
" რომ " " " სიტყვა "

180 (121)

F I K R აეთანდლის მიხედა მოსმენა საქმისა სანატრელისა  
" " " " სიტყვისა "

333 (242)

F I R Z ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყვანი მისანდონია  
" " " " - - საქმენი "

991 (815)

E აწ მითხარ თუ რას იტყოდი თქვი და სიტყვა გააკვლადე  
" " " " " " საქმე "

113 (78)

F G O მინდორისა იქით წყალი დის და წყლისა პირისა კლდენია  
" " " " " " ტყენია

J

მინდვრისა პირისა " " " იქით აქათ ტყენია

248 (208)

R მოვინადირეთ მინდორი ისი ტყენი და ღრენია  
" " " " კლდენი " "

256 (180)

H J T გულსა უთხრის თუ დათმეო ამად არ ღია ბნდებოდა  
" " " " " " " " " "

F I Z

" " " " " " " " " "

R

" " " " " " " " " "

500 (370)

G I J K L O T Z ვარკვი საწოლს წაიყვანე ჩემგან არის ნახმობარი  
უთხარ " " " " "

J T  
1650 (1454)

გასრულდა ჩემი ანდერძი ჩემგან ნაწერი ხელითა  
გათავდა " " " " " " "

H J T  
239(168)

ვინცა გწოდეს ქმრად შეერთე სამეფოსა ეპატრონე  
გინდა " " " " " " "

F G H I J K  
O R T U V Z

მე შერმაღინ დამიგდია ჩემად კერძად პატრონობდეს  
" " " " " ნაცვლად "

222(155)  
FIRZ

პირველ ყმა ვარ წასვლა მინდა პატრონისა საშახურად  
მმართვებს " " " " " "

J T

" " " " " " " " " " " " " " " " " " "

ტექსტის ამ ხასიათის ცვლილებებს უნდა დავუკავშიროთ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ხელნაწერებისა, რომელც წარმოშობის თვალსაზრისით შეიძლება გაუცნობიერებელიც კი იყოს, მაგრამ თავისი შინაარსით სცილდება ელემენტარული ვარიანტის ფარგლებს და პიროვნების შეგნებაში ისტორიული ძვრებით განპირობებულ ცვლილებებზე მიგვიბრუნებს.

ამ მხრივ საყურადღებო მასალას იძლევა ზოგიერთი ისტორიულად დამოწმებული ტერმინის შესწავლა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში.

გადამწერთა ხელში პოემის ტექსტის ნებისთნე უნებლიე ცვლილებებს ისტორიული რეტუში დააჩნდა — ის ტერმინები, რომელთაც ვეფხისტყაოსნის შექმნის ეპოქაში თავისი ისტორიულად გამსაზღვრული და დაკონკრეტებული მნიშვნელობა ჰქონდათ, გადამწერებმა თავისი საუკუნის შესაბამისი ცნებებით აღიკვეს, სწორედ ამან გამოიწვია გამსაზღვრულ ტერმინთა ვარიანტული ფერისცვალება.

ამ რიგის ტერმინთაგან გამოვარჩევთ ისტორიული კატეგორიის მქონე სიტყვას — „საპატრონო“, რომელსაც პოემის ზოგიერთ ხელნაწერში ენაცვლება მომდევნო საუკუნეებისთვის ასევე კონკრეტული შინაარსის მქონე სიტყვა „საბატონო“.

ივ. ჯავახიშვილი "ვისრამიანის" გამოცემის გამო წერდა: "როგორ შეიძლება, რომ ტერმინი "საბატონო" ეხმარა XI ს საუკუნის ქართველ მწერალს, როდესაც ეხლა უკვე ცნობილია, რომ ბატონი და საბატონო ქართლში მხოლოდ XVI საუკუნიდან გვეხვრდება, ვიცი, რომ XI V და XVI საუკუნეებშიც პატრონი და ბატრონი იყო, ხოლო XI—XII და XI V საუკუნეებში პატრონი და საპატრონი ეწოდებოდა". ასეთივე დასკვნას აკეთებს კ. კეკელიძე: "ცხადია, კლასიკურსა და მის მომდევნო ხანაში ასეთ ტერმინს ადგილი ვერ ექნებოდა. ამ ეპოქაში მოსალოდნელია არა "საბატონო", არამედ "საპატრონო". 10

ვეფხისტყაოსნის ლექსიკაში გვხვდება პატრონი, პატრონება—პატრონობა, საპატრონო. გადავხედოთ ხელნაწერებს—რამდენად იცავენ ისინი ისტორიული ტერმინის ზუსტ ხმარებას.

ტერმინი "საპატრონო" ვეფხისტყაოსანში ორჯერ გვხვდება: (319) და (641) სტროფებში: (319)–ე სტროფის მეორე ტაქში – "ს ა პ ა ტ რ ო ნ ო ლ შ რ დ ი დ ე ს ს რ უ ლ თ ა ლ ა შ ქ ა რ თ ა და ქ ე ე ყ ნ ა თ ა დ" – ამ სიტყვას ვარიანტი არა აქვს, იგი ყველა ხელნაწერში ისტორიულად დადასტურებული ფორმითაა წარმოდგენილი. მეორე შემთხვევაში კი რიგ ნუსხათა ნაირკითხვა ანაქრონიზმის დაღს ატარებს.

(641)

DFIJKORTZ ფ რ ღ ო ნ ს ა ჯ ლ ო მ ნ ი დ ა მ ი დ გ ნ ა ა დ გ ი ლ ს ა სა პ ა ტ რ ო ნ ო ს ა  
A B C E G H L N Y " " " " " " სა ბ ა ტ ო ნ ო ს ა  
"საპატრონო" გადამწერთა მიერ გააზრებულია, როგორც მათი დროისა-  
თვის მის სანაცვლოდ მიღებული და დამკვიდრებული სიტყვა "საბატონო".  
ასეთივე ვითარებაა "პატრონობასთან" დაკავშირებით.

(509)

სამეფოსა ვაპატრონოთ სახელმწიფო შეენახოთ  
BY " " " " " " ვ ა ბ ა ტ ო ნ ო თ  
(457)  
CDEGHIJK ერთი ჩემი დიდებული მომეც ზედა მაპატრონე  
LORTVWZ  
A B E M X Y " " " " " " მ ა ბ ა ტ ო ნ ე

საინტერესოა, რომ ყველაზე ადრინდელ თარიღიან E ხელნაწერში (თავა-  
ქარიშვილისეული) "გათანამედროვებული" ტერმინია ვარიანტად.

ის ვითარება, რომ პოემაში მრავალჯერ ნახმარ ისტორიულ ტერმინს მხო-  
ლოდ რამდენჯერმე შეენაცვლა ანაქრონიზტული ვარიანტი, ორ გარემოებაზე  
მიგვითითებს: პირველ ყოვლისა, ეს მოწმობს, გადამწერთა ერთგულებას დედნი-  
სადმი, მეორე მხრივ კი გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში სიტყვის შეცე-  
ლა გაუაზრებლად ხდებოდა: ტექსტისა და ვარიანტთა საერთო სურათის მიხე-  
დვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავისი დროის ტერმინოლოგიას შეჩვეული  
გადამწერისათვის პატრონი – ბატონი ერთგვარი სინონიმური წყვილია (როგორც  
ზემოთ ნაჩვენები სტერეოტიპული ვარიანტები) და თავისდაუნებურად დედნის  
სწორ წაკითხვას ცვლის მისი თანამედროვე ისტორიული გარემოს კარნახით  
"პატრონის" სინონიმად მიჩნეული "ბატონით".

თავისთავად "პატრონი" – ს მნიშვნელობა რომ გადამწერთ სავსებით სწორად  
ესმით, მოწმობს რიგი ვარიანტებისა, სადაც სრულიად განსხვავებულ ხელნაწე-  
რებში "ხელმწიფე" "პატრონითაა" შეცვლილი:

(143)

თინათინის ხელმწიფობა მტერთა თქვენთა გულსა ვჰგმირო  
E " " პ ა ტ რ ო ნ ო ბ ა " " " " " "  
(1065)  
მელიქ სურხავი ხელმწიფობს სრული სეითა და დავლითა  
" " " " " " პ ა ტ რ ო ნ ო ბ ს ს ა ვ ს ე " " " "  
KOZ  
(1192)  
AFCHILRZ დამტარა თქვენი ხელმწიფე ჩემსა თუ ჰლამის სძლობასა  
BCDEJKMOTVWXY " " " " " " პ ა ტ რ ო ნ ი " " " "

“პატრონი-ხელმწიფე” სიტყვათა შენაცვლების ანალოგიას გადამწერნი თვით ვეფხისტყაოსანში პოულობდნენ:

- (1188): ადგა თვით დიდი ხ ე ლ მ წ ი ფ ე , პ ა ტ რ ო ნ ი ს რისა ს რულისა  
 (400): ვინ არის თქვენი ხ ე ლ მ წ ი ფ ე ? ჩვენ ზედა რა პ ტ რ ო ნ ი ა ?  
 (15-მ): მას დღე ავთანდილ პ ა ტ რ ო ნ ა დ ზის და ხ ე ლ მ წ ი ფ ე ზენია<sup>11</sup>  
 ასევე “პატრონის” სინონიმადაა მიჩნეული სიტყვა: “მეფე”:  
 (71)

	ვერცა	ჰპატრონობს	სიკვდილი	ვერცა	პატრონი	რომელი
D F H R T U V	“	“	“	“	მეფეა	“
I Z <sup>12</sup>	“	“	“	“	მეფია	“
E	“	“	“	“	მეფეთა	“

ამგვარად, ხელნაწერებში ვხვდებით ერთმანეთის სინონიმად მიჩნეული სიტყვების მთელ წყებას: პატრონი-ბატონი-ხელმწიფე-მეფე. ამათგან “ბატონი” (“საბატონო”) აშკარა ანაქრონიზშია, ხოლო თვით ამ წყებაში შემავალ სიტყვათა ერთურობით შეცვლა, როგორც ჩანს, სპონტანური და გაუცნობიერებული ხასიათისაა.

სიტყვის შეცვლის განსხვავებულ კატეგორიას წარმოადგენს გადამწერის მიერ სუბიექტურად გააზრებული კონტექსტიდან გამომდინარე გაგება სიტყვის, შინაარსისა, და ამგვარი ვარიანტი ზემოაღწერილთაგან უკვე თვისობრივად განსხვავდება- აქ უკვე გადამწერს შეაქვს თავისი “კორექტივი” კონტექსტის გაგებაში და ამგვარად მისი “რედაქტორის” როლში გვევლინება:

(156)

ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი ჰპატრონობდი ნაპირობდი

E G H I U Z

აქ, შესაძლებელია, გადამწერისეული რედაქციის სტიმული თვით ვეფხისტყაოსნის ტექსტია, პოემის ისეთ ტაეპთა ასოციაციით გამოწვეული, როგორებიცაა:  
 (143): მე წავიდე, მოვიარო, ვ ი ლ ა შ ქ რ ო და ვ ი ნ ა პ ი რ ო ;  
 (414): წა, შეები ხატაელთა, ი ლ ა შ ქ რ ე და ი ნ ა პ ი რ ე .

კონტექსტში სიტყვის ( და, მაშასადამე, აზრის) მოულოდნელ ცვლილებათა ფართო საზღვრებზე წარმოდგენის შესაქმნელად კვლავ სიტყვა “პატრონს” მივმართოთ. საინტერესო ვარიანტები გასჩენია (398) - ე სტროფს, რომელშიც ტარიელი ინდოეთის მოხარაჯე რამაზ მეფეს „პატრონს“ უწოდებს:

(398)

A B C D E H I K L

M O U V W X Z

N

Y

G J T

F

ჩვენნო ძმანნო და პატრონნო თქვენგან არ გავიმწარებით  
 “ მამანო “ “ მონანო “  
 “ მოყუასნო “ გავიწირებით  
 “ იმედნო “ გავიწილებით

თამარის მატიანეში “პატრონი” უზენაესი ხელისუფალი და “მპყრობელია” აკად. ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, მაგალითად: “პირველად მიერთო გუზან, პატრონი კლარჯეთისა და შავშეთისა, რომელი ძველთა მეფეთა და ტაოელთა დიდებულ-



თა ადგილსა ზედა შეეწყალა პატრონსა“<sup>13</sup> და მოჰყვეს დიდებულნი ბრძანება-სა პატრონისასა, და წინაშე მოსულთა დავერდომით თაყუანის-სცეს“<sup>14</sup> გადამწერებს, ჩანს, უცნაურად მოსჩვენებიათ ხატაელთადმი ტარიელის მიმართვა — „პატრონო“, უაღრესად დამახასიათებელი ესეტი ტარიელის დიპლომატიური „წიგნისა“, ამიტომაც ცდილან ტაეპის ინტერპრეტაციას და ემენდაციას საკუთარი შეხედულებისამებრ: „მამანო“, „მონანო“, „მოყვასნო“, „იმედნო“.

ერთი რამ ცხადია — ოთხივე ვარიანტის ავტორთ ხელთ ჰქონდათ დედანი, სადაც ხატაელნი „პატრონად“ იყვნენ მოხსენიებულნი — ვარიანტები უპირისპირდებიან არა ერთმანეთს, არამედ ერთ საერთო ოპოზიციას, რომლის ტექსტიდან განდევნას სხვადასხვა ხერხით ცდილობენ. N ხელნაწერის ნაირკითხვა განპირობებულია ტაეპის დასაწყისით: — „ჩვენნო ძმანო“; გადამწერს, ჩანს, ლოგიკურად მიუჩნევია „ძმასთან“ დაეკავშირებინა „მამანო“ (მაგრამ „ნათესაურ გრძნობათა“ ამ ჰიპერტროფიას დასახული მიზნის საპირისპიროდ მეტად საეჭვო შედეგი მოჰყვა: ზოგად პლანში განხილვისას ხატაელნი, „პატრონნი“ იქნებიან თუ „მამანი“, ინდოელთა მიმართ ერთსა და იმავე აღმატებულ რანგში მოჩანან); Y-ის „მონანო“ მეტად არადიპლომატიურია ტარიელის დიპლომატიურ წერილში, ხოლო F და GJT ნუსხათა დარღვეული და გადანაკეთები რითმები თავად მეტყველებენ ამ ტაეპის გამიზნულ ემენდაციაზე; ბებურიშვილისეულ (F) ხელნაწერში „პატრონო“ — ს „იმედით“ შეცვლამ, ჩანს, გამოიწვია სარიტმო სიტყვის შესაბამისი შეცვლა: „გავიმწარებით — გავიწბილებით“ გავრცელებული იდიომის „იმედის გაწბილების“ ანალოგიით.

გადამწერის ჩარევა ტექსტში იმაშიც გამოიხატება, რომ იგი ცდილობს ჩაწედეს ტაეპის აზრს, და თუ მისთვის ცხადი არაა, შეძლებისამებრ „გააშინაარსიანოს“ იგი. ხშირად ამგვარი „რედაქცია“ სიტყვის თარგმანებასთანაა დაკავშირებული:

(596)

	გამიცდა, ღმერთსა ჰკადრა შენ ასეთნი ხენი ვით ჰხენ
GJT	შემომხედნა „ „ „ „ „ „ „ „
R <sup>1</sup>	დამინახა „ „ „ „ „ „ „ „

ილია აბულაძე „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ განმარტავს: „განცდა — დანახვა, შეხედვა, უკერა“. როგორც ვხედავთ, ხელნაწერებში წარმოდგენილი ორივე ვარიანტი („შემომხედა“, „დამინახა“) აბსოლუტური ლექსიკური შესატყვისებია სიტყვისა „გამიცდა“.

(1563)

	რაჲა გიჯობდეთ იქმოდეთ გასკერეტდით გაიციდიდითა
G	„ „ „ „ „ „ „ „
(B15)	„ „ „ „ „ „ „ „

	მართლად უთქვამს მეცნიერსა წყენააო ჰირთა ბადე
GH	„ „ „ „ „ „ „ „
JT	„ „ „ „ „ „ „ „

ვარიანტი „მართლად უთქვამს მოციქულთა“ ანალოგია უნდა იყოს (1045)

სტროფის ბოლო ტაეპისა: "მართლად იტყვის მოციქული: შიში შეიქმს სიყვარულსა" <sup>15</sup>, რედაქტირებულ—მზეხათუნისეული ხელნაწერების გადამწერი კი განსწავლულობას იჩენს: "მოაბადი" სპარსულად ნიშნავს "მეცნიერს" და ხშირად გვხვდება "ვისრამიანში".

სიტყვა "მბრძოლი" — "მებრძოლი" ეფხვისტყაოსანში მხოლოდ და მხოლოდ "მოწინააღმდეგეს" ნიშნავს: "ვინცა გებრძვის, ხრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა დააცეთების" (1035), მაგრამ ხელნაწერებში ჩანს მიდრეკილება ამ სიტყვის მნიშვნელობის დაკონკრეტებისადმი; გადამწერი ცდილობენ ხაზი გაუსვან, რომ "მბრძოლი" აუცილებლად "მტერია (და არა, ვთქვათ, სიტყვის შემდეგდროინდელი მნიშვნელობის შესაბამისად — ტარიელის სპის წევრი, ტარიელის მომხრე "მებრძოლი"). ამგვარი ინტერპრეტაციის ნიმუშად განსხვავებული ხელნაწერების დასახელება შეიძლება:

(1425)

G	" " " "	მონახეს და არ აცოცხლეს რაცა მბრძოლი დაჭომოდა მტერი "
---	---------	--

(1424)

J T	" " " "	თავნი მათნი გაალომნეს მათი მბრძოლი იშველ—ითხეს მტერნი ყოვლნი "
R	" " " "	მათნი მტერნი "

სადაც ტაეპის ზომა ამგვარ ვარიაციას ("მტერი") ვერ იგუებს, იქ გადამწერი ნი სხვა გამოსავალს პოულობენ:

(455)

DHU V	" " " "	სისხლთა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შევალებინე მძებნელთა " " "
GW	" " " "	სისხლის მძებნელთა " " "

ასეთი ვარიანტები იმ გარემოებამ განაპირობა, რომ "მბრძოლი" — გაგებამ თანდათანობით თავდაპირველი მნიშვნელობის საპირისპირო შინაარსი შეიძინა; პოემის ამ ნუსხათა გადამწერის დროისათვის ერთ სიტყვაში უკვე იყო გარკვეული შესაძლებლობა ორგვარი გააზრებისა: მბრძოლი—მოწინააღმდეგე და მბრძოლი—მომხრე. ასეთი გაგების ნიმუშს წარმოადგენს E ხელნაწერში "მბრძოლი" სიტყვის სხვა ბრუნვაში ჩასმით მთელი ტაეპის შინაარსის შეცვლა:

(458)

E	" " " "	ნეტარძი გვაქვსო მებრძოლნი მით ჩვენნი ვაგლახ არიან მებრძოლთა " " "
---	---------	---

ძირითადი ტექსტის შინაარსი საესებით ნათელია: "ჩვენ ნეტარძი გვაქვს (ე.ი. ვმზიარულობთ), რადგან ჩვენნი მებრძოლნი (ე.ი. მტრები) ვაგლახად არიან". E— ინტერპრეტაციით კი ფრაზა დაუმთავრებელი და ამდენად უაზრო რჩება:

ჩვენ, მებრძოლთ, ნეტარძი გვაქვს, რადგან "მით ჩვენნი (?) ვაგლახ არიან", მაგრამ ვის მიემართება ეს ფრაზა, აღარ ჩანს, რადგან აღარაა ქვემდებარე მეორე წინადადებისა — ასე დაარღვია სინტაგმა "რედაქტორის" კალამმა.

გაუგებარი სიტყვის — და ამის გამო გაუგებარი ტაეპის — ინტერპრეტაციის საინტერესო ნიმუშია 965 (793) სტროფი; ავთანდილი თავის ცნობილ ანდერძში

მიმართავს როსტევიანს:

რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების,  
 მზისა შუქთა ვერ-მკვრეტელი ია ხმების, ვარდი ქნების,  
 თვალთა ტურფა საქვრეტელი ყველა რამე ეშვინების,  
 მე ვით გავძლო უმისობა, ან სიციოცხლე ვით მეთნების.

აქ ჩვენ მესამე ტაეპი.გვაინტერესებს, რომელსაც სარიითმო სიტყვის გაგე-  
 ბასთან დაკავშირებით საყურადღებო და დამაფიქრებელი ვარიანტები აქვს:

ABC D M W X	თვალთა ტურფა საქვრეტელი ყველა რამე ეშვინების
E	“ “ სანახავი უცხოლ “ ეშვინების
G H R Y	“ “ “ “ “ დაშვინების
J K O T	“ “ “ უცხოლ “ ეშვენების
F I U V Z	“ “ “ უცხოლ რასმე იამების

ოთხი ვარიანტი, რომელიც სხვადასხვა ხელნაწერებში გასჩენია სიტყვის  
 “ეშვინების”, ცხადად გვიჩვენებს, რამდენად გაუგებარი ყოფილა იგი გადამ-  
 წერთათვის. ეს იშვიათი სიტყვა .ვეფხისტყაოსანში მხოლოდ ერთხელ – ამ ტაეპ-  
 ში – გვხვდება და ლექსიკონებში არაა შესული; გამონაკლისია სტეფანე მენთე-  
 შაშვილის “ქიზიყური ლექსიკონი”, სადაც იგი.შეტანილია, როგორც იმ კუთხის  
 მეტყველებისთვის დამახასიათებელი დიალექტიკური ერთეული. “შედენა – მოთ-  
 მენა, ატანა, შეთვისება” – განმარტავს ლექსიკონის ავტორი. სიტყვის ამ მნი-  
 შვნელობათგან მესამე (“შეთვისება”) საესებით ეთანხმება კონტექსტს. “შვდე-  
 ნის” ამგვარი.გაგებით A ტიპის ტექსტი ასე.განიმარტება: “თვალებს “ტურფა სა-  
 კვრეტელი ყველა რამე ე თ ვ ი ს ე ბ ა (“ემახლობება”)”<sup>16</sup>

ტექსტის ამგვარი.გააზრებით.გამოდის, რომ თვალებს “ტურფა” სანახავი  
 “ყველა რამე” – ე.ი. ყოველივე, ყველაფერი – “ეშვინების”. არსებითად იგი-  
 ვე აზრია ვარიანტულ წაკითხვებში: თვალებს ტურფა სანახავი “უცხოლ რამე  
 ეშვინების” (E), “უცხოლ რამე ეშვენების” (J K O T), და “უცხოლ რასმე იამე-  
 ბის” (F I U V Z). მაგრამ ამგვარი ინტერპრეტაცია არის თუ არა შინაგან ლოგი-  
 კურ კავშირში იმ შინაარსობრივ.გარემოცვასთან, რომელშიც ეს ტაეპია?

“მზისა შუქთა ვერ-მკვრეტელი ია ხმების, ვარდი ქნების” – აქ აზრი ნათე-  
 ლია: ია და ვარდი იღუპება, თუ ვერ უკვრეტენ არა განურჩევლად “ყველაფერს”,  
 არამედ ერთადერთს – “მზის შუქს”; ასევე ბოლო ტაეპშიც – “მე ვით გავძლო  
 უმისობა, ან სიციოცხლე ვით მეთნების?” ავთანდილი ვერ ვასძლებს არა “ყველას”  
 გარეშე, არამედ “უმისოდ” – უტარიელოდ. მაშასადამე, ორივე შემთხვევაში  
 კონკრეტული, განსაზღვრული გარემოებებია მითითებულნი: მ ზ ი ს ა შ უ ქ თ ა  
 გ ა რ ე . შ ე , ტ ა რ ი ე ლ ი ს გ ა რ ე შ ე . თუ ამგვარ გააზრებას მივყვებით, მა-  
 შინ ჩვენი საკლავი ტაეპის შინაარსი ასეთი უნდა იყოს: “თვალთა ტურფა საქ-  
 ვრეტელი ყველას”<sup>17</sup>რამე ეშვინების” (ე.ი. ყოველ სულდგმულს მის თვალთათვის  
 საამო სანახავი რაღაც ასულდგმულებს); აქაა არა განურჩევლობა, არამედ არსე-  
 ბობისთვის აუცილებელი (“ხმების”, “ქნების”, “სიციოცხლე ვით მეთნების”) არჩე-  
 ვითობა.

ამგვარად, „ეშვინების” რომ lectio difficilior არის სხვა ვარიანტებთან  
 შედარებით, საესებით: ცხადია: E ხელნაწერის „ეშვინების” კალმისმიერი ცდო-

მიღებაა, "დამშვენების" — ძირითადი წაკითხვის ინტერპრეტაცია უღერადობით მიმსგავსებული და შინაარსით გასაგები სიტყვით, მაგრამ რითმა დარღვეულია; J K O T —ს "ეშვენების" — კონიექტურაა, ამასთან კონიექტურა მეტად მაღალი ღირსებისა, რადგან შენარჩუნებულია რითმა და პოემის გამოცემათა უმეტესი წილი სწორედ ამ წაკითხვას ანიჭებს უპირატესობას (კეშმარიტად სამართლიანია ცნობილი ტექსტოლოგის — ბირტის სიტყვები: "კონიექტურა ხელოვნებაა, და როგორც ყოველგვარი ხელოვნება, ისიც დამოკიდებულია ნიჭზე . . ."); F I U V Z — ის "იამების", რომელიც საესებით არღვევს რითმას, უკვე ტაების შინაარსის "თარგმანებაა", ე.ი. "ეშვდინების" რედაქტორის აზრით არის "იამების", რაც, სხვათაშორის, მეტად ზუსტად გადმოსცემს სტ. მენთეშაშვილის ლექსიკონში განმარტებული სიტყვის შინაარსს.

ამგვარად, გვაქვს ვარიანტულ ცვლილებათა რიგი: ეშვდინების ABCD M X // ეშვინდების E // დაშვენების // G H R Y // ეშვენების J K O T > იამების F I U V Z. ყოველი შემდგომი ნაირკითხვისათვის ამოსავალია "ეშვდინების", ამ რიგის დარღვევა შეუძლებელია, როგორც წარმოუდგენელია "მართვი" წაკითხვიდან "რთული" წაკითხვის მიღება.

ჩანს, კიზიყურ დიალექტში შემონახული "ეშვდინების" საერთოდ ქართული ენის კუთვნილება იყოს ოდესღაც, და შემდგომში მივიწყებული, ერთმა დიალექტმა შემოინახა. აკად. შ. ძიძიგური გამოკვლევაში "რუსთაველის ენის საკითხები" წერს: "როგორ შეძლო პოეტმა თავის თხზულებაში სინთეზურად წარმოეჩინა ქართული ხალხური მეტყველების დიფერენცირებული ერთეულები? — ამის გასაღებს იძლევა სამხრეთ-საქართველოს დიალექტიკური წრე — მესხური მეტყველება, რომელიც სტრუქტურულად აერთიანებს ჩვენი ენის შინაგან განშტოებებს"<sup>18</sup>. ყველა ვარიანტი სიტყვისა "ეშვდინების" მიგვანიშნებს, რომ მის ინტერპრეტატორებს დედანში სწორედ ეს სიტყვა შეხვდათ, ჩანს ისიც, რომ მათ ინტუიტურად სწორედ ესმოდათ ამ სიტყვის შინაარსი და სცადეს მისი გაგება, განმარტება, "თარგმანება". ზემოთ მოყვანილი და უამრავი სხვა მაგალითის მიხედვით შეიძლება ვთქვათ, რომ ეფეხისტყაოსნის პირველი "ლექსიკოლოგები" თვით მისი გადამწერნი არიან.

ტექსტის გადამწერისეული "რედაქციის" თვალსაზრისით საინტერესოა ეფეხისტყაოსნის ასეთი ტაეპი:

"მისნი ვერ გასძლნეს პატიჟნი ვერ ყაენ ვერცა სალამან"

1529(1340)

ეს ტარიელის მიმართაა ნათქვამი, და ტაეპის გაგებამ რუსთაველოლოგიურ მეცნიერებაში საინტერესო აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია, მით უმეტეს, რომ აქ ნახსენებ სახელთა მართებულ ინტერპრეტაციაზე გარკვეულად დამოკიდებულია რუსთაველის შემოქმედებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საკითხი. როგორც კეკელიძემ დაასაბუთა<sup>19</sup>, ამ სტროფში რუსთაველის მიერ მოხსენიებულია ნიზამი განჯელის პოემის "ლეილისა და მეჯნუნის" გმირები — ლეილის მიჯნური კაენი-ყაენი-ყაისი-მეჯნუნი და ლეილის ქმარი-სალა. გადამწერნი თავის დროზე დაუფიქრებია ამ ტაეპს, თავისებურად გაუაზრებიათ იგი და სხვადასხვა

განმარტება მიუტიათ:

(1340)

	მისნი ვერ გასძლნეს პატეჩნი ვერ ყაენ ვერცა საღამან
D F I O T V W Y Z	“ “ - 20 “ კაენ “ “
EL	“ “ - “ “ რამინ “ “
P	“ “ - ხსენება “ კლდმა “ “

იმ ხელნაწერებში, სადაც “ყაენი” შეცვლილია “კაენით”, გაუგებარი რჩება, ვის გულისხმობენ რედაქტორები – მეჯნუნს (ყაენ – კაენს), თუ ბიბლიურ ძმისმკვლელ კაენს (რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში იყო ასეთი ინტერპრეტაცია), EL ხელნაწერებში ნახსენები “რამინი” კი გვამცნობს, რომ მის ავტორს სკოდნია საქართველოში ფართოდ გავრცელებული რომანი “ვისრამიანი” – სხვათა შორის, ამგვარი ვარიანტის საფუძველს იგი შეიძლება თვით პოემის ტექსტში ხედავდა<sup>21</sup>, ბოლო ვარიანტი კი საოცარი კურიოზია – ჩანს, გადამწერისთვის “ყაენი” და “სალა” არაფრისმთქმელი იყო და ეს უკანასკნელი გაიანზრა, როგორც “სალი”, ხოლო ამის შესაბამისად მასთან დაკავშირებული სიტყვა შეცვალა “კლდით” – შესიტყვება “სალი კლდის” ასოციაციით და ანალოგიით.

ვეფხისტყაოსნის რედაქტორ–გადამწერი ხშირად ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ რუსთველმა პოემაში სიტყვა არ შეიძლება იყოს შემთხვევითი, რომ იგი გარკვეულ კონტექსტში შესაბამისი ფუნქციითაა დატვირთული. აი ერთი მაგალითი: როდესაც როშაქი, ქაჯთა მფლობელის – დულარდუხტის “მონა”, მაგრამ თვით “თავადი მონისა ბევრ–ათასისა”, შეიტყობს დედოფლის დის გარდაცვალების ამბავს, გადაწყვეტს ტირილს “არ დახედეს” და სამეკობროდ წავიდეს თავის მონების თანხლებით. “ღამესა და ბნელსა” მიმავალ ლაშქარს “დიდნი რამე სინათლენი გამოუჩნდეს შუა ველსა”, – ეს “სინათლენი” ნესტან–დარეჯანია. ლაშქარი გარს შემოადგა ამ უცნაურ მხედარს, რომელმაც

გვითხრა: “ვინ ხართ, ცხენოსანო? თქვენ სახელნი თქვენნი თქვენით, გულანშართ მოციქული ქაჯეთს მივალ, მერიდენით”.

1412 (1227)

აქ რუსთველს შემთხვევით არ აქვს ერთმანეთის გვერდით “მოციქული” და “მერიდენით”. ამ სიტყვებში ჩანს ფსიქოლოგია სამეფოდ გაზრდილი ქალისა, რომელმაც იცის, რომ მოციქული (შიკრიკი, მაცნე, ღღევანდელი გაგებით – დიპლომატიური წარმომადგენელი) ხელშეუხებელია. ამგვარად გამოიყენა პოეტმა ხასიათის შესაქმნელად ამ სიტყვის მთელი პოტენციური შესაძლებლობა: ამავე კონტექსტში “მერიდენით” “მოციქულის” გარეშე სრულიად უფუნქციო და გაუგებარი დარჩება. მაგრამ ხელნაწერთა რედაქტორი ამ გარემოებას არ უფიქრდება და ტაეპს ასე ცვლის:

J T გულანშართ მომავალი ქაჯეთს მივალ მერიდენით!<sup>22</sup>

სხვა შემთხვევაში რედაქტორს ზოგჯერ ისეთი კორექტივი შეაქვს ტექსტში, რომ უნებურად ღიმილის მომგვრელია. რუსთველის ცნობილ ტაეპს, აფორიზმად ქცეულს

სმა–ქამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულია!

ხელნაწერი J ასეთ ნოტაციას ურთავს:

სმა-ჰამა გ ა მ ო ს ე ე ნ ე ბ ი თ, დება რა საეარგული!

არც რუსთველის ლექსიკისთვის სრულიად უცნობ სიტყვათა გაჩენაა უცხო პოემის ხელნაწერებისთვის:

(541)

რა შემოვიდენ ინდოეთს შევიგნა მათი გმირობა  
J T მათ მიხედეს მესამარობა.

(41)

ვეუჩვენოთ ჩემი ძალგული და ჩემი მეომარობა  
F კანგმახვილობა.

სიტყვის მნიშვნელობის გაურკვეველობამ რომ შეიძლება დაბნეულმა გამოიწვიოს, მოწმობს სიტყვა, რომელიც ვეფხისტყაოსანში მხოლოდ ერთხელ გვხვდება და რომლის მნიშვნელობის დადგენა საკმაოდ საცილობელი შეიქმნა. ეს სიტყვა (371) — სტროფის მეორე ტაქტშია:

შარდი ვუთხარ, ნუ აღგებით, მოვალ ხანთა დაუზმელად.

ტაქტი ამ სახითაა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აბსოლუტურ უმეტესობაში, ორგან მისი ფონეტიკური სახეცვლილებაა: შარდი [შართი ], შარდნი Y ; 1 ხელნაწერში კი ვკითხვლობთ:

“ასრე ვუთხარ, ნუ ასდგებით, მოვალ ხანთა დაუზმელად”.

ჩანს, სიტყვის მნიშვნელობას დაუბნევია გადამწერი და ამგვარი განმარტება უმჯობინებია. ამ სიტყვამ შემდგომში პოემის მკვლევართა და გამომცემელთა დაქვეება გამოიწვია. თეიმურაზ ბაგრატიონი მას არაბული წარმოშობისად მიიჩნევდა, მაგრამ განმარტების მიხედვით ცხადია, რომ იგი კონტაქტის გათვალისწინებით “აშინაარსიანებდა” ამ სიტყვას<sup>23</sup> (.. “შეინახეთაგანი, ანუ თუ მასპინძელი რომ აღგეს და სტუმრობიდან გარეთ გამოვიდეს”)<sup>24</sup>; ნიკო მარს მთელი ეს სტროფი უაღბოდ მიაჩნდა, ხაზი ჰქონდა გასმული სიტყვებს: “შარდი”, “თმობა”, “აუგისა”<sup>24</sup>, მოსე ჯანაშვილის აზრით, “შარდი” შეცდომაა და ტაქტში თავდაპირველად უნდა ყოფილიყო “შადი”, რადგან “შადი თათრულეზ ნიშნავს მხიარულებას, შადობა — მხიარულებას, სიხარულს”<sup>25</sup>; იგი ამ სიტყვის ინგილო-მესხურ “შად” —საუ უკავშირდება და ასე განმარტავდა ტაქტს: “შად ქენით, ნუ აღგებით, ე.ი. იმხიარულეთ, შადობა ქენით”. სიტყვის ამგვარი გაგება იმდენად ლოგიკური ჩანდა, რომ ვეფხისტყაოსნის ყველა გამომცემაში ბროსეს, სარგის კაკაბაძის, 1966 წლის საიუბილეო გამომცემათა გარდა, “შარდი” შეცვლილია კონიექტურით “შადი”<sup>26</sup>.

“შარდი” სიტყვის სწორად გაგებისა და მისი ხმარების ტრადიციულობის დასამოწმებლად საინტერესოა ივ.ჯავახიშვილის გამოკვლევა სიგელ-გუჯართა თუ სხვა “წიგნთა” ძველი ქართული სახელწოდებების შესახებ. მათ აღმნიშვნელ საგანგებო ტერმინთა შორის ივ.ჯავახიშვილი ასახელებს „შართნამეს“: „აქა - იქ ჩვენი ქართული ტერმინების მაგიერ გამოწაკლისის სახით უცხო ენებითგან შემოხიზნული ტერმინებიც გვხვდება . . . ჩვეულებრივი ტერმინის “პირობის წიგნის” მაგიერ დარეჯან დედოფლისაგან 1796 წ. . . . მიცემულ ერთ საბუთში ნათქვამია: “ესე შართლამის წიგნი გიბოძეთ” —ო. მკვლევარის აზრით, აქ “ზეპირი გამოთქმით დამხინჯებულ სპარსულ “შარტნამაჰ” —თან გვაქვს საქმე, რაც სპარსულად

მართლაც პირობის წიგნსა ნიშნავს“ 27.

აქედან სავსებით ცხადია, რომ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა სპარსული სიტყვა—შარდი— შარტი— შართი, რაც პირობას ნიშნავს; ამის მიხედვით ცხადია, რომ პოემის ხელნაწერთა უმეტესობის მოწმობა “შარდი: ვუთხარ”, არაფერს გაუგებბარს და შეუსაბამოს არ შეიძლება და ნიშნავს: “პირობა მივეცი: ნუ ადგებით, მე მალე მოვალ” და ყოველგვარი ემენდაცია თუ კონიექტურა სრულიად ზედმეტია.

ტექსტის გააზრების ერთ—ერთი საფეხურია ტაეპის ემენდაცია— გადამწერ — რედაქტორის ცდა “ნათელი” გახადოს მისი, შინაარსი. ასეთი მიზანდასახული სწორება ტექსტისა მეტად სუბიექტურია და მეტწილად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ გადამწერს შარბთებულად არ ესმის რომელიმე სიტყვა. მაგალითისთვის მოვიხმობთ (879)—ე სტროფის მესამე ტაეპს იმ ნაირკითხვებით, რომლებიც სხვადასხვა ხელნაწერებში გვხვდება:

(879)

ABCDEG  
HIMWXY  
T  
KO Z  
J U V  
F  
R

უბოროტო .ვის ასმია რაც ა კარგი საეშმაკო  
უბოროტოდ “ “ “ “ “ “  
“ “ “ “ საქმე “  
უბოროტოდ “ “ “ “ საქმე “  
“ “ “ “ “ არის “  
ვის ასმია უბოროტო რაცა არი

ის ვითარება, რომ ხელნაწერებში სიტყვა “კარგს” ცვლის ვარიანტები, თავად მიუთითებს სხვადასხვა წაკითხვათა რეალურ მიზეზს: ჩანს, ამ სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტში გაუგებბარი და საეჭვო იყო გადამწერთათვის. ევეფხისტყაოსნის ერთ—ერთი პირველი მკვლევარი და განმმარტებელი— თეიმურაზ ბაგრატიონი საგანგებოდ განმარტავს ამ ტაეპს და მიუთითებს, რომ “კ არ გ ი ქართულში ორ სახედ განიმარტება“. პირველი მნიშვნელობა ყველასთვის გასაგებია (“კ არ გ ი კეთილს რასმე ნიშნავს”), მისი მეორე მნიშვნელობით კი “კ არ გ ი ანუ კარქი რიგს ნიშნავს“. სიტყვის სწორედ ეს მნიშვნელობაა ამ ტაეპში: “კ არ გ ი საეშმაკო— ეშმაკისა მიერ გარიგებული, ანუ რიგ მიცემული” — განმარტავს თეიმურაზ ბატონიშვილი 28

იმ გარემოების გამო, რომ პოემაში სიტყვა კ არ გ ი ყოველთვის (ამ გამოთქმის გამორიცხვით) მისი დღევანდელი მნიშვნელობითაა ნახმარი, გადამწერთათვის, ჩანს, გაუგებბარი და საეჭვო გახდა მისი დაკავშირება “საეშმაკოსთან” (“კარგი—კეთილი საეშმაკო”? ). F R ხელნაწერებში იგი განდევნა ზმნამ “არის”, J KO U V Z—ში კი შეცვალა “საქმემ”, რაც უკვე ყოველგვარ გაუგებბობას და ორაზროვნებას გამორიცხავდა 29

ამგვარად, ევეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები თავისი განზოგადებული სახით პოემის ერთგვარ “სტილისტურ” რედაქციებს ქმნიან, მაგრამ რადგან გარკვეულ პირობებში ისტორიული მოვლენებით განპირობებული საფუძველი აქვთ, სცილდებიან მხოლოდ და მხოლოდ “სტილისტური” ნაირგვარობის ფარგლებს და უფრო რთულ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ თუ სხვა სახის ცელი-

ლებებსაც ასახავენ.

ყოველი ეპოქა თავისი დროის შუქზე კითხულობდა პოემას, და არა მხოლოდ კითხულობდა, არამედ “ასწორებდა” კიდევც.

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციული “გათიშვის” ერთ-ერთი საფუძველია ვარიანტული ცვლილებანი, განპირობებული მომდევნო საუკუნეებისთვის დამახასიათებელი მორალურ-პოლიტიკური კატეგორიის მოგვლენებით.

მაგალითისთვის მივმართავთ (564) სტროფს.

A B C M X Y

იცი, ჰინდოთა სამეფო რაზომი სრა—საჯდომია,  
ერთილა მე ვარ მემკვიდრე, ყველაი თქვენ მოგხდომია  
ამოსწყდა, მათი ყველასა მამული შენ დაგრჩომია,  
დღესამდის ტახტი უჩემო არავინ არ მონდომია

გ. შენ] თქვენ C Y.

D E H L N U V W

იცი, ინდოთა სამეფო რაზომი სრა—საჯდომია,  
ერთილა მე ვარ მემკვიდრე, ყველაი თქვენ მოგხდომია,  
ამოსწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია,  
დღესადმი ტახტი უჩემოდ არავის არ მონდომია

ა. რაზომი] რასდენი L .

ბ. მოგხდომია] მოგნდომია E .

გ. თქვენ] შენ E .

F I R Z

იცი, ინდოთა სამეფო რასდენი სრა—საჯდომია,  
ამოსწყდა, მათი ყველასი მამული თქვენ დაგრჩომია,  
ერთილა მე ვარ მემკვიდრე წინაშე თქვენსა მდგომია,  
უშენოდ ტახტი აქამდის არავის არ მიხდომია.

ა. ინდოთა] ინდოეთს F R .

ბ. ყველასი] ყველაი F R .

დ. უშენოდ ტახტი აქამდის] დღესამდის  
ტახტი უთქვენოდ F, დღესამდის  
ტახტი უჩემოდ R .

K O

იცი, ინდოთა სამეფო რაზომი სრა—საჯდომია,  
ერთილა მე ვარ მემკვიდრე, ყველაი თქვენ მოგხდომია,  
ამოსწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია,  
სამართალით ტახტი უჩემოდ არავის მისახდომია.

ბ. მოგხდომია] დაგრჩომია O .

გ. დაგრჩომია] მოგხდომია O .

G J T

იცი, ინდოთა სამეფო რაზომი სრა—საჯდომია,  
ერთილა მე ვარ მემკვიდრე, თქვენის მონობის მდომია,  
ამოსწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ მოგხდომია,



სამართლად ტახტი უჩემოდ არვისად მისახლომია.

ბ. ერთილა | ერთაი J T .

გ. აველაი | ავეელი J T .

დ. სამართლად | სამართლით J .

ამ ერთი სტროფის ტექსტის ასეთი განსხვავებანი განაპირობა ცალკეულ ტა-  
ვბათა შინაარსობრივმა ცვლილებებმა, რამაც სარითმო სიტყვათა შეცვლაც გამო-  
იწვია.

(564)

AD რ ე დ ა ქ ც ი ა	F რ ე დ ა ქ ც ი ა	K რ ე დ ა ქ ც ი ა	GJ რ ე დ ა ქ ც ი ა
ა. საჯღომია	საჯღომია	საჯღომია	საჯღომია
ბ. მოგხლომია	დაგჩომია	მოგხლომია	მლომია
გ. დაგჩომია	მღგომია	დაგჩომია	მოგხლომია
დ. მონღომია	მიხლომია	მისახლომია	მისახლომია

FI R Z რედაქციის ვარიანტი “წინაშე თქვენსა მღგომია” შექმნილია (636) სტროფის მეოთხე ტაეპის ანალოგიით: “ერთი ვარ მონა მონებად წ ი ნ ა შ ე თ ქ ე ე ნ ს ა მ დ გ ო მ ე ლ ი ,” ხოლო GJT ვარიანტი „თქვენის მონობის მღმომია“ მსგავსებას აძლავნებს (378) სტროფის პირველ ტაეპთან—„შენგან ჩემისა ქრპობისა წინასცა ვიყავ მ დ ო მ ი ა“; ვეფხისტყაოსანში სარითმო ერთეულად ეს სიტყვა ამ ფორმით მხოლოდ ამ ერთადერთ შემთხვევაშია გა-  
მოყენებული .

ამ სტროფის მაგალითზე გარკვეული სიცხადით გამოჩნდა რედაქციათა ურ-  
თიერთმიმართებანი, კავშირნი და განსხვავებანი:

A და D რედაქციათა განსაკუთრებული სიახლოვე (შინაგან ნიუანსურ სხვა-  
ობათა მიღხედაეად); EHL NY ხელნაწერთა კავშირი A და D რედაქციებთან  
(სხვა შემთხვევაში ეს კავშირი ხშირად დარღვეულია);

F რედაქციის ინდივიდუალობა – ერთგვარი იმპროვიზაცია ანალოგიის პოე-  
ნიით (AD — “ერთილა მე ვარ მემკვიდრე, ყ ვ ე ლ ა ი თ ქ ე ე ნ მოგხლომია”,  
F — “ერთილა მე ვარ მემკვიდრე, წ ი ნ ა შ ე თ ქ ე ე ნ ს ა მ დ გ ო მ ი ა”).  
აგრეთვე მისი რედაქციის ნუსხათა აშკარა წარმომავლობა AD რედაქციიდან  
(მღრ. მეოთხე ტაეპის AD და FR ვარიანტები);

KO რედაქციისთვის სისტემებრ დამახასიათებელი მეტად მნიშვნელოვანი  
გააზრებული ვარიანტული ნაიკითხვანი (“დღესამდის ტახტი. . .” და “ს ა მ ა-  
რ თ ლ ი თ ტახტი”), KO და AD რედაქციათა საერთო სათავე (მღრ. D და  
KO რედაქციათა ა ბ გ ტაეპები);

KO და GJT რედაქციათა ტიპოლოგიური იდენტურობა (აქ გადამწყვეტ  
როლს ეანიკებთ KO და GJT რედაქციებში მეოთხე ტაეპის ერთ საფუძველს);  
ის ფაქტი, რომ KO რედაქცია J T -ს წინამორბედი, უფრო ზუსტად – J T  
რედაქცია KO -ს განვითარებაა;

ერთი მხრივ – AD და მეორე მხრივ – F K J რედაქციათა გამიჯენა (მღრ.  
AD — “არავის არ მ ო ნ დ ო მ ი ა” და F — “არავის არ მ ი ხ ღ ო მ ი ა”, KO —  
— “არავის მ ი ს ა ხ ღ ო მ ი ა” ; GJT . — არვისად მისახლომია”).

მაგრამ ეს საგანგებოდ ამოწერილი ვარიანტები (564) სტროფისა სხვა თვალ-

საზრისითაც შეიცავენ განსაკუთრებულ ინტერესს: KO და GJT ხელნაწერთა შედარებისას სხვებთან აშკარად გამოჩნდა მათი საყვარულო არქიტექციის რედაქტორის პოზიცია ტარიელ-ფარსადანის კონფლიქტში. შემთხვევითი არაა მეოთხე ტაბლის ასეთი კატეგორიული ტონი: "ს ა მ ა რ თ ლ ი თ ტახტი უჩემოდ არეისად მისახლომია". ეს თამამი განცხადება არაა უბრალო ჩარევა გადამწერისა, იგი გააზრებული შეხედულებაა პიროვნებისა, მისი იმპულსი სამართლიანობის დაცვისა. ჩანს, ტარიელის სუვერენულ უფლებათა დარღვევის და ზეარაზმელი სასიძოს მოყვანის ეპიზოდმა დაათქვამა ან ვარიანტის ავტორი და ამ ერთი სიტყვის ჩართვით საკუთარი პოზიცია გაამჟღავნა — "სამართლით" ტახტი ტარიელს ეკუთვნის. ესაა საუკუნეთა და თაობათა განაჩენი ფარსადანის მიუღებელი პოლიტიკის გამო, პიროვნების რწმენა, რომ სამეფო კაცი თვით სამეფოშივე უნდა იქნას მოქმედილი — ასე აღიქვეს მომდევნო საუკუნეებში ტარიელის ტახტის მემკვიდრეობის უფლების საკითხი.

რაც უფრო ღრმად ვუკვირდებით ხელნაწერებს და ნაირკითხვათა ურთიერთშეჯერებით ვცდილობთ ცვლილების მიზეზთა ახსნას, მით უფრო გარკვეული ხდება გადამწერის ინდივიდუალური ხელწერა, მისი მამოძრავებელი სტიმული და მიზანი ტექსტიდან გადახვევისა; იგი თანდათან გამოიკვეთება, როგორც პიროვნება.

თუ ვეფხისტყაოსნის დაწერის (დროისთვის, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, საქართველოში ქალის გამეფებამ მეტად საკონფლიქტო სიტუაცია შექმნა შემდგომ საუკუნეებში თამარის მეფობის პერიოდი სამართლიანად აღიქმებოდა ფეოდალური საქართველოს "ოქროს ხანად"; ქალის გამეფების ბრწყინვალედ დაგვირგვინებულმა პრეცედენტმა სავსებით მოხსნა ყოველგვარი ეპიკამგვარი გადაწყვეტილების სამართლიანობაში.

ვეფხისტყაოსნის ჩვენთვის უცნობად დარჩენილი გადამწერ-რედაქტორის ამგვარი პოზიციის თანამიმდევრულ ობა განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა JT<sup>31</sup> რედაქციაში, სტროფში, რომლის მეოთხე ტაბი ერთერთი ყველაზე გაფრცელებული აფორიზმია:

თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია,  
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია,  
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია,  
ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ზვადია.

40(39)

J T რედაქციით სტროფი სახეცვლილია:

ვაზირთა ჰკადრეს: მეფეო, ჩვენ ესე დაგვიქაღია,  
რ ა დ გ ა ნ ქ ა ლ ი ა ს ა მ ე ფ ო დ ღ ვ თ ი ს ა გ ა ნ დ ა ნ ა  
ბ ა დ ი ა,  
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია,  
ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ზვადია.

რაც არ უნდა იყოს მიზეზი ამ ვარიანტისა — ტექსტის რედაქცია თუ რესტავრაცია — ერთი ცხადია: აქ გამოჩნდა ამ ვარიანტის ავტორის მრწამსი. თუმცა მთელი სტროფი წარმოადგენს იმპროვიზაციას რუსთაველის ტექსტის ანალო-

გით, მათ შორის დიდი განსხვავებაა. ერთის მხრივ ნათქვამია: “თ უ ც ა ქ ა-  
ლია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია”, და ჩვენთვის სავსებით ცხადია  
შინაგანი მოტივაცია “თუცა”—თი დაწყებული ტაეპისა — აქ ვაზირებს (და მათ-  
თან ერთად რუსთველს) მტკიცება სპირდებთ ქალის გამეფების უფლებისა; მეო-  
რე მხრივ კი რუსთველის იდეებზე აღზრდილი პიროვნებისთვის ყოველგვარი პრო-  
ბლემა ქალის გამეფების უფლების დასაბუთებისა მოხსნილია, და სწორედ ამი-  
ტომ მისი ვარიანტი უკვე სავსებით კატეგორიულია: “რ ა ღ ა ნ ქ ა ლ ი ა  
ს ა მ ე ფ ო დ ღ მ რ თ ი ს ა გ ა ნ დ ა ნ ა ბ ა დ ი ა”.

სწორედ ამ ისტორიულად გამომუშავებული შეხედულებითაა პირობადებუ-  
ლი G J T Y ხელნაწერებში გაჩენილი საყურადღებო ვარიანტი (565) სტროფის  
მესამე ტაეპისა, — იგი არაა ზერელე ან შემთხვევითი ემენდაცია ტექსტისა, მი-  
სი შინაგანი კავშირი ზემოთ განხილულ (564) და (39) სტროფების მიზანდასა-  
ხულ რედაქციასთან სავსებით ცხადია:

(565)

ვერ გათნევე, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ—მართალია,  
ღმერთმან არ მოგცა ყმა შეილი, გიზის ერთი ქალია,  
ხვარაზმშა დასვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალაა?  
სხვა შეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?

G J T Y ხელნაწერთა ვარიანტი ცვლის ამ სტროფის შინაარსს, იგი ნესტანის  
გამეფებას მოითხოვს:

(565)<sup>32</sup>

ვერ გათნევე, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ მართალია,  
ღმერთმან არ მოგცა ყმა შეილი, გიზის ერთი ქალია,  
ა წ ი გ ი დ ა ს ვ ი ხ ე ლ მ წ ი ფ ე დ , ს ხ ვ ა ვ ი ნ ღ ა შ ე გ ო  
თ ვ ა ლ ი ა ?

სხვა შეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?

(564) სტროფის G J T ვარიანტი “ს ა მ ა რ თ ლ ი თ ტახტი უჩემოდ არვი-  
სად მისახლოვია” პიდაპირ შინაარსობრივ კავშირშია ამავე ხელნაწერთა (565)  
სტროფის ვარიანტთან: “ს ხ ვ ა ვ ი ნ ღ ა ი ო გ ი ყ ვ ა ნ ი ა ?” ესაა ჩამოყალიბებული აზ-  
რი რედაქტორისა, იგი მთელი არსებით ეწინააღმდეგება ფარსადანს, რომელმაც  
უცხო უფლისწული უნდა გაამეფოს ინდოეთში.

ამგვარად, G J T ხელნაწერთა თითქოს მოულოდნელ და უცნაურ ვარიანტებ-  
ში გარკვეული მრწამსის მთელი ურთიერთგანპირობებული სისტემაა:

(39): “რათგან ქ ა ლ ი ა ხელმწიფედ ღვთისაგან დანაბადია”,

(564): “ს ა მ ა რ თ ლ ი თ ტახტი უჩემოდ არავისად მისახლოვია”,

(565): “ა წ ი გ ი დ ა ს ვ ი ხ ე ლ მ წ ი ფ ე დ , ს ხ ვ ა ვ ი ნ ღ ა  
მ ო გ ი ყ ვ ა ნ ი ა ”,

ამ ნაირკითხვებს აერთიანებს საერთო აზრი, ერთი პიროვნების ხელწერა,  
მისი პოზიცია ვეტხისტყაოსნის სიუჟეტის ერთ-ერთი ურთულესი ეპიზოდის გა-  
აზრებაში.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ვარიანტთა განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენს  
ტაეპთა და სტროფთა ის ნაირკითხვანი, რომელთა წარმოშობა გააზრებული  
ცვლილებების არცერთ კატეგორიაში არ თავსდება:

(402)

G შორით და ახლოთ ყველაი მართ ჩემკე მონასხრპანია  
 J ცხენისა ფერხთა ერქარათ " ჩვენკენ მონასხრპანია  
 T ცხენისა ფერხთა ერქარათ მოჰქონდა ხმა სხარპანია  
 ცხენისა ფერხსა ერქარად მოჰქონდა ხმა სხარპანია <sup>33</sup>

(109 2)

მივჰყვე, მიაბზობს ყველასა, რაზომცა ცეცხლი მწვავს ალთა,  
 ნუთუ რა მარგოს, მე მისი გარდახდა ჩემგან ვენა ვალთა  
 J K O T მივჰყვე მიაბზობს ყველასა გამაველ შემომავალთა  
 პირველვე ვათქმევ პირითა თავისა გარდასავალთა <sup>34</sup>

(10 47)

ჰკადრა ხობტა ჰებად მისდა სასახავნი დიდნი სახნა  
 H ჰკადრეს ხობტო ჰება " სახე დიდნი დაუსახნა  
 G ჰკადრეს ხობტო ჰება " სახე დიდი დაუსახნა  
 K O " ხობტო ჰება სრული სახე დიდნი დაუსახნა  
 J ჰკადრეს ჰება მაგრამ მისი საფერიცა ვინ შესახნა  
 T ჰკადრეს ჰება მაგრამ მისი საფერიცა ვინ შეახმნა

ამგვარ ვარიანტთა შესახებ ძნელია თქმა, რომ ისინი ემენდაციის მიზნით იყოს შესრულებული: თავი რომ დავანებოთ მათ საექვო მხატვრულ ღირებულებას, აზრითაც მეტად მდარენი არიან. მაგრამ თავად ფაქტი, რომ GH, KO და JT ხელნაწერებში ერთი და იგივე ტაეპის ვარიანტებია, მათ უეჭველ გენეტიკურ კავშირს მოწმობს, ამასთან GHKO ვარიანტის საერთო საწყისი ცხადია.

(146 1)

მოიჯრებოდეს ჯალაბნი სარანგთა დამსაჯარია  
 L რბოდეს მკვერეტელნი ჟოველგნი არ მათი ნახვა მწარია

(10 39)

უგანგებოდ ვერას მიზმენ, შეცამებნენ ხმელთა სპანი,  
 განგებაა, არ დაფრჩები, მახვილნია ჩემთვის მზანი,  
 ვერ დამხსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი,  
 ვინცა იცის ესე ასრე, ჩემებრვეა გულოვანი.  
 J T უგანგებოდ ვერას მიზმენ შეცამებნან ხმელთა სპანი,  
 განგებაა ცოტაც მ ა მ კ ლ ა ვ ს ც უ დ ი ა ო ს ი ტ ყ ვ ი ს  
 თ ქ მ ა ნ ი,  
 ე ე რ დ ა მ ხ ს ნ ი ა ნ მ ე ფ ე ნ ი დ ა <sup>35</sup> ე ე რ ც ს ი მ ა გ -  
 რ ე კ ლ დ ე კ ა პ ა ნ ი,  
 ვინცა ესე ასრე იცის ჩემებრ არის გულოვანი.

არაა შემთხვევითი, რომ ეს მაგალითები GH, KO და უმთავრესად JT ხელნაწერებიდანაა აღებული - ეს მხოლოდ ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვაა: სწორედ ამ ხელნაწერებშია სისტემატ ქცეული ამგვარი გადაკეთება პოემის ტექსტისა.

ვეფხისტყაოსნის ყველაზე ცნობილი და პოპულარული სტროფებიც ვერ ასცდნენ ასეთ ხედრს JT ხელნაწერებში - ავთანდილის ანდერძის ერთ-ერთ უბრწყინვალეს სტროფს - "მაქვს საქონელი ურიცხვი". . . -საოცარი მეტამორფო-

ზა განუდღია:  
975 (803)

მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,  
მიეც გლახაკთა საქურქლე, ათავისუფლე მონები,  
შენ დაამდირე ყოველი ობოლი, არას მქონები,  
მიღწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

J T

მაქვს საქონელი ურიცხვი ვერვისგან აიწონები ს.  
მიეც გლახაკთა და ხელჰყავთავის უფლებამონები ს

შენ დაამდირე ყოველი, უქონო შექმენ ქონების  
დამლოცვენ ჩემთვის იღწვიან კიციემა მონებების<sup>36</sup>

როგორც ვხედავთ, მთელ სტროფს ძირფესვიანი ცვლილება განუდღია: პირველ ყოვლისა, სხვაა რითმა (= ონები // აონების), გარდა ამისა, განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი ხელოვნური ფორმები, როგორცაა “ხელჰყავთავისუფლება მონების” ანდა “უქონო შექმენ ქონების”. თუ დავაკვირდებით, სტროფში ძირითადად ტაეპის მეორე ნახევრებია შეცვლილი. რატომაა ასე? გამოდგება თუ არა გადაკეთების ასახსნელად მათი სირთულე? – ვფიქრობთ, რომ არა, “ვერვისგან ანაწონები” ან “ათავისუფლე მონები” არ შეიცავს არავითარ აზრობრივ სირთულეს. ესაა ერთი ყველაზე ცნობილი, ყველასათვის გასაგები სტროფი რუსთველის პოეზიისა, და შეუძლებელია მის ამგვარ ტრანსფორმაციას მოუწინაბოთ დამაჯერებელი ახსნა – ვთქვათ, ტექსტის რედაქტორისეული ვააზრება ან მსგავსი რამ, რაც აქამდე განხილულ ვარიანტებში შეგვხვდა.

მაშასადამე, ვარიანტთა გაჩენის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ. ეს არაა შემთხვევითი გამონაკლისი – ამგვარი ვითარება ვარიანტთა სისტემას ქმნის GH, KO და უმთავრესად კი J T ხელნაწერებში.

აქ განხილული შემთხვევის ანალოგიურია 985 (810) სტროფი – მასაც ასევე ხელოვნურად შეთხზული ვარიანტები აქვს:

985 (810)

ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ ზესა,  
შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,  
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა,  
ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა.

J T<sup>37</sup>

ღმერთო ღმერთო შენ უფალსა გევედრები არსთა მხედსა

შენ დაჰბადე მიჯნურობა შენ აწესებ მათსა ბედსა  
მე სოფელმან მომაშორვა საესავეად ჩემსა მზედსა  
ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა ნუ შემიცვლი ღამედ  
ღღღღღსა

მსგავსად 975 (803) სტროფისა, აქაც ძნელია ვთქვათ, რომ ვარიანტები აზრით უფრო ნათელია, ვიდრე ძირითადი წაკითხვები; სხვას რომ თავი დავანებოთ, საკმარისია ყურადღება მივაქციოთ ისეთ ხელოვნურ ფორმებს, როგორცაა “ნუ შე-

მიცვლი ლამედ დღედსა (მიზაძეა (957) სტროფის მეოთხე ტაეპისა) ან "საესაგად ჩემსა მზედსა" და ნაძალადევე რითმებს. საინტერესოა, რომ სტროფის ვარიანტებში ფორმალურადაც კი იმეორებენ ამის წინ განხილულ (803) მაგალითს<sup>38</sup>.

ერთი რამ უხადია: ვარიანტული სახეცელილებისთვის ნიმუში თვით ტრადიციული ტექსტია – ვარიანტი ზედმიწევნით იმეორებს სტროფის შინაარსს, ამგვარი ვითარება კი თავად გვიკარანხებს დასკვნას – ს ტ რ ო ფ ი ა ლ დ გ ე - ნ ი ლ ი ა .

ხელნაწერებში ამგვარი ცვლილებები უხვადაა<sup>39</sup> და მათი წარმოშობის ახსნა არ შეიძლება ანონიმი გადამწერის კაპრიზით ან ფუჭი გრაფომანიით – ამ ხასიათის ვარიანტთა გაჩენა გარკვეული აუცილებლობითაა განპირობებული. ხელნაწერთა შეჯგურების მონაცემები მოწმობენ, რომ ეს აუცილებლობა ხარვეზიანი ტექსტის რესტავრაციაა. მაშასადამე, J T ხელნაწერები არა იმდენად რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი , რამდენადაც რ ე ს ტ ა ვ რ ი რ ე ბ უ ლ ი ხელნაწერებია.

ჩვენ ადრე განვიხილეთ რამდენიმე ნიმუში J T ხელნაწერებში ტექსტის გააზრებულ სწორება-ემენდაციისა, რომელიც "რედაქტორის" გარკვეულ მრწამსს გამოხატავდა (მაგ. (564) სტროფთან დაკავშირებით), ამ ბოლო მაგალითებში კი არავითარი ლოგიკური საფუძველი ჩარევისა არ ჩანს.

აქ უნდა ითქვას უმთავრესი – J T ხელნაწერებში მკვეთრად გაირჩევა ორი პირის ხელწერა: პირველი ქმნის ვარიანტებს, რომლებიც მაქსიმალურადაა მიახლოებული ვეფხისტყაოსნის პოეტურ მეტყველებასთან (ამიტომაც შევიდა ეს ვარიანტები პოემის გამოცემებში), მეორეს კი, პირიქით, დაკარგული აქვს კავშირი პოემის სტილთან და ხელოვნურობისა და ნაძალადეობის დაღს ატარებს. უპირველესი განსხვავება ამ ვარიანტებისა მდგომარეობს თვით მათი შექმნის მეთოდში – იგი სავსებით დიამეტრალურია: ერთი ტიპის ვარიანტთა შემქმნელი აზროვნებს ანალოგიებით, რაც პოემის ღრმა ცოდნას გულისხმობს – ამიტომაც მისი ვარიანტები ნიჭიერი იმიტაციაა, მეორე კი, საკუთარი ფანტაზიით და ეს ფანტაზია ფრიად მარტივი მიზაძეაა (მართლაც რომ "კონიექტურა ხელოვნებაა . . .").

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ვეფხისტყაოსნის სიმფონია, თბილისი, 1956, გვ. 023.

2. იქვე, გვ. 021.

3. იქვე, გვ. 032.

4. ამ ხელნაწერებში ტაეპის სხვა სიტყვებს ვარიანტები აქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ვარიანტს ვუჩვენებთ, რათა თავიდან ავიცილოთ საილუსტრაციო ტექსტის გადატვირთვა. ასე ვიქცევით სხვა შემთხვევებშიც (სათანალო სიტყვებს ვარიანტში არ აღვნიშნავთ ბრჭყალებით).

5. ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე - ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973.

6. შდრ.: " ვ ე ც ა დ ო რ ა ს . ნუთუ ღმერთმან მომაროს ჩემსა მტერ-

სა!" 1376 (1191).

7. ამ დებულების დასასაბუთებლად დავასახელებ ზემოთ მოყვანილ მაგალითს ვარიანტისას "არს სათუები/არ სათუები". ორივე შემთხვევაში (852 და 1400 სტრ.) მდლარი ვარიანტი "არ სათუები" ორი რედაქციული ოჯახის —ზაზასაყელ და ბებურიშვილისეულ — ხერნაწერებშია (852: DUV და F I R; 1400: D V W და F R Z).

8. ვის.გითხრნე |არ გითხრა F .

9. ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი , — ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956, გვ. 75.

10. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შრომები, თბილისი, 1936, 111, გვ. 132.

ამ საკითხზე იხ. აგრეთვე, ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი , ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. 1, 1970, გვ. 130 და სხვ.

11. საინტერესოა ამ ტაეპში "პატრონის" და ხელმწიფის" ვარიანტები: პატრონად |ხელმწიფედ D E F G I Q V, ხელმწიფედ I R N; ხელმწიფედ |პატრონად J. როგორც ვხედავთ, ამ ორი სიტყვის მნიშვნელობის იდენტურობა გადამწეროათვის საკლებით უდავოა.

12. I Z და E ვარიანტებში გადაწერისას უნებლიე შეცდომებია დაშვებული.

13. G 14 . ქართლის ცხოვრება, ტ. 11, თბილისი, 1959, გვ. 49, 32.

15. ამ ორი პასაჟის ვარიანტული წაკითხვები ცხადად მოწმობენ ურთიერთ-გავლენას; მაგ. (1345) მართლად იტყვის მოციქული|მართლად უთქვა მს მოციქულთა F K O R.; მართლად იტყვის მეცნიერი E (შლრ. 815 სტროფის ზემოთმოყვანილი ტაეპი). თავისთავად ამ ტაეპთა გაგება და ინტერპრეტაცია რუსთველის მსოფლმსედველობრივ საკითხებს უკავშირდება: H. Я. Марр — Грузинская поэма "Епитонъ и барсовою шкуре и новая культурно-историческая пролема", 1917, გვ. 498 და შმდ. შ. ნ უ ტ უ ბ ი ძ ე — ვეფხისტყაოსნის ლიტერატურული წყაროები, გვ. 169 და შმდ. (წიგნში "რუსთველის კრებული", სახელგამი, 1937).

16. შლრ. ი ლ ი ა ა ბ ლ დ ე — ძველი ქართული ენის ლექსიკონი, "თგს—ი—"ნის კრძოა". "ნათესავი", გვ. 184; "თგსობა —"სასუმევა", "დამახლობლე — ბა".

17. უნდა ვთქვათ, გადაწერისას "ს" ზეპირი გამოთქმის შედეგად დაიკარგა (აეილას) ვეფხია; "ს"—ანის რედუქცია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში სწავლობლივი მოვლენაა.

18. შ ი თ ა ძ ი ძ ი გ უ რ ი , რუსთველის ენის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 7.

19. კ ო რ ნ ე ლ ი კ ე კ ე ლ ი ძ ე , ეტიუდები, ტ. VI 11, თბილისი, 1962.

"Пусганили и Нишамы Гянджеви", გვ. 147 — 154. სწორედ ამ ტაეპის ანალიზის სადეტალოდ ასკვინს კორნელი კეკელიძე: Таким образом, филологическое исследование, произведенное в области пререкаемого стиха, приводят нас к заключению, что поэма Вепхисткаосани знает, почти что современную ей, поэму Нишамы Гянджеви "Леила и Мед жун".

20. პატრიქი სხენება F , სახელი T .

21. რუსთველი რამდენჯერმე ადარებს თავის გმირებს გურგანის ცნობილ რომანის გმირებს: "ოგი ქირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა" (183), აგრეთვე სტროფები [1080], (1543).

22. ტაეპის ამგვარი გაგებით შესრულებულმა რუსულმა თარგმანმა გამოიწვია ის გაუგებრობა, რომ რუსთველის პოემაში ერთმა მკვლევარმა ე.წ. "დოსტოევიშჩინა" დაინახა: მისი აზრით, ნესტანი თავისი ნებით მიდის ქაჯეთში, რომ ხვარაზმას ძის მკვლელობით ჩადენილი დანაშაული გამოისყიდოს: П.Н. Берков — О композиции "Витязя в тигровой шкуре", ж. Литературная Л'рузия, 1966, № 9—10, გვ. 71—72. ავტორი წერს, რომ ვეფხისტყაოსანმა "предвосхитил идею "Преступления и наказания" Достоевского" (გვ.77). "დანაშაულს და სასჯელს" ეს კომპლექსი სრულად მიუღებელა "ვეფხისტყაოსნის" ჟანრის ნაწარმოებისათვის, სადაც დადებითი გმირის ჩადენილი ყოველი ასეთი აქტი უნდა განხილულ იქნას არა როგორც "მკვლელობა—დანაშაული", არამედ "ქმნა მართლსა სამართლისა" — ასეთია ჟანრის სპეციფიკა.

23. თ ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , — განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ.50.

24. შპურა, A 163, 1918წ.

25. "სახალხო გაზეთი", 1912წ. 5 ივნისი.

26. კონექტურის საფუძველი სიტყვათა ფონეტიკური შესაგვსებაა; მართლაც, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში გვხვდება სიტყვაში "რ" — ჩართვა, მაგ. ყმაწვილი — ყმარწვილი, ყაბარჩა — ყაბარჩა და სხვა.

27. ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი — ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები. მიმომხილველი, თბილისი — 1926, გვ.97—98.

28. თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი — განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიიზ იმედა შეიღის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბილისი — 1960, გვ. 144. "კარგ"—ის ეს მნიშვნელობა უნდა იგულისხმებოდეს ილია აბულაძის "ძველი ქართული ენის ლექსიკონში" ამ სიტყვასთან მოყვანილ ტექსტში: "კარგ.—ი: „ხატნი სხენან ვეცხლისანი ოქროთა ღებულნი კარგად".

29. ამავე ტაეპის თავისებური ინტერპრეტაციის ცდაა მისი. წერეთლის მიერ მასში კონექტურის შეტანა: მან "საეშმაკო" გადაწერათა შედომად მიიჩნია და შეცვალა სიტყვით "უეშმაკო" ("უბოროტო ვის ასმია რაცა კარგი უეშმაკო"), თუმცა ძნელია თქმა, რომ ტაეპის აზრი ნათელი იყოს.

30. საინტერესოა (378) და (564) სტროფთა სარიტმოსიტყვის შესაგვსება, განაკუთრებით კი (378) და G J T რადაქციის (564) რითმის ფორმულა:

378	(564)
ა. მნდომია	საჯდომია
ბ. მომხდომია	მდომია
გ. მჯდომია	მოჯდომია
დ. გარდაჯდომია	მოსახდომია

ჩვენს წინაშეა რითმათა დამთხვევის აშკარა ნიმუში: "მნდომია — მდომია", „მჯდომია—საჯდომია" და "ხდ" ფუძის ზმნისგან ნაწარმოები სიტყვები — "მომხდომია — მოჯდომია", „გარდაჯდომია — მისახდომია".



სტროფის ამგვარი ცელილება იმითაცაა საინტერესო, რომ ხელნაწერთათვის დამახასიათებელ საერთო ტენდენციას გამოხატავს – სარიტმო სისტემის შეცვლას, მაგრამ, მეტწილად, როგორც წესი, სტროფის ახალი რითმები თვით ვეფხისტყაოსნიდანაა ნასესხები – გამოყენებულია დაბოლოებით შესაბამის სტროფთა რითმის გაყინული ფორმულა.

31. ხელნაწერი აქ ხარვეზიანია, იგი აღდგენილია სხვა ტექსტის მიხედვით, მაგრამ J T ხელნაწერთა საერთო იდენტურობა ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ T ხელნაწერშიც J ტიპის ვარიანტი იყო.

32. გ. ტაეპის ვარიანტი Y ხელნაწერში: „აწვე იგ დასვი ხელმწიფედ, სხვა ვინლა მოგიყვანია“. დ. ინდოეთს] ხელმწიფედ J. რედაქციული წარმომავლობის თვალსაზრისით საინტერესო ვითარებაა Y ხელნაწერში: როგორც (564)–ე სტროფის განხილვისას ვნახეთ, იგი სამეფო სახლის ხელნაწერთა რედაქციას იმეორებს, მის მომდევნო (565)–ე სტროფში კი დიამეტრულად განსხვავებულ J T რედაქციას უჭერს მხარს.

33. თუმცა აქ მაინც “მონასხპანისა” ვერ გავგების შედეგად უნდა იყოს წარმოშობილი ეს ნაირკითხვანი (“მონასხპანი” აქ აჩქარებას, სწრაფად ელას ნიშნავს. შტრ.მეგრული “სხაპუა” და ა.შ.).

34. პირითა] ამბავთა J; გარდასავალთა] გარდავალთა J.

35. ვერ დამხსნიან მეფენი და] ვერ დამიხსნიან მეფენი T.

36. მოაგონდების J

37. ა. გვედრები] გუაჯები T; გ. ჩემსა] ჩემგან T; დ. დღედსა] დღესა T.

38. საყურადღებოა, რომ J T ხელნაწერთა ფურცლებზე სტროფების განლაგება ტექსტის ამ მონაკვეთში ემთხვევა ერთმანეთს (პროტოგრაფის ზუსტი ფორმალური ასლი?) – ორივე ხელნაწერში ეს სტროფები შესაბამისი გვერდების ბოლო სტროფებია.

J 87 r	–	T 99 v	J 87 v	–	T 100 r	J 88 r	–	T 100 v
(799)			976			(807)		
(800)			977			(808)		
(801)			(804)			983		
(802)			(805)			(809)		
(803)			(806)			(810)		

თუ გავიხსენებთ ზოგადი ტექსტოლოგიის მიერ მრავალგზის დაკვირვების შედეგად მიღებულ დასკვნას, რომ ხელნაწერებში ყველაზე მეტად ფურცლის ქვემო კიდე ზიანდება და ამის გამო ტექსტიც ხარვეზიანია, მაშინ ამ სტროფთა შესახებ საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ საერთო არქიტექტურაში, შესაძლებელია ისინი მსგავსად იყვნენ შელახულნი.

39. მათ საჩვენებლად, ალბათ, ნუსხის საკმაოდ ვრცლად გადმოწერა მოგვიხდებოდა. მაგალითად, განხილულ მაგალითებს თავისი ზოგადი სახით საცხებიტ ემთხვევა რამდენიმე სტროფის ვარიანტა ავთანდილის მეკობრეებთან ბრძოლის ეპიზოდისა – სტროფები 1222 (1038) – 1228 (1047). შეიმჩნევა ერთი საინტერესო ვითარება: ვარიანტა მიხედვით თითქმის შეუცდომლად შეიძლება ეთქვათ ხელნაწერის რომელ ფურცლებს კითხულობდნენ უფრო ხშირად – ვარიან-

როა სიუხვე მიიწილად ყველაზე პოპულარულ ეპიზოდთა თანამგზავრია. ვანა ბუსიბრაკის არ იქნება ვიფიქროთ, რომ ავთანდილის ასდერძი ან მეკობრეებთან ბრძოლა იქნებოდა ერთ-ერთი იმ ეპიზოდთაგანი, რომელსაც ყველაზე უფრო სწორად კითხულობდნენ, და, მაშასადამე, ამ ფურცლებსაც სხვებთან შედარებით მეტი ჯაფა ადგა?

**თავი მეორე**  
**ვეფხისტყაოსნის სტილისტური რედაქციები**

ჩვენ საგანგებოდ შეეჩერდით ასე ვრცლად ვარიანტთა გაჩენის გზებსა და მიზეზებზე—იმის გარდა, რომ გამოჩნდა ერთგვარი კლასიფიკაცია თავად ვარიანტთა სახეებისა, თვალსაჩინო გახდა ამ ვარიანტთა სპეციფიურობით და განსაზღვრულობით შექმნილი ცალკეული რედაქციული ჯგუფებიც ხელნაწერებისა.

თუ (ერთბილი ტექსტოლოგის, ბ.ტომაშევსკის დებულებაში — „ნაწარმოებს ქმნის არა ერთი ადამიანი, არამედ ეპოქა, ისევე, როგორც ეპოქას ქმნიან ისტორიული ფაქტები და არა ერთი ადამიანი“<sup>1</sup> — „ნაწარმოების“ ნაცვლად “ხელნაწერს“ ვიგულისხმებთ, მაშინ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერული მემკვიდრეობის მიმართ უნდა ვთქვათ, რომ მას ქმნიდნენ ეპოქები, ისტორიული ფაქტები და ისტორიული გამოცდილება. ყოველივე ეს ამოუწყვეტი ზღვავს ვეფხისტყაოსნის ძველ ხელნაწერთა ლიტერატურული ისტორიისათვის, და თითოეული ხელნაწერის, თითოეული რედაქციის შედარებითმა შესწავლამ შეიძლება მიგვიყვანოს ყოველი მათგანის არქეტიპის ზუსტი რაობის დადგენასთან.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის სისტემურ განსხვავებათა მიხედვით ძირითად ხელნაწერთა შორის გამოიყოფა რამდენიმე რედაქცია. ცალკეულ რედაქციებში შემავალ ხელნაწერებს ახასიათებს სტილისტური ერთიანობა, განსხვავებული სხვათაგან — ესენია, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ცხადად გამოჩნდა, ხელნაწერები — ABCMX, DU V, F I R Z, GH, J K O T. ამიტომ ჩვენ მათ ვეფხისტყაოსნის სტილისტური რედაქციებს ვუწოდებთ. აქ რედაქციათა გენეალოგიის დადგენაში უკვე აღარაა რაოდენობრივი მაჩვენებელი, რომლის მიხედვით შესაძლებელი ხდება გარკვეული თანრიგის დადგენა, აქ უკვე თვისობრივი მაჩვენებელია. ამასთან ყველა ეს რედაქცია შეიცავს I e c t i o d i f f i c i l i o r — და ტოლფასოვანია საძიებელი დედნის მიმართ. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად ვთვლით რედაქციაში შემავალ ხელნაწერთაგან ერთერთის სახელი ვუწოდოთ მთელ რედაქციას. ამგვარად, გამოვეყოფით სტილისტურ რედაქციას:

1. ა ბ გ დ ე ვ ს ა ხ ლ ო ს — A B C M X,

ზ ა ზ ა ს ე უ ღ ი — D U V (D—ს მიხედვით),

ა ე ბ ჯ ო ი მ ვ ი ღ ს ე უ ღ ი — F I R Z (F—ის მიხედვით),

მ ზ ე ზ ა თ უ მ ი ს ე უ ღ ი — J K O T (T—ის მიხედვით).

დამარჩინებაგან L ხელნაწერს გამოკვეთილი ნიშნავს გამოკვეთილი სიმეფო სალის რედაქციათა GH — მზებათუნისჯგუფისა. GH და J K O T ხელნაწერები (ცალკეულ, ერთმანეთისგან განსხვავებულ რედაქციებთან

შსგავსებასთან ერთად ზოგიერთ ნაშანადობლივ თვისებებშიც ამოიკვეთიან) ერთობიან ხინ სამეფოს სახელისუხას ზანასეული არტებურიშედაცვილი მემკვიდრეობის ნუსხებს და ერთგვარი სამეფალდროგოლებია მათ შორის, ზაცხმირად ნათელს ჰფენს რედაქციათა ჯოთიერთშიმარაბას.

მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის ძველ ხელნაწერებში გვიჩვენო ათეხსათ, ერთმანეთისგან განსხვავებულ სტილისტურ რედაქციას, რომელსაც გამოვიყოფით

ბებს ის თავისებური ვარიანტული ცვლილებანი, რაც საკუთრივ ხელნაწერებში შეინიშნება და ერთმანეთისგან მკვეთრად განასხვავებს, ვთქვათ, სამეფო სახლის და ბებურიშვილისეული, ზაზასეული და მზეხათუნისეული ტიპის ნუსხებს.

ტექსტის სტილისტური რაობის საფუძველზე უნდა განისაზღვროს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა გენეტიკური და ტიპოლოგიური სახე. რას გულისხმობს პირველი განსაზღვრა — გენეტიკური სახე და რას მეორე — ტიპოლოგიური სახე? ნუსხათა გენეტიკურ სახეში იგულისხმება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის ის ტექსტი, რომელიც ხელთაქონდა გადაწერს მასში ცვლილებების შეტანამდე, ხოლო ტიპოლოგიურ სახეში — უკვე გადაკეთებული ტექსტი?

ვეფხისტყაოსნის ყოველი ხელნაწერი, ყოველი სტილისტური რედაქცია, რა ხარისხის სწორების კვალსაც არ უნდა ატარებდეს, თავის არსში შეიცავს ავთენტური ტექსტის — დედნის პირველსახეს.


ამგვარად, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები განიყოფება ოთხ სტილისტურ რედაქციად: სამეფო სახლის (A B C M X), რომელსაც ჩვენ ვუკავშირებთ გარკვეული წყობის თვალსაზრისით L ხელნაწერსაც, ზაზასეული — D U V და ვახტანგისეული გამოცემა, ბებურიშვილისეული — F I R Z, მზეხათუნისეული — J K O T და მასთან ტიპოლოგიურად დაკავშირებული G და H ხელნაწერები. E, N და Y ხელნაწერებს შეგნებულად არ ვუკავშირებთ რომელიმე რედაქციას, რადგან მიგვაჩნია, რომ ისინი ამ რედაქციათა ურთიერთმიმართებას წარმოაჩენენ.

ამ რედაქციათაგან სამეფო სახლის რედაქციას განსაკუთრებული სახე აქვს — როგორც 1966 წლის კრიტიკულმა გამოცემამ (რედაქტორები ა.კ. შანიძე და ალ. ბარამიძე) ცხადჰყო, სწორედ ეს რედაქცია უნდა იყოს ყველაზე უფრო ახლო პოემის დედანთან. ა.კ. შანიძე ამის შესახებ წერს: “ტექსტის დადგენის პროცესში მცირე კომისიისათვის ნათელი გახდა, რომ ტექსტის ვითარება რუსთველურ ნაწილში უფრო სანდოა სამ ხელნაწერში, რომელთაგან ერთი (A) 1671 წელს არის გადაწერილი, მეორე (B) — 1680 წელს, მესამეს კი (C-ს) თარიღი აღარ შემორჩენია. მაგრამ გარკვეულია, რომ ისიც მე-17 საუკუნისაა, უფრო ზედმიწევნით: მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა. ამ ხელნაწერებში უფრო შემონახული ძველი ორთოგრაფია (მაგ. უმარცვლო უ—ს ხმარება ზოგიერთი ფუძის სიტყვებში) და ტექსტიც უფრო გამართულად არის წარმოდგენილი (ხაზი ჩვენია — მ.კ.), თუმცა შერყვნილი ადგილები ამათშიც ბევრია. საერთოდ, არ არის არც ერთი ხელნაწერი, რომ ყველაფერად სანდო იყოს”.

როგორც ფაქტური ტექსტოლოგიური მასალის ანალიზი მოწმობს, ზაზასეული (D U V), ბებურიშვილისეული (F I R Z) და მზეხათუნისეული (J K O T) რედაქციები, მრავალი ნიშნის მიხედვით, გენეტიკურად სამეფო სახლის რედაქციასთან, უფრო დაზუსტებით კი — არქეტოპთან არიან დაკავშირებული და სათავეს ვეფხისტყაოსნის უძველესი, დედნად საგულგებელი ხელნაწერებიდან იღებენ (იხ. სტემა).

როგორც უკვე ითქვა, ოთხივე რედაქციასა და ცალკეულ ხელნაწერებში, ერთ-

ვეფხისტყაოსნის ძირითად სპონანერომა სტრუქტურა



მანეთისგან დამოუკიდებლად, შემონახულია lectio difficilior რიგის წაკითხვა-  
ნი, რომელნიც შემდეგ საფუძვლად ედება ტექსტის მეცნიერულად დასაბუთებულ  
დადგენას. ამიტომ ისმის კითხვა: თუ სამ მომდევნო რედაქციას — უშუალოდ სა-  
მეფო სახლის რედაქციას ვუკავშირებთ გენეტიკურად, წინააღმდეგობაში ხომ  
არ ვექცევით? (თითქოს გამოდის, რომ D F J შემონახული ყველა lectio diffic-  
ilior A რედაქციაშიც უნდა იყოს). ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა გავი-  
თვალისწინოთ, რომ D U V, F I R Z, J K O T და ცალკეული ხელნაწერები  
მომდინარეობენ არქეტიპებიდან, რომლებმაც ერთმანეთისგან განსხვავებული,  
ხშირად უნიკალური lectio difficilior შემოინახეს და სწორედ ამაში მდგომარე-  
ობს მათი თავისთავადი ღირებულება ავთენტური ტექსტის ძიებისას, მაგ-  
რამ თვით მათი არქეტიპები A ტიპს უკავშირდება ტექსტის სისტემით — ე.ი.  
A ტიპის სხვადასხვაგვარმა გადაკეთებამ მოგვცა ზაზასეული, ბებურიშვი-  
ლისეული და მზეხათუნისეული რედაქციები<sup>4</sup> (და არა მებრუნებით — მაგ. ტექ-  
სტის სტრუქტურის თვალსაზრისით წარმოუდგენელია D U V > A B C M X,  
F I R Z > A B C M X, J K O T > A B C M X, მაშინ როდესაც მიმართება  
A B C M X > D U V // F I R Z // J K O T სრულიად კანონზომიერია). ამ დებუ-  
ლების დასაბუთებაა, კერძოდ პოემაში მეფის ღმრთისსწორობის იდეასთან  
დაკავშირებულ პასაჟთა ვარიანტები.

აქვე იბადება კითხვა: რა გვაძლევს, საფუძველს, მზეხათუნისეული (J K O T)  
რედაქციის შესახებ ვთქვათ, რომ იგი გენეტიკურად მომდინარეობს სამეფო  
სახლის (A B C M X) და არა ბებურიშვილისეული (F I R) რედაქციიდან,  
რომელთანაც უამრავი საზიარო წაკითხვები აკავშირებს?

პირველ ყოვლისა, როგორც ფაქტები მოწმობენ, თვით F I R Z რედაქცია  
გენეტიკურად A B C M X — თანაა დაკავშირებული — თუ რედაქცია ვარიანტულ  
მონაცემთა მიხედვით "იოფა" (მაგ. F R და I Z ან ნებისმიერ სხვა მონაც-  
ვლებით), მაშინ, როდესაც რედაქციის ერთი შემადგენელი გვაძლევს lectio-  
facilior ტიპის ვარიანტს, სხვებში წარმოდგენილი ვარიანტი "რთული წა-  
კითხვის" ტიპისაა და ემთხვევა სამეფო სახლის რედაქციას; სწორედ იგივე.  
ითქმის მზეხათუნისეული რედაქციის შესახებაც, და როგორც ვარიანტთა დაჯ-  
გუფება მოწმობს, ეს დებულება ძალაშია ვარიანტთა აბსოლუტურ უმეტესობა  
ში.

\*

\* \* \*

ს ა მ ე ფ ო ს ა ხ ლ ი ს ( A B C M X ) რ ე დ ა ქ ც ი ა . ეს რედაქცია პოე-  
მის უძველეს, გადაშწერ-რედაქტორთა მიერ ნაკლებად "ნასწორებ" ტექსტს  
უნდა წარმოადგენდეს. ამ რედაქციის უპირატესობა სხვათა მიმართ შემდეგ-  
ში გამოიხატება:

1. A B C M X ნუსხებში შედარებით სისტემატურია ძველი ორთოგრაფია;
2. მეტი თანმიმდევრობითაა დაცული ის ენობრივი ნორმები, რომლებიც  
პოემის შექმნის ეპოქისთვისაა დამახასიათებელი;

და, რაც მთავარია —

3. სხვა რედაქციებთან შეპირისპირებისას მეტწილად ამ ნუსხებშია lectio  
difficilior.

სამეფო სახლის ხელნაწერები ყველაზე ვრცელია შედგენილობის თვალსაზრისით, და ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ბოლო დრომდე მკვლევარნი სხვა ხელნაწერებს შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. ამ ხელნაწერთა მთავარი ღირსება ისაა, რომ მიუხედავად ჩანართ-დანართით უაღრესად გავრცობილი შედგენილობისა, მისი გადამწერნი თვით ტექსტში არ ერევიან, იღებენ ზუსტ პირს დედნისას და ამის წყალობით ჩვენამდე ავტორისეული ტექსტის ალბათ ყველაზე დაახლოებული ასლი მოაქვთ<sup>5</sup>. ის გარემოება, რომ ამ რედაქციის ხელნაწერები ყველაზე ნაკლებ განიცდიან ენობრივ მოღერნიზაციას, მისი ტექსტის სტაბილურობის მაჩვენებელიცაა. სამეფო სახლის ხელნაწერთა უპირატესობა ჩანს მთელი პოემის მანძილზე, რა თქმა უნდა, არა აბსოლუტურად, რადგან თვით იგივე შერყვნილი დედნიდან უნდა მომდინარეობდეს. ხუთივე ამ ხელნაწერის მაქსიმალური ტექსტობრივი სიახლოვე აუცილებლად გულისხმობს მათთვის საერთო არქეტაპის არსებობას.

მაგრამ სამეფო სახლის რედაქციაში შემავალ ხელნაწერებში მეტად განსაკუთრებული ვითარება გვაქვს: ამ რედაქციაში შედის ე.წ. "პარიზული ხელნაწერი" (X)<sup>6</sup> რომელიც თუმც ტექსტის სტილისტური სახით სრულიად იდენტურია სამეფო სახლის ხელნაწერებისა, შედგენილობით საკვებით განსხვავდება მათგან - იგი გაცილებით მოკლეა, ვიდრე ამ რედაქციის რომელიმე ხელნაწერი.

ხელნაწერს ორი საინტერესო წარწერა აქვს ფურცლებზე, ორივე ერთი ხელით შესრულებული: "ვნახე იოანემ სარდლის შვილმა ყიდვა მინდოდა და აღარ ვიყიდე", და მეორე - "ღიად ცუდი ვეფხისტყაოსანი არს". ამის შემდგომ პარიზული ხელნაწერი ყველა აღწერილობაში შევიდა, როგორც "ღიად ცუდი ვეფხისტყაოსანი", "იოანე სარდლის შვილი" ფრიად უსამართლო და დაუშსახურებელი შეფასებით<sup>7</sup>.

რას წარმოადგენს თვით ტექსტი ხელნაწერისა? როგორ ეთანხმება ერთმანეთს გადამწერის პიროვნება და ხელნაწერის ტექსტი? - ეს გარემოებანი მეტად მნიშვნელოვანია ხელნაწერის შესწავლისათვის. თვით ხელნაწერის საერთო სახე მოწმობს, რომ პარიზული ნუსხის გადამწერი „ყაზანთ ბეოას ქალი ალა“ უბრალო, გაუნათლებელი პიროვნებაა, და საკმაოდ უცოდინარიც ქართული ენისა. რა მიზნით გადამწერა ვეფხისტყაოსანი - საინტერესო გამოკანად რჩება.

დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, და არა მარტო ვთქვათ, არამედ დავამტკიცოთ კიდევ, რომ X ხელნაწერის გადამწერს ნუსხისთვის არაფერი "შეუმატებია", ტექსტში ჩარევა აზრადაც არ მოსვლია; თვით ხელწერა საკმაოდ პრიმიტიულია, ბევრგან ეტყობა, რომ ბაძაც დედანს ასოთა გრაფიკულ მოხაზულობაში, ურევს ასოებს ერთმანეთში, რამდენიმე ადგილას აქვს მცირე შეცოდება ტექსტში ჩარევის თვალსაზრისით, მაგრამ იმდენად კუროზული, რომ იგი უდავოდ გაუცნობიერებელი ფაქტია.<sup>8</sup> პარიზულ ხელნაწერთან დაკავშირებით უნებლიეთ გვახსენდება ცნობილი ტექსტოლოგის - კლარკის - სიტყვები: "გადამწერის ყველაზე დალოცვილი თვისება - უფიქრობაა. ნეტარ არიან უფიცნი გადამწერნი!" პარიზული ხელნაწერის ლაფსუსებს ყოველთვის ეტყობა, რომ საფუძველი A ტიპის ვარიანტია.

მაგრამ ამ ხელნაწერის მიმართ მთავარ ინტერესს მაინც ის აღძრავს, რომ

პოემის ძირითადი ტექსტით სამეფო სახლის რედაქციის აბსოლუტურად იდენტური ნუსხა სტროფული შედგენილობით მისგან ღრმად განსხვავდება<sup>9</sup>. პარიზული ხელნაწერის სტრუქტურა, როგორც განვრცობილი ტიპის ნუსხისა, განსაზღვრულია იმ სპეციფიკური ციკლური ჩანართებით, რომელნიც მხოლოდ ამ ერთი რედაქციისთვის (სამეფო სახლის ხელნაწერებისთვის) არის დამახასიათებელი, მაგრამ მეორე მხრივ, მას აქვს ისეთი სპეციფიკური ნიშნები — ეკლავ შედგენილობის თვალსაზრისით — საკუთრივ ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტში რომ ამ ხელნაწერს აშკარა გენეალოგიური კავშირი აქვს ე.წ. "მოკლე რედაქცია" ნუსხებთან (F I R Z და სხვ.), როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა ს. ცაიშვილი აღრინდელ გამოკვლევაში<sup>10</sup> ეს ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანია<sup>11</sup>, და მისი მნიშვნელობა მდგომარეობს პარიზული ხელნაწერის უშუალო პროტოგრაფზე მითითებაში.<sup>12</sup>

მაშასადამე, პარიზული ხელნაწერი, საკუთრივ ვეფხისტყაოსნის ტექსტის მიხედვით, აბსოლუტურად სამეფო სახლის რედაქციის იდენტურია, შედგენილობით კი მისგან ფრიად განსხვავდება. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერ მემკვიდრეობაში ესაა ერთადერთი შემთხვევა, რომ ტექსტის სტილით იდენტური ხელნაწერები ასე განსხვავდებოდნენ შედგენილობით. მაშასადამე, პარიზულ ხელნაწერში საგანგებო სტრუქტურული ვითარებაა. ამის მიხედვით ვგვარაუდობთ, რომ პარიზული ხელნაწერი არის არა მხოლოდ ერთ-ერთი წევრი A ტიპის ნუსხებისა, არამედ სამეფო სახლის რედაქციის არქეტიპის ნიშნების შემცველი ხელნაწერი. კლასიფიკაციური ტექსტოლოგიის შემდგომი განვითარება აუცილებლად გულისხმობს ცალკეულ არქეტეპთან რეკონსტრუქციას, და პარიზულ ხელნაწერს ამგვარი რეკონსტრუქციისთვის სრულიად განსაკუთრებული და უნიკალური მნიშვნელობა ექნება.<sup>13</sup>

ძირითადი ტექსტის საერთო სისტემით სამეფო სახლის რედაქციას უკავშირდება L (A 363) ხელნაწერიც: როგორც ცნობილია, ვეფხისტყაოსნის ჩვენს ხელთ არსებული ყველა ნუსხა ერთიან, გაბმულ ტექსტს წარმოადგენს ჩანართ — დანართიანად, თუმცა ცხადია, რომ პოემის მრავალრიცხოვანი ინტერპოლაციები ერთ დროს ხელნაწერის აშიაზე მიწერილი გლოსები უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, უკვე XVI საუკუნისთვის (და უფრო ადრეც!)<sup>14</sup> ეს გლოსები ისე შერწყმია ტექსტს, რომ ხელნაწერებში მათზე მინიშნება იშვიათად გვაქვს. ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგებს L ნუსხა (სამწუხაროდ, მეტად დაზიანებული და ხარვეზიანი), რომელშიც საკმაოდაა გლოსები. ჩანს, ვეფხისტყაოსნის ტექსტი გადაწერილია რომელიღაც ძველი ხელნაწერიდან, რომელშიც გლოსები ან საერთოდ არ იყო (და L —ში სხვა ხელნაწერებიდან შეიტანეს), ან ჯერ არ იყო ქცეული ინტერპოლაციად. თვით ხელნაწერი ტექსტის სისტემით უეჭველად სამეფო სახლის არქეტეპთანაა დაკავშირებული.

სავსებით საფუძვლიანია ვითიქროთ, რომ სამეფო სახლის ხელნაწერები პოემის ხელნაწერული მემკვიდრეობის საუკეთესო ტრადიციებს განასახიერებენ<sup>15</sup>

ზ ა ზ ა ს ე უ ლ ი ( D U V ) რ ე დ ა ქ ც ი ა . სამეფო სახლის რედაქციასთან განსაკუთრებული მსგავსებით გამოირჩევა ზაზასეული რედაქცია, რომლის მნიშვნელობა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერულ მემკვიდრეობაში იმითააა



განსაკუთრებული, რომ მას უკავშირდება პოემის პირველი – ვახტანგისეული გამოცემა (1712 წ.)<sup>16</sup>. თუ მეფე ვახტანგს ამ გამოცემის მომზადებისას ხელთ ჰქონდა ძველი, ჩვენამდე არმოღწეული ხელნაწერები, უნდა ითქვას, რომ სამეფო სახლის და ზაზასეული რედაქციები, ვახტანგისეულ გამოცემაში შერწყმული<sup>17</sup>, მათი ერთგვარი რეტროსპექტული გამოხატულებაა.

ზაზასეულ რედაქციას ატყვია "სწორების" კვალი, რთული ადგილების გამარტივების, ინტერპრეტაციის და გააზრების ცდა (ამის მაგალითები ჩანს მეფის უფლისწურობის იდეასთან დაკავშირებით), მაგრამ არა იმ დოზით, რაც ბებურიშვილისეულ ან მზეხათუნისეულ რედაქციებს ახასიათებს.

სამეფო სახლის და ზაზასეული რედაქციები ხელნაწერთა შორის ქმნიან უაღრესად კომპაქტურ ჯგუფს, და ვარიანტთა შედარებისას სისტემატურად უპირისპირდებიან სხვა რედაქციებს.

ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ ი ( F I R Z ) რ ე დ ა ქ ც ი ი ს ტექსტში ცხადად ჩანს რედაქტორის ხელი: მის მიერ ტექსტში შეტანილ აურიცხელ ვარიანტებსა და კონიექტურებში ჩანს ის რაციონალური მიდგომა ტექსტის შინაარსისადმი, რომელიც ამ რედაქციის ხელნაწერთა განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს. ბებურიშვილისეული რედაქციის შემქმნელს, ჩვენთვის უცნობად დარჩენილ პიროვნებას, სამართლიანი იქნება ვეფხისტყაოსნის პირველი ლექსიკოლოგიც ვუწოდოთ; სწორედ ამ ხელნაწერებშია მეტად ხშირი სიტყვის განმარტება, შეცვლა თითქმის აბსოლუტურად ზუსტი სინონიმით, და ეს ხშირად გვეხმარება ტექსტის კეშმარტივი სახის დადგენაში; ამ ნაშრომში სხვადასხვა ადგილას მოყვანილია ამ დებულების დამადასტურებელი მაგალითები. რედაქტორისათვის მთავარია აზრის სიცხადე, და ამ მიზნის მისაღწევად იგი რითმის შეწირვასაც არ ერიდება. ბებურიშვილისეული ტიპის ნუსხებს, ცხადია, საერთო პროტოგრაფი უნდა ჰქონდეთ, მაგრამ ალბათ საკმაოდ შორეული, რასაც ადასტურებს ერთი მხრივ მათი შინაგანი სხვაობანიკემორე მხრივ კი – ახალციხეში მიკვლეული ვეფხისტყაოსნის XVI საუკუნის ხელნაწერის ფრაგმენტი, რომელიც პროფ. ილია აბულაძემ წარმომავლობით F I R Z ხელნაწერებს დაუკავშირა<sup>18</sup>.

ამ რედაქციის ხელნაწერთა შინაგანი თავისებურებანი თვალსაჩინოდაა ასახული გურგენასეულ (R) ხელნაწერში; მისი შესწავლისადმი მიძღვნილ გამოკვლევას ვურთავთ ამ მიმოხილვას (დამატება B).

მ ზ ე ხ ა თ უ ნ ი ს ე უ ლ ი ( J K O T ) რ ე დ ა ქ ც ი ი ს ერთ-ერთი ხელნაწერი J რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში "რედაქტირებულს" სახელითაა ცნობილი, მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ რედაქციის ვარიანტთა სპეციფიურობა მოწმობს, რომ ეს ხელნაწერები რესტავრირებული უნდა იყოს. მაშასადამე, "რედაქტირების" საჭიროება განაპირობა "რესტავრირების" აუცილებლობამ და ამიტომ მზეხათუნისეული რ ე დ ა ქ ც ი ა ა რ ა ი მ დ ე ნ ა დ " რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი ", რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც " რ ე ს ტ ა ვ რ ი რ ე ბ უ ლ ი ა " <sup>19</sup> ბევრი პასაჟი მოწმობს, რომ ხელნაწერებს (რედაქციის არქეტიპს) საკმაოდ დახელოვნებული ვერსიფიკატორის ხელში გაუვლია.

მრავალი ტექსტოლოგიური ნიშნის მიხედვით, მზეხათუნისეული რედაქცია პოემისა მეტად ადრინდელია და ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერები

მხოლოდ მის ასლს წარმოადგენენ. თვით რედაქცია ორი წყვილისაგან შედგება – KO და JT. KO ერთი პირის გადაწერილია (კალმისმიერი ცდომილებანიც კი ერთგვარია ამ ხელნაწერებში), ტექსტი იდენტურია, მცირეოდენი შინაგანი განსხვავებანი აიხსნება მექანიკური შეცდომით ან დედნის ურეგო ამოკითხვით, რაც საერთო სტილზე გავლენას არ ახდენს, ამიტომ ეს ორი ნუსხა უნდა განვიხილოთ როგორც ერთი ხელნაწერი. იგივე უნდა გავიმეოროთ JT ნუსხათა შესახებ: მათ ერთი დედანი აკავშირებს? მაგრამ გადაწერილია სხვადასხვა დროს; – ეს ხელნაწერებიც იმდენად მსგავსია, რომ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერული მემკვიდრეობის განხილვისას ერთ ხელნაწერად შეიძლება ჩავთვალოთ.

რედაქციაში შემავალ ხელნაწერთა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით აუცილებელია ითქვას, რომ KO ხელნაწერები უფრო ადრინდელია; KO და JT-ს აქვს საერთო ვარიანტების დიდი ფენა, მაგრამ JT-ში შემდგომ კვლავ ბევრი რამ შეცვლილია. ამგვარად JT-ს პირველსახე KO ხელნაწერებია.

მზეხათუნისეული რედაქცია მკიდროდა დაკავშირებული, ერთი მხრივ – სამეფო სახლის, მეორე მხრივ – ბებურიშვილისეულ რედაქციებთან. პირველთან მას უშთავრესად lectio difficilior ტიპის წაკითხვები აკავშირებს, მეორესთან კი ამის საპირისპიროდ – lectio faciliior, ნასწორები ტექსტი; მთელი რედაქცია ბებურიშვილისეულ რედაქციას უკავშირდება მრავალი მნიშვნელოვანი ვარიანტით, რაც მათი შორეული არქეტიპის არსებობას უნდა გულისხმობდეს. ამ თვალსაზრისით რედაქციის განვითარების გზა შეიძლება წარმოვიდგინოთ: FIRZ > KO > JT, სადაც ყველა კომპონენტის საერთო სათავე სამეფო სახლის რედაქციის მსგავსი არქეტიპია.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ხშირად FIRZ და JKOT ხელნაწერები პოემის ერთსა და იმავე პასაჟს უკეთებენ რედაქციას, მაშინაც კი, როდესაც ტექსტი არავითარ სირთულეს არ შეიცავს. ამ გარემოების რეალური ახსნა, ჩვენის აზრით, უნდა ვეძიოთ ამ რედაქციათა საერთო (მეტად შორეული!) პროტოგრაფის ხარვეზიანსახეში, სხვაგვარად შეუძლებელია სხვადასხვა პიროვნებებს დაბადებულათ ასეთი მსგავსი სურვილი (თუ კაპრიზი?) “შეესწორებინათ” ნათელი ტექსტი, რაიმე აუცილებელი საჭიროება რომ არ ყოფილიყო.

ამავე დროს ამ რედაქციის ხელნაწერებში ჩანს ტექსტის შინაგანი კავშირი სამეფო სახლის ხელნაწერებთან – ძალიან ხშირად, როდესაც რედაქციის რომელიმე წევრი ანომალურ წაკითხვას გვიჩვენებს, დანარჩენები სამეფო სახლის ხელნაწერებთან ერთად “რთულ წაკითხვას” უქერენ მხარს.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ამ რედაქციის ხელნაწერებში დაცულ lectio difficilior რიგის წაკითხვებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

ტიპოლოგიურად მზეხათუნისეულ რედაქციას უკავშირდება ორი ხელნაწერი – G (კავკავაძისეული) და H (კარბელაშვილისეული)

GH ხელნაწერებს ბევრი საზიარო წაკითხვა აკავშირებთ სამეფო სახლის, ზაზასეულ და ბებურიშვილისეულ ხელნაწერებთან, მაგრამ ნიშანდობლივი ტიპოლოგიურ თავისებურებით უთუოდ მზეხათუნისეული რედაქციის რკალს განეკუ-

თენებთან<sup>22</sup> ის ფაქტობრივი მასალა, რომელიც გვიჩვენებს, რომ GJT და HKO ხელნაწერთა ნაირკითხვანი განსაკუთრებით ხშირად ემთხვევა ერთმანეთს სწორედ ნასწორებ ტექსტში, მოწმობს, რომ მათ აკავშირებს ადრინდელი სათავე, საერთო შორეული პროტოგრაფი<sup>23</sup>

GJT საერთო ვარიანტთა ფენა საკმაოდ მნიშვნელოვანია; იგი მეტად საყურადღებო ინფორმაციის შემცველია – ნასწორები ტექსტი უაღრესი ხელოვნურობით გამოირჩევა.

GH ხელნაწერები ნათელს ჰფენენ იმ “საგარეო კავშირს”, რომელიც მზებათუნისეულ და სხვა რედაქციათა შორის არსებობს, და ამავე დროს ამ რედაქციის ერთ-ერთი საკვანძო პროტოგრაფის რეკონსტრუქციის პოტენციურ შესაძლებლობას შეიცავს.

თ ა ვ ა ქ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ ი (E) ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ვარიანტთა მიხედვით არსებითად სამეფო სახლის და ბებურიშვილისეული რედაქციების დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს; ერთი მხრივ მისი საკმაოდ ნასწორები ტექსტი არ იძლევა საფუძველს იგი სამეფო სახლის ხელნაწერებს მივაკუთვნოთ, მეორე მხრივ კი, თუმა ნასწორებ ტექსტში ბევრი რამ აკავშირებს ბებურიშვილისეულ რედაქციასთან (განსაკუთრებით F – თან), მას არ გააჩნია ის აშკარად ინდივიდუალური სტილისტური თავისებურებანი, რომელიც ბებურიშვილისეული რედაქციის სახეს ქმნის.

ასევე მეტად საინტერესო N და Y ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი ცალკეულ რედაქციებთან მსგავსებასთან ერთად რიგ ნიშანდობლივ თავისებურებებს ამჟღავნებენ. არსებითად, E, N, Y ხელნაწერებს ვარიანტული ნაირკითხვები აკავშირებთ ხან სამეფო სახლის, ხან ზაზასეულ, ხან ბებურიშვილისეულ რედაქციებთან, და ისინი, როგორც საშუალებო რგოლები, ფაქტიურად ნათელს ჰფენენ ცალკეულ რედაქციათა ურთიერთმიმართებას.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. Б.В. Томашевский – Писатель и книга, Очерк текстологии, Москва, 1959, стр. 152.

2. მ ა გ ა ლ ი თ ი ს თ ე ი ს: ყოველივე ამის მიხედვით როგორ დავახასიათებდით, ვთქვათ, თავაქარაშვილისეულ (E) ხელნაწერს, ვეფხისტყაოსნის ყველაზე ადრეულთარიდიან ნუსხას? როგორც ფაქტობრივი მასალა მოწმობს, გენეტიკურად იგი სამეფო სახლის ხელნაწერების იდენტურია, ტოპოლოგიურად კი განვითარებულია ბებურიშვილისეული რედაქციის (F I R Z) მსგავსად (და არავითარ შემთხვევაში, როგორც, ვთქვათ, ზაზასეული ან მზებათუნისეული რედაქციები, რადგან E ხელნაწერში ვერ ვნახავთ იმ სტილისტური ცვლილებების სისტემას, რაც ხსენებულ ორ რედაქციას ახასიათებს, როგორც ინდივიდუალური თავისებურება).

3. აკაკი შანიძე – ვეფხისტყაოსნის საკითხები, 1, თბილისი, 1966, გვ.237.

4. სწორედ ამ ვითარების საფუძველზე შემუშავებული 1966 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის ტექსტი, დადგენილი აკად. ა.შანიძის და ა.ბარამიძის მიერ. ამ ტექსტის სტრუქტურა ამგვარად შეგვიძლია ვადმოვეთ: A B C M X + lectio difficillior სხვა რედაქციებისა და ხელნაწერებისა (თუმცა აბსოლუტური სიზუსტით ამ პრინციპის დაცვა ვერ მოხერხდა).

5. საინტერესო ტექსტოლოგიური პარალელია: “ნიბელუნგების” უძველეს ხელნაწერებში არჩევენ სამ რედაქციას – A – უმოკლესი, BC – ვრცელი. ცნობილმა მეცნიერმა კარლ ლახმანმა “ნიბელუნგების” გამოცემას საფუძვლად დაუდო ყველაზე მოკლე და ამიტომ, მისი აზრით, ტექსტის მხრივ უფრო სანდო A ხელნაწერი, მაგრამ შემდგომმა კვლევებებამ ცხადჰყო, რომ ორიგინალთან მეტი სიახლოვე აქვს ვრცელი B ხელნაწერს ტექსტს M. Жирмунский • Германский героический эпос в трудах Андреаса Хойслера. Андреас Хойслер • Германский национальный эпос и сказание о нибелунгах, Москва, 1960, стр. 8–10

6. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის საკუთრება, ხელნაწერი შემახიაშია გადაწერილი 1702 წელს “ყაზანთ ბეეოას ქალის” მიერ.

7. ჩვენთვის ძნელი არაა მივხვდეთ, რას ნიშნავს “ფრიად ცუდი ვეფხისტყაოსანი”, ამ წარწერის ავტორი, ჩანს გულისხმობდა ხელნაწერის გაფორმების სიმარტივეს, გარეგნულ უბრალოებას, ტექსტის კალიგრაფიული შესრულების დაუხვეწაობას და ენობრივ დამახინჯებებს (ხელნაწერში სისტემატურია ა– ნის მეტ – ნაკლებობა), რაც ერთი – ორ გვერდზე თვალის ზერეღე გადავლებითაც აღვილი შესამჩნევია.

8. მაგალითად:

(147): გამოემართა ავთანდილ მოყმე მხნე ლალად მავალი  
X “ “ “ “ “ მამალი

(1467): ავთანდილს უძღვნა ყველაი არა სიტყვითა წბილითა  
X “ “ ყველია “ “ “

აგრეთვე (394), (406), (1431) და სხვა.

9. მარიამ კარბელაშვილი • ვეფხისტყაოსნის პარიზული ხელნაწერი, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXI X სამეცნიერო სესიის თეზისები, 1969, გვ. 8.

10. ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბილისი, 1963, გვ. 61–62.

11. არ შეიძლება შემთხვევით დამთხვევად ჩავთვალოთ შემდეგი ფაქტები:

ა. 245 (174) სტროფი არაა E, FIRZ, J K O T, X ხელნაწერებში,

ბ. 270 (193) “ “ F I R Z, N, Y, X, “

გ. 309 (222) “ “ E, F I R Z, J K O T, N, X “

დ. 436 (320) “ “ L, J T, X “

ყოველივე ეს იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ X და ე.წ. “მოკლე რედაქციის” შემსველ ნუსხებს შედგენილობის მხრივ საერთო პროტოგრაფი აკავშირებთ.

12. მაგალითად, იმის მიხედვით, რომ პარიზულ ხელნაწერს ორგან აკლია თანამიმდევარი სტროფები 75 (118) – 183 (124); 666 (521) – 669 (524), თითქმის დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი პროტოგრაფის თითოეულ გვერდზე 4–4 სტროფი იყო, ეს კი უკვე გარკვეული საფუძველია ტექსტიდან ინტერპოლაციათა გამოსარიცხად ტექსტის პროტოგრაფის რეკონსტრუქციისთვის, პოემის ტექსტის “სუფთა” სახით გამოსაყოფად.

13. ასეთია ბუნება ამ ოდესღაც დაწუნებული “ფრიად ცუდი” ვეფხისტყაოსნისა, მაგრამ ეს არაა აპოლოგია მისი და ჩვენთვის კეთილად მოსახსენებელი “ყაზანთ ბეოას ქალისა”; ყოველივე ზემოთქმული ნუსხის მასალით ფაქტობრივად დამოწმებული და სავსებით დამსახურებულია.

14. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ უძველეს ხელნაწერთაგან, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, არცერთი არაა გამოსული უშუალოდ გადამწერ-რედაქტორის ხელიდან – ყველა ისინი გაცილებით აღრინდელი ნუსხების შემდეგდროინდელი ასლებია მხოლოდ.

15. საყურადღებოა, რომ ვახტანგისეულ გამოცემაში შეტანილი შესწორებანი სამეფო სახლის რედაქციის ხელნაწერთა გათვალისწინებით არის შესრულებული (იხ. დამატება A).

16. ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ე ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის წყაროები, წიგნში “ლიტერატურული წერილები”, 1966. გვ. 73–87, სადაც ახალი მასალებითაა დასაბუთებული ეს დებულება.

17. ვახტანგისეულ გამოცემაზე დაკვირვება მოწმობს, რომ ზაზასეული რედაქციის რიგი წაკითხვები ვახტანგს შემდგომ სამეფო სახლის რედაქციის წაკითხვებით შეუცვლია.

18. ი ლ . ა ბ უ ლ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის ახლად მიკვლეული უძველესი (XVI ს.) ხელნაწერის ფრაგმენტი, სმგ მაცნე, 1964, №3, გვ. 142–150.

19. საინტერესო მასალას გვაძლევს ამ ხელნაწერების შესწავლა ტექსტის “რედაქტორისეული” რეკონსტრუქციის თვალსაზრისით. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამ რედაქციის აღრინდელი პროტოგრაფი გადამწერის ხელში შეღახული, დაზიანებული და დაშლილი მოხვდა. პირველ ყოვლისა, ამას მოწმობს ამ რედაქციის ხელნაწერთა პროლოგი, და აგრეთვე თვით ხელნაწერში სხვადასხვა ადგილას სტროფთა თანრიგის აღრევა (მაგალითად, 1 ხელნაწერში 81 verso, 82 recto, 86 recto-verso გვერდები). თუ ამ დებულებას გავიზიარებთ, შეიძლება წარმოვიდგინოთ გადამწერ-რესტავრატორის (არა “რედაქტორის”!) მდგომარეობა, რომელსაც მინდობილი აქვს ტექსტის ვადარება დაშლილი და შეღახული ხელნაწერიდან: იგი ცდილობს არეული ფუ-

რცლების წესრიგში მოყვანას, და რადგან პოემის შინაარსში ერთგვარად გარკვეულია, გამოსავალს ტექსტის ამგვარ "რედაქტირებაში", უფრო ზუსტად კი — "რესტავრირებაში" პოულობს. ყოველ შემთხვევაში, დაუჯერებლად მიგვაჩნია, რომ გადამწერს ხელთ პქონოდა სრული, უხარვეზო დედანი და ასე თვითნებურად მოპყრობოდა ტექსტს. მაშასადამე, მზეხათუნისიეული რკალის ხელნაწერებში ერთი მხრივ დასტურდება ბევრი უნიკალური lectio difficilior, მეორე მხრივ — გააზრებული ემენდაცია ტექსტისა, რაც რედაქტორის მრწამსს გამოხატავს, ხოლო მათ მკვეთრად ემიჯნება ისეთი ცვლილებანი ტექსტისა, სადაც "სწორების" არავითარი ლოგიკური საფუძველი არ ჩანს. პოემაში ამგვარი ჩარევის ნიმუშები გვიკარნახებენ, რომ ეს არის იძულებითი რედაქცია და არა შეგნებული რედაქცია (ან გრაფომანია).

20. ხელნაწერებში ამკარად ჩანს საერთო დედნის სხვადასხვაგვარად ამოკითხვა. მაგალითად:

1263 (1079)	თქვა ვითა გინდა ვაქრობდით ნუ განმაცხადებთ მე ვინა
J	თქვენ " გწადდეს გაყიდეთ ნულარას იტყვით " "
T	თქვენ " გწადდეს გაპკიდეთ ნულარას იტყვით " "
767 (615)	ზღვასა დავანთქენ დავხოცენ ომიმცა რალა აგესა
J	" დავპნთქენ დავხოცეთ " ვითლა აქესა
T	" " " " ვითლა აბესა

21. მაგალითად, 1000(823) სტროფში მესამე ტაეპის რითმა ხელნაწერთა უმრავლესობაში დამახინჯებულია:

ABCX, FIZ, UW	—	ველარ ვისმენ ხმასა შენსა სასმენელად მე მასულსა
E	—	" " " " " " " " სასურსა
GH	—	" " " " " " " " მაგ სრულსა
J T	—	" " " " ტკბილსა ჩემთვის დიდად მოსა - სრულსა

მხოლოდ KO ხელნაწერებშია აზრით ნათელი, რითმის თვალსაზრისით უნაკლო, ერთადერთი მართებული წაკითხვა:

ველარ ვისმენ ხმასა შენსა სასმენელად მე მას რ უ ლ ს ა .

22. მათი ეს ურთიერთკავშირი აისახა არა მხოლოდ ტექსტის სტილისტურ სახეში, არამედ შედგენილობაშიც, რაც გამოკვლეულია ს. ცაიშვილის ნაშრომებში: ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი , ეფუხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, თბილისი, 1970, გვ. 212—213.

23. მრავალრიცხოვანი მაგალითებიდან მოვიხმობთ მხოლოდ რამდენიმეს:

536(402)	—	შორით და ახლოთ ყველაი მართ ჩემკე მონახსრპანია
G	—	ცხენისა ფერხთა ერქარათ " ჩვენკე მონახსრპანია

- 67 -- ცხენისა ღერსთა ეჩქარეთ მოჰქონდათ ხმა სხარპანია  
 698 (143) -- დიადი სისხლი უბრალო კაცმან(კა ვით იტვირთაო  
 G I T -- უბრალო " კაცისა " " "  
 699 (147) -- მათ მორქმულთა შოივლინონ ჩეეს პატიენი გავეიასდენ  
 G I T " " " " შეენება გავეინასდენ  
 710 (163) -- მე შეეუთვალე მეუეო ვარ უმაგრესი რეალისა  
 G I T " " " საქმე ვქენ მოსაკრძალისა  
 719 (187) -- მასშიგას ჩასეეს ივი მზე ქგაეს იქმნა დარაჯებითა  
 E) " " " " დაიწეეს სარაჯებითა  
 G I T ქალი მათ მის(კა დაიწეეს ზახილი "  
 728 (186) -- ზღვის პირს შივე რავი დამხვდა მენავემან მნახა ზმული  
 T " " " " დამხვდეს შეფისული შეკაზმული  
 G I " " " " " შეფისული შებაზმული  
 736 (199) -- მუნ შიგან შევე მშვიდობით ამოდ იგივე მე ვარი  
 K O " " " " საომრად მოსამზეუარი  
 G I T -- მაშიგან " დაეიწეე საომრად მოსამზეუარი

## დ ა მ ა ტ ე ბ ა A

### ვახტანგისეული გამოცემა და სამეფო სახლის რედაქციის ხელნაწერები

აკად.აკაკი შანიძის გამოკვლევით, ვახტანგ VI –ის მიერ 1712 წელს დასტამბული ვეფხისტყაოსანი პოემას კრიტიკული გამოცემაა. იგი, როგორც პირველი შეცნიერულად დადგენილი ტექსტი პოემისა, ხელნაწერებთან მიმართების თვალსაზრისით განსაკუთრებული ინტერესის შემცველია. რაიმე პირდაპირი ჩვენება იმის შესახებ, თუ როგორ უღებოდა ვახტანგ VI (თუ მისი თანამოაზრენი) ხელნაწერებს, ჩვენ არ გავაჩნია; ამის შესახებ მსჯელობა შეიძლება მხოლოდ არაპირდაპირი მონაცემებით.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვახტანგისეული გამოცემის ზოგიერთი დეტალი: პოემისათვის დართულ განმარტებაში “თარგმანი პირველი წიგნის ამის ვეფხისტყაოსნისა, თქმული ბატონისშვილის გამგებლის პატრონის ვახტანგისა” მეფე – მწიგნობარს განმარტებული აქვს ზოგი ისეთი სიტყვა, რომელიც შემდეგ პოემის ტექსტში აღარ შესულა, რადგან შეუცვლიათ სხვა ვარიანტით. აკად. ა. შანიძე წერს: “შედარება “თარგმანში” დამოწმებული ადგილებისა და პირველნაბეჭდი პოემის ტექსტისა დიდ განსხვავებას გვიჩვენებს: თარგმანში ერთია ნათქვამი და პოემაში სხვა”<sup>1</sup>. როგორც ს. ცაიშვილმა სპეციალურ ნაშრომში გაარკვია<sup>2</sup> ვახტანგისეულ გამოცემას საფუძვლად დაედო AD ხელნაწერები. საინტერესოა ვნახოთ – რომელ ხელნაწერთა ნაირკითხვაა განმარტებული “თარგმანში” და რა ხელნაწერთა ვარიანტითაა შეცვლილი ნაბეჭდ ტექსტში. მაგალითისთვის აკაკი შანიძის მიერ ხსენებულ ნაშრომში დამოწმებული<sup>3</sup> რამდენიმე სტროფი ავიღოთ (საერთოდ კი გაცილებით მეტია).

1. ვახტანგმა კომენტარი გაუკეთა პროლოგის (3) სტროფის ტექსტს: “მას არ ვიცი შ ე ვ მ ა რ თ ო შესხმა ხოტბისა ხშირისა”. ხელნაწერთა შედარებისა და შემოწმების შემდგომ “შევმართო”. გაუსწორებიათ და მის ნაცვლად “შევკადრო” დაუწერიათ:

მას არა ვიცი შ ე ვ კ ა დ რ ო შესხმა ხოტბისა ხშირისა  
ხელნაწერებში: შევმართო – D I O U, შევკადრო – A B C .

2. დედანში ვახტანგს ჰქონია:

მას თინათინის გ ო ნ ე ბ ა ჰკლევდის წამწამთა ჯარისა (40)  
ვახტანგი თარგმნის: “თინათინის მოგონება ჰკლევდა, რომ ის ცოლად უნდოდაო”, დაბეჭდილ პოემაში კი ვკითხულობთ:

მას თინათინის შ ე ე ნ ე ბ ა ჰკლევდის წამწამთა ჯარისა.  
ხელნაწერებში: გონება – D F G H, შეენება – A B C, E, J K O T, R.



3. ვახტანგის დედანში ყოფილა:

ქვე წვა ვით კლდისა ნ ა პ რ ა ლ ს ა ვეფხი პირგამეხებული (515)  
ვახტანგი განმარტავს: “ნაპრალი, კლდე რომ ვახეთქილი იყოს, ის არის”,  
მაგრამ დაბეჭდილ ტექსტში ეს სიტყვა აღარ გვხვდება, მის ნაცვლად გვითხულობთ:

ქვე წვა ვით კლდისა ნ ა პ ი რ ს ა ვეფხი პირგამეხებული.

ხელნაწერებში: ნაპრალსა – ABCM, DUV, E, GH, IR, KOT, L, Y, ნაპირსა – FZ, J, N.

4. ვახტანგს ხელნაწერში ჰქონია:

მას ზღუდესა გარდავაღეგ, მინდორთაკე თ ვ ა ლ ი ვ ა გ ე

ვახტანგი გვიხსნის: “თვალი ვაგე – თვალი ვამყოფეო”.

აკაკი შანიძე წერს: “ასეთი წაკითხვა ძველ ხელნაწერთაგან, რომელთაც მე ვიცნობ, მართო ერთმა იცის, სხვებში კი ასე წერია: “მინდორთაკე რომე ვაგე” და ასეც შეუწოვრებია ვახტანგს და ამ სახით დაუბეჭდავს”<sup>4</sup>.

ხელნაწერებში: თვალი ვაგე F<sup>5</sup>, რომე ვაგე – ABCMX, D, E, G, IZ, KOT, L, N, Y.

5. ვახტანგს თავის დედანში ჰქონია:

ა ჯ ა ბ თ ა მქმნელნი მკერეტელთა გულსა მუნ დააბმიდიან (610)

კომენტატორი განმარტავს: “აჯაბი საკურველიაო”, შემდეგ კი ტექსტი გააღაუსწორებიათ:

ა ჯ ა თ ა მქმნელნი მკერეტელთა გულსა მუნ დააბმიდიან

ხელნაწერებში: აჯაბთა T, აჯაფთა D U V, აჯამთა J, აჯათა A B C, M X, E, F I Z, G H, K O, L, Y:

6. დედანში ყოფილა:

რადგან თავი სიცრუევა ყოვლისა უ ბ ა დ ო ბ ი ს ა (780).

ვახტანგის განმარტებით “უბადობა ცუდსა ჰქვიაან”, პოემის ტექსტში კი იგი შეცვლილია სიტყვით “უბედობა”.

რადგან თავი სიცრუევა ყოვლისა უ ბ ე დ ო ბ ი ს ა .

ხელნაწერებში: უბადობა – ABCMX, Q, Y, უბედობა – E, F I Z, G H, J K O T.

7. განსამარტავ ტექსტში ყოფილა:

ყოვლნი ტროდეს, მოსთქმიდეს, მერე და დ უ მ დ ე ს გვიანად (817)

ვახტანგი განმარტავს – “დადუმება დაჩუმება არის”, ნაბეჭდ ტექსტში კი ვკითხულობთ:

ყოვლნი ტროდეს, მოსთქმიდეს, მერმე და ს წ ყ ნ ა რ დ ე ს გვიანად.

ხელნაწერებში: დადუმდეს – DUV, F I R X, G H, K O, Q დასწყენარდეს – ABCMX, E, J T, Y.

მ. საკომენტარო ტექსტშია:

“მისთა ნ ა შ ა ტ თ ა სიციოცხლე მათ მისი მიიბარესა (1 341 )

ვახტანგი ჩვეული მეცნიერული გულწრფელობით წერს “ნიშატი არ ვიცი-  
ლიო”; დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანშია:

მისთა ნ ი შ ა ნ თ ა სიციოცხლე მათ მისი მიიბარესა.

ხელნაწერებში: ნიშატა – DV, JT, Z, ნიშტთაგან– HK, ნიშანთა – ABCMX,

U, E, FIR, G, L, Y.

იმის გარკვევას, თუ რა ზოგადი პრინციპი ეძებნება საფუძვლად ტექსტის  
ამგვარ შეცვლას, აქ არ შევუდგებით; ეს მეტად მნიშვნელოვანი და საყურად-  
ღებო საკითხი მთელი ფაქტური მასალის გათვალისწინებით საგანგებო ძიების  
და განზოგადების საგანია და მეთოდოლოგიის თვალსაზრისით სხვა, მსგავსი რი-  
გის, საკითხებს უკავშირდება<sup>6</sup>. ვიტყვით მხოლოდ, რომ ა. შანიძის მიერ ნი-  
მუშად მოხმობილ ამ რვა შემთხვევიდან ექვსში ტექსტის ცვლილებას მხარს  
უჭერს სამეფო სახლის რედაქციის ნუსხათა ჩვენება. თუ მხედველობაში მი-  
ვიღებთ, რომ ვახტანგი ამათგან იცნობდა ABC ხელნაწერებს, ბუნებრივი იქ-  
ნება ვიფიქროთ, რომ ვახტანგისეული ტექსტის ცვლილებანი სწორედ მათი გათ-  
ვალისწინებით ხდებოდა.

პოემის 1966 წლის გამოცემათა მომზადების პერიოდში, როდესაც ვეფ-  
ხისტყაოსნის ძირითად ხელნაწერთა ვარიანტების გამოცემის წყალობით მკვლევ-  
ართა თვალწინ გადაიშალა ვეფხისტყაოსნის ვარიანტულ ნაირკითხვათა მთე-  
ლი სიმდიდრე, ცხადად გამოჩნდა ე.წ. ვრცელი ანუ, სამეფო სახლის რედაქ-  
ციის ხელნაწერთა ტექსტის სტაბილურობა და სიახლოვე სავარაუდო არქეტიპ-  
თან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემე-  
ბი – განსაკუთრებით ეს ითქმის პოემის მეცნიერულ- კრიტიკულ გამოცემაზე  
აკად. ა. შანიძის და აკად. ა. ბარამიძის რედაქციით – საგანგებო ანგარიშს  
უწევენ სამეფო სახლის ხელნაწერთა ჩვენებას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ  
ვახტანგ VI –მ თავის გამოცემას საფუძვლად დაუდო ყველაზე ავთენტური  
რედაქციის ხელნაწერები.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. აკაკი შანიძე, ვახტანგის დედანი ვეფხისტყაოსნისა, წიგნში—  
აკაკი შანიძე, თხუზულებანი, 11, ვეფხისტყაოსნის საკითხები, 1 თბი-  
ლისი, 1956, გვ. 71.

2. სარგის ცაიშვილი – ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რე-  
დაქცია, თბილისი, 1957, გვ. 93.

3. აკაკი შანიძე, ხსენებული ნაშრომი, გვ. 71–73. სტროფთა ნუ-  
შერაცია ვახტანგისეული გამოცემისაა.

4. ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, ხსენებული ნაშრ., გვ-72.

5. შდრ. „თვალს ვუგებდი ქორსა, მანდეთ განაფრენსა“ (623); შესაძლებელია, ეს ვარიანტი ამ ტაეპის ანალოგიით შეიქმნა.

6. აქ, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ პომის ვახტანგისეული ტექსტის საბოლოოდ ჩამოყალიბების საკითხს. ა. შანიძეს საგანგებოდ აქვს გამოყოფილის სტროფები, რომლებიც კომენტირებულია ვახტანგის „თარგმანში“, ნაბეჭდ ტექსტში კი აღარ შესულა. ხსენებულ წერილში დასახელებული 7 სტროფიდან ოთხის (A 46, 50, 60 83,) ტექსტიდან ამოღებას, ჩვენის დაკვირვებით, განაპირობებს ბებურიშვილისეული (F) ზელნაწერი, რომელშიც ეს სტროფები არაა:

46 – როსტევან უხმო ვაზირნი . . .

არის: ABCMX, D, T.

არ არის: E, FIR, JOT, UV.

50 – ერთობ დაშალეს ვაზირთა . . .

არის: ABCX, D U, GH, R.

არ არის: E, FI, J K O T, V.

60 – ადგე, როსტან, შენსა მზესა . . .

არის: ABC, D U, GH.

არ არის: E, FR, J K T, V, X.

83 – როსტან დაბერდა . . .

არის: ABC.

არ არის: E, FIR, GH, JOT, UV, X.

## დაშატება B

### ვეფხისტყაოსნის გურგენასული ხელნაწერი

ვეფხისტყაოსნის XVI – XVlll სს. ხელნაწერთა შორის რედაქციული თავისებურებებიც უკრძალვას იქცეეს ნუსხა Q 930 (R)<sup>1</sup>, რომელსაც ალ. ბარამიძემ უწოდა “გურგენასული“, რადგან იგი თავის დროზე ჰკუთვნებია ვინმე გურგენას, რაც ორგზის არის აღნიშნული ხელნაწერის არშიაზე<sup>2</sup>. ხელნაწერი ძლიერ დაზიანებულია, წახლომას გადაჩენილა სულ სამოციოდე ფურცელი, დანარჩენი ფრაგმენტების სახით ერთმანეთთან შეწყებებულ გაქვავებულ მასას წარმოადგენდა<sup>3</sup>. ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მეტად ფაქიზი რესტავრაციის შედეგად ნუსხამ ახლა თითქმის სრული სახე მიიღო.

ხელნაწერი შეიცავს 220 ფურცელს, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით. ალ. ბარამიძემ მას XVlll საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებს<sup>4</sup>. ბოლო 12 ფურცელი (დაწყებული 1915 სტროფიდან) სხვა ხელით უნდა იყოს შესრულებული. ტექსტი დაწერილია შავი მელნით, სათაურები და სტროფის პირველი სიტყვა წითლურია. სიტყვები ერთმანეთისაგან გამოყოფილია ორი ან სამი წერტილით. სარითმო სიტყვათა ბოლო ასოები სიმეტრიისათვის განლაგებულია ვერტიკალურ სწორ ხაზად.

მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი მეტად დეფექტურია, მაინც ხერხდება მისი საერთო სახის აღდგენა; ტექსტი იწყება ჩანართი 43—ე და მთავრდება დანართი 2123—ე სტროფებით, შეიცავს 1749 სტროფს, აკლია დასაწყისში<sup>5</sup> ალბათ 4—5 ფურცელი და შიგნითაც დაახლოებით ამდენივე<sup>6</sup>. იქ, სადაც ფურცელს მხოლოდ სამი სტროფი შემორჩენია, დაკარგულად უნდა ვიგულისხმოთ დაახლოებით 18 სტროფი<sup>7</sup>, ერთი გვერდი ალბათ გადაწერის დროსაა გამორჩენილი<sup>8</sup>. ტექსტის ორთოგრაფიული თავისებურებანი მოგვაგონებენ სომეხი ქალის მიერ გადაწერილი ე.წ. პარიზული ნუსხისათვის (X 10) დამახასიათებელ შეცდომებს (ხმოვანთა, განსაკუთრებით ა—ნის მეტ—ნაკლებობა); ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ გურგენასული ნუსხის გადაწერი ეროვნებით სომეხია და კარგად არ იცის ლიტერატურული ქართული<sup>9</sup>, თუმცა დიდი ყურადღებით იწერს ტექსტს და ცდილობს დაიცვას პროტოგრაფის გრაფიკული თავისებურებანი (ჟ, უმარცვლო უ და ი)<sup>10</sup>. ნუსხის ენობრივი, ძირითადად ფონეტიკური თავისებურებანი, რომელნიც მას საგაძნობლად განანსხვავებენ პოეპის სხვა ხელნაწერთაგან, გადაწერისთვის შეუგნებლად უნდა იყოს გაჩენილი მისი ზეპირი მეტყველების გავლენით. თვალსაჩინოა შემდეგი ფონეტიკური თავისებურებანი:

ბგერის დაკარგვა: ვ — გარდუღალად, საძღნოთ, მოყრობა; დაიურებს; რ — ბძანება, ბძენი, კძალვა, გაზდილი, მკთალი, თთვილი, ჩდილი, თთოლა;

ბგერის ჩართვა: ვ — ფლასვითა; რ — ყაბარჩა, ვითარკილენით, წრვრილად;

სუბსტიტუცია: გვერცა, ანბავი, თუნცა, ფარვანი, ნარგიში;  
თანდებულები თვის და მდის წარმოდგენილია თვი/თვინ და მდი//მდინ  
ფორმებით; ჩემთვი, მეფისთვი, ვერავისთვინ, გულისათვინ, აქამდინ;

მო —, შე — შემო — პრევერბებს შესაბამისად სცვლიან მე —, შა —, შამო—  
შემა— პრევერბები: მამეგება, მამკლავს, შაეკაზშე, შემამხედის, შამამყარე-  
ნით, შამომკრებელნი;

მოთხრობითი ბრუნვა წარმოდგენილია გამარტივებული სახით —შა; მოლა-  
რემა შინაურმა, საუბარმა უმეცარმა, კაცმა გონიერმა;

ზმნას ხშირად მოკვეცილი აქვს 1 1 1 პირის სუბიექტური ნიშანი —ს: მით-  
ქემს / მითქემ, მიზრახავს / მიზრახავ, წაგიკითხავს // წაგიკითხავ, გმართებს /  
გმართებ, სჯობს // სჯობ<sup>11</sup>;

შეიმჩნევა მიდრეკილება ზმნის ხოლმეობითი ფორმებისადმი: მიახლე პოდა//  
მიახლებოდის, დააპირა // დააპირის, წამოვიდა // წამოვიდის, მოდრიკა // მოდრი-  
კის, დასხდეს, უბნობდეს // დასხდის, უბნობდის.

ხელნაწერში, განსაკუთრებით ზმნასთან დაკავშირებით, არაა დაცული რა —  
იმე გარკვეული კანონზომიერება, არეულია სუბიექტური მეორე პირისა და ობი-  
ექტური მესამე პირის ჰ და ს პრეფიქსების ხმარების წესი, საყურადღებოა,  
რომ ხელნაწერებში დამოწმებული ზმნის ძველი ფორმები გურგენასეულ ნუსხა-  
ში ახლითაა წარმოდგენილი: ნახეს... ნახვა მოუნდა // მოუნდათ; ესხნეს / ესხნენ,  
უჩს / სჩანს, მოკვეე / მოკვედი, ყველანი... გეთხრობდეს // გეთხრობდნენ, მიცე-  
მულვარ // მიცემულვარ, ღირს ვარ // ვღირსვარ და სხვა.

ნაწერის საერთო ხასიათის მიხედვით სავარაუდოა, რომ გადამწერს არ  
შეუძლია ტექსტში რაიმე გააზრებული ცვლილების შეტანა, იგი მხოლოდ პროტო-  
გრაფის ზუსტ ასლს იღებს და ამიტომ ნუსხის ყველა თავისებურება (იქნება ეს  
ორიგინალური, მხოლოდ ამ ხელნაწერისათვის დამახასიათებელი წაკითხვა, ან  
ამა თუ იმ ეპიზოდის კომპოზიციური გამართვა თუ სხვა რამ) მისი პროტოგრა-  
ფიდან უნდა მომდინარეობდეს.

შედგენილობით ხელნაწერი პოემის ვრცელი რედაქციის შედარებით მოკლე  
ვარიანტს წარმოადგენს; ალ. ბარამიძე აღრევე აღნიშნავდა, რომ "რედაქციუ-  
ლი სიმოკლე, ნართაული სტროფების იშვიათობა ... შეადგენს გურგენასეული  
ვეფხისტყაოსნის დიდ ღირსებას"<sup>12</sup>. ცნობილია, რომ პოემის ძირითადი სტროფუ-  
ლი შედგენილობა XV 1 1 1 X V 1 1 1 საუკუნეთა ხელნაწერებში საკმაოდ სტაბილუ-  
რია, ამდენად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ხელნაწერში პოემის კუთვნი-  
ლებად მიჩნეულ სტროფთაგან არაა რამდენიმე:

98 (70) — კვლა ბრძანებს: მონა თორმეტი ...

2 45 (174) — ღმერთი, ღომო, შენად ნაცულად ...

268 (191) — თავსა უთხრა: "მოკვე, გიჯობს ...

- 270(193)– მით ჩამოვიდა ავთანდილ . . .
- 462(339)– ალარა ვიცი, დამეწყდეს . . .
- 482(356)– იქით და აქათ მომისხდეს . . .
- 547(411)– მიბრძანა: ძულან გეწყინა . . .
- 809(655)– დევთა ყვირილი, ზახილი . . .
- 1022(845)– ყმა დაკმუნდა, ვითამც რამე . . .
- 1027(850)– ჯერ მისი მსგავსი სასჯელი . . .
- 1162(979)– მათ ლაშქართაკე წავიდა . . .
- 1247(1063)– მოვიდა მისი შებაღე . . .
- 1496(1310)– ესე წიგნი, საყვარელსა . . .
- 1855<sup>1</sup>(1651)– მოახსენა: ხელმწიფეო . . .
- 1855<sup>2</sup>(1652)– კვლაცა უბრძანა ტარიელ . . .
- 1855<sup>3</sup>(1653)– დამორჩილდა, მოახსენა . . .

აქ მოყვანილი 16 სტროფიდან ზოგიერთის ავთენტურობა (მაგ.: სტროფები 245(174), 268(191), 370(199), 462(339), 809(655), 1855<sup>1,3</sup>(1651–1653) მკვლევართა დაქვეებას იწვევს<sup>13</sup>. ესენი არ მოეპოვებათ მთელ რიგ სანდო ხელნაწერებსა (EFJKTXYZ); ამგვარად, ის გარემოება, რომ გურგენასეულ ნუსხაში არაა ზემოჩამოთვლილი სტროფები, ერთგვარი ტრადიციითაა განმტკიცებული. ამას ვერ ვიტყვით 98(70) და 1247(1063) სტროფების შესახებ. პირველის ავთენტურობა თუმც საეჭვოა, იგი ყველა ხელნაწერშია და იქნებ გურგენასეული ნუსხის ჩვენება ერთგვარ საფუძვლად გამოდგეს პოემის ძირითადი შედგენილობიდან მის გამოსარიცხად რაც შეეხება 1247(1063) სტროფს, მისი ორიგინალურობა ეჭვს არ იწვევს. ჩანს, ხელნაწერში რაღაც გარკვეული მიზეზის გამო არაა შეტანილი, რასაც მისი შემცველი ეპიზოდის თავისებური კომპოზიციური გამართვა მოწმობს<sup>14</sup>.

დანარჩენი სტროფები. – 482(356), 547(411), 1022(845), 1027(850), 1496(1310) იმდენად აუცილებელია პოემისათვის, რომ მათი დანაკლისი ხელნაწერში მხოლოდ შემთხვევითობას შეიძლება მივაწეროთ.

პოემის სხვა ნუსხათა შორის Q 93V–ის ადგილის განსაზღვრისას ძირითადი ამოსავალ ზღუნაწერის ნაირკითხვათა ანალიზი იყო, რადგან ვარიანტული მონაცემები თვალსაჩინოს ჰხდინა პოემის ტექსტის ცვლილებას გადაწერის ხანგრძლივ პერიოდში და მათი ერთმანეთთან შეჯერებით თანდათანობით ვლინდება ხელნაწერთა ურთიერთმიმართება და ცალკეული ნუსხათა რედაქციული წარმოშობა. ამ თვალსაზრისით “ვეფხისტყაოსნის“ XV11 – XV111 სს. ძირითად ხელნაწერთა შორის შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ჯგუფი, რომელთაც აქვთ მსგავსების მეტად სტაბილური მომენტები და პოემის ტექსტის ისტორიული გრადაციის გარკვეულ ეტაპებს წარმოადგენენ, ეს ჯგუფებია: ABCMX, DU V, FIZ, JKOT. ამათგან R ყველაზე ახლოა FIZ ხელნაწერთან და მათთან ერთად პო-

ემის მეტად საინტერესო რედაქციის ერთ-ერთ ნუსხას წარმოადგენს.

F — გადაწერილია ერეკლე პირველის სახლთუხუცესის პაპუნა ბებურიშვილისთვის 1688 წელს, შეიცავს 1846 სტროფს<sup>15</sup>.

I — გადაწერილია XVI 11 საუკუნის დასაწყისს, ნაკლულია, შეიცავს 1794 სტროფს<sup>16</sup>.

Z — ბოდლის ბიბლიოთეკის (ოქსფორდი) მარჯორი უორდროპისეული ფონდის ხელნაწერი, გადაწერილი უნდა იყოს XV 11 საუკუნეში, ნაკლულია, შეიცავს 1536 სტროფს<sup>17</sup>.

ხელნაწერთა ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისას ნაირკითხვათა გარდა აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ტექსტის შედგენილობა. ამ თვალსაზრისით, პოემის ძირითადი ხელნაწერები ფართოდაა განხილული ს. ცაიშვილის ნაშრომში "ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები". მკვლევარს ოთხივე დასახელებული ხელნაწერი ერთ ჯგუფში აქვს მოთავსებული (პოემის შუამონაკვეთის პირველი რედაქცია, ა ჩანართებიანი პლასტი)<sup>18</sup>.

FIRZ ნაირკითხვათა შედარებისას საფუძვლად ავიღეთ ვეფხისტყაოსნის A ხელნაწერი; ნუსხებს ერთმანეთს ვუდარებდით იმ ვარიანტულ წაკითხვათა მიხედვით, რომელნიც არ შეიძლება გაჩენილიყვნენ სხვადასხვა პიროვნების მიერ გადაწერილ ოთხ ხელნაწერში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად — ამგვარი დამთხვევა აუცილებლად გულისხმობს ამ ნაირკითხვათა დასაბამის დამდებ საერთო რედაქციული არქეტაპის არსებობას. ნუსხის ზოგადი მიმოხილვისათვის წარმოდგენილი ნიმუშები ასე თუ ისე ამჟღავნებენ რედაქციის შინაგან ტენდენციებს.

ხელნაწერები ხშირად იძლევიან ისეთ ვარიანტულ წაკითხვებს, რომელნიც შინაარსზე გავლენას არ ახდენენ და ფაქტიურად წარმოადგენენ სიტყვის შეცვლას მისი სინონიმით. მაგ.: "ნდომა" შეცვლილია "წადილით", "ქმუნვა", "ნალველით" და სხვა.

გადამწერის წიგნიერებას მოწმობს, რომ სიტყვა "მეკობრენი", რომელიც ალბათ, ჩვეულებრივი მკითხველისთვის გაუგებრად ჩათვალა, შეუცვლია მისი საკმაოდ ზუსტი, თითქმის ლექსიკოლოგიური განმარტებით "ზღვისა ქურდნი".

12 17 (1033)

A მუნ მეკობრეთა დაგვხოცნეს ძელით სახნისის წვერითა

FIRZ " ზღვისა ქურდთა " " " " " "

პარალელურად გვხვდება ადგილები, სადაც ფრაზის რომელიმე ელემენტი შეცვლილია ისე, რომ ელფერი ეცვლება მთელ ტაეპს, თუმცა შინაარსი იგივე რჩება:

A ჩემი თქვი რა ვქნა ბნელქმნილმან მზე მიმეფაროს მე ცისა  
FI RZ " " " " დღეკრულმან " " " თუ "

1076 (895)

A ერთსა რასმე მოგახსენებ გამიცხადე დაფარული  
I R Z " " " გიაჯები " " "

ამგვარად ცელილებები ხელნაწერებში ძირითადად პოემის ლექსიკურ მასალაზე დაყრდნობით ხდება და არის შემთხვევები, როდესაც ტექსტი ასხვაფერებენ რუსთველისთვის დამახასიათებელი პოეტური ფრაზეოლოგიით. ჩანს, იყვნენ გადაწყვერები, რომლებმაც კარგად იცოდნენ პოემა და ფრაზის გარკვეული წყობა იწვევდა ანალოგიის ასოციაციას. მაგალითად:

209 (144)

A წა მაგრა მომხვდეს რაღა ვქნა თუ სიშორისა გრძელობა  
FI RZ მაგრა თუ " " " არ დია დღეთა "

საფიქრებელია, რომ ფრაზა "არ დია დღეთა გრძელობა" ამ ხელნაწერებში გაჩნდა 1122 (940) სტროფის ("უშენოდ მომხვდეს, რაღა ვქნა, არ დია დღეთა გრძელობა") გავლენით, ამ ორი; ტაუპის ლექსიკური ("მომხვდეს, რაღა ვქნა") და შინაარსობრივი მსგავსების გამო.

ასევე ანალოგიით უნდა აიხსნას შემდეგი ვარიანტული წაკითხვა:  
883 (717)

A პირი დასდვა და აკოცა ცრემლი სდის ვითა ბისონი  
FI RZ პირსა დაიდვა დაცაბნდა " " " "

რომელიც ალბათ 639 (497)-ე ტაუპის გავლენითაა შექმნილი: "პ ი რ ს ა დ ა ი დ ვ ა , დ ა - ც ა - ბ ნ დ ა , ქ ვ ე მ კ ვ დ ა რ თ ა დ ა ე დ ა ს ე ბ ი ს ".

პოემის ამ ნუსხაში შეიმჩნევა ბუნდოვანი კონტექსტის გააზრებისა და ინტერპრეტაციის ტენდენცია. ამგვარი "გასწორება" ფაქტურად გადაწყვერის მიერ ტექსტში შეტანილ კონიექტურას წარმოადგენს და სწორედ ეს შეგნებული, მიზანდასახული ცვლილებანი ქმნიან რედაქციულ სახეს. ამ ხელნაწერის ნაირკითხვანი საგანგებო, დეტალურ შესწავლას მოითხოვს. აქ მხოლოდ ზოგიერთს აღვნიშნავთ.

რუსთაველის ჰიპერბოლა "წყლიო ქვანიცა გამოსხდიან"(1150(967) გადაწყვერმა ალბათ შეცდომად მიიჩნია და კონტექსტის შესაფერისად აზრი ასე გამართა:

მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლითა თ ე ვ ზ ნ ი გამოსხდიან<sup>19</sup>.

ემენდაციის ცდის თვალსაზრისით საინტერესოა ტაუპი: "ქალი ახლავს ს ა ს უ რ ე ე ლ ა დ , ს უ ლ თ ა დ გ მ ა დ და ჰ ი რ თ ა თ მ ე ნ ა დ " (859 (700), რომელიც FI R Z ხელნაწერებში წარმოდგენილია ასე:



ქალი ახლავს ს ა ყ ვ ა რ ლ ი ს ა სულთა დგმად და კირთა თმენად.

ადრეც აღენიშნეთ, რომ სიტყვის სინონიმით შეეკლა ხშირია ამ ხელნაწერებში, აქაც შეიძლება დავიმოწმოთ ორი ადგილი, სადაც "სასურველი" შეცვლილია "საყვარელით" – 1183 (1000) და 1462 (1277):

1183 (1000)

A მითხრა ამბავი მისი და მისისა სასურველისა

FIZ " " " " " საყვარელისა

1462 (1277)

A მას მზესა ჰკადრა ამბავი მისისა სასურველისა

RZ " " " " " საყვარელისა

მაგრამ FIRZ ხელნაწერებში გვაქვს სიტყვის არა უბრალო სინონიმური შეკლა, არამედ ტექსტის გააზრება (ასმათი ახლავს სასურველად – ქალი ახლავს ნესტან-დარეჯანისა), რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ გადამწერი შეუფიქრია-ნებია ხელნაწერით წარმოდგენილ ტექსტს და ჯეროვნად ვერ გაუგია<sup>20</sup> (საეჭვოა, რომ FIRZ წაკითხვას მოეცა A ტიპის ტექსტი, პირიქით კი სავსებით მოსალოდნელია). ერთი მხრივ ზემოთ დამოწმებული ფაქტები "სასურველის" "საყვარელით" შეცვლისა, მეორე მხრივ რედაქციის საერთო ტენდენცია კონტექსტის გააზრებისა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ FIRZ წაკითხვა გადამწერისეული გასწორებაა.

გარდა საერთო წაკითხვებისა, FIRZ ხელნაწერთაგან თითოეულს აქვს დამოუკიდებელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი წაკითხვა, რასაც ნუსხათა რედაქციული შესწავლისას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. R-ის ამგვარი წაკითხვათაგან აღენიშნავთ რამდენიმეს.

გადამწერისთვის გაუგებარი ადგილის გააზრების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ერთი ტაეპი ავთანდილის ანდერძიდან, რომელიც მთელ რიგ ნუსხებში, მათ შორის A-ში, იკითხება ასე:

ვგმობ კაცსა უ ა უ გ ო ს ა, ცრუსა და ღალატინსა. 970 (798).

რამდენიმე ხელნაწერში (DEU VX) "უაუგოსა" ნაცვლად არის "აუგიანსა" "ვგმობ კაცსა აუგიანსა . . . "საეარაუღოა, რომ R-ის რედაქციის შემქმნელს A ტიპის ნუსხა ჰქონდა ხელთ, რადგან სიტყვა "უაუგოსა"<sup>21</sup>, რომელიც, ჩანს, არ ესმოდა (უაუგო და ცუდი?), ტაეპიდან ამოუგდია და ტექსტი ასე გაუმართავს:

ვგმობ კაცსა ც რ უ ს ა, მ უ ხ თ ა ლ ს ა და მერმე ღალატინსა. . .

სიტყვა, რომელიც გადამწერს არ ესმის, ხელნაწერში სავსებით იგნორირებულია და შეეკვლილია კონტექსტისთვის შესაფერისი სხვა სიტყვით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა "ძენტი", რომელიც A ხელნაწერში ორჯერ გვხვდება, R-ში კი სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი:

1 293(1 109)

A ამა საქმისა ვერ ცნობა თქვა ჩემი სიძუნტე არსა  
R " " " " " ზიანი "

1745 (1 547)

A მტერთა მკლავნი შეაძუტნეს გულნი ჩვენნი აგულვანნეს

R " გული შეაძრწუნეს " ჩვენი აგულოვნეს

ჩანს, გადამწერმა კარგად იცის პოემის შინაარსი, რაც საშუალებას აძლევს თავის ნებაზე "შეასწოროს" რომელიმე ადგილი. მაგალითად, როდესაც გამოქვაბულში დაბრუნებულ ტარიელს ასმათი გამოეგებება, ავთანდილისთვის და მასთან ერთად მკითხველისთვისაც იგი ჯერჯერობით მხოლოდ შავით მოსილი ქალია, გადამწე-რი კი, რომელმაც იცის ვინ არის იგი, ასე ასხვაფერებს ტექსტს:

338 (221)

A ქვაბისა კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა

R ასმათ ქვაბთ კართა " " " "

გურგენასეული ნუსხის ორიგინალურ წაკითხვებში იგრძნობა ქართველი ადამიანის ბუნება, რომლისთვისაც (შესაძლებელია, სავსებით შეუფხვებლად) სიტყვა "უკვდავებისა" იწვევს "წყაროს", ხოლო "კლდე" – "სალის" ასოციაციას:

1 453 (1 268)

A დღეს რომე მესმნეს ამბავნი უკვდავებისა სწორანი

R " " " " " წყარონი

1499 (1 333)

A აქა თავსა გარდავიქცევ ახლოს მახლავნ დიდნი კლდენი

R " " " " " სალი "

ხელნაწერის დამოუკიდებელ წაკითხვათაგან განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ორი – "მობურთლობითა" და "გალიმილი"

84 (63)

A ანუშკა მგვანდა მშვილდოსნად და ანუ კვლავ ბურთობითა

R ანუშკა " " ანუ კვლა მობურთლობითა

რუსთველის პოემის ტექსტის მკვლევარის ი. ვიგინეიშვილის აზრით, "მობურთობითა" არის ერთადერთი მართებული წაკითხვა, რომელიც მხოლოდ R ხელნაწერმა შემოგვინახა<sup>22</sup>.

სიტყვა "გალიმილი" კი უცნობია პოემის რედაქტორს ხელნაწერების, ასევე გამოცემებისათვის, ტრადიციულია წაკითხვა "მე ლიმილისა".

391 (290)

A არ გიკვირს გავსძელ ვერკვერეტა მისისა მე ლიმილისა

R " " " " " გალიმილისა

გურგენისეულ ნუსხაში დატული სიტყვის ("გალიმილი") წარმოება სავსებით

შეესაბამება ქართული ენის ბუნებას, ყოველ შემთხვევაში, საეჭვოა რომ წაკითხვას — “მე ღიმილისა” — მოეცა “გაღიმილისა”, ეს უკანასკნელი სხვა ხელნაწერებში დამოწმებულ წაკითხვებთან შედარებით *lectio difficilior* — ად გვეჩვენება და პოემის ნამდვილ წაკითხვად მიგვაჩნია.

R ხელნაწერების მსგავსება FIR ხელნაწერებთან, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, თითქოს იგი გამიჯნული იყოს სხვათაგან. ვეფხისტყაოსნის ნუსხებს მეტად რთული ურთიერთობა აკავშირებთ. ერთი რედაქციის ფარგლებშიც კი მსგავსებასთან ერთად აშკარად იგრძნობა განსხვავებაც, რაც საგანგებო შესწავლას მოითხოვს. FIRZ ნუსხების, კერძოდ გურგენასეული ნუსხის საზიარო წაკითხვანი E, L, JT, GH, KO ხელნაწერებთან საყურადღებო მასალას იძლევა ცალკეულ რედაქციათა ურთიერთობისათვის. FIRZ ხელნაწერები გარკვეულ ეტაპზე შექმნილი ერთი რედაქციის ნუსხებს წარმოადგენენ და მათ შორის გურგენასეული ერთ-ერთი მნიშვნელოვანია.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ძველი საფონდო ნომერია Q 859. ხელნაწერის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კირიონ საძაგლიშვილის წერილი “ვეფხისტყაოსნის შესამოწმებელი მასალა (უბის წიგნაკიდან)” (ეურნ. “მოამბე”, 1904, V, გვ. 20-32). ს.უაიშვილის აზრით, წერილის ავტორს დაახლოებით 1894 — 5 წწ, ხელთ უნდა ჰქონოდა ხელნაწერი, რომელსაც ამჟამად გურგენასეულს უწოდებთ (სმგ მოამბე, 1963, № 3, გვ.163-4).

2. ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 111, გვ.230.

3. იქვე: აგრეთვე — ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ახალი კოლექციისა, ტ. 11, თბილისი, 1958, გვ. 358.

4. ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 111, გვ.231.

5. კ. საძაგლიშვილის მიერ აღწერილი ხელნაწერის პროლოგი შეიცავს 39 სტროფს (“მოამბე” 1904, V, გვ. 32).

6. სტროფები: 147 (98) — 155 (105) 848 (690) — 855 (697) 891 (727) — 898 (732) 1597 (1404) — 1618 (1422).

7. რადგან ამ სტროფებს მნიშვნელობა აქვს ხელნაწერის შედგენილობის გასარკვევად, შევეცდებით მათი ნუმერაციის აღდგენას. ესენია: 41 (32), 45(34), 62 (45), 66(49), 95 (68), 102 (73), 166,176 (119), 182 (123), 186 (127), 192(131) 196 (135), 207 (143), 212 (147), 366(266), 370 (270), 373 (273), 439(322). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩანართი და დანართი ტექსტებით გამოქვეყნებულ “ვეფ-

ხისტყაოსანში“ (გვ. 126), აგრეთვე “ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ მეორე ნაკვეთში (თბილისი, 1961, გვ. 431) ხელნაწერის ძველი საფონდო ნომრით Q 859 დაბეჭდილია სტროფები 824<sup>1-2</sup>. ასეთი სტროფები ხელნაწერში არ არის. ზემოდასახელებულ წიგნებში მოყვანილი ტექსტი წარმოადგენს ორი სხვადასხვა სტროფის დასაწყისისა და დასასრულის შეერთებას. ალბათ, ხელნაწერის რესტავრაციამდე ეს ფრაგმენტები ისე იყო დალაგებული, რომ მთლიანი ფურცლის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა.

8. სტროფები 1324 (1139) – 1327 (1142).

9. საინტერესოა გადამწერისათვის შეუგნებლად არაქართული კონსტრუქციით აგებული ფრაზა – “მაშინ მოგეცა იმედი ლ ხ ი ნ მ ა რ ა დ გ ა მ ი ზ ი ა რ ე“ (530(396))

10. გადამწერის პუნქტუალობის საბუთი ტექსტში ბევრია. მაგალითად, სიტყვა “გარდაჰხდა“ (1276(1092)) ჯერ ხ-ანით დაუწერია, მაგრამ შემდეგ წაუშლია და გვერდით ჰ მიუწერია.

11. ამ თავისებურებასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ნუსხის ზოგიერთი ვარიანტული მონაცემი:

ოცხალი და ვხვდე, უკვირდეს, სიოცხლე არს სათუები – 1029 (852), R იძლევა ვარიანტს არს//არ; რომელიც შინაარსით იგივეა, რაც “არს“, განსხვავდება მხოლოდ ფორმით – ჩამოკლილი აქვს 111 პირის სუბიექტური ნიშანი – ს. ამ თავისებურების გათვალისწინების გარეშე “არ“ შეიძლება უარყოფით ნაწილაკად მიგვეჩნია. ანალოგიური ვითარება შეიმჩნევა სხვა ხელნაწერებშიც.

12. ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნარკვევები, 111, გვ. 234.

13. 5. მ ა რ ი, Spuria A 163; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანი, 1927, გვ. XXV, სქოლიო 1; ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. VI 11, XXX111, XXXVI – XXXVI i, კ. კეკელიძისადმი მიძღვნილი კრებული, 1959, გვ. 381–2, მნათობი, 1959, № 11, გვ. 167 – 168.

14. სტროფი 1247 (1063) პოემისათვის აუცილებელია, მისი გამოტოვება გამოიწვევს თხრობის თანმიმდევრობის დარღვევას, ეპიზოდის კომპოზიციურ შეუსაბამობას. საყურადღებოა, რომ ხელნაწერში ეს არ იგრძნობა. მებაღის ფუნქცია, რომელიც ამ სტროფებს აკავშირებს, ავთანდილის მიერ “დამიზღებულ“ ხალხზეა გადატანილი, ტექსტი მოგვყავს ხელნაწერის მიხედვით, აქა-იქ ალვად-გინეთ დაზიანებული წაკითხვანი:

მთ ბაღთა პირსა დააბეს ნაეი საბლითა სამითა,  
ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცივა, დაჯდა სკამითა;  
მოასხნეს კაცნი მზიდავნი, დამზადებულნი ღრამითა,  
იგი ყმა ვაქრობს, თავადობს და თავს იმაღავს ამითა.

1246(1062)

“წვირილა მითხარ ყ[ველაკაი — ყმა] მათ კაცსა [ ეუბნები] ს —  
რა ლარია უფრო ძვირად, ან იაფად რა იხსნ [ ები ] ს?”

ჰკადრეს: [... ] ეს, პირ [ი შენი] მზისა პირად გვემცი [ნების],  
რაცა ვიცით, მართლა გკადრებთ, მრუდი არ მოგესწნების”

1248(1064).

შესაძლებელია გადასაწერ ნუსხას აკლდა 1247 (1063) სტროფი, ან დაზიანებული იყო და გადაწვერმა ამგვარად სცადა ხარვეზის შეკვება.

15. *Е. Така й швили* — Описание рукописей, 1908, II, вып. III. გვ. 565,  
ს. *ლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი*, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული  
შედგენილობა, გვ. 303.

16. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ.1, თბილისი, 1957, გვ.268;  
ს. *ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი*, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, გვ.304.

17. *ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი*, *ე. თარხან—მოურავისეული ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი*, “მნათობი”, 1962, № 2, გვ. 139 — 142; *ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი*,  
ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობა, გვ. 312.

18. *ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი*, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბილისი, 1963, გვ. 48—56, 57—58. 62. *იხ. აგრეთვე წიგნისათვის დართული ტაბულა.*

19. საინტერესოა ამ ტაეპის თეიმურაზ ბაგრატიონისეული განმარტება; თუმცა განსამარტავი ტაეპი A რედაქციითაა წარმოდგენილი, თვით განმარტებაში თეიმურაზი “ზღვის ცხოველებზე” ლაპარაკობს. *იხ. თეიმურაზ ბაგრატიონი*, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბილისი, 1960, გვ. 173.

20. მსგავსი შემთხვევაა “რუსუდანიანიში”. “აწ, შვილო ს ა ს უ რ ე ე ლ ო ,  
არც მე დამინდო სოფელმან . . . ” 3698 ხელნაწერი “სასურველს” ცვლის სიტყვით “საყვარელო”: “აწ, შვილო ს ა ყ ვ ა რ ე ლ ო . . . ” “რუსუდანიანი”, ილ. აბულაძის და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 134.

21. შდრ. თეიმურაზ ბაგრატიონისეული განმარტება ამ სიტყვისა: თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება . . . გვ. 212, 278.

22. *ი ვ ა ნ ე გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი*, გამოკვლევები “ვეფხისტყაოსნის”  
ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ, “მეცნიერება”, თბილისი— 1975,  
გვ. 303—305. საყურადღებოა, რომ ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ ამ ფორმის სიძველეს და მართებულობას. წმინდა გიორგის ეპითეტია: “გიორგი, რჯულიან—  
ურჯულოთ სალოცავო, ნადვარში მ ო ბ ზ რ თ ა ლ ო,” ან “გუნხეე მ ა ბ ზ რ -  
თ ა ლ ი ს ხ ა ტი”. *Вера Бирр д а в е л и д з е* — Древнейшие религиозные ве-  
роования грузинских племен и обрядовое графическое искусство. Тбилиси, 1956,  
გვ. 105—106.

## თ ა ვ ი შ ე ს ა მ ე

### ვეფხისტყაოსნის მზებათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგისათვის

(პროტოგრაფის აღდგენის ცდა)

ვეფხისტყაოსნის პროლოგის რედაქციული განხილვა საგანგებოდ მოვიტოვეთ ბოლოსათვის, მას შემდეგ რაც პოემის სტილისტურ რედაქციათა დადგენის და გამოყოფის პრინციპები გაეარკვიეთ.

პროლოგის შესწავლა ვაცილებით მეტ სიძნელეებს აწყდება, ვიდრე საკუთარივე პოემის ტექსტისა; პირველ ყოვლისა, თვით მასალა განაპირობებს ამ სირთულეს, რადგან ხელნაწერებში იგი ყველაზე "ცვლადი" კომპონენტია და სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი (მოკლე და ვრცელი, სრული და უსრული, სტროფთა განსხვავებული თანრიგი).

ვეფხისტყაოსნის რედაქციული წარმომავლობის შესახებ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულმა ერთგვარმა ორქოფობამ (პროლოგში გამოკლებულ საკუთრივ პოემის – ე.ი. ამბის – რედაქციითაგან განსხვავებულ ერთეულებს) გვიკარნახა აუცილებლობა მისი ამ თვალსაზრისით შესწავლისა. კვლევისთვის აღებულ ხელნაწერთა არჩევანი შემთხვევითი არ იყო: მზებათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგი, სხვათაგან მეტად განსხვავებული სტროფული შედგენილობით და თანმიმდევრობით, სიუჟეტურად ბევრი გაუგებარი მომენტის შემცველი, ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელი შეიქმნა. სწორედ ამ მოსაზრებათა გამო დაეთმო მას უპირატესი ყურადღება.

\*  
\* \ \*  
\*

მზებათუნისეული რედაქციის ნუსხათა (J KGT) პროლოგი ფრიად თავისებურია სტროფული წყობით<sup>1</sup>. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რას წარმოადგენს ეს პროლოგი? რამ განაპირობა მისი განსაკუთრებული სახე?

რუსთველოლოგიის ისტორია მოწმობს, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგი მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების საგანია. ეს სავესებით გასაგებია:

აქ მოცემულია პოეტის თეორიულ შეხედულებათა მთელი სისტემა, რიგი ისტორიულად მნიშვნელოვანი ფაქტებისა, რომელთა სწორ ინტერპრეტაციაზეც დიდადაა დამოკიდებული პოემის მართებული გაგება.

პროლოგის შესწავლას მიეძღვნა ნ. მარის ფუნდამენტური ნაშრომი: "Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовый шкуре Шоты из Рустава, დაწერილი 1910 წელს. აქ მან გარკვეულ თეორიულ წინამძღვრებზე დაყრდნობით ტექსტის საკუთარი რეკონსტრუქცია წარმოადგინა, რომელშიც პროლოგის 22 სტროფი შევიდა მხოლოდ. ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ უარყოფდა პროლოგის ავთენტურობას. იმ რუსთველოლოგთა რიგი, რომელთაც პროლოგი პოემის მიუცილებელ კომპონენტად მიაჩნდათ, ვეფხისტყაოსნის პირველი გამომცემლის – ვახტანგ VI სახელით იწყება. ეს შეხედულება გაიზიარა ძველი და ახალი დროის თითქმის ყველა რუსთველოლოგმა.

თუმცა პროლოგის სტროფული შედგენილობა ხელნაწერებში სხვადასხვაა, რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრით მისი მოცულობა 31 სტროფით განისაზღვრება. რაც შეეხება სტროფთა თანმიმდევრობას, სპეციალურ ლიტერატურაში არჩევენ ორგვარ წყობას – ე.წ. "თავდაპირველს", რომელიც სამეფო სახლის (ABCM) ხელნაწერებშია დაცული, და "ზაზასეულს", წარმოდგენილს ზაზასეულ (D) ხელნაწერში და დასტამბულს ვახტანგ VI მიერ გამოცემულ "ვეფხისტყაოსანში". უკვე საესეებით გამორკვეული და დამტკიცებულია, რომ "ზაზასეული" თანრიგი სტროფებისა გამოიწვია ხელნაწერში ფურცელთა აღრევაში, და ერთადერთი მისაღები რიგი სტროფთა თანმიმდევრობისა დაცულია სამეფო სახლის ხელნაწერთა რედაქციაში.

ალ. ბარამიძის საფუძვლიანი დასკვნით, ვეფხისტყაოსნის პროლოგი აგებულია გარკვეულ ტრადიციულ პრინციპებზე დაყრდნობით<sup>2</sup>, სადაც თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი ღვთისა და მეფეთა ქება, შემდეგ კი ცალკეული სიუჟეტური რკალები: ამბავთათვის (ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები), მოშაირეთათვის, მიჯნურთათვის<sup>3</sup>.

მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგის კვლევისას ჩვენ მიზანს არ შეადგენს პოეტის თეორიულ შეხედულებათა ანალიზი; ამჯერად ჩვენთვის მთავარია ის, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგი მტკიცედ შეკრული ერთობლიობაა; სამეფო სახლის ხელნაწერებში წარმოდგენილი, ხოლო პოემის გამოცემებით დაკანონებული<sup>4</sup> მისი სახე ჩვენთვის ამოსავალი პრინციპია მზეხათუნისეული რედაქციის პროლოგის ტექსტის საანალიზოდ. ასევე არ შეეხებით პროლოგის გარშემო გამოთქმულ სხვადასხვა ჰიპოთეზას, არც პროლოგის რეკონსტრუქციის სხვადასხვაგვარ ცდას, რამდენადაც ისინი არაა დაკავშირებული ჩვენთვის საინტერესო რედაქციასთან. საკითხის სიცხადისათვის საჭიროდ მიგვაჩნია

ზოგადად მიმოვიხილოთ ხელნაწერებში წარმოდგენილი ვითარება პროლოგისა და საგანგებოდ პროლოგის ტექსტოლოგიური შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომები.

ვეფხისტყაოსნის მკვლევარი და გამომცემელი ს.კაკაბაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პოემის პროლოგს: აქ ეძიებდა იგი მასალას შოთა რუსთველის ბიოგრაფიისათვის. პოემის პროლოგის პირვანდელი მოცულობის დასადგენად იგი მიმართავდა მამუკა თავაქარაშვილის (H 599) და მამუკა ბებური-შვილის (S 2829) ხელნაწერებს და საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ბებური-შვილის ხელნაწერის "პროლოგი არ შეიცავს თამარის შესხმის სტროფებს, თუმცა მასში არის სტროფები "მე რუსთველი ხელობითა", "ესე ამბავი სპარსული"<sup>5</sup>. მკვლევარს ეს გარკვეული ისტორიული ვითარების ანარეკლად მიაჩნდა: ჩვენთვის საინტერესო რედაქტირებულ (J) და ქუთაისურ (O) ხელნაწერთა პროლოგის შედარებით EF პროლოგთან ს. კაკაბაძემ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ეს ხელნაწერებიც უარყოფენ ჩამდენიმე სტროფს, რომელშიც ნახსენებია თამარი და რუსთველი, რომ პროლოგის ადრინდელი მოცულობა .23 სტროფია და "ამგვარად, პოემის პროლოგში თავდაპირველად არ ყოფილა სტროფები თამარის და თვით რუსთველის მოხსენიებით"<sup>6</sup>. მკვლევარის აზრით, პროლოგის ეს პირვანდელი რედაქცია ასახულია რიგ ხელნაწერებში, მაგრამ შემდეგდროინდელი ნართაული სტროფების ჩამატებით. რუსთველის სახელის შემცველი სტროფები პირველ რიგში ემატება ამ შემდეგდროინდელ ვარიანტებს, თამარის სახელი კი მათში არ ჩანს. ამგვარ ხელნაწერთა შორის სარგის კაკაბაძე პირველ რიგში მიუთითებს რედაქტირებულ ხელნაწერს, აგრეთვე ქუთაისურ, ნაკაშიძისეულ და ხოვლელის ნუსხებს (JOKI)<sup>7</sup>.

მ. გუგუშვილი ნაშრომში "ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის" საგანგებო თავს უთმობს პროლოგის ტექსტის შესწავლას; ამ თვალსაზრისით. ხელნაწერებს ორ ჯგუფად ჰყოფს – ზოგ ხელნაწერს დაუცავს პროლოგის ვრცელ ტექსტი, ზოგს – მოკლე; რაც შეეხება თანრიგს, აქ პირველი თანრიგი ABCEF ხელნაწერებშია, მეორე კი D G-ში. აქ მკვლევარი საესებით საფუძვლიანად გამოყოფს რედაქტირებულ ხელნაწერს: "ცალკე დგას ხელნაწერი H 461, რომელშიც პროლოგი ძალზე დაზიანებულია, გადარჩენილი ფურცლების კიდებებიდან ირკვევა, რომ ხელნაწერში პროლოგის თანრიგი ძალზე არეული ყოფილა, არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება H 461-ის მსგავსი თანრიგი"<sup>8</sup>.

ვეფხისტყაოსნის პროლოგის კლასიფიკაციაა მოცემული ს.ცაიშვილის ნაშრომებში. "ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიაში" ავტორი გამოყოფს პროლოგის სამ ტიპს: პირველ ტიპს განეკუთვნებიან ხელნაწერები, რომლებიც თავნაკულია,



ხოლო სტროფული თანმიმდევრობა ჩვეულებრივი აქვთ (EF[NYZ]), მეორე ტიპს – სტროფთა ჩვეულებრივი თანმიმდევრობის შქონე, ოღონდ ვრცელი შედგენილობის ხელნაწერები (ABCDEFGHI [M] O [RT] X), მესამე ტიპს – ე.წ. “ზაზასეული” ტიპის ხელნაწერები (DGH [LQ] UV)<sup>9</sup>.

აი, ძირითადად ის მოსაზრებანი, რომლებიც გამოთქმულია რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო საკითხის გამო.

როგორია ჩვენი პოზიცია ამ საკითხში?

მზეხათუნისეული რედაქციის ტექსტის გარკვეული სტილისტური რედაქცია გვიკარნახებს პროლოგი განვიხილოთ იმავე პრინციპების მიხედვით, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი ნუსხათა ისტორიულ კლასიფიკაციასთან დაკავშირებით<sup>10</sup>. ამ თვალსაზრისით ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტი პროლოგისა ისეთივე რედაქციულ ჯგუფებად განიყოფება, როგორც საკუთრივ პოემის ტექსტი, ამიტომ მზეხათუნისეული რედაქციის პროლოგი უნდა გამოვეყოთ ცალკე, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, ისევე, როგორც სამეფო სახლის (ABCMX), ზაზასეული (DUV), ბებურიშვილისეული (FIRZ) ტიპის პროლოგები – რედაქციაში გაერთიანებულ ნუსხათა შინაგანი მსგავსება – განსხვავებანი ყველაზე ქვეშაირი კრიტერიუმი იქნება მათი წარმომავლობის და ბუნების დასადგენად. ამიტომ მზეხათუნისეული რედაქციის პროლოგის განსაკუთრებული ტიპოლოგიური სახის ახსნა უნდა ვეძიოთ იმ ხელნაწერთა რედაქციაში, რომლებიც გენეტიკურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული მთელი ტექსტის მანძილზე, თვით პროლოგის სტროფულ შედგენილობას – ჩანართ სტროფთა რაოდენობას – მეტად მცირე მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან ამ შემთხვევაში პოემის ტექსტის სივრცე – აბოკლე პირობით ცნებად გვეჩვენება.

გადავხედოთ მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერებს – რა მასალას გვაწვდიან კვლევისათვის? თვით იმ ხელნაწერს (T-W 17), რომლის სახელიც მთელ რედაქციას ეუწოდეთ, პროლოგის შემცველი ფურცლები დაკარგული აქვს<sup>11</sup>. პროლოგის ერთადერთი ფურცელია გადარჩენილი ნაკაშიძისეულ ნუსხაში; რჩება რედაქტირებული და ქუთაისური ხელნაწერები – ორივე მეტად დაზიანებულია, მაგრამ შემორჩენილი ფრაგმენტებით ხერხდება ტექსტის ერთგვარი აღდგენა. მაშასადამე, ჩვენი ანალიზი ძირითადად ამ მონაცემებს ეყრდნობა.

რედაქტირებული (J) ხელნაწერის პროლოგი

l r e c t o

ამა ამბისა . . .

1  $\left[ \begin{array}{l} 1 - პირველი თავი \\ 2(1) - რომელმან შეჰქმნა \end{array} \right.$

1

- ? 4(3)
- ? 3 (4)
- ? 7 (6)

1 verso

- ( 7 ) - მო დაცხდეთ
- 6 ( 5 ) - მიბრძანეს მათად
- ? ( 8 )
- ? ( 4 )
- ?

2 recto

- 34 ( 26 ) - ამა საქმესა
- 27 ( 21 ) - მას ერთსა
- 28 ( 22 ) - მიჯნური შმაგსა
- 29 ( 23 ) - მიჯნურსა თვალად
- 31 ( 24 ) - მიჯნურობა არის

11

2 verso

- 33 - მას ცოცხალი
- 32( 25 ) - ხამს მიჯნური
- 35( 27 ) - არს პირველი
- 38( 29 ) - მას უშმაგო

3 recto

- 39( 30 ) - მიკვირს კაცი

- 12( 10 ) - თვალთა მისგან
- 13( 11 ) - რაცა ვისცა
- 14 - თუ მიჯნურსა
- 15( 12 ) - შაირობა პირველადვე

111

3 verso

- 16( 13 ) - ვითა ცხენსა
- 17( 14 ) - მაშინლა ნახეთ
- 19( 15 ) - მოშაირე არა ჰქვიან
- 20( 16 ) - მეორე ლექსი
- 21 - ამბავი წერილად

4 recto

22(17) – შესამე ლექსი

24(18) – ჰამს მელექსე

2126(1669)– ამირან დარეჯანის ძე

აქა ამბავი . . .

11(9) – ესე ამბავი სპარსული

41(32) – იყო არაბეთს როსტეევან

ფაქტობრივი მონაცემები ასეთია:

1. აქ არაა პროლოგის კუთვნილებად მიჩნეული ორი სტროფი:

25(19) – ჩემი აწ სცანით ყველამან

26(20) – ვთქვა მიჯნურობა პირველი

2. ჩანართთაგან პროლოგის ტექსტშია:

A 1 – პირველ თავი დასაწყისი

A 14 – თუ მიჯნურსა მიჯნურობა

A 21 – ამბავი წერილად უამბოს

A 33 – მას ცოცხალი ნუ ელევის

3. პროლოგის ბოლო სტროფი 40(31) გადატანილია პოემის ტექსტში 76 გვერდზე.

4. ბიბლიოგრაფიულ ცნობათა შემცველი და ხელნაწერული ტრადიციით ეპილოგის კუთვნილებად მიჩნეული ნართაული სტროფი 2126 (1669) შემოტანილია პროლოგში და (9) სტროფთან ერთად წინ უძღვის პოემის პირველ თავს.

5. რაც მთავარია, სტროფთა თანმიმდევრობაში წარმოუდგენელი ქაოსია: (26) სტროფი წინ უსწრებს (21)–ს, (30)–ს მოსდევს მე–(10), მე–(18)–ს – ჯერ (1669), შემდეგ (9). ამის გამო არეული და გახლეჩილია სიუჟეტური რკალები: “ამბავთათვის”, „მოშაირეთათვის“, მიჯნურთათვის“.

თუ ამ პროლოგის ტექსტის სიუჟეტური თანმიმდევრობის გარკვევას ვეცდებით, ამგვარი სურათი წარმოგვიდგება: ღეთისა და მეფეთა ქება, მიჯნურთათვის, ამბავთათვის, მოშაირეთათვის, ამბავთათვის.

ასეთი დალაგება (მითუმეტეს, რომ შიგადაშიგ ტექსტიც არასრულია), თუ იგი რედაქტორის კალამს ეკუთვნის, იმდენად სუბიექტურია, რომ მისი ახსნა არავითარ ლოგიკურ საფუძველს არ ემორჩილება, მაგრამ ვეადოთ ამ სტროფულ ანარქიას მიუვლდგეთ არა შინაარსობრივი, არამედ სხვა თვალსაზრისით. ხელნაწერში წარმოდგენილ თანამიმდევარ სტროფებს თუ ფრაგმენტებად დავყოფთ, ამგვარი სურათი წარმოგვიდგება:

1 ფრაგმენტი: 2(1) – 10(8) სტროფები;

11 ფრაგმენტი: 27(21) – 39(30) სტროფები;

111 ფრაგმენტი: 12(10) – 24(18) სტროფები<sup>12</sup>.

“სამეფო სახლის” ხელნაწერებში მოცემული და რუსთველოლოგიაში მიღებული თანრიგის შესაბამისად ეს ფრაგმენტები ასე უნდა დავალაგოთ: 1–111–11; ასე მივიღებთ პროლოგის ტრადიციულ (თუმც ხარვეზიან) სახეს: 2(1) – 10(8), 11(9) – 24(18), 27(21) – 39(30).

როგორც ვხედავთ, ცალკეულ სტროფთა დალაგება თუ არა, მთლიანი ფრაგმენტები მაინც ემორჩილება გარკვეულ ლოგიკას: ეს მეტად მნიშვნელოვან მონაცემად გვეჩვენება რედაქტირებული ხელნაწერის პროლოგის ასახსნელად. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს პროლოგი გადაღებულია ხელნაწერიდან, რომლის პირველი ფურცლები ამოვარდნილი იყო აკინძული წიგნიდან და არეულად დალაგებული. სტროფთა – უფრო სწორად – ეპიზოდთა თანმიმდევრობა, პროლოგის ახალი “კომპოზიცია” სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა. მაგრამ ჩვენმა ამ მოსაზრებამ ნაადრევი დასკვნის შთაბეჭდილება რომ არ დატოვოს, გადავხედოთ მზეხათუნისეულ რედაქციაში შემავალ სხვა ხელნაწერებსაც, რომელთა პროლოგი მეტ-ნაკლებად გადაურჩა ეამთა სიავეს.

ქუთაისური ხელნაწერის (O) პროლოგი

l r e c t o

თავი პირველი

- 40<sup>1</sup> – ჰე ღმერთო ერთო
- 2(1) – რომელმან შექმნა
- 1 – პირველ თავი
- 2<sup>1</sup> – შენ შექმენ დავით

l v e r s o

- 2 – მეფობა ტახტი
- 4(3) – ვის შვენის
- 3(2) – ჰე ღმერთო ერთო
- 7(6) – აწ ენა მინდა

2 r e c t o.

- 7 – შენ გვედარები
- 8(7) – მო დავსხდეთ
- 6(5) – მიბრძანეს მათად  
აქა ამბავი . . .
- 10(8) აბგ – მე რუსთველი

1

2 verso

10(8) დ

5(4) - თამარს ვაქებდეთ

21 - ამბავი წვრილად

დატოვებულია ცარიელი ადგილი

3 recto

25(19) - ჩემი აწ

34(26) - ამა საქმესა

27(21) - მას ერთსა

28(22) - მიჯნური შმაგსა

3 verso

29(23) - მიჯნურსა თვალად

31(24) - მიჯნურობა არის

33 - მას ცოცხალი

40(31) - თუ მოყვარე

11

4 recto

32(25) - ხამს მიჯნური

35(27) - არს პირველი

36(28) - ხამს თავისსა

36(29) - მას უშმაგო

4 verso

39(30) - მიკვირს კაცი რად

16(13) - ვითა ცხენსა

17(14) - მაშინლა ნახეთ

19(15) - მოშაირე არა ჰქვიან

111

5 recto

20(16) - მეორე ლექსი

22(17) - მესამე ლექსი

24(18) - ხამს მეღექსე

კარი პირველი

41(32) - იყო არაბეთს

## ტექსტის მონაცემები:

1 – ძირითადი სტროფებიდან პროლოგში არაა:

- 11(9) – ესე ამბავი სპარსული
- 12(10) – თვალთა მისგან უნათლოთა
- 13(11) – რაცა ვისცა ბედმან მისცეს
- 15(12) – თუ მიჯნურსა მიჯნურობა
- 26(20) – ეთქვა მიჯნურობა პირველი

2. ჩანართ სტროფთაგან ხელნაწერშია:

- A 1 – პირველ თავი დასაწყისი
- A 21 – ამბავი წვრილად
- A 33 – მას ცოცხალი

გარდა ამ გავრცელებული ჩანართებისა, აქაა ფრიად სპეციფიკური ჩანართებიც:

- 401 – ჰე ღმერთო ერთო
- 2<sup>1</sup> – შენ შექმენ დავით
- 2<sup>2</sup> – მეფობა ტახტი პორფირი<sup>13</sup>
- 7 – შენ გევედრები

3. სტროფთა თანმიმდევრობა დარღვეულია. საყურადღებოა, რომ აქაც (26) სტროფი უსწრებს (21) –ს.

აქაც გამოვეყთ თანმიმდევარი სტროფები ცალკე ფრაგმენტებად:

- 1 ფრაგმენტი: 2(1) – 10(8) სტროფები,
- 11 ფრაგმენტი: 25(19) – 39(30) სტროფები,
- 111 ფრაგმენტი: 16(13) – 24(18) სტროფები.

შევუდაროთ ეს ფრაგმენტები რედაქტირებულის შესაბამის ფრაგმენტებს: აქ 1 ფრაგმენტში შედის პროლოგის პირველი რვა სტროფი, თუმცა მათი თანმიმდევრობა დარღვეულია: (1) (3) (2) (6) (7) (8) (4)<sup>1,4</sup> მაგარამ მთავარი ისაა, რომ ეს რედაქცია იცნობს პროლოგის რვავე სტროფს, რომლებშიც ღვთის ქებასთან ერთად თამარისა და რუსთველის სახელებიცაა მოხსენიებული. ეს მეტად მნიშვნელოვანი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ეს სტროფები აუცილებლად იყო რედაქტირებულ ხელნაწერშიც (აღბათ ამავე თანრიგით<sup>15</sup>).

რედაქტირებულის და ქუთაისურის პროლოგის 11 ფრაგმენტების დიდი მსგავსება ექვს არ უნდა იწვევდეს: ორივეგან (21) სტროფით დაწყებულ რიგს წინ უძღვის (26) – ე სტროფი, ოღონდ ქუთაისურ ნუსხაში არის მე(19) სტროფი, რომელიც რედაქტირებულში დაკარგულია.

111 ფრაგმენტი ორივე ხელნაწერში არსებითად ერთსა და იმავე სტროფებს შეიცავს იმ განსხვავებით, რომ ქუთაისურ ხელნაწერში არაა (9) – (12) სტროფები ამ ფრაგმენტიდან. ჩანს, ეს სტროფები რაღაც მიზეზის გამო არ შესულა ქუთაისური ნუსხის ტექსტში<sup>16</sup>.

პროლოგის სტროფთა ტრადიციული რიგის აღსადგენად ქუთაისური ნუსხის ფრაგმენტები ისევე დალაგდება, როგორც რედაქტირებულისა – 1-111-11. უკვე ეს მონაცემი მოწმობს ქუთაისურ და რედაქტირებულ ხელნაწერებში წარმოდგენილი პროლოგის ტექსტის გენეტიკურ კავშირს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ორი ხელნაწერი, რომელნიც მზეხათუნისეულ რედაქციას განეკუთვნებიან – ნაკაშიძისეული (K) და გვიანდელი G<sup>1</sup> (Q796)

ნაკაშიძისეული ნუსხის პროლოგიდან მხოლოდ ერთი ფურცელია გადარჩენილი, ისიც დაზიანებულია, მაგრამ ხერხდება აღდგენა. აქ სულ რვა სტროფია ასეთი თანმიმდევრობით: recto: (21), (22), (23), (24); verso: (25), A 33, (16), (13). სტროფთა ამ არეულ განლაგებაშიც დაზიანებული პროტოგრაფის სახე ჩანს. მიუხედავად მასალის სიმცირისა, ეს ერთი ფურცელიც კი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწოდებს ქუთაისურ-ნაკაშიძისეულ ნუსხათა კავშირზე. როგორც არაერთხელ თქმულა, ეს ორი ნუსხა სავსებით იდენტურ ტექსტს შეიცავს (განსხვავებანი მეტად უმნიშვნელოა); ამასთან გადაწერილია ერთი პირის მიერ, მაგრამ პროლოგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, KD ერთმანეთისგან არაა გადაწერილი და თითქოს დედანიც არ უნდა ჰქონდეთ საერთო. ამ ერთი ფურცლის მიხედვით რაიმე გადამწყვეტის თქმა ძნელია, თუმცა უეჭველად მიგვაჩნია, რომ იგი გენეტიკურად (ისევე, როგორც მთელი ხელნაწერი) მზეხათუნისეულ რედაქციასთანაა დაკავშირებული.

G<sup>1</sup> ხელნაწერი ვარიანტების მიხედვით. KD –ს იდენტურია (თითქმის ასლი), მისი პროლოგი საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს. პირველ ყოვლისა, საყურადღებოა, რომ ეს პროლოგი არასრულია (გავიხსენოთ, რომ ამ ხელნაწერის გადაწერის დროისათვის ვახტანგ VI –მ უკვე დაბეჭდა ვეფხისტყაოსანი ზაზასეული ტიპის სრული პროლოგით); ამასთან ფურცელზე საგანგებოდაა დატოვებული თავისუფალი ადგილები ტექსტის შესავსებად.

G<sup>1</sup> პროლოგი

5 r e c t o

... პირველი ...

3(2) – ჰე ღმერთო ერთო

2(1) – რომელმან შექმნა

1 – პირველ თავი დასაწყისი

გამოტოვებულია ადგილი ერთი სტროფისთვის  
25(9) – ჩემი აწ სტანით ყველამან  
34(26) – აბ – ამა საქმესა მიჯნურნი

5 v e r s o

34(26) გდ  
27(21) – მას ერთსა მიჯნურობასა  
28(22) – მიჯნური შმაგსა გვიქვიან  
29(23) – მიჯნურსა თვალად სიტურფე  
31(24) – მიჯნურობა არის ტურფა  
33 – მას ცოცხალი ნუ ელენის  
40(31) – თუ მოყვარე მოყვრისათვის

6 r e c t o

40(31) გდ  
(გამოტოვებულია ადგილი სამი სტროფისთვის)  
კარი პირველი როსტეგან არაბთა მეფის

40(32)  
44(33)  
47(35)

რა შეიძლება ვთქვათ პროლოგის ამგვარი ტექსტის შესახებ? რადგან თვით ხელნაწერს დეფექტი არ აქვს, ჩანს, პროლოგის ტექსტი ამ სახითაა გადმოწერილი პროტოგრაფიდან; რჩება შთაბეჭდილება, რომ გადამწერს იგი პოემის დასრულებულ ნაწილად მიუჩნევია ( რა თქმა უნდა, საგანგებოდ დატოვებული ადგილების შეესების შემდეგ). ეს პროტოგრაფი ვერ იქნებოდა ვერც ქუთაისური, ვერც ნაკაშიძისეული ხელნაწერი (პირველი გაცილებით ვრცელია  $G^1$ -ის პროლოგზე); მაშასადამე,  $G^1$  გადამწერს ხელთ ჰქონია KO ტიპის ხელნაწერი, რომელიც დღეს ჩვენთვის უცნობია. თვით  $G^1$ -ის პროლოგი რომ ტიპოლოგიურად მზებნათუნისეული რედაქციის პროლოგთანაა დაკავშირებული, ეს სტროფთა თანმიმდევრობაზე ზერეულად თვალის გადავლებითაც კი ცხადია.

ამგვარად, ჩვენთვის უკვე ცნობილია მზებნათუნისეული ტიპის პროლოგთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი მონაცემი – შეიკრა ვენეტიკურად დაკავშირებულ ხელნაწერთა რკალი: რედაქტირებული, ქუთაისური, ნაკაშიძისეული,  $G^1$ -უველასთვის ერთნაირადაა დამახასიათებელი სტროფთა უჩვეულო თანმიმდევრობა, ნიშანდობლივი საერთო თავისებურებანი. ბუნებრივია დანისვას კითხვა: რა არის ეს – გადამწერ-რედაქტორის შეგნებული ჩარევა და რეკონ-



სტრუქტურა პროლოგისა, თუ სხვა რამ?

რა გვეთქმის პირველი მოსაზრების შესახებ? მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგი რომ კომპოზიციის სუბიექტური გააზრების რაიმე კვალს ატარებდეს, მაშინ უნდა მოგვენახა რაღაც ობიექტური კრიტერიუმი ახალი კომპოზიციისა. ერთ-ერთ ასეთ საყრდენ დებულებად პროლოგში თამარის და რუსთველის სახელთან დაკავშირებული სტროფები მიგვაჩნია. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ ეს სტროფები "არასასურველი" იყო ჩვენთვის საინტერესო რედაქციის რომელიმე ხელნაწერისათვის, ანდა რომ ეს სტროფები აქ საერთოდ არ იყო?

თუ გავიზარებდით ს. კაკაბაძის დებულებას, რომ თავქარაშვილის, ბებური-შვილისა და რედაქტირებული ხელნაწერები არ იცნობენ სტროფებს, რომლებშიც თამარია მოხსენიებული, მაშინ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ რედაქტირებულში არაა (19) სტროფიც, შეგვეძლო განგვეგრძო მეტად ეფექტური მსჯელობა ამ სტროფთა თვითნებური ამოღების შესახებ იმ მოტივით, რომ აქ ნახსენებია პოეტის ტრფიალი მეფე-ქალის მიმართ; ეს იქნებოდა რედაქტორის პოზიციის გამოხატულება (ერთგვარი ანარქული პოლემიკისა რუსთველის პიროვნების გარშემო). იქნებ ამგვარი დასკვნის უფლება მოეცა ამ რედაქციის ნუსხათაგან რომელიმეს იზოლირებულად განხილვას, მაგრამ ამგვარი მიდგომა აშკარად ცალმხრივი იქნებოდა: მზეხათუნისეული რედაქციის. ხელნაწერთა პროლოგის ერთმანეთთან შეჯერება სრულიად სხვაგვარად წარმოგვიდგენს ვითარებას. როგორც უკვე ვნახეთ, ქუთაისური ხელნაწერის პროლოგში არის ყველა სტროფი თამარისა და რუსთველის მოხსენიებით. მართალია, მათი რიგი ტრადიციულისაგან განსხვავდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არაა მთავარი. ამის მიხედვით ბუნებრივია დავასკვნათ, რომ რედაქტირებულ ხელნაწერშიც: იყო ეს პირველი რვა სტროფი (სხვაგვარად როგორ წარმოვიდგინოთ რედაქტირებულის პირველი ფურცელი — ეს პირველი სტროფები თუ არა, სხვა რა უნდა გვევარაუდა მათ ნაცვლად?).

ყველა ეს ფაქტობრივი მონაცემი, რომლებიც გარკვეულ ნიშანდობლიობათა სისტემად დალაგდა მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგის ერთად განხილვისას, მოწმობს, რომ ამ ტიპის პროლოგის საფუძველი არაა შეგენებული რედაქცია და მისი ამ სახით ჩამოყალიბება განაპირობა დაზიანებულმა პროტოგრაფმა (პროლოგის სტროფთა არეული თანამიმდევრობა აქ იმდენად მსგავსია, რომ საერთო შორეული არქეტიპის არსებობა ექვს არ იწვევს). ცნობილია, რომ ხელნაწერს ყველაზე მეტად პირველი და ბოლო ფურცლები უზიანდება; თავისთავად ის გარემოება, რომ ვედხისტყაოსნის ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერთა უმრავლესობაში სწორედ პროლოგის შემცველი ფურცლებია შელახული ან სართოდ დაკარგული, მოწმობს ამ დებულების სიმართლეს, ამიტომაც სავისებით გასაგებად უნდა

ჩაითვალოს ის განსაკუთრებული გარემოება, რომ მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგში შეიმჩნევა. საესებით უდავოა, რომ მათ საერთო პროტოგრაფში პირველი ფურცლები ამოვარდნილი იყო ყდიდან, რამაც გამოიწვია მათი არათანმიმდევრული დალაგება არაკვალიფიციური გადამწერის ხელში. ამით უნდა აიხსნას ამ ტიპის პროლოგის სტროფთა თავისებური განლაგება. თუ დავაკვირდებით, ამგვარი მდგომარეობა თავისი ბუნებით საესებით ანალოგიურია ზაზასეული ტიპის პროლოგის წარმოშობისა.

ამგვარად, ჩვენი აზრით, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა პროლოგიც იგივე რედაქციულ გჯუფებად განიყოფება, როგორც საკუთრივ პოემის ტექსტი: პროლოგშიც ისევე, როგორც ვეფხისტყაოსანში, ვარჩევთ ს ა მ ე ფ ო ს ა ხ ლ ი ს, ზ ა ზ ა ს ე უ ლ, ბ ე ბ უ რ ი შ ე ი ლ ი ს ე უ ლ და მ ზ ე ხ ა თ უ ნ ი - ს ე უ ლ რედაქციებს.

პროლოგის ტექსტისათვის. რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ უ ლ ი: ვარიანტულ წანაკითხთა თვალსაზრისითაც ეტყობა პროლოგს განსხვავებული ხელწერა. აი რამდენიმეში:

11 (9) ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ობოლი, ხელიხელ საგომანები.

2 ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები,  
ვით მარგალიტი ობოლი ხელიხელ ნ ა გ ო გ მ ა ნ ე ბ ი .

24 (8) სტროფი მთლიანად გადაკეთებულია, მაგრამ ეტყობა, რომ "ნარედაქტორები" ვარიანტის საფუძველი პროლოგის ტექსტის ტრადიციული ტექსტია. როგორც ჩანაფიქრის, ისე წყობის მიხედვით:

ბამს მელექსე ნაჭირგებსა მისსა ცუდად არ აბრკომოდეს,  
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკომდეს,  
ყოველსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,  
მისგან კიდე უნრა უნდა, მისთვის ენა მუსიკომდეს.

ჭამს მელექსე ნაჭირვალსა ცუდად ... ..  
ვინც უყვარდეს, მას აქებდეს, მისგან ... ..  
მოშორებება ვითმცა გასძლოს, ან გაყრასა ... ..  
არ წვისია საყვარელსა კაცი გულსა ... ..

მსგავსი სიტყვიერი მასალა<sup>17</sup> გვიკარნახებს, რომ ვარიანტის შექმნის კეშმარტივი სტიმული დაზიანებული ტექსტის გადამწერისეული რესტავრაცია უნდა იყოს. მართალია, სტროფმა სრულიად ახალი სახე მიიღო, მაგრამ, ეტყობა, ცდილან შეენარჩუნებინათ მისი შინაარსი<sup>18</sup>.

38(29) სტროფის შემცველი გვერდი მთლიანად დეფექტურია, გადარჩენილია მხოლოდ სარიტმო სიტყვათა დასასრული, მაგრამ აქ ვხედავთ საყურადღებო გარემოებას – 2-ში ამ სტროფის სარიტმო სისტემა სხვაგვარი ყოფილა: სა-

რითმომ ერთეულია "ავნოს"; სამწუხაროდ, თვით სიტყვები არ გაირჩევა, ვიცით მხოლოდ, რომ მეოთხე ტაეპის სარიტმომ სიტყვა ყოფილა "შეაზავნოს", რომლის ანალოგიური ვარიანტი პოემის არც ერთ ხელნაწერში არაა<sup>19</sup>.

ტექსტში გააზრებული რედაქტორული ჩარევის ნიმუშად მიგვაჩნია პოლონ. გის ბოლო სტროფის 40(31) – თუ მოყვარე მოყვრისათვის . ... გადატანა საკუთრივ პოემის ტექსტში და შინაარსით შესაფერის ადგილას მოთავსება (რა თქმა უნდა, როგორც ეს ანონიმ რედაქტორს ესმის). ეს სტროფი, რომელიც განეკუთვნება "მიჯნურთათვის" თქმულ პროლოგისეულ ციკლს, ჩართულია თინათინის და აეთანდილის საუბრის ეპიზოდში. ტარიელის პოენის შემდეგ არაბეთს დაბრუნებული აეთანდილი თინათინს მოახსენებს ვეფხისტყაოსანი ყმის ამბავს და თავის განზრახვას – წავიდეს მის საშველად: "დრო დამიკ ჩემგან მისლვისა, მითქვამს დაღება თავისა". ამას მოსდევს სტროფი: "ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჳირსა არ დამრიდალ" ... აი, ამ (702) და (703) სტროფებს შორის მიუჩენია რედაქტორს ადგილი პროლოგის სტროფისათვის. მისი აქ მოთავსება ალბათ ორისტროფისმსგავსმა დასაწყისმა განსაზღვრა ("თუ მოყვარე მოყვრისათვის" და "ხამს მოყვარე მოყვრისათვის"), თუმცა ცხადია, რომ სიტყვა "მოყვარეს" ამ სტროფებში სრულიად სხვადასხვა გაგება აქვს: პროლოგის სტროფში იგი მიჯნურს ნიშნავს, მეორე შემთხვევაში კი მას მეგობრის, ძმადშეფიცულის მნიშვნელობით ხმარობს აეთანდილი.

აი, ამ სტროფის ვარიანტული ცვლილებანი:

40(31) სიარული, მარტოება შეენის გაქრად დაეთელეზის,  
იგონებდეს, მისგან კიდე ნურად ოდეს მოეცლების.

J სიარული, მარტოება შეენის გ ა ქ რ ა მ ო ე ე ლ ე ბ ი ს,  
იგონებდეს, მისგან კიდე ნ უ მ ც ა ღ ა ვ ი ნ ე გ უ ლ ე ბ ი ს.

ეს სტროფი ასევეა გადატანილი პოემის ტექსტში მზეხათუნისეულ ხელნაწერშიც, რაც მოწმობს J T პროლოგთა გენეტიკურ კავშირს.

ქ უ თ ა ი ს უ რ ი: აქაც არის თავისებური ვარიანტული წაკითხვანი, რომელთაგან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ერთი გრაფიკული ხასიათის ნაირკითხვა. ცნობილი ტაეპი: "მე, რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამადარი" რუსთველოლოგიაში ყველაზე საპაექრო პასაჟთა რიცხვს მიეკუთვნება "ხელობა" სიტყვის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ხელნაწერებში ეს სიტყვა წარმოდგენილია ხ –ანით "ხელობითა". მხოლოდ ქუთაისურ ხელნაწერშია "ხელობითა". საგანგებოდ არ შევეხებით მეცნიერებაში გამოთქმულ ურთიერთგამომრიცხავ შეხედულებებს, ვიტყვით მხოლოდ, რომ თანამედროვე კომპეტენტური მეცნიერული აზრით ამ ტაეპში "ხელობა" არის პოემაში გატარებული კონვენციური მოტივის

– “მიჯნურობის გამო გაშმაგების, გახელების” – მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა და მისი მართებული გრაფიკული სახე დატულია ხელნაწერთა აბსოლუტურ უმრავლესობაში (“ხელობითა”) <sup>20</sup>.

სხვა ვარიანტებია:

5(4) მელნად ვიხმარე ვიშრის ტბა და კალმად მინა რხეული

0 მელნად ვიხმარე გ ი შ რ ი ს ა ტბა კალმად მინა ხ ე უ ლ ი

8(7) მო,დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გედის შეუშრობილი

0 მო დავსხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გედის არ შ ე შ რ ო ბ ი ლ ი  
დავჯე, რუსთველმან გავლექსე მისთვის გულლახვარსობილი

0 დავჯე, რუსთველმან გავლექსე მისთვის ვ ა რ ლ ა ხ ვ ა რ ს ო -  
ბ ი ლ ი

25(19) მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია

0 მისი სახელი შ ე ფ რ ფ ი ნ ვ ი თ ქვემოთ მითქვამს მიქია

ზოგიერთი ამ ვარიანტთაგან ემენდაციის კვალს ატარებს – მაგალითად, “შეუშრობილი” რითმისთვის შექმნილი ხელოვნური ფორმაა ზმნისა “შეუშრობელი” (სხვათა შორის, ასეა V ხელნაწერებში), ქუთაისური ნუსხა კი მას ცვლის “არ შეშრობილით”; ტაეპში “დავჯე რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულლახვარსობილი” ტმეს დაუბნევია გადამწერი და ამიტომ სავსებით შეუგნებლად საკუთარი კონიექტურა უმჯობინებია: “დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის ვარლახვარსობილი”.

პროლოგის პროტოგრაფისთვის. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ მზეხათუნის-ეული რედაქციის ხელნაწერების პროლოგის პროტოგრაფი? ძიებისთვის ამოსავალი იქნება ჩვენს ხელთ არსებული ტექსტის რამდენიმე მომენტი: 1. ფრაგმენტებში წარმოდგენილ სტროფთა განლაგება; 2. დამახასიათებელი ფაქტი, რომ ამ ხელნაწერთა პროლოგში 27(21) სტროფს წინ უძღვის 34(26) სტროფი; 3. ის სტროფები, რომლებიც არაა ამ რედაქციაში.

დავკვირდეთ, რომ რედაქტირებულ ხელნაწერში 11 და 111 ფრაგმენტებში პროლოგის ტექსტიდან (ჩანართთა გამორიცხვით!) 10–10 თანამიმდევარი სტროფია( აქა–იქ დარღვეული განლაგებით, მაგრამ ეს საკითხს არ ცვლის) – აი, ამ დეტალში, ჩვენი აზრით, უნებურად იჩინა თავი პროტოგრაფის მკაცრმა კონტურმა და იგი იმდენად მყარ კონსტანტად მიგვაჩნია, რომ მასზე დაყრდნობით შეიძლება გარკვეული მსჯელობის აგება. 1 ფრაგმენტი რომ ხელნაწერის პირველი ფურცელია, ეს ცხადია; 11 ფრაგმენტი უეჭველად ატარებს მესამე ფურცლის ნიშნებს. ამ ორი მონაცემის საფუძველზე კი უნდა დავასკვნათ, რომ 111 ფრაგმენტი მეორე ფურცელი იქნებოდა.

ახლა მეორე მომენტის მოშველიებით ვცადოთ პროლოგის სტროფთა განლაგების წარმოდგენა; თუმცა მეორე ფრაგმენტი 34(26) სტროფით იწყება, მისი ფაქტიური დასაწყისი 27(21) სტროფია; ამის მიხედვით ერთ ფურცელზე 27(21) – 39(30) სტროფები ასე განლაგდება:

recto	verso
27(21)	34(26)
28(22)	35(27)
29(23)	36(28)
31(24)	38(29)
32(25)	39(30)

როგორც ვხედავთ, ამგვარი განლაგებით გვერდზე 5 სტროფია<sup>21</sup>. ავიღოთ ფურცლის ეს სახე ამოსავლად და ვცადოთ მის მიხედვით პროლოგის პროტოგრაფის მოდელის შედგენა:

recto	1 verso	recto	2 verso	recto	3 verso
2(1)	7(6)	13(11)	20(16)	27(21)	34(26)
3(2)	8(7)	15(12)	22(17)	28(22)	35(27)
4(3)	10(8)	16(13)	24(18)	29(23)	36(28)
5(4)	11(9)	17(14)	25(19)	31(24)	38(29)
6(5)	12(10)	19(15)	26(20)	32(25)	39(30) <sup>22</sup>

2 V გვერდზე სტროფთა დალაგებას მეტად საყურადღებო გარემოება ახასიათებს: თუ ამ გვერდზე არის სტროფები 20(16), 22(17), 24(18), 25(19), 26(20), მაშინ შეიძლება მოუნახოთ ახსნა ჩვენი ამოსავალი დებულების მესამე პუნქტს – რატომ არაა ხელნაწერში 25(19) და 26(20) სტროფები. ვიმსჯელოთ ასე: 24(18) სტროფი რედაქტირებულში სრულიად განსხვავებული ტექსტითაა წარმოდგენილი, მაშასადამე, იგი აღდგენილია ძირითადი სტროფის რელიქტის მიხედვით, ე.ი. 2 V გვერდის ქვემო კიდე დაზიანებული იყო, გადარჩა ბოლოდან რიგით მესამე 24(18) სტროფის ნაშთი, რომლის შენარჩუნებაც გარკვეული ვარიაციით ხელნაწერში მოხერხდა, მომდევნო ორი სტროფი კი იმდენად იყო შელახული, რომ აღარ გაირჩეოდა; ამიტომაც J-ში არაა 25(19) და 26(20) სტროფები<sup>23</sup>.

111 ფრაგმენტში სტროფთა რიგის ფაქტიური დასაწყისი 11(9) სტროფია, ამიტომ იგი უნდა ვიგულისხმოთ მე-2 გვერდის დასაწყისში, ამის მიხედვით სტროფები ფურცელზე ასე განაწილდება:

recto	verso
11(9)	17(14)
12(10)	19(15)

13(11)	20(16)
15(12)	22(17)
16(13)	24(18)

როგორც ვხედავთ, მივიღეთ რიგი (9) – (18), ეს კი რედაქტირებული ხელნაწერის პროლოგში ჩვენ მიერ გამოყოფილი 111 ფრაგმენტის ასლია; ჩანს, ამგვარი უნდა ყოფილიყო დედნის მე-2 ფურცელი.

ყოველივე ამ ფაქტობრივი მასალის გათვალისწინებით J-ის უშუალო პოტოგრაფში მეორე და მესამე ფურცლებს ასეთი სახე ექნებოდა:

recto	2 verso	recto	verso
(9)	(14)	(21)	(26)
(10)	(15)	(22)	(27)
(11)	(16)	(23)	(28)
(12)	(17)	(24)	(29)
(13)	(18)	(25)	(30)

როგორც D და G<sup>1</sup> ხელნაწერთა მონაცემებიც მოწმობენ, მთელი ამ რედაქციის დაძაბასიათებელი ნიშანია (26) სტროფის (21)-ის გადატანა. ამგვარად ეს აღრევე უნდა მომხდარიყო (ეფექტობთ, უფრო აღრე, ვიდრე ხელნაწერის ფურცლები აირეოდა). რით შეიძლება ამ გარეპოების ახსნა? წარმოვიდგინოთ, რომ წიგნის ყლიდან ამოგაოდნილი მე-3 ფურცელი შებრუნებით (verso-recto) იყო და გადამწერმა დაიწყო 3 verso – დან, ვადაწერა 34(26) სტროფი, მაგრამ შეამჩნია შეცდომა, გადააბრუნა ფურცელი და განაგრძო ვადაწერა სწორი თანამიმდევრობით (ე.ი. 25, 21, 22 და ა.შ.). ამგვარად მოხდა (26) სტროფი (21)-ს წინ. შეძასადაამე: recto (26, 21, 22, 23, 24); verso (25, 27, 28, 29, 30). ამის შედეგ მოხდა ფურცელთა აღრევა – შეასბე ფურცელი მოხდა მეორე ფურცლის წინ – ამას მიწმობს პროლოგის ზამთი სამივე ხელნაწერში:

recto	2 verso	recto	3 verso
(25)	(26)	(9)	(14)
(21)	(27)	(10)	(15)
(22)	(28)	(11)	(16)
(23)	(29)	(12)	(17)
(24)	(30)	(13)	(18)

ზემოთქმულზე დაკრძობით, შევკვალთ ვთქვით, რომ ხელნაწერის ვადაწერა დადიდან, რომელშიც (19 და 20) სტროფები ევამ დაკარგული

იყო, ხოლო მე-3 და მე-2 ფურცლებს ადგილი ჰქონდათ შენაცვლებული (ე.ი. დაღაგებული იყო 1-3-2).

ამის შემდგომ კი ტექსტში უკვე რედაქტორის ჩარევად უნდა მივიჩნიოთ მე-(9) სტროფის გადატანა პოემის დასაწყისის თავის - როსტევეან არაბთა მეფის ამბის წინ. ჩანს, სტროფი "ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები" რედაქტორს პირდაპირი მნიშვნელობით ესმის და ამიტომ უშუალოდ პირველ თავს უკავშირებს. ალბათ სწორედ ამ გარემოებით აიხსნება ეპილოგის სტროფის "ამირან და რეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა" პროლოგში ჩართვაც (9) სტროფის წინ და ისტორიულ-ლიტერატურული ცნობების შემცველ სტროფთა ერთგვარი შინაარსობრივი რკალის შეკვრა უშუალოდ პოემის დასაწყისის წინ.

ყოველივე ამას მოსდევს პროლოგის ტექსტში ინტერპოლაციათა შეტანა<sup>24</sup> და ამის გამო სტროფთა თანრიგის კიდევ უფრო მეტი აღრევა. ჩვენს ხელთ არსებული იმ ფაქტობრივი მასალის მიხედვით, რომელიც ანალიზს ემორჩილება, ამგვარი სავარაუდო რეკონსტრუქცია მზებხათუნისეული რედაქციის პროლოგისა დასაშვებად მიგვაჩნია.



სრულიად განსაკუთრებული ვითარება გვაქვს მზებხათუნისეული რედაქციის ხელნაწერებში პირველი ნართაული ("პირველ თავი დასაწყისი") სტროფის გამო. ამ სტროფმა მოაღწია "სამეფო სახლის" (ABCMX), ბებურიშვილისეული (FIRZ), ზაზასეული (DU V) და მზებხათუნისეული (JKOT) რედაქციის რამდენიმე ხელნაწერთა<sup>25</sup>. პირველი სამი რედაქციის ნუსხებში ნიუანსურ განსხვავებათა მიუხედავად სტროფის შინაარსი ერთ გარკვეულ ტონალობაში ეღერს:

პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,  
ვუხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორც არსულად,  
საეროა, არ ახსენებს სამეხასა ერთ არსულად

ABC, FI თუ უყურა მონაზონმან, შეიქმნების გაპარსულად  
DU არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად<sup>26</sup>.

როგორც ვხედავთ, მეოთხე ტაეპის ვარიანტული წაკითხვით (ABC და FI-ში უფრო ვიწრო გაგებაა - აქ მხოლოდ ღვთის მსახურზეა ლაპარაკი, მაშინ როდესაც ზაზასეული ვარიანტი გულისხმობს საერთოდ მკითხველს - სასულიერო რანგის იქნება იგი თუ ერისკაცი) სტროფის საერთო ხასიათი არ იცვლება, შემთხვევლის (ვინც არ უნდა იყოს იგი) რელიგიური წარმოდგენები და სულისკვეთება მტკიცებას არ საჭიროებს: ვეფხისტყაოსნის ძირითად ბრალდებად ისმის სიტ-

ყვები— “საერთოა (და არა საღმრთო!), არ ახსენებთ სამგებასა ერთარსულად“.. (გავიხსენოთ შავთელის “არსებით ღმერთმან, სამებით ერთმან“ ... ფორმულა, რომელიც აუცილებელი ატრიბუტია რუსთველის თანამედროვეთა ნაწერებისა). დაუფარაგმა იდეოლოგიურმა მიზანდასახულობამ სტროფი განსაკუთრებული მგე-  
ნიერული ყურადღების ობიექტად აქცია. პ. ინგოროყვამ იგი ჩათვალა “ძველ პო-  
ლემიკურ დანართად”<sup>27</sup>, რომელშიც ინტერპოლატორი ვეფხისტყაოსანს არაქრის-  
ტიანულ ნაწარმოებად აცხადებს (პოემაში “არ არის ხსენება სამებისა, მისი  
გადაკითხვა წაწყმედას უღრის”<sup>28</sup>), ამგვარად, თვით რუსთველსაც ბრალად ედებ-  
და სარწმუნოებიდან ვანდგომა. აკად. ალ. ბარამიძე ამ სტროფს მიიჩნევს პას-  
ქვილად, რომელიც “პოემას აცხადებს უცხოურ, სპარსულ ნაწარმოებად ... ეს  
ნაწარმოები ანტიქრისტიანული ბუნებისაა, არ იცნობს ერთარსება ქრისტიანულ  
ღმერთს ... საეროა, არსად (არსებად) თვლის ხორცს და არა სულს”<sup>29</sup>. ცაიშვი-  
ლის აზრით, “აქ ჩანს ეკლესიურ — ელერიკალური წრეების წარმომადგენელთა  
შეხედულება. ვეფხისტყაოსნის მე-9 სტროფის (“ესე ამბავი სპარსული“...)  
ელვარული გაგებით მათ შეუთხზავთ პასქვილი”<sup>30</sup>. მ. გუგუშვილი, ავტორი წიგ-  
ნისა “პოლემიკა რუსთველის გარშემო“, თვლის რომ “ვეფხისტყაოსნისადმი მი-  
მართული ეს სტროფი ვეფხისტყაოსნის შესახებ დაწერილი პირველი კრიტიკული  
ნაწარმოებია და მას ვერ მივიჩნევთ პასქვილად”<sup>31</sup>. მ. ონიანმა საგანგებოდ გა-  
მორიყვია ეს სტროფი და მიიჩნია პირველ რუსთველოლოგიურ ნააზრევად, რომე-  
ლიც ელერიკალური პოზიციებიდანაა დაწერილი დაახლოებით X I I I — X I V სს — ში:  
“სტროფის ავტორი იმ სასულიერო პირთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც საუკუ-  
ნეების განმავლობაში მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ვეფხისტყა-  
ოსნის წინააღმდეგ და ცდილობდნენ მისთვის სახელი გაეტეხათ მკითხველი საზო-  
გადოების წინაშე”<sup>32</sup>.

როგორც უხედავთ, ხსენებული სტროფის მნიშვნელობა გასცდა ჩვეულებრივი  
ჩანართის ფარგლებს და პრინციპული იდეოლოგიური საკითხების საკვლევ საგნად  
იქცა. ამ შემთხვევაში მოსაზრებათა გარკვეულ სხვადასხვაობას ჩვენთვის გადა-  
მწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს — ჩათვლით ამ სტროფს “ძველ პოლემიკურ დანარ-  
თად“, “პასქვილად“ თუ “კრიტიკულ ნაწარმოებად“, ერთი რამ უდავოა: მის შემ-  
თხვეულს ვეფხისტყაოსნის და მისი ავტორის მიმართ კეთილი ზრახვა არ ამოძრა-  
ვებდა. გავიხსენოთ მრავალი წლის შემდგომ ტიმოთე გაბაშვილის მიერ ნათქვამი  
სიტყვები: “ეს იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართულთა  
სიწმინდისა წილ ბოროტი ბიღწემაი და განჰრყუნა ქრისტიანობა”<sup>33</sup>. თუ გავით-  
ვალისწინებთ იმ წყაროებს, რომლებიც საფუძვლად დაედო პოემის ვახტანგისეულ  
გამოცემას (ესენია E C D E F G ხელნაწერები<sup>34</sup>), გვირგვინოსანი რუსთველოლო-  
გიკითვის უქნობი არ უნდა ყოფილიყო ეს სტროფი; მისი განმაქიქებელი ტენდენ-



ციური მიზანდასახულობის პასუხად ისმის ვახტანგ VI სიტყვები: "სხვის თარგმანს როგორც სთარგმნით ყველა ეკადრება, მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გამობს" <sup>35</sup>.

აი, ამ ვითარების ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ჩვენთვის საინტერესო რედაქციის ხელნაწერებში წარმოდგენილი ვარიანტი ამ სტროფისა:

პირველთავი დასაწყისი ეგრე ნათქვამი სპარსულად  
უნმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქმს ხორცარსულად  
ს ა ს მ ე ნ ე ლ ა დ შ ვ ე ნ ი ე რ ი, გ ა თ ა რ გ მ ნ უ ლ ი მ ი თ  
ქ ა რ თ უ ლ ა დ,

მ ს მ ე ნ ე ლ თ ა თ ვ ი ს მ ა რ გ ე ბ ე ლ ი, ყ უ რ ნ ი მ ი ვ ს ც ე თ  
გ უ ლ ი ს ს რ უ ლ ა დ <sup>36</sup>.

ამგვარი სახით წარმოგვიდგინა ეს გახმაურებულ სტროფი ქუთაისურმა და G<sup>1</sup> ხელნაწერმა. პირველ ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ეს სტროფი ამგვარი რედაქციით მიგვაჩინა არა მარტო ამ ორი ხელნაწერის (O G<sup>1</sup>, არამედ ჩვენთვის საინტერესო რედაქციის ყველა ნუსხის კუთვნილებად; ნაკაშიძისეული (K) ხელნაწერის იდენტურობა ქუთაისურთან გვაძლევს საფუძველს მის პროლოგშიც ვივარაუდოთ სტროფი ამ რედაქციით, ხოლო რაც შეეხება რედაქტირებულ (J) ხელნაწერს, მის i recto გვერდზე შემორჩენილი სიტყვათა ფრაგმენტები მოწმობენ, რომ აქაც ასეთივე ტექსტი იყო; ეფიქრობთ ანალოგიური ვითარება იქნებოდა რედაქტირებულის იდენტურ მზებათუნისეულ ნუსხაშიც. ამგვარად უქველად გვეჩვენება, რომ სტროფის ეს რედაქცია დამახასიათებელია ჩვენთვის საინტერესო ოთხივე ხელნაწერისათვის (J K O T).

უნდა ყოფილიყო ვარკვეული სტიმული, რომ შექმნილიყო ეს სტრიქონები. როგორც სავსებით სამართლიანად შენიშნავენ, ნართაული სტროფის პირველსახე სამეფო სახლის, ბებურიშვილისეულ და ზაზასეულ ხელნაწერებში უნდა იყოს წარმოდგენილი <sup>38</sup> ამ სახით სტროფის შინაარსობრივი მთლიანობა განაპირობებულა მერვე ტაეპში წამოყენებელი დებულებით – "არსსა შეიქმს ხორცარსულად". შემდგომი ტაეპები ამ წინამძღვარზე დამყარებულ დებულებებზე მიგვაჩინა, მაშინ როდესაც [JK] ე [T] რედაქციის შესამე-მეოთხე ტაეპების დაკავშირება მერვე ტაეპის დასასრულთან ძნელია.

როგორც ვხედავთ, პირველი ნართაული სტროფი აერთიანებს ორ საწინააღმდეგო – ამასთან დიამეტრულად საწინააღმდეგო – საწყისს: ერთია ქრისტიანულ ფორმალისმზე და სავსებით დოგმატიკაზე დამყარებული გმობა ვეფხისტყაოსნისა, ხოლო მეორე – მისი აშკარა აპოლოგია <sup>39</sup>. სხვა ხელნაწერებში წარმოდგენილი ტექსტის ფონზე ეს ვარიანტი გამიზნული კონტრადიქციის შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ვეფხისტყაოსნისა და მისი ატეორის რეაბილიტაციაა; სტროფის გაა-

ზრების აპოლოგეტური მიზანი სავსებით ცხადია და ჩვენთვის უცნობი შემთხვევის უკომპრომისო პოზიციის მაჩვენებელი. თუ გავთვალისწინებთ იმ სიტუაციას, რომელმაც განაპირობა სიტყვები: "საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად, არას გვარებს საუკუნოს რა დღე იქნას აღსასრულად", და იმასთან ერთად იმ გარემოებას, რომ თვით ვახტანგ VI პოემის გაგების არსებული ტენდენციების გამო იძულებული იყო "საღვთოდ" ეთარგმნა იგი და თავიც კი ემართლებინა ("ღვთისა და კაცის წინაშე მე ასე მიჯობინებია და ამას იქით მკითხველთ იცით. მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ. ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ხამს და ამად დავშვებ")<sup>40</sup>, ქვეშაირტად დიდ ღირსებად უნდა ჩავეთვალათ ამ ვარიაციის ავტორს სტროფის ამგვარად გადაკეთება.

ეს ორი ტაეპი პოეტური ხელოვნების თვალსაზრისით ამ ხელნაწერების კუთვნილ ბევრ ნართაულ სტროფს ჩამოუეარდება, მაგრამ შემთხვევლის კეთილშობილი განზრახვა ანაზღაურებს ამ ნაკლს. "ს ა ს მ ე ნ ე ლ ა დ შ ე ე ნ ი ე რ ი, გ ა თ ა რ გ მ ნ უ ლ ი მ ი თ ქ ა რ თ უ ლ ა დ, მ ს მ ე ნ ე ლ თ ა თ ე ი ს მ ა რ გ ე ბ ე ლ ი, ყ უ რ ნ ი მ ი ვ ს ც ე თ გ უ ლ ი ს ს რ უ ლ ა დ" — იგივეა, რაც ვახტანგ VI მიერ თქმული: ვეფხისტყაოსანი "არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი დარგი და ამით ნამუშეაქარი მისი სხვისაებრ უქმად არ დარჩება"<sup>41</sup>. სიტყვიერი მასალა პროლოგის მე-9 და მე-12 სტროფებს მოგვაგონებს ("ესე ამაბა — ვი სპარსული, ქ ა რ თ უ ლ ა დ ნ ა თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი" და "საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მ ს მ ე ნ ე ლ თ ა თ ე ი ს დ ი დ ი მ ა რ გ ი"). ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ მზებნათუნისეული რედაქციის ვარიანტი თითქოს შეფარებით, მაგრამ თანმიმდევრულად უპირისპირდება ნართაული სტროფის დებულებებს: იქ თუ ვკითხვლობთ — "ნათქვამია იგ ს პ ა რ ს უ ლ ა დ", აქ გვეუბნებიან "გათარგმნული მით ქ ა რ თ უ ლ ა დ"; იქ: "ა რ ა ს გ ვ ა რ გ ე ბ ს საუკუნოს", აქ: "მსმენელთათვის მ ა რ გ ე ბ ე ლ ი"<sup>42</sup>. ამასთან ეს სიტყვები პოემის მცოდნეებში უნებლიედ იწვევს ასოციაციას "საღმრთო საღმრთოდ გასაგონი"... (აქაც ვაგიხსენოთ თეიმურაზ 11-ის "საღმრთოდ, საეროდ სრული და რა ტყბილი გასაგონები"...).

ჩანს, რომ ამ ვარიაციის ავტორი (ვინაა იგი — მკითხველი, გადამწერი თუ რედაქტორი ხელნაწერისა?) არაა შემთხვევითი პიროვნება; მან საფუძვლიანად იცნა პოემა; მისი მიზანია ვეფხისტყაოსნის რეაბილიტაცია და სტროფის ამგვარი გადაკეთებით შეგნებულად გამოხატავს საკუთარ მრწამსს. სამართლიანობა მოითხოვს, მიუხედავად კუთვნილი ჩვენთვის ამ უსახელოდ დარჩენილ პიროვნებას და ვეფხისტყაოსნის "ავად მხხრეკელთა" წინააღმდეგ გამოსულ ერთ-ერთ პირველ აპოლოგეტად იგი მივიჩნიოთ.

1. ი. უ ს ტ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ვახტანგ VI-ის გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“-ს რედაქცია: შესწორებანი და შენიშვნანი „ვეფხისტყაოსნის“ 22-ე გამოცემის შესახებ პოემის შესავლის კრიტიკულ ტექსტით, მეორე სერია, ტფილისი, 1920, გვ. 21 და შშდ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო. „საისტორიო მოამბე“, 1924, 11, გვ. 125-133; მისივე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966, გვ. 14-18; შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, იუსტიანე აბულაძის რედაქციით, ტფილისი, 1926, გვ. I X . მ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის, თბილისი, 1959, გვ. 17; ს. ცაიშვილი ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, თბილისი, 1969, გვ. 10.

2. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 23-24.

3. სტროფთა თანმიმდევრობის მიხედვით: ღვთის ქება (1-2), შეფეთა ქება (3-5), ტარიელის ქება და ავტორად თავის მოხსენიება (6-9), ამბავთათვის (9-11), მოშაირეთათვის (12-19), მოჯნურთათვის (20-31).

4. პროლოგის სტროფთა „სამეფო სახლისეული“ რაგი პირველად ს.კაკაბაძის და იუსტ. აბულაძის გამოცემებში აისახა. ყველა შემდგომი გამოცემა ამ რიგს იცავს.

5. ს.კ ა კ ა ბ ა ძ ე, შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966, გვ. 14.

6. იქვე, გვ. 15-16.

7. იგულისხმება EF ხელნაწერები, რომელთაგან პირველს პროლოგის დასაწყისი 8, ხოლო მეორეს - 7 სტროფი აკლია. სპეციალურ ნაშრომში გარკვეულია, რომ ეს ნუსხები მომდინარეობენ თავნაკლული დედნიდან. იხ. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი. ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბილისი, 1963, გვ. 26-27.

8. მ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის, თბილისი, 1958, გვ. 17.

9. საგანგებოდ უნდა გავიმეოროთ ავტორის შენიშვნა, რომ ამ შექმნისას იგი თავს იკავებს ტერმინისაგან „რედაქცია“, რადგან პროლოგის სხვადასხვა უკლუფი გაპოყოფილია ძირითადად „შექანიკურა“ და არა შეგნებული დასიათის ცვლილებათა ნიშნის მიხედვით. იხ. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი - ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, გვ. 180, შენიშვნა 20.

10. ც. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კლასიფიკაციის ზოგადი საკითხი, საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1966, გვ. 339-350.

11. შექმნისას უცდიათ მზებიაუნისეული ხელნაწერის ამ ხარვეზის შევსე-

ბა, მაგრამ გვიან გადაწერილი ტექსტი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საკირო ინფორმაციას არ შეიცავს.

12. ფრაგმენტი იწყება (26) სტროფით, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არ აქვს.

13. 40,2<sup>1-2</sup> არის ხოვლელის (1) ხელნაწერშიც.

14. საინტერესოა, რომ ამ სტროფთა რიგი არეულია ხოვლელის ნუსხაშიც (1).

15. შედარებისათვის გამოგვადგება ასეთი ფაქტი: ორივე ამ ხელნაწერში მე-(7) სტროფს მოსდევს მე-(5) .

16. იქნებ ეს პროტოგრაფის ნაკვალევი და გადამწერს ერთი გვერდი გამორჩა? (2) ოთხეულითაა ნაწერი; უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერთ გვერდზე იქნებოდა (9-10-11-12) სტროფები.

17. შდრ. "ნაპირებმა ბისსა ცუდად" და "ნაპირვალსა ცუდად"; "მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს" და "ვინც უყვარდეს, მას აქებდეს".

18. მნიშვნელოვანია გვანსოდეს, რომ J ხელნაწერს პროლოგის ძირითადი ტექსტის სწორედ ის ორი სტროფი აკლია (13 და 20), რომლებიც უშუალოდ (16) მოსდევს, და ისიც, რომ ამ გადაკეთებული სტროფით თავდება რედაქტირებულ ხელნაწერში წარმოდგენილი პროლოგი პოემისა.

19. ამ სტროფის საჩიბო სისტემა ხელნაწერებში დარღვეულია: ვაამელავნოს-იენოს-მოაყივნოს-ამტყივნოს; როვორც ვხედავთ, ა. ტაეპის რითმა არ ეთიხნება სამ დანარჩენს; 1966 წლის გამოცემაში მიღებულია კონიექტურა "ვაამჩნივო-". რა თქმა უნდა, სტროფის ნარედაქტორებ ვარიანტზე მსჯელობისათვის არავითარი რეალური საფუძველი არ გვაქვს, მაგრამ გაცვირთ შევნიშნავთ, რომ პოემაში არის მის დამავარი რითმის ანალოგია; შდრ.:

33(13)

: 159

[ ვაამელ ] აენოთ  
შეაზავნოთ

ვაამელავნე  
შეგაზავნე

20. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ "ბელობითა" 0 ხელნაწერას უშუალო გადამწერის ნამოქმედარი არ უნდა იყოს. ხელნაწერის საერთო ბუნების მიხედვით, ეს გადამწერი მეტად გულმოდგინე კოპისტია და ამგვარო დაწერილობა სიტყვისა მის შიერ დედნიდან უნდა იყოს გადაღებული.

21. მივაქციოთ ყურადღება, რომ ყველა ეს სტროფი ძირითადი ტექსტის კუთვნილებაა; A 33, რომელიც ამ ფრაგმენტში შედის, ჩვეულებრივ ჩანართადაა მიჩნეული. სხვათა შორის, ამას ისიც მოწმობს, რომ A33 სტროფს ერთი გარკვეული ადგილი პროლოგის ტექსტში არ აქვს; ხელნაწერებში იგი სხვადასხვა სტროფებთანაა შეავსებული. ჩანს, იგი გლოსაა და გადამწერი თავისი შეხედულებისამებრ მიუჩინს ადგილს.

22. 40(31) სტროფი სხვა ფურცელზე მოხედებოდა, რომელზეც ახალი ამბავი – საკუთრივ ვეფხისტყაოსანი იწყება. შეიძლება ამ გარემოებით აიხსნას ის, რომ ეს სტროფი გადამწერმა თვით პოემის ტექსტში გადაიტანა.

23. გავიხსენოთ, რომ ქუთაისურ (0) ხელნაწერში არაა 26(20) სტროფი; ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჯერ ფურცლის ბოლოს მოთავსებული ეს სტროფი დაზიანდა. J T ნუსხათა საერთო არქექტივის ვარაუდი უშვებს ასეთ შესაძლებლობას. O ხელნაწერის პროტოგრაფთან დაკავშირებით გვაქვს კიდევ ერთი მონაცემი; ამ ხელნაწერში არაა 11(9), 12(10), 13(11) და 15(12) სტროფები. თუ ვიფიქრებთ, რომ ეს ოთხი სტროფი ერთი გვერდი უნდა იყოს და გადამწერს გამოერჩა X O, ნუსხათა: თითოეულ გვერდზე ხომ 4 სტროფია – ჩანს, ეს ფორმალურა მხარეც ტრადიციია! მაშინ სტროფები ასე იქნებოდა განაწილებული: 11(9), 12(10), 13(11), 15(12), 16(13), 17(14), 19(15), 20(16); 22(17), 14(18), 25(19), 24(20). როგორც ვხედავთ, 26(20) სტროფი აქაც ფურცლის კიდეშია. ის გარემოება, რომ თანამიმდევარ სტროფთაგან O –ს მხოლოდ ერთი აკლია, J –ს კი ორი, მოწმობს, რომ ქუთაისურის სავარაუდო პროტოგრაფი უფრო ადრეა გადაწერილი.

24. რაც შეეხება ჩანართ სტროფებს A 14, A 21, A 33, ჩვენი ფიქრით, ისინი სათანადო გვერდებზე მიწერილი გლოსებია და მათი ინტერპოლირება ხდება მას შემდეგ, რაც მზებათუნისეული რედაქციის პროლოგის ფურცლების და სტროფების თანმიმდევრობა დაირღვა. იგივეს ვერ ვიტყვი A 1 – “პირველთავე დასაწყისი” სტროფის შესახებ, რომელიც ამ ჩანართებზე გაცილებით ადრინდელი ჩანს და, ეტყობა, პროლოგის ტექსტს ძალიან ადრე შემატებია.

25. ფურცელი, რომელზეც ეს სტროფი შეიძლება ყოფილიყო აკლია [E] GHKLMQRST [ X ] ხელნაწერებს, სტროფი არაა V ნუსხაში (რადგან მისი პროლოგი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან – იხ. ს. ცაიშვილი, ვეფხის ტყაოსნის ძველი რედაქციები, თბილისი, 1963, გვ. 41–42 ).

26. აქ ცალკეულ ვარიანტებს არ მივეითებთ, რაც შეეხება თვით სტროფის წარმოშობას, ვიზირებთ შ. ონიანის მოსაზრებას, რომ ხელნაწერის სათაურსა და ნართაულ სტროფს შორის “უთუოდ არსებობს გენეტიკური კავშირი – ერთ-ერთი მათგანი მეორეზეა დამოკიდებული” (იხ. შ. რუსთაველი – საოუბილეო კრებული, თბილისი, 1956, გვ. 325–329). ჩვენი აზრით, სტროფის შექმნა განაპირობა სამეფო სახლის და ზაზახეული ტიპის ხელნაწერებში დადასტურებულმა სათაურმა: “დასაწყისი პირველი ამბავი სპარსული ტარელი-საგან ქართულად ნათარგმანები, რომელსა ვეღვის ტყაოსნად უხმობენ. ტარელსა და ნესტანდარეჯანის მიჯნურობა, კარი პირველი იწყება იე” – შუარ. “პირველთავე დასაწყისი ნათქვამია იგი სპარსულად, უხმობთ ვეფხისტყაოსნობით”, ხოლო მეორე ტაპის

დასასრული — “ არსსა შეიქმს ხორცარსულად ” — ნაკარნახევი უნდა იყოს პროლოგის პირველი სტროფის მეორე ტაეპით — “ ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერითა ”. ამ სიტყვებთან უშუალო აზრობრივ და ლოგიკურ კავშირში ნართაული სტროფის მომდევნო ტაეპი.

27. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანა, თბილისი, 1926, გვ. 54.

28. იქვე, გვ. 55.

29. ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 497.

30. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული წერილები, თბილისი, 1966, გვ. 61. (იხ. აგრეთვე შენიშვნა 1 ).

31. მ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბილისი, 1966, გვ. 17.

32. შ. ო ნ ი ა ნ ი, ვეფხისტყაოსნის ერთი ნართაული სტროფის შესახებ, შოთა რუსთველი — საიუბილეო კრებული, 1966, გვ. 328.

33. მოხილვა წმიდათა და სხვათა აღმოსავლეთის ადგილთა ტიმოთესაგან, ქართლის მთავარეპისკოპოსისა, პლ. იოსელიანის გამოცემა, ტფილისი, 1852, გვ. 154.

34. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბილისი, 1957, გვ. 54, 113.

35. ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 10.

36. ხომ არ იყო: “ გ უ ლ ი ს ყ უ რ ი მივსცეთ სრულად ”? ( გ უ ლ ი ს ყ უ რ ი : “ მოსწავლეთაგან სწრაფად სმენა, სწრაფად სწავლა, მიკდომა და ქმნა ” — ს ა ბ ა, “ ძალა მიხდომისა და დანსოვნისა ” — დ. ჩუბინაშვილი ). ერთი რამ ცხადია, — ინტერპოლაციის ავტორი ღრმად გრძნობს პოემას და სხვებსაც მოუწოდებს, რომ ვეფხისტყაოსნის გასაგებად საჭიროა ყური, ოღონდ არა მხოლოდ ხილული, არამედ გულისა ( შ რ დ. კ. კ ე ლ ი ძ ე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, თბილისი, 1968, გვ. 268 ).

37. გ. ტაეპში შემორჩენილია პირველი სიტყვა “ სასმენელად ”. ალბათ მთლიანად ტაეპი იყო: “ სასმენელად შევნიერი, გათარგმნული მით ქართულად ”. დ. გაირჩევა პირველი სიტყვა “ მსმენელთა ( თვის ) ”, ე. ი. იგივე, რაც 0—ში.

38. მ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბილისი, 1966, გვ. 19—20, შენ. 22. შ. ო ნ ი ა ნ ი, ვეფხისტყაოსნის ერთი ნართაული სტროფის შესახებ, შოთა რუსთველი — საიუბილეო კრებული, თბილისი, 1966, გვ. 320.

39. ჩვენთვის საინტერესო ვარიანტის შესახებ მ. გუგუშვილი წერს: “ ამ ხელნაწერების წაკითხვით სტროფი ვეფხისტყაოსნის ქებას შეიცავს და ჩამოცილებული აქვს კრიტიკული ელემენტი ”. მ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, პოლემიკა რუსთველის გარ-

შემო, თბილისი, 1966, გვ. 19–20. შენიშვნა 22; შ. ონიანი იმოწმებს ენოსხე ტაეპის OGI ვარიანტს და თვლის, რომ იგი “აშკარად ტექსტის შემდეგდროისდელი გადაკეთებაა, რომელიც ეწინააღმდეგება სტროფის მთელ შინაარსს”, შ. ო ნ ი ა ნ ი, ვეფხისტყაოსნის ერთი ნართაული სტროფის შესახებ, შოთა რუსთველი – საიუბილეო კრებული, თბილისი 1965, გვ. 20.

40. ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 13.

41. იქვე.

42. ამგვარი კონტრადიქციის და პროლოგის ტექსტის ზოგიერთი მონაკემის მიხედვით ვფიქრობთ, რომ ამ ვარიაციის ავტორს ხელთ ზაზასეული ტიპის ვარიანტი უნდა ჰქონოდა (გამორიცხული არაა, რომ სტროფი იყო ც ნუსხაშიც, რომელიც ტიპოლოგიურად ახლოა როგორც ზაზასეულ, ისე მზესათუხისეულ ხელნაწერებთან).

## თავი მეოთხე

### მეფის ღმერთისწორობის იდეის შესახებ ვეფხისტყაოსანში ( იდეოლოგიურ ცვლილებათა კვალდაკვალ )

ვეფხისტყაოსანში გვხვდება რამდენიმე სტროფი, რომლებშიც მეფე ღვთის-საბაო ეპითეტებით ან ღმერთის თანასწორადაა მოხსენიებული. ამ ხასიათის თეოქემის ყველა ეპითეტს პოემის ხელნაწერებში საყურადღებო ვარიანტული ნა-ირვეარობა ასლავს და გამოცემებშიც სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი მკვლევართა პოზიციის შესაბამისად. პოემის ტექსტი ამ ასპექტით განსაკუთრე-ბულ ინტერესს იმსახურებს, რადგან მეფის იზოთეოსი (ღმერთთან გათანაბრება), როგორც მხატვრული აქსესუარი, გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობისა და მრწამსის გამოხატულებაა.

ბუნებრივია, ვეფხისტყაოსანს ვერ მოვწყვეტთ მისი შექმნის ეპოქას — ფეო-დალური საქართველოს “ოქროს ხანას”, ვერ დავაყენებთ ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული პერიოდის იდეოლოგიის გარეშე. რომ გაცეთ პასუხი კითხვას — მი-საღებია თუ არა იზოთეოსის გამოვლენა რუსთველის პოემაში, გადავხედოთ სა-ქართველოს ისტორიას, უპირველეს ყოვლისა კი მის წერილობით წყაროებს, სა-ქართველოს ისტორიულ ქრონიკებს — “ქართლის ცხოვრებას”.

როგორც მსოფლიო ისტორია მოწმობს, მეფის ღმერთთან დაკავშირება რაიმე სახით, მეფის “გაღმრთობა” მონარქიული სახელმწიფოს იდეოლოგიური ატრიბუ-ცია. საქართველოში ოდითგანვე დამკვიდრებული რწმენით ბაგრატიონთა საგვარ-ჯეულო ღვთიურა ჩამომავლობისა იყო და სამეფო ძალაუფლება თვით ღმერთის-გან ჰქონდა ბოძებული. ბაგრატიონთა ღმერთის უპირატესობის ეს იდეოლოგიუ-რი მითი, მ. ლორთქიფანიძის გამოკვლევით<sup>1</sup>, უნდა შექმნილიყო IX-X საუკუნე-თა მიჯნაზე, როდესაც საქართველოში მიმდინარეობდა ბრძოლა ერთიანი ფეო-დალური მონარქიის შექმნისათვის და სხვა სამთავრო საგვარეულოთა შორის და-წინაურდა აშოტ ბაგრატიონი (კუროპალატი).

ბაგრატიონთა სახლის ამ უზენაესობის ფაქტიურ გამოვლენას ვხედავთ გიორგი მერჩულეს თხუზულემაში. გრიგოლ ხანძთელი ასე მიმართავს აშოტ ბაგ-რატიონს: “დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შეილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობა და სათნობანიცა მისნი დაგიმკჯდრენ ქრისტე-მან”<sup>2</sup>.

შემდგომად არაერთხელ ვხვდებით ამ იდეას “ქართლის ცხოვრება”ში. გიორ-გი VI საგვარეულო სიამაყის შეგნებით მიმართავს თემურლენგს: “არა უწყია, რამეთუ ძირთაგან დავით წინასწარმეტყველისათა აღმოცენებულ ვართ, და მის გა-ღმერთობისა მიერ ცხებით განეგების მეფობა ჩუენ ბაგრატიონთა და ტომნი ვართ



დავით მეფისა და წინასწარმეტყუელისა? . . ამისთვისა განგებითა მრავალმოწყალისა ღმრთისათა მეფედ დამკვდრებულ ვართ სრულიად საქართველოსა ზედა“<sup>3</sup>.

გიორგი მერჩულეს თქმით, ბაგრატიონებს “სათნობანიცა მისნი დაუმკვდრა ქრისტემან”. ამგვარად, იზოთეოსი არაა უცხო ქართული ბუნებისათვის. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური ძლიერების ზენიტში, ერთიანი საქართველოს ყველაზე ღირსეულ და ძლევაგამოსილ მეფეებთან დაკავშირებით. არსენ ბერი ასე ახასიათებს დავით აღმაშენებელს: “კაცთმოყვარე ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის, ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმულთა შორის“<sup>4</sup>, მაშასადამე, დავითის ისტორიკოსი მას “ბუნებით ღმერთად” სახავს მათ შორის, ვინც „მადლითაა ღმერთქმულნი“. გიორგი 111-ის თანამედროვე ისტორიკოსის თქმით, გიორგი 111 არის „ღმრთისაგან მის სახედ ჩენილი პატრონი“. რენესანსის ეპოქის ქართული ისტორიოგრაფიის მსგავს პასაჟებში (რომელთა შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი), კ. გრიგოლიას აზრით, იზოთეოსი საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ეამთა-აღმწერელნი ემყარებოდნენ მეფის „გაღმერთობის“ წარმართულ ტრადიციას, „რითაც თავის მხრივ არეოპაგიტული მოძღვრებაც ხელმძღვანელობდა და ქრისტიანობასთან მის შერიგება—შეთანხმებას ცდილობდა“<sup>5</sup>. ფსევდოდიონისე არეოპაგელის მოძღვრებაში მოკუმულია თეოზისის — ღმერთთან ადამიანის მიმსგავსების, როგორც უმაღლესი მიზნის — იდეა: „. . . გაღმერთობაა არს ღმრთისა მიმართ, რაოდენ დასატევენელ არს, მსგავსებაა და ერთობა“<sup>6</sup>.

როგორც დავით აღმაშენებლის, ხოლო შემდგომ თამარის ისტორია მოწმობს, „აქ აღნიშნული იზოთეოსი ისეთი რენესანსული მოვლენა იყო, რომელსაც ოფიციალური ეკლესიაც იწყნარებდა . . . ასე ხდებოდა იმიტომ, რომ აღწერილი იზოთეოსი მხოლოდ მეფის გაღმერთებას გულისხმობდა“<sup>7</sup>. შემდგომ თამარის ორივე ისტორიაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ცხოვრება მეფეთ—მეფისა თამარისი“) არაერთხელ შევხვდებით მეფის ღმერთთან გათანაბრების შემთხვევებს, რომელნიც ჩვენ რუსთველის პოემასთან მიმართებით გვინტერესებს.

როგორც ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ, მეფის შესხმამ აპოთეოზს თამარის ეპოქაში მიაღწია. „აზმათა“ ავტორი ასე მოიხსენიებს თამარ მეფეს: “. . . მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და ს ა მ ე ბ ის ა გ ა ნ ო თ ხ ა დ თ ა ნ ა ა ლ ზ ე ვ ე ბ უ ლ ის ა , რომელი ეთეროან იქმნა ხელმწიფეთა შორის, რომლისა სახე და სახელი თქსსა ადგილსა სიტყუამან საცნაურ ყოს“<sup>8</sup>. და კიდევ: „თუ მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამეზისაგანი, ა ქ ა კ უ ლ ა ს ა მ ე ბ ის ა თ ა ნ ა ი ხ ი ვ ე ბ ის ო თ ხ ე ბ ა დ თ ა მ ა რ , მ ი ს წ ო რ ე ბ უ ლ ი დ ა ა ღ მ ა ტ ე ბ უ ლ ი“<sup>9</sup>.

როგორც ვხედავთ, თამარის პიროვნებით აღტაცებული მემატრიანესათვის იგი

წმინდა სამების მეოთხე წვერია, და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, იგი მასთანაა „მისწორებული და აღმატებული“. თამარი და მეუღლე მისი დავითი, „აზმათა“ აქტორის სიტყვით „ღმრთისაგან ღმერთქმნილნი“ არიან: „და მსმენელთა ამისთა, მტყებელთა თვისათა, დამსხმელთა თავთა ნაცრისათა, აღიხილნეს თუაღნი მათნი, და არავინ იხილეს მკსნელი და მაცხოვარი მათი, გარნა ღმერთი მხოლოა და ღმრთისაგან ღმერთქმნილნი დავით და თამარა“<sup>10</sup>.

თამარის დედის – ბურდუხან დედოფლის გარდაცვალების ამბავს ისტორიკოსი ასე გადმოგვცემს: „... და მიიცვალა დედოფალი (ბურდუხან), დედა თამარისი, სწორი ძისა ღმრთისა დედისა“<sup>11</sup>. ე.ი. აქ თამარის დედა მარიამ ლეთისმშობლის თანაბრადაა მოხსენიებული, მეორეგან კი მარიამ ლეთისმშობელთან თამარია შედარებული. ამ პასაჟში, ივანე ჯავახიშვილის, თქმით, თამარ მეფის ისტორიკოსი „ლაშა გიორგის დაბადებაზე ისე ლაპარაკობს, რომ მკითხველს ეგონება ქრისტეს შობის აღწერას აპირებსო“<sup>12</sup>. ეს შენიშვნა ეხება „ისტორიათა და აზმათა“ ამ ადგილს: „მიუღვა თამარ განწმენდილითა გონებითა და ტაძრისა ღმრთისა აღმქუალულისა სანთლითა სხეულისათა, მკურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა ტაბაკმელასა ბეთლემ – მყოფელმან მუნ შვა ძე სწორი ძისა ღმრთისა, და უწოდა სახელი იხოვნიისა მის მამისა თჯისა გიორგი“<sup>13</sup>.

„მუროთა საღმრთოთა“ აღვსილი X11 საუკუნის ლეიძლი შვილისთვის „კორციელებრი“ არსების ამგვარი ქებათა ქება უმაღლესი ზღვარი იყო. საინტერესოა ვნახოთ, რა სახითაა წარმოდგენილი „ისტორიათა და აზმათა“ შემდეგდროინდელ ტექსტებში ჩვენს მიერ მოხმობილი მაგალითები თამარის ასეთი ეგზალტირებული ხოცბისა: წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ გარკვეული მიზანდასახულობით ამ პასაჟთა გასწორება ან საერთოდ თბრობიდან ამოღება ახასიათებს ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიის“ ტექსტს<sup>14</sup>.

„აზმათა“ დასაწყისი აბზაცი, სადაც თამარი სამების მეოთხე წვერადაა მიჩნეული, „სწავლულ კაცთა კომისიის“ ტექსტში საერთოდ არაა, მის ნაცვლად ქრონიკისთვის წამძღვარებულია თამარის მამის გიორგი 111-ის მოკლე დახასიათება (ლაშა-გიორგისდროინდელი მატეიანის მიხედვით შედგენილი)<sup>15</sup>. მეორე ნიმუშიც ამგვარი შედარებისა ხსენებულ ტექსტში არაა<sup>16</sup>.

რაც შეეხება იმ პასაჟს, რომელშიც მემატეიანემ დავითი და თამარი „ღმრთისაგან ღმერთქმნილად“ მოიხსენია, იგი სრულიად სახეცვლილია და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, საგანგებოდ აქვს ავლილი გვერდი თამარისა და დავითის ღმრთისადადარი ეპითეტებით მოხსენიებას. „სწავლულ კაცთა“ ტექსტში ვკითხულობთ: „... რამეთუ იტყებდეს თავსა, და ისხმიდეს ნაცარსა, რამეთუ არა-სადათ იყო

სასობაჲ ჳსნისა მათისა, გარნა მხოლო ოდენ ღმერთი და მისგანვე  
პ ა ტ ი ვ ე ე მ უ ლ ნ ი დ ა გ ა ნ დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი დავით და თამარ და<sup>17</sup>.  
როგოც ვხედავთ, უგულებელყოფილია ამაღლებული და საზეიმო ტონის „ღმრთი-  
საგან ღმერთქმნილნი“ და შეცვლილია საგვსებით ნეიტრალური და პროზაული გან-  
საზღვრებით — „პატივეემულნი და განდიდებულნი“. აქ სრულიად უდავოა რელი-  
გიური და იდეოლოგიური მოსაზრებებით განპირობებული ასალი რედაქცია ძველი  
ტექსტისა, „აზმათა“ ავტორის სახობო ეპითეტთა ნეიტრა: „ხაციის ცდა.

მსგავსი მდგომარეობაა ბურღუსან დედოფალთან დაკავშირებით: მაჩაბლი-  
სეულ ნუსხაში იზოთეოსის შემცველი შედარების („სწორო ძისა ღმრთისა დედი-  
სა“) ტექსტი ამოღებულია, ვახტანგისეულ ნუსხაში კი შეცვლილია: ბურღუსან  
დედოფალი ღმრთისსადარი ეპითეტების ნაცვლად მოიხსენიება მხოლოდ როგორც  
„ყოვლითურთ სიკეთელმატებული“<sup>18</sup>.

ახლა ვნახოთ, რა სურათია სხვა ნუსხებში. თუ თამარისა და დავითის იზო-  
თეოსის შემცველი ფრაზები მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში ხელუხლებე-  
ლია, სულ სხვა ვითარება გვაქვს ლაშა-გიორგისთან დაკავშირებით — „სწორო  
ძისა ღმრთისა“ (როგორც ტახტის შემეკიდრე მოიხსენია „აზმათა“ ავტორმა) მა-  
რიამისეულ ნუსხაში ყოფილა, მაგრამ კალმის წვერით ამოუშლიათ, მაჩაბლისეულ  
ნუსხაში კი სულ არაა<sup>19</sup>, ხოლო ვახტანგისეულ ტექსტში ეს ნაკვეთი საერთოდ არ  
შეუტანიათ, მის ნაცვლად ლაკუნა შევსებულია ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედ-  
ვით: „და იყვნეს რა დავანებულ ტაბაკმელას, მუნ შვა ძე პირმშო ყოვლითურთ  
მსგავსი პაპისა“<sup>20</sup>.

ს. ყაუხჩიშვილი განმარტავს, რატომ აირჩიეს ვახტანგის „სწაელულმა კაცებ-  
მა“ მეორე ისტორიის ტექსტი: „პირველი ისტორიკოსის თხრობა არ მოიწონეს,  
ჩემის აზრით, იმიტომ, რომ იქ ორ ადგილას გადაპარბებული გაღმერთება იყო  
თამარისა, რასაც შკრებელობის იერი გადაპკრავდა: 1. თამარის ბედი შევიღერე-  
ბის საკითხში შედარებულია მარიამ ღვთისმშობლის ბედთან („ვითარ იქმნა სარას  
ზე, გინა თუ რაქაელისსა, ანუ ელისაბედისსა და უფროსდა ანასსა და, ვიკადრო,  
მ ა რ ი ა მ ი ს ს ა“); 2. ტაბახმელა, სადაც თამარმა დაბადა ლაშა-გიორგი,  
გამოცხადებულია ბ ე თ ლ ე მ ა დ , სადაც მარიამმა შვა ქრისტე („ტაბაკმელას  
ბეთლემ—ყოფელმან მუნ შვა ძე“)

ძირითადი ტექსტისა და ვარიანტების შედარებით მიღებული შთაბეჭდილება  
გაგვახსენებს აკად. სიმ.ყაუხჩიშვილის დებულებას, რომ „... ისტორიათა და  
აზმათა“ ავტორს ხიბლავს თამარის მაღალი ზნეობრივი თვისებები და იმდენად  
აღტაცებულია თამარის სახებით, რომ ა ვ ი წ ყ დ ე ბ ა მ ა შ ი ნ დ ე ლ ი ს ა ე-  
კ ლ ე ს ი ო დ ო გ მ ა ტ ე ბ ი“<sup>22</sup>.

მაგრამ თუ ფეოდალური საქართველოს ძლიერების ეპოქაში თამარის თაყვა-  
ნისცემის ყოვლისმომცველმა კულტმა შეიწყნარა მემატანის ხობა, მომდევნო

საუკუნეებში, როდესაც სამეფო ძალაუფლებამ „იწყო კლებად“—რასაც ლოგიკურად მოჰყვა მეფის ცნების დევაღვაცია—მიიჩინეს, რომ ყოველივე ამას „მკრეხე-ლობის იერი გადაჰკრავდა“, და ამ წარმოდგენების შესაბამისად თამარის ისტორიის ტექსტსაც შესაფერისი რევიზია და რედაქცია გაუქეთდა.

უტყუარი ისტორიული წყაროთი დასაბუთებული მაგალითებიდან ჩანს, რომ იზოთეოსმა უმაღლეს ზღვარს მიაღწია ვეფხისტყაოსნის შექმნის ეპოქაში, ახლავნანოთ, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით რუსთველის თხზულებაში.

პოემაში რომ მეფის ძალაუფლება განდიდებულია, ეს უდავო ჰეშმარტებაა. აკად. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ვეფხისტყაოსნის ქალის ტახტზე აყვანასთან დაკავშირებით დაწერილი, გარკვეული იდეოლოგიური მოსაზრებებით გამსჭვალული ნაწარმოებია, „რომელშიც აისახა ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროს საქართველოში არსებობდა“<sup>23</sup>. ალ. ბარამიძე გამოკვლევაში „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ წერს: „ვეფხისტყაოსნით მეფე დასახულია ღვთისსწორ არსებად . . . ღვთისსწორ არსებადაა მიჩნეული საისტორიო წყაროების მიხედვით თამარ მეფეცხოლო ჩახრუხაძე სახობტო ენაწყლიანობის კვალობაზე თამარს აღიარებს პირდაპირ ნათელ ღვთაებად, „თანაგამწყვდო ძისა“ (ე.ი. იესო ქრისტესი), სწორად მაშისად“, ე.ი. მამა ღმრთის სწორად (თამარიანი, 111, 1-2)<sup>24</sup>.

ის გაბატონებული აზრი, რომ მეფე „ღმრთისაგან მის სახედ ჩენილი პატრონია“, პოემის პროლოგის პირველივე სტროფში გამოხატა რუსთველმა:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,

მისგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

ეს აზრია გატარებული მთელ პოემაშიც. ამჯერად ღვთისსადარი შედარება—ეპითეტებით მეფის დახასიათება გვიანტერესებს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში, მით უმეტეს, რომ პოემის გამოცემებში ზოგიერთი მათგანი საერთოდ არაა ფიქსირებული.

ი. მეფე როსტევიანისათვის ანდერძის დატოვების შემდგომ „გამოპარვით წამოსულ“ ავთანდილს ტარიელი დათქმულ აღგილზე არ დაუხვდა, არაბთა მეფის სპასპეტი ასმათს ეუბნება (i 035(856) )<sup>25</sup>:

ბროლ—სადაფნი მარგალიტსა ლალისფერსა სცვენ და ჰბურვენ,

მას მოვპშორდი, ვერ ვეახელ, ვერ მისურვეს, ვერ ვასურვენ,

გამოპარვით წამოსლვითა ღმრთისა სწორნი მოვიმღურვენ,

ნაცვლად მათთა წყალობათა გულნი მათნი შეეაურვენ.

„ღმრთისა სწორნი“ აქ როსტევიანია. ამ სახითაა ტექსტი წარმოდგენილი სამეფო სახლის (ABCMX), მამუკა თავაქრაშვილის (E) და Y ხელნაწერებში, მაგრამ სხვა ნუსხებში საკმაოდ განსხვავებული ვარიანტები გასჩენია. არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმ გარემოებამ, რომ სხვა სიტყვათაგან განსხვავებით ნაირკითხვათა სიუხვით სწორედ იზოთეოსის გამომხატველი ეპითეტი გამოირჩევა. თვით

გამოთქმა „ღმრთისა სწორი“ დამოწმებულია თამარისდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში – იგი თამარ მეფის ტიტულის კომპონენტია (მაგ. „ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფეს თამარს“ და სხვა). აი რა ვარიანტული ნაირგვარობა გვხვდება ხელნაწერებში:

ABCMX, E, Y	გამოპარკით წამოსლვითა ღმრთისა სწორნი მოვიმღურვენ				
DU V, GH	„	„	მზისა	„	„
JT	„	„	ცათა	„	„
I	„	„	მეფე ჩვენი		„
KO	„	„	ჩემი მზრდელნი		„
F	„	„	დიდებულნი		

აქ საინტერესო ვითარება შეიმჩნევა: ყველა იმ ხელნაწერის რედაქტორს, სადაც ტექსტი გადაკეთებულია, ხელთ სამეფო სახლის ტიპის ტექსტი უნდა ჰქონოდა. ხოვლელის (1) ნუსხის რედაქტორმა „გასცა“ თავისითავე: მან იცის, რომ „ღმრთისა სწორნი“ იგივეა, რაც „მეფე ჩვენი“; რაც შეეხება სხვა ვარიანტებს „მზისა“ ან „ცათა სწორნი“, „ჩემი მზრდელნი“, „დიდებულნი“ – ეს ყველაფერი აშკარა ემენდაციაა, ერთმანეთისაგან ამგვარ ნაირკითხვათა წარმოშობა ძნელი დასაჯერებელია და, რაც მთავარია, უფრო ძნელი ასახსნელია. როგორც ვხედავთ, ყველა კონიექტურა აზრიანი და გამართულია<sup>26</sup> (მაგალითად, ს.კაკაბაძემ თავის პირველ გამოცემაში გაიზიარა წაკითხვა „ცათა სწორნი მოვიმღურვენ“, წყაროა „რედაქტირებული“ J ხელნაწერი), მაგრამ აქ წარმოდგენილ ყველა წაკითხვას შორის lectio difficilior მხოლოდ „ღმრთისა სწორნი“ შეიძლება იყოს და ეს წაკითხვაც გაიზიარა თითქმის ყველა გამოცემაში.

2. ფატმანი მოუთხრობს ავთანდილს (1357 (1172)):

მისალამეს, „ფატმან–მითხრეს–ბრძანებაა დ მ რ თ ი ს ა ს წ ო რ თ ა :  
 დღეს რომელი უსენ შესძენა ჭალი, მსგავსი მზეთა ორთა,  
 აწ მოვგვარე, წვაიყვიანოთ, ვლა არ გვინდა გზათა შორთა“.  
 ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვა ღმრთისა ეცა ვორთა.

ამ შემთხვევაში „ღმრთისა სწორნი“ ზღვათა მეფის ეპითეტია. ამ გამოთქმასაც სხვადასხვა ვარიანტით წარმოგვიღვენენ ხელნაწერები:

ABCMX, FZ, H, JT, L, N, P, Y	მისალამეს ფატმან მითხრეს ბრძანებაა ღმრთისა სწორთა				
DU VW E, G	„	„	„	„	მზისა
IR, KO	„	„	„	„	ცათა

როგორც ვხედავთ, ამ სტროფში ის ნუსხები, რომლებშიც იგივე შესიტყვება („ღმრთისა სწორთა“) ამის წინ მოხმობილ ტაეპში ვარიანტული ნაირკითხვებით იყო წარმოდგენილი, აქ „ღმრთისა სწორს“ იზიარებენ. ესენია F, H, J T, აგრეთვე ნუსხები L, N, P, (მათ 856–ე სტროფი ხელნაწერის დეფექტის გამო არ გაა-

ინათ); ზაზასეული რედაქცია "ღმრთისა სწორთა" ნაცვლად დაბეჯითებით იცავს ემენდაციას "მზისა სწორთა", ამ შემთხვევაში მას ემხრობა ვახტანგისეული გამოცემა<sup>27</sup>. ზაზასეული რედაქციის ორივე სტროფში "ღმრთისა სწორთა" შეცვლა ნაირკითხვით "მზისა სწორთა" ერთი პირის ხელწერას ამჟღავნებს და მას ამკარად ტენდენციურობის კვალი ატყვია (სხვათა შორის, საყურადღებო ვარიანტული ნაირგვარობა ახლავს მეოთხე ტაქსაც, სადაც ნათქვამია "რისხვა ღმრთისა ეტა გორთა", მაგრამ ამის შესახებ ახლა სიტყვის არ გავაგრძელებთ):

- ს. გავგზავენ კაცი ხატაეთს და წიგნი ჩემ-შაგიერი;  
 მივსწერე: "მეფე ინლოთა არისმცა ღმრთულ ებრძლიერი,  
 მისი ერთგული ვაძღების ყოველი სული მშვიერი,  
 ვინცა ურჩ ექმნას, იქმნების თავისა არ-მადლიერი. 521 (337);

ამ გვანტერესებს ტაეპი ტარიელის წერილიდან ხატაელთადმი: "მივსწერე: მეფე ინლოთა არისმცა ღმრთულ ებრძლიერი თამარ მეფისძლევა მოსილი ბრძოლების ეპოქაში, როდესაც "განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა პირსა ქუეყანისასა და ლაშქრობდა და ვით ბრძანებითა და გამორჩევითა თამარ სუე-აღქსანდრიანისათა და იმარჯუებდა შეწვეენითა ზეგარდმოთა"<sup>28</sup>, როგორც მოგვითხრობს "აზმათა" ავტორი, ეპითეტი "ღმრთულებრ ძლიერი", ალბათ არავის მოეჩვენებოდა არც პიპერბოლად, არც მკრეხელობად, მაგრამ შემდეგში კიჩანს, ბევრი გადამწერი დაუფიქრებია: ABCMX, D,W, FI, GH, KO, L, II, Y ხელნაწერში კვითხულობთ:

	მივსწერე მეფე ინლოთა არისმცა ღმრთულებრ ძლიერი		
UV	" "	არს(ც)ა	ლ-თისაგან "
W	შევსთვალე "	არსმცა	მლთისაგან "
E	" "	არს	მლთ-საგან "
IT	შევსთვალე "	არის	ლთისაგან "
R	შევსთვალე "	კაციმცა	მართებ "

როგორც ვხედავთ "სამეფო სახლის" რედაქცია კვლავ მეფის ღმრთისისადარი ეპითეტით მოხსენიების ერთგულია, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი ტექსტის მიხედვით ზოგი რედაქცია, ისე ეთქვათ, "ვაყოფილა". ეს ესება ზაზასეული (DUV), მზეხათუნისეული (JKOT) და ბებური-შვილისეული (FIRZ) რედაქციის ხელნაწერებს: D (მასთან ერთად ვახტანგის გამოცემა), KO და FI იზიარებენ სამეფო სახლის ხელნაწერთა ნაირკითხვას ("ღმრთულებრ ძლიერი"), მათთან ტიპოლოგიურად დაკავშირებული ხელნაწერები კი (UV, IT, RZ) ამ შედარებას ამკარად "ნეიტრალიზებული" სახით გვა-

წვდიან ("ღმერთისაგან ძლიერი")<sup>29</sup>. მეფის იზოთეოსის ამსახველი ყველა პასაჟი რომ მხოლოდ 'სამეფო სახლის ხელნაწერებში იყოს (სინამდვილეში ამ რედაქციის ხუთი ხელნაწერიდან მხოლოდ ორია სამეფო ოჯახის კეთვნილება), ერთგვარი საფუძველი გვეძებოდა შესაბამისი სტრიქონები ტენდენციური გააზრების ნიმუშად ჩაგვეთვალა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, სამეფო სახლის ხელნაწერთაგან ტიპოლოგიურად განსხვავებული რედაქციებიც იმავე ტექსტს გვაწვდიან. ამ თვალსაზრისით ვეფხისტყაოსანში მთავარი ჩანს თვით იღუაშეფისა და ღმერთის ერთ რანგში მოქცევისა და, რადგან პოემის გმირთა სამოქმედო ასპარეზი მაჰმადიანური ქვეყნებია, ეს გარემოება, ალბათ, მეტ თავისუფლებას აძლევდა ავტორს<sup>30</sup>. ამის მიხედვით კი, ვფიქრობთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მეფის შედარება ღმერთთან თვით ვეფხისტყაოსნისთვის დამახასიათებელი იდეოლოგიური გააზრების სისტემა უნდა იყოს,

4. ჰქადრე: " ვინ გაქოს ყოველმან პირმან არ მეუმზრახემან?

ვითა ვიშიშვი, გაცნობის ღმერთმან, თქვენმანვე სახემან!

.მაგრამ მან ყმაჰან ცეცხლითა დამწვა, და, ალვისა ხემან,

გული წამსავე წამილო- ვერათ ვერ შევიწახე - მან". 904 (739).

რიგ ხელნაწერებში - ( სამეფო სახლის ( ABCM X ); ბებურიშვილის ( FIRZ ), მამუკა მდიენის ( E ) და GL - დატულია წაკითხვა "ღმერთმან თქვენმანვე სახემან"; სხვა ნუსხებში კი ახლავს ნაირკითხვანი:

	ვითა ვიშიშვი	გაცნობის	ღმერთმან	თქვენმანვე	სახემან
J T	"	"	"	თქვენ მღრთებრისა	"
R	"	"	ღმერთმანვე	გაცნობის	თქვენმა სახელმა
DU VW, Q	"	"	"	"	ნათელთა "
HKO	"	"	"	"	ნათლითა "

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გამოთქმა "ღმერთმან თქვენმანვე სახემან" იმდენად მიუღებლად მიუჩნევიან, რომ ყველა გამოცემა (ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის 1966 წლის გამოცემის გარდა) ერთხმად აძლევს უპირატესობას წაკითხვას "ღმერთმან, ნათელთა სახემან", რაც, ალბათ, ვახტანგისეული გამოცემის ავტორიტეტს უნდა ეყრდნობოდეს. საინტერესოა, რომ ბებურიშვილის რედაქციის ( F I Z ), მხეხათუნისეული და რედაქტირებული ნუსხები სამეფო სახლის ხელნაწერთა: ვარიანტს ემხრობიან, ეპითეტი ძალზე თამამია - გამოდის, რომ ღმერთი არის მეფის სახე. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ მას უმართებულად ზოგიერთი მკვლევარი: "ღმერთი არის დასახული ვით სახე მეფისა . . . ასეთი თქმა მიუღებელია და არც იხმარება, პირიქით: კაცი არის სახე, ანუ ხატი ღმრთისა"<sup>31</sup>. მკვლევარის აზრით, მართებული ტექსტი ამ ტაჟისა ასეთია: "ვითა ვიშიშვი, გაცნობის ღმერთმან, ნათელთა სახემან". ამგვარად ტაჟები საცესებით გამართულ-

ლია — “ნათელი” იხმარება ღმერთის ეპითეტად. მაგრამ როდესაც უპირატესობას ვაძლევთ ერთ ვარიანტს და ვთვლით მას ავთენტურად, უნდა აეხსნათ, რამ განაპირობა მეორე — უარყოფილი — ვარიანტის წარმოშობა. მაშასადამე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას — როგორ მივიღეთ ამ შინაარსით და ფორმით აწყობილი, ნათელი კონტექსტიდან მეორე — რთული — ტიპის წაკითხვა — “ღმერთმან, თქვენმანვე სახემან” და მასთან უდავოდ აზრობრივად დაკავშირებული “თქვენ ღმერთეებისა სახემან”; წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ჩვენ ვარიანტული მონაცემებიდან უპირატესობა მივანიჭებთ ე.წ. “უკეთეს” წაკითხვას, რაც, ტექსტზე მუშაობის პრაქტიკის მოწმობით<sup>32</sup>, არაა ადექვატური “ავტორისეული” ან “უძველესი” წაკითხვისა. ამ ფაქტის ახსნა გაკირდება, მით უმეტეს, რომ “ღმერთმან თქვენმანვე სახემან” არის რამდენიმე რედაქციულად განსხვავებული: ხელნაწერში, “ღმერთმან, ნათელთა სახემან” კი — ზაზასეულ რედაქციაში, რომელიც საერთოდ გაურბის მეფის შედარებას ღმერთთან და ამ ტენდენციაში სხვა რედაქციებზე უფრო თანმიმდევრულია, ხოლო ზაზასეულთან მიმსგავსებული წაკითხვა — “ღმერთმან ნათლითა (?) სახემან” — HKO ხელნაწერებში (ამასთან შევეამჩნიეთ, რომ ამ ხელნაწერებსაც მსგავსი ტენდენცია გამოარჩევს, რადგან KO-სთან რედაქციულად დაკავშირებული JT ხელნაწერები დასახელებული სამი მაგალითიდან ორში ღმერთთან მეფის შედარებას არ გაურბიან).

საერთოდ, “აზმათა” შესაბამისი მაგალითების ფონზე, რომელთა შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, გამოთქმა “ღმერთმან, თქვენმანვე სახემან” იმ ეპოქის მსოფლმხედველობისათვის ისე წარმოუდგენელად არ გვეჩვენება, როგორც შემდგომ ეპოქებს მიუჩნევიათ. ყოველ შემთხვევაში, “სამეფო სახლის” ტექსტისა და ვარიანტების მიხედვით გაგვიკირდება აეხსნათ და დავასაბუთოთ, როგორ გაჩნდა ე.წ. “რთული წაკითხვა” (“ღმერთმან, თქვენმანვე სახემან”) მარტივი წაკითხვისაგან (“ღმერთმან, ნათელთა სახემან”).

5.

პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმერთი და ღმრთულებრცხოველი, მშობლური, ტუბილი, მოწყალე, ცა, წყალობისა მთოველი!  
 მას ვეორგულე, წამოვე, მართ და ვიფიწყე ყოველი,  
 მისი შემცოდე ღმრთისაგან კარგსა რასალა მოველი! 1036 (B57).

პირველი ტაეპი ამ სახითაა წარმოდგენილი სამეფო სახლის რედაქციაში და Y ხელნაწერში. ვნახოთ, რა წაკითხვებია სხვა ნუსხებში:

პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმერთი და ღმრთულებრცხოველი				
JT	“	“	ჩემზედან	“
DUV, GH, KO	“	“	ღმრთისაგან დიდად	“
E, FI	“	“	ძლიერი მეტად	“



ზაზასეული რედაქციის (DUV) ვარიანტი გაზიარებულია ვეფხისტყაოსნის ვებტანგისეულ<sup>33</sup> ქართველიშვილის, კარიჭაშვილის პირველ, კაკაბაძის, აბულაძის, ჭიჭინაძის, ინგოროყვას, 1957 და 1966 წლის საიუბილეო გამოცემებში, მამუქა მდივნის და ბებურიშვილის ვარიანტი — კარიჭაშვილის მეორე გამოცემაში. აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით 1966 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსანში ეს ტაეპი წარმოდგენილია სამეფო სახლის რედაქციის ამგვარი კონიექტურით: "პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთოთა და ღმრთულებრ ცხოველი". როგორც ვხედავთ, ყველა გამოცემა გვერდს უვლის მეფის ღმერთად მოხსენიებას.

როგორ უნდა გავიგოთ "სამეფო სახლის" რედაქციის "პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმერთი და ღმრთულებრ ცხოველი", რომელიც გამოცემებში წარმოდგენილია, როგორც "ღიდალ ცხოველი" ან "მეტად ცხოველი"? ჩვენ ავთენტურ წაკითხვად "ღმრთულებრ ცხოველი" მიგვაჩნია (წინამძღვარი — "ღმერთის" ვაგება კი ამ კომპონენტზეა დამოკიდებული). ანალოგიისათვის მოვიხმობთ 1053 (872) სტროფის მეოთხე ტაეპს: "ვიმოწმებ ღმერთსა ცხოველსა მათებრი არვინ შობილა"<sup>34</sup>. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში მხოლოდ ეს ორი მაგალითი გვაქვს გამოთქმის "ღმერთი ცხოველის" ხმარებასთან დაკავშირებით. თვით "ცხოველი" ღმერთის ეპითეტია<sup>35</sup> და ამ ორი გამოთქმის საერთო ძირი ექვს არ იწვევს — "ღმერთი ცხოველი" და (მეფე) "ღმრთულებრ ცხოველი". მსგავსად წინა მაგალითისა, აქაც ვფიქრობთ, რომ "ღმრთულებრ ცხოველი" ემენდიციის მიზნით აღვიღად შეიძლება გადაკეთებულიყო "ღიდალ// მეტად ცხოველი" (საერთოდ, ასახსენელია, რას უნდა ნიშნავდეს "ღიდალ" ან "მეტად" ცხოველი?), პირიქით გადაკეთება კი საეჭვოდ მიგვაჩნია.

ახლა რაც შეეხება "ღმერთს" ამ ტაეპში. სამეფო სახლის რედაქციის მიხედვით ეს "ღმერთი" როსტევიანი, მაგრამ მიეპქციოთ ყურადღება, რომ როსტევიანი ამავე დროს "ღმრთულებრ ცხოველია". გამოდის, რომ როსტევიანი ღმერთია და ამავე დროს თავისთავისებრ: (ღმრთულებრ) "ცხოველი"; მაგრამ ეს უკვე აშკარა შეუსაბამობაა. როსტევიანი "ღმრთულებრ ცხოველია", მაგრამ თვით არის არა ის "სალოცავი ღმერთი", რომელსაც მეფე ებაძვის, არამედ "ღმერთი" მეტაფორული გაგებით ანუ სალოცავი ღმრთივით უზენაესი. მიეპქციოთ ყურადღება მეოთხე ტაეპს: "მისი შემცოლდ ღმრთისაგან კარგსა რასალა მოველი!" აქ სავსებით ცხადია ავთანდილის მიერ როსტევიანისა და ღმერთის გამოიჯნა და დაპირისპირება. მაშასადამე, პატრონი (ანუ მეფე) ავთანდილისთვის ისევე უზენაესია, როგორც ღმერთი. ესაა პატრონყმური გრძნობის ექსტაზის გამოვლენა, და ვეფხისტყაოსნის სიუჟეტენ—ვასალური დამოკიდებულების ფონზე ეს გამოთქმა უცნაურად არ გვეჩვენება: განა ამავე რან-

გში არ მოიხსენია პოეტმა და ვით სოსლანი პოემის ეპილოგის 2122(1666) სტროფიში?

ქ ა რ თ ე ე ლ თ ა ღ მ რ თ ი ს ა დ ა ვ ი თ ი ს ვის მზე მსახურებს  
სარებლად,

ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,  
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,  
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად.

ეს სტროფი მეფის კულტის აპოლოგიაა, და აქაც ზედავით, რომ მეფე ღმერთად მოიხსენიება. აბსოლუტური ანალოგიაა: წინა შემთხვევაში ღმერთი როსტევეანია, აქ—დავითი. ამ ტაეპს არც ერთი გამომცემელი არ დაუეჭვებია (თუ გამოვიტოვებთ პ. ინგოროყვას კონიექტურას), მაშინ როდესაც როსტევეანის ღმერთად მოხსენიება შეუფერებლად სცნეს სწორედ ქრისტიანული რელიგიის დოგმატების მიხედვით. საინტერესოა, რომ ამ ტაეპს გარდასულ დროთა „რედაქტორნიც“ დაუფიქრებია და სამ ხელნაწერში (ბებურიშვილის, გურგენასეული, რედაქტირებული) ვარიანტული ნაირკითხვით გვხვდება:

FR დავითის ქართველთ მეფისა, ვის მზე მსახურებს სარებლად  
I დავითის ქართველთ მეფისა მზე მსახურებდა მარებლად.

ამ ვარიანტებში იმდენად აშკარაა რედაქტორის კალმის ჩარევა, რომ უნდა უყოყმანოდ ვერწმუნოთ ტექსტს-- „ქართველთა ღმრთისა დავითის“.

ყოველივე ზემოთქმულის შემდგომ ვფიქრობთ, რომ 1136(857) სტროფის სხვადასხვა ნაირკითხვითაგან ყველაზე სანდო „სამეფო სახლის“ რედაქციაშია წარმოდგენილი: „პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმერთი და ღმრთულებრიუცოველი“.

„ქართლის ცხოვრებიდან“ მოხმობილ მაგალითებთან ერთად განხილული ვეფხისტყაოსნის კითხვასხვაობანი ჩვენ ფაქტთა ერთ სისტემად გვეჩვენება. ყოველი რედაქციის, ხელნაწერის იქით დგას ჩვენთვის უცნობად დარჩენილი პიროვნება თავისი ჩამოყალიბებული აზროვნებით, მსოფლმხედველობით, მრწამსით.

ვეფხისტყაოსნის შემდეგდროინდელი გადამწერისათვის, უკვე დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველოს პირმშოსთვის, ღმერთი დარჩა მალაღ, ზღვარს ზემოთ, მეფემ, მეფობის იდეამ კი განუზომლად დაბლა დაიწია. აქედან – მეფის ღმერთთან შედარების შეუსაბამობა.

ხელნაწერებში წარმოდგენილი ნაირკითხვანი ჩვენთვის საინტერესო პასაჟებისა ანარეკლია ახალი ისტორიული სინამდვილით ნაკარნახევი შეხედულებებისა; ესაა ერთგვარი გამოსატყულება ხელნაწერის საერთო სტილისა, რომლის ანალოგიური სხვაგანაც იხივს თავს.

ყოველ შემთხვევაში, მეფის ღმრთისწილობის არსებული ტრადიცია, რომელმაც აპოთეოზს თამარის შესახებში მიაღწია, ერთგვარად განმარტავს ვეფხისტყაოსნის რიგ ხელნაწერებში წარმოდგენილ მეფის ღმრთისსადარ ეპითეტებს (ამავე დროს ესაა მასალა ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის).

ცნობილი ფაქტია, რომ პოემის პროლოგს უძღვის სტროფი, რომელშიც ანონიმი მთხზველი ბრალს სდებს პოეტს — „არ ახსენებს სამებასა ერთარსულადო“. ამგვარად, პოემის „ავად მჩხრეკენი“ იქვე ქვეშ აყენებდნენ რუსთველის რელიგიური აღმსარებლობის ჯულწრფელობას, ამ ვითარებაში კი მომდევნო ეპოქების ისტორიულ ფონზე ადვილად შეიძლება მოსჩვენებოდეთ მეფის ასეთი უსაზღვრო ქება მკრეხელობად. ვეფხისტყაოსანში ღმერთთან მეფის შედარების პასაჟთა ვარიანტებიც სწორედ ამ გაკრვეული ტენდენციის ანარეკლად მიგვაჩნია.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, კრებულში: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 141-143. ლეგენდა ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობის შესახებ უკვე 1X საუკუნეში გავრცელებული ყოფილა საქართველოს ფარგლებს გარეთაც — იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, რუსთაველის ეპოქა, თბ., 1966, გვ. 69.

2. გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბ., 1943, გვ. 45.

3. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი 11, თბ., 1959, გვ. 451.

4. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წ. 11, თბ., 1897, გვ. 69.

5. კ. გ რ ი გ ო. ლ ი ა, ქართული რენესანსი რუსთაველის ეპოქისა (X11 ს.). კრებულში: შოთა რუსთაველი, თბ., 1963, გვ. 53-62.

6. პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი ე ლ ი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბ., 1961, გვ. 158.

7. კ. გ რ ი გ ო. ლ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

8. ქართლის ცხოვრება, ტ. 11, გვ. 3.

9. იქვე. გვ. 25.

10. იქვე, გვ. 63.

11. იქვე, გვ. 22

12. ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები

წინათ და ახლა, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XV სს.); თბ. , 1945. გვ. 230.

13. ქართლის ცხოვრება, ტ. 11, გვ. 56.

14. ქართლის ცხოვრების 11 ტომში ეს ტექსტი აღნიშნულია V ლიტერით.

15. ქართლის ცხოვრება. ტ. 11. გვ. 3, შენიშვნა 2.

16. იქვე, გვ. 25. ვარიანტები 15-22 სტრიქონებისა.

17. ქართლის ცხოვრება, ტ. 11, გვ. 63, შენიშვნა 3.

18. ქართლის ცხოვრება, ტ. 11, გვ. 22, ვარიანტები.

19. იქვე, ტ. 11. M ვარიანტები მე-16 სტრიქონისა.

20. იქვე, შენიშვნა 6 და V ვარიანტი მე-16 სტრიქონისა.

21. იქვე, ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა გვ. 035.

22. იქვე, ტ. 11. გვ. 915.

23. ი ვ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ. 1956. გვ. 18.

24. ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე , შოთა რუსთველი და მისი პოემა. თბ. , 1966, გვ. 171.

25. „ქართლის ცხოვრებიდან“ მოხმობილ ციტატებში იზოთეოსის შემცველი პასაჟების დაყოფით წარმოდგენა ჩვენ გვეკუთვნის.

26. ქუთაისურ - ნაკაშიძისეულ ნუსხებში (KO) უნდა ყოფილიყო ჩემნი მზრდელნი მოვიმღვრევენ“ (გრამატიკული შეთანხმების თვალსაზრისით). მაგრამ ამგვარ ვარიანტებს, რომლებიც ტაეპის შინაარსზე გველენას არ ახდენენ, ჩვენ არ შეგვხვებოდა და ვარიანტთა ჩვენების დროსაც არ მოვიხსენიებთ.

27. და მისი უშუალო გავლენით ვეფხისტყაოსნის ბროსეს, ჩუბინიშვილის, ქართველიშვილის, აგრეთვე კარიკაშვილის, აბულაძის, კიკინაძის გამოცემები. ეს ერთი ფორმულა „ღმრთისა სწორნი“ ამ გამოცემებში ორი განსხვავებული ვარიანტითა წარმოდგენილი 856-ე და 1172-ე სტროფებში.

28. ქართლის ცხოვრება, ტ. 11. გვ. 55.

29. ამ წაკითხვას იზიარებენ ბროსეს, ჩუბინიშვილის, ქართველიშვილის, კარიკაშვილის, აბულაძის, კიკინაძის გამოცემები.

30. გაფხისენოთ ახალი ქართლის ცხოვრების ტექსტიდან შაჰ-ისმაილის დახასიათება (თუმცა ანაქრონიზმია, მაგრამ მაინც არაა მოკლებული ინტერესს): „და მიერთგან ირწმუნეს ყიზილბაშთა ძედ იმამისა, არა ხოლო მეფობისთჳს, არამედ ძეობისა მისთჳს იმამისა სწამთ სალოცავად და პატივ-სცემენ მლთაებრ დღეინ-ღელად დღედმდე“. ქართლის ცხოვრება, ტ. 11, გვ. 357.

31. ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, 1963, გვ. 106.

32. იხ. Л. С. Михачев, Текстология, М. Л., 1962, გვ. 177. ამავე თვალსაზრისით საინტერესო მაგალითებს და მოსაზრებებს ვხვდებით აკად. ე. ბერტელ-

სის ნაშრომშიც: „Работа над текстом Пизами“ . Ы.). В е р т е л ь с , Избранные труды, Пизами и Фузали, М. , 1962, стр. 458—174.

33. შდრ. ამ ტაეპის თეიმურაზ ბაგრატიონისეული განმარტება; თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლეეითა და საძიებლით, თბ. , 1960. გვ. 134.

34. საყურადღებოა, რომ ზაზასეული რედაქცია ( D I I V ) , რომელიც სიცივის „ღმერთი“ ხმარებას პოემაში სისტემატურ კონტროლს უწევს, აქაც არ ღალატობს თავს. ჩვენ მიერ ანალოგიისათვის მოხმობილ ტაეპს ზაზასეული რედაქცია ცვლის ასე: „ვემოწმებ ბ ე დ ს ა ც ხ ო ვ ე ლ ს ა , მათებრი არეინ შობილა“. ვუიკრობთ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ ზაზასეული რედაქციის ვარიანტი რედაქტორის კალამს ეკუთვნის.

35. შ. ლ ლ ო ნ ტ ი , ვეფხისტყაოსნის ფრაზეოლოგიური ლექსიკონი, თბ. , 1968, გვ. 175. ავტორს პოემიდან, ბუნებრივია, მაგალითად მოჰყავს მხოლოდ 872 —ე სტროფი (ლექსიკონის საფუძველია პოემის 1957 წლის გამოცემა), რომელსაც ახლავს მრავალრიცხოვანი ანალოგიები ძველი ქართული ლიტერატურის როგორც პროზაული, ისე პოეტური ძეგლებიდან: „ისრაელი მო—ეითარ აქცია ღ მ ე რ თ ი ს ა ც ხ ო ვ ე ლ ი ს ა“. „მარტვილობაა და მოთმინებაა წმიდისა ეესტათი მცხეთელისა“, „ალიარეს ჯუარუმული იგი ჰეშმარიტად ძედ ღ მ რ თ ი - ს ა ც ხ ო ვ ე ლ ი ს ა“ („მოქცევაა ქართლისაა“) და სხეა.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე  
<< მეორისამებრ განსჯისა . . . >>  
( ძიება ერთი სიტყვისა )

სიტყვის მნიშვნელობის მივიწყებამ ვეფხისტყაოსნის ბევრ ფრაზას ღრმა ცვლილებები განაღდევინა.

რუსთველის პოემაში არის სამი სტროფი, რომელთაც ერთი და იგივე სიტყვიერ მასალაზე აგებული რითმები აქვთ. აი ეს სტროფები:

1. ტარიელი ავთანდილს უამბობს „ბიძასძეთაგან“ დაპრილ ფრიდონთან შეხვედრის ამბავს:

„გამიკადა, ღმერთსა ჰკადრა: შენ ასეთნი ხენი ვით ჰ ხ ე ნ !  
მერმე მითხრა: მოგახსენებ, აწ სიტყვანი რომე მ კ ი თ ხ ე ნ,  
იგი მტერნი გამილომდეს, აქანამდის რომე ვითხენ  
უკაზმავსა მილაღატეს, საკურველნი ასრე ვ ი თ ხ ე ნ.  
533(596)<sup>1</sup>

2. ტარიელის ამბის შეტყობის შემდეგ ავთანდილი მეგობარს სთხოვს არსად წავიდეს და დათქმულ ადგილზე დახვდეს; ტარიელი ჰპირდება –

„პირი შენი ნახვად ჩემად თუ მობრუნდეს, ტანი ი ხ ო ს,  
გული მინდორს არ გაიქრეს, არ იირმოს, არცა ი თ ხ ო ს ;  
თუ გიცუო, მოგაღორო, ღმერთმან რისხვით გ ა მ ი კ ი თ ხ ო ს ,  
შენმან კერეტა სიახლემან მომაქარვოს სევედა, მ ი თ ხ ო ს !  
669(667).

3. ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ ავთანდილმა და ფრიდონმა

„ტარიელსა უსალამეს, მას ალვისა მორჩსა, ვით ხეს ,  
მიულოცეს გამარჯვება, ერთმანერთი მ ო ი კ ი თ ხ ე ს ;  
არა სპირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გ ა ი თ ხ ე ს ,  
თავნი მათნი გაალომნეს, მათი მბრძოლი იშველ – ი თ ხ ე ს .  
1423(1434)

როგორც ვხედავთ, სარიტმო სიტყვები სამივე სტროფში ოთხ საერთო ფუძე-ზეა დამყარებული: ხ ე (ჰხენ, იხოს, ხეს), კ ი თ ხ ე ა (მკითხენ, გამიკითხოს, მოიკითხეს), თხება (თხად მიჩნევა: ვითხენ, ითხოს, ითხეს), თხება (თხად ქმნა: ვითხენ, მითხოს, გაითხეს). ამგვარად, ესაა რითმის ერთი ფორმულის სამგვარი ვარიაცია.

ამ სტროფებს ტრადიციული და რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში მიღებული განმარტებანი მოუპოვებათ; ჯერ კიდევ თეიმურაზ ბაგრატიონმა მიაქცია

მათ უურადლება და მოგვცა მათი თარგმანება თავის ცნობილ ნაშრომში „განმარ-  
ტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“. მეცნიერის აზრით, (596) — ე სტროფის „რიფმანი  
ესრეთ განმარტებთან:

1. გ ა მ ი ც ა დ ა , ლ მ ე რ თ ს ა ჰ კ ა დ რ ა , შ ე ნ ა ს ე თ ი ხ ე ნ ი  
ე ი თ ჰ ხ ე ნ — ამას ნიშნავს ესე, ფრიდონ რომ პირველად ტარიელს იხილავს,  
იწყვის: ოჰ, ლმერთოვო, შენ რომ ესრეთნი ნერგნი დაგობადებიაო, ეინაიდგან  
ნერგად ითქმის კაცი და ხეთაც ითქმის კაცი. ხე და ნერგი ერთი და იგივე არის,  
საკვირველი არის ესეეთარის ნერგისა შექმნაო (და ჩვენ კაცთა გონების განსაჯ-  
ვირვებელი არისო)ეს აზრი არის. ნ ე რ გ ა დ კაცი საღმრთო წერილებში მრავალ-  
გან ითქმის და აქ ამ საეროს რუსთველის სტინებში რამდენსავე ადგილს კაცის  
მაგიერად ხ ე არის ნათქომი ლექსის გაწყობის მიზეზისათვის.

2. რ ო მ ე მ კ ი თ ხ ე ნ — ესეადგილად ისმის, კითხვას საქმისას ნიშნავს.

3. რ ო მ ე ვ ი თ ხ ე ნ — რომელსიუ თხუბად მიმართდაო, კარე სესტად და ქა-  
ლაჩუნად და მოწიშოათაო, იგინი გამილომდესო, ესე იგი ლომის მსგავსად მძინ-  
ვარედ შემექმნესო.<sup>2</sup> შექმნა — (667,1): „შ ე ნ მ ა ნ კ ე რ ე ტ ა ს ი ა ხ ლ ე -  
მ ა ნ მ ო მ ა ქ ა რ ე ო ს ს ე ე დ ა , მ ი თ ხ ო ს — სევედა მითხოს — ზრქელი  
სევედოს ღრუბელი. მითხოს — განმითხელოს, ესე იგი სევედა აღმიმსუბუქოს“<sup>3</sup>, და  
(1424,3): „ა რ ა ს კ ი რ დ ა , ა რ ი ნ ა ნ ე ს , რ ო მ ა ბ ჯ ა რ ი ა რ გ ა ი თ -  
ხ ე ს — შეიძსუბუქეს, შეიმცირეს. არ გ ა ი თ ხ ე ს — არ შეიმცირეს, არ მოიკლეს“<sup>4</sup>

ჩვენ იმიდომ მოვიხმეთ ეს შედარებით ვრცელი ამონაწერი თეიმურაზ ბაგრა-  
ტიონის წიგნიდან, რომ ვეფხისტყაოსნის მკვლევართა მიერ ამ და რითმით შესა-  
ბამის ტაეპთა ინტერპრეტაცია (თეიმურაზ ბაგრატიონისაგან დამოუკიდებლად)<sup>5</sup>  
აზრებითად ამგვარი გააზრების იდენტურია.<sup>6</sup> ა. შანიძის მიერ ჩვენთვის საინტე-  
რესო სარითმო სიტყვები ასეა განმარტებული: „ხ ე : მენ (596,1) ქსეობ, ხე  
სარ: . . . იხოს 667,1 სუდ იუს: <sup>7</sup>თხუბა (1): ვ ი თ ხ ე ნ 667,3 თხუბად ვაენხა-  
დე: იშვლეს, ითხეს 1424,4 შევებად და თხუბად ვაისადე: <sup>8</sup>ითხოს 667,1 გამოიხუ-  
ლოს, დამიცოტაოს; აბჯარი არ ვაითხეს 1424,5 აბჯარი ცოცა არ იქოხიეს:“<sup>9</sup>

(596,4) ტაეპსიუ „უქურველსა მილატეს, საქურველნი ასრე ვითხენ“ სარითმო  
სიტყვა, მსგავსად (1424,3) — სა, უნდა ვაევივოთ, როგორც „ცოცა ქონება“. სიტ-  
ყვის ამ მნიშვნელობის მიხედვით, ტაეპის შინაარსი ნათელია — მისი ინტერპრე-  
ტაცია სავსებით ანალოგიურია ტაეპისა „რომ აბჯარი არ ვაითხეს“ ე. ი. შესაბა-  
მისად „საქურველნი ასრე ვითხენ“ ნიშნავს „საქურველი ასე ცოცა ვიქონიეო“.

რაც შეეხება სიტყვებს — „მკითხენ“, „გამიკითხოს“, „მოიკითხეს“, თეიმურაზ  
ბაგრატიონის თქმისა არ იყოს, „ესე ადვილად ისმის“, და ამიღომ სავანებო გან-  
მარტებას არ საქიროებს.

როგორც ვხედავთ, ოთხივე სარითმო სიტყვას სტროფში შესაბამისად ერთი

და იგივე მნიშვნელობა აქვს, განხაკუთრებით თვალსაჩინოა ამ სამი სტროფის რით-  
მათა კავშირი, ყოველი ტაეპის თარგმანების სიციხადე, თითქოს ყველაფერი რიგ-  
ზეა, მაგრამ . . .

მაგრამ არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც აუცილებ-  
ლად უნდა გავწიოს ანგარიში: ტრადიციულად, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული  
გამოცემიდან მოყოლებული<sup>10</sup> (596,4) ტაეპის ტექსტი იბეჭდებოდა ასე:

უქურველსა მოლაღატეს, ს ა ქ უ რ ვ ე ლ ნ ი გ ა რ ვ ე რ ვ ი თ ხ ე ნ, რომელ-  
საც თეიმურაზ ბაგრატიონი ასე გაგვიმარტავს: „ჩემი იარაღი სამამაცო ზედ არ  
მქონდა შემორტყმული და უსაქურველოდ ვიყავ, ამისთვის გამიბედეს ამისთანა  
კიდნიერად ღალატით. ვ ი თ ხ ე ნ და ვ ი რ თ ხ ე ნ — ესე ორივე ნიშნავს ტანზე  
საქურველისა, გინა სხვისა ვითარისამე შემორტყმასა“<sup>11</sup>. ასევე ესმოდა ეს ტაეპი  
დ. კარიკაშვილსაც, რომელმაც 1903 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსანს ამგვარი  
კომენტარი დაურთო: „საქურველნი გარ ვერ ვითხენ“, ე.ი. შეუიარაღებელს მილა-  
ღატეს, იარაღი ვერ შემოვირტყით. ვითხენ წარმოდგება სიტყვათაგან თ ხ მ ა  
ანუ რ თ ხ მ ა, რაიცა არის შეცვლილი რტყმა, სიდაც ასოებს ტ და ყ შეუცვლიათ  
მონათესავე ასოები თ და ხ“<sup>12</sup>. „ვითხენ“ სიტყვის ამგვარივე გაგება გვხვდება  
ვეფხისტყაოსნის 1937 წლის საიუბილეო გამოცემისათვის დართულ ლექსიკონშიც  
რომლის ავტორია ა. შანიძე; მეცნიერის აზრით, აქ მოსალოდნელი იყო ზმნის ფორ-  
მა „ვითხიენ“ (ნაცვლად „ვითხენ“—ისა), ხოლო ტაეპის განმარტება ასეთია: „თხევა  
(და) ყრა: საქურველნი გარ ვერ ვითხენ 596,4 იარაღი გარს ვერ დაფიყარე (ე.ი. ია-  
რაღი ვერ იფიყარე)“<sup>13</sup>

ამჯერად, როგორც ვხედავთ, სამი ტაეპი:

1. უქურველსა მოლაღატეს, საქურველნი გარ ვერ ვითხენ (596,4)
2. შენმა ქერეთა — სიახლემინ მომქარეოს სეედა, მითხოს (667,4)
3. არა სკირდა, არ ინანეს, რომ იბჯარი არ ვითხენ (1424,3)

არღვევს სტროფათების დამახასიათებელ ერთობლიობას: სარითმო სიტყვათა  
ინტერპრეტაციით ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება. ბოლო ორი ტაეპის სარით-  
მო სიტყვები— „მითხოს“, „ვითხენ“ — განიმარტება როგორც „თხლად ქმნა“,  
„ცოტას ქონება“, პირველი ტაეპის „ვითხენ“ კი როგორც „იარაღის ასხმა“<sup>14</sup>. ამ-  
გვარად, (596,4) ტაეპს დისონანსი შეაქვს რითმათა იმ ერთობლიობაში, რაც სრუ-  
ლიად გამოკვეთილად ჩანდა თავდაპირველად — ასე დაირღვა „რითმათა კავშირი“.

(596,4) ტაეპის იმ ტექსტის მიხედვით, რომელიც ირჩია ვეფხისტყაოსნის 1966  
წლის ორივე გამოცემა და რომელიც პომის ხელნაწერთა ერთი მეტად მნიშვნელო-  
ვანი ჯგუფის ჩვენებას ეყრდნობა, თითქოს შეიძლებოდა საბოლოოდ უარი გვეთ-



ქვა ადრინდელ, ტრადიციულ ვარიანტზე, მაგრამ ამ შემთხვევაში იბადება კითხვა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს პასუხს ტექსტის საბოლოოდ დადგენისას:(596,4) ტაეპის სარიტმო სიტყვას აქვს ორი სრულიად სხვადასხვა, მაგრამ ამავე დროს სავსებით შესაძლებელი და აზრიანი განმარტება („იარალის ასხმა“ – „ოტასქონება“), ამავე დროს ორივეს თავისი ღირსებები გააჩნია: პირველის („ვითხენ“ – იარალი აენისხი) უპირატესობა მის ტრადიციულობასა და „ვითხენ“ სიტყვის განსაკუთრებულობაში<sup>15</sup> მდგომარეობს, მეორისა („ვითხენ“ – ცოტა ვიქონიე) – (667,4) და (1424,3) ტაეპების ზოგად შინაარსთან ლოგიკურ კავშირსა და კონტექსტის აბსოლუტურ სიციხადეში, მაგრამ ამ ორიდან ქეშმარიტი, ავტორისეული შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. აქ სავსებით კანონზომიერია დავსვათ კითხვა: რომელი?

საერთოდ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები არაიშვიათად გვაუჩვენებენ ისეთი რთული შემთხვევების წინაშე, როდესაც ორი ვარიანტიდან ერთისთვის უპირატესობის მინიჭება საკმაოდ ძნელია. ერთი ტაეპის ორი სხვადასხვა, და, რაც მთავარია, მისაღები ვარიანტი, ორი სხვადასხვა, მაგრამ მისაღები ინტერპრეტაცია ჩვეულებრივია როგორც ვეფხისტყაოსნის, ასევე სხვა ძველი ტექსტებისათვის; ამგვარ შემთხვევებს აკად. ე.ბერტელსმა სავსებით სამართლიანად უწოდა „ტოლფასოვანი ვარიანტები“ („равноценные варианты“)<sup>16</sup>. აქ, რა თქმა უნდა, თავად ტექსტის არჩევა ძნელი არაა – ძნელია არჩეული ტექსტის დასაბუთება.

ვეფხისტყაოსნის ერთერთი პირველი მკვლევარი და კომენტატორი – თეიმურაზ ბაგრატიონი, ჩანს, არაერთხელ მდგარა ასეთი რთული ვითარების წინაშე, ამიტომ როდესაც ზოგიერთ პასაჟს განმარტავს, იქვე მიუთითებს – “მეორისამებრ განსჯისა” კი შეიძლება მეორენაირად გავიგოთ ეს ადგილიო.

ფიქრობთ, (596,4) ტაეპის ტექსტის დასადგენად უნდა შევეცადოთ გავერკვიოთ პოემის ძველ ხელნაწერებში დაცულ ზოგიერთ ვარიანტულ წაკითხვაში და ვნახოთ, რას მივიღებთ „მეორისამებრ განსჯისა“ . . .

\* \* \*

როგორც უკვე ვთქვით, (596) სტროფის მეოთხე ტაეპს ხელნაწერებში განსხვავებული ვარიანტები ახლავს და მათი შინაარსი საკმაოდ დამაფიქრებელია ინტერპრეტაციის თვალსაზრისით:

ABMX	–	უკაზმავსა მიღალატეს	საქურველნი	ასრე	ვითხენ
CL,E	–	„	„	საქურკლენი	„
I	–	შეუკაზმავს	„	საქურკლენი	„
GJT,ყ	–	„	„	საქურკლენი	ამად

F	-	მილატეს უკაზმავსა	"	ამად	"
WR <sup>1</sup>	--	"	"	გარ ვერ	"
Z	-	"	საქურკლენი	გარვე	"
DU	-	"	"	ვერ გარ	"
V	-	"	"	ვერ გარვითხე	
H	-	"	საქურკლენი	ვერ გავითხენ	
KO	-	"	"	ვერ გარღვითხენ	

ვარიანტთა საკმაო სიჭრელე მოწმობს, რომ ვადამწერნი თავის დროზე კარგად ვერ ვარკვეულან ტექსტში. პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს „საქურკლენი“—ს ნაცულად „საქურკლენი“ ზოგიერთ ხელნაწერში GL, E, GH, J, T, I, Z, Y), მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ვარიანტია სიტყვის სინონიმურ გააზრებას ეყრდნობა და ტაქსის შინაარსზე გავლენას ვერ ახდენს; სულხან-საბას განმარტებით „იარაღი—ესე არს ქურკელ(ნ)ი ჭელოვანთა საქმარნი, რკინათა თუ ძელთაგან, მ ვ მ ა რ თ ა ა ლ ს ა კ ა ზ მ ა ვ ი , გინა ცხენთა თუ ხუროთა, მკედელთა და გალათოზთა (ნი). ესე მსოფლიოთა ენითა არს, ხოლო სამღვდელთა ენითა ქური, ქურკელი და რომელთამე ორგანო ეწოდება“<sup>17</sup>. თავად სიტყვა „საქურკლე“—ს რუს-თველთან ვარკვეული მნიშვნელობა აქვს და ყველგან ამ გაგებითაა ნახმარი ვეფხისტყაოსანში — ესაა „ხაზინა ანუ ვანძი, გინა საუნჯე“<sup>18</sup>, ამავე მნიშვნელობითაა ეს სიტყვა „ქართლის ცხოვრებაში“<sup>19</sup>. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით „საქურკლე სანადავოდ სანმარებელი და სახარჯავი ხაზინა ყოფილა“<sup>20</sup>, და რადგან პოემაში მას ყველა სხვა შემთხვევაში ეს მნიშვნელობა შეესაბამება, ცხადია, ჩვენთვის საინტერესო ტაქსში ნამდვილია „საქურკლენი“, „საქურკლენი“ კი ვადამწერისეული ვარიანტია ან სიტყვისა. საგანგებო შენიშვნის ღირსია ის ვარემოება, რომ თვით სიტყვა „საქურკლენი“ რუსთველის პოემაში მხოლოდ ერთხელ გვხვდება, ვეფხისტყაოსნის დაწერის დროისთვის მიღებული და ვაერცლებული ტერმინია „აბჯარი“. ივ. ჯავახიშვილი ვაპოკლევაში „საომარი საქურველი და სამხედრო საქმე“ წერს: „თუ IX—X სს—ის ძეგლებში ა ბ ჯ ა რ ი ც ა დ ა ს ა ქ უ რ ვ ე ლ ი ც გვხვდება, XI სს—ში უკვე ა ბ ჯ ა რ ი იმარჯვებს, ხოლო საქურველი თანდათან ქრება და იწინააღმდეგე სიტყვად ხდება“<sup>21</sup>.

გაცილებით უფრო რთული ვითარებაა სხვა ვარიანტებთან დაკავშირებით, სადაც ასე ნათლად არ გამოირჩევა ნამდვილი წაკითხვა რედაქტირებული ტექსტისგან. თუ ამ ვარიანტთა ერთგვარ კლასიფიკაციას შევეცდებით, ვნახავთ, რომ არსებითად სამი ვარიანტული წაკითხვა ვვაქვს:

საქურკლენი 1. ასრე ვითხენ ABMX, CL, EI, 1366წ. გამოც.

2. აჰად ვითხენ F, G, J, T, Y კაკ.<sup>1</sup>

3. გარ ვერ ვითხენ WR<sup>1</sup> ბ რ ქ კ არ ა ბ ჳ ი ნ 57  
ვერ გარვითხენ DU V  
ვერ გავითხენ H  
ვერ გარღვიოხენ KO

პირველი ორი — „საქურველნი ასრე ვითხენ“ და „საქურველნი ამაღ ვითხენ“ — შინაარსობრივად დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და ამგვარი რედაქციით ტაეპის ინტერპრეტაციაზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მესამე ვარიანტული წაკითხვა — „საქურველნი გარ ვერ ვითხენ“, რომელიც ადრე ტრადიციულად გაიზიარეს პოემის მკვლევარებმა და გამომცემლებმა — ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულმა გამომცემამ და ერთმა გვიანდელმა ხელნაწერმა — R<sup>1</sup> — შემოგვინახა. სხვათა შორის, ესაა ერთ-ერთი იმ იშვიათ გამონაკლისთაგანი, როდესაც 1712 წ. გამომცემა სხვა ხელნაწერთაგან დამოუკიდებელ ტექსტს გვაწვდის<sup>22</sup>. შინაარსობრივად ამ ვარიანტთანაა დაკავშირებული ზაზასეული რედაქციის „ვერ გარ ვითხენ“, თარხან — მოურავისეული (Z) ხელნაწერის „გარვე ვითხენ“, კარბელაშვილისეული ნუსხის (H) „ვერ გავითხენ“ და განსაკუთრებით საყურადღებო ფორმა ქუთაისური წყვილისა (KO) „ვერ გარღვიოხენ“.

■ თხ = / ■ რთხ = ფუძიდან წარმოებული სიტყვა(ვითხენ// ვირთხენ) ვეფხისტყაოსანში სხვაგან არ გვხვდება, მაგრამ იგივე ფუძიდან წარმომდგარი სიტყვა, ოლონდ სხვა ფორმით, დამოწმებულია „ქართლის ცხოვრებაში“. აქ შამქორის გამარჯვებისადმი მიძღვნილ იამბიკოში დავით სოსლანი ასეა დახასიათებული:

„ვით დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,  
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა, ათაბაგით“<sup>23</sup>.

კ. კეკელიძე ნაშრომში „ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა“, რომელშიც მკვლევარი ოს ბაგრატიონთა „ეფრემიანობის“, ე.ი. ბიბილური ეფრემისგან ჩამომავლობისა და ამის გამო „დავითიან“ ქართველ ბაგრატიონებთან მარადიული ქიშპობის საკითხს ეხება, ასე განმარტავს ამ ტექსტს: „თამარის ისტორიკოსი ამბობს, რომ . . . დავით სოსლანი არის „ეფრემის ძეებრ“, ესე იგი — როგორც ეფრემის შთამომავლობა, „მ ო მ რ თ ხ მ ე ლ ი“ (იარაღის ამსხმელი), „მოისარო“, ისრის მსროლელი“<sup>24</sup>. აქვე მკვლევარს დამოწმებული ბქეს მუხლი ფსალმუნდან, სადაც კვლავ ეხვდება ჩვენთვის საინტერესო სიტყვას: „ძენი ეფრემისნი, მომრთხმელნი და მოისარნი მშვილდებითა, იქცეს იგინი დღესა მას წყობისასა“ (ფსალმუნი 77,9, გიორგი მთაწმიდლისეული რედაქცია)<sup>25</sup>. როგორც ვხედავთ თამარის ეპოქის დროინდელ და ადრინდელ ძეგლებშიც ■ რთხ = ფუძიდან წარმოებული „მორთხმა“ სიტყვა (იარაღის ასხმის, „შეიარაღების“ მნიშვნელობით) დამოწმებულია. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ ის ლექსიკოლოგიური განმარტება-

ნი, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გვხვდება. სულხან-საბას განმარტებული აქვს „მორთხმა – (7, 16 ოსე) შშვილდის მოზიდვა“ და „გარდაართხმა – გარდაფენასავით“<sup>26</sup>, აქ ს.ს. ორბელიანს დამოწმებული აქვს 103,2 ფსალმუნი: „შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი, გარდაართხენ ცანი, ვითარცა კარაენი“. დავით ჩუბინაშვილი განმარტავს სიტყვებს „გარდაართხმა“, რომელიც დიდი პოლისემიით გამოირჩევა და აქ დავიმოწმებთ მხოლოდ მის ერთ-ერთ მნიშვნელობას: „მოვირთხამ საჭურველსა – опоясать себя мечом, მარტ. 1–90“, და „რთხმა“, რომლის განმარტებისას ავტორს სწორედ ჩვენთვის საინტერესო ტაეპი აქვს მოხმობილი: „რთხმა , ... (ვირთხამ, მაგალ. სარტყელსა), ზ.მ. შემოვირტყამ სარტყელსა опоясывать себя, ограждать; საჭურველნი გარ ვერ ვითხენ (ვირთხენ უნდა)ე.ი. საომარი იარაღი ვერ შემოვირტყიო; я не мог опоясаться мечом, ვეფხ. 590“<sup>27</sup>.

ყოველივე ზემოთქმული ნათელს ფენს ჩვენთვის საინტერესო ტაეპის შინაარსს და ცხადპყოფს მისი ტრადიციული გააზრების უპირატესობას, მაგრამ ამ საკითხს საბოლოოდ გასარკვევად აქ აუცილებლად უნდა მოვიხმოთ ერთი უმნიშვნელოვანესი და ვადამწუყვეტი საბუთი. ივანე ჯავახიშვილი თავის გამოკვლევებს „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“ მეოთხე ნაკვეთში „საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე“ საგანგებოდ გამოპყოფს თავს „იარაღის მოხმარება—გამოყენებისათვის განკუთვნილი გამონათქვამები“, სადაც გვითხულობთ: „საუკუნეთა განმავლობაში მარტო ზოგადი და ცალკეული საჭურველის სახელები კი არ შეიცვალა, არამედ მათი მოხმარება—გამოყენების გამოხატველი წინანდელი გამონათქვამებიც ენას არაერთხელ უკუუგდია და ახალი შემოულია. მაგ. იპოლიტეს თარგმანების ქართულ თარგმანში **ჯ ა ჰ უ ჰ რ ი ს ჩ ა ც მ ი ს** აღსანიშნავად ნახმარია **ა რ თ ხ მ ა**. დავით და გოლიათის ბრძოლაზე ნათქვამია: „თუსსა მას ჯაჰუჰურსა მოსავყოფითა, სწრაფითა **ა რ თ ხ მ ი თ ა** აღამაღლებდა ქორცთა“<sup>28</sup> (ნ. მარის Ипполит, Т.Р. წიგნი 111, გვ. X L I X ).

რთხმის ანარეკლი ვეფხისტყაოსანშიც მოჩანს იქ, სადაც ნურადინ—ფრიდონი ტარიელს თავის დაკოდვის გარემოებას უამბობს: „უკაზმავსა მილაატეს, საჭურველნი გარ ვერ ვითხენ“—ო (აბულ. 535).

უეპველია, ფრიდონს უნდოდა ეთქვა, რომ მან **ს ა ჰ უ რ ვ ე ლ ი ს** მორთხმა, ე.ი. ჩაცმა ვერ მოასწრო<sup>28</sup>.

ეს ისტორიული ანალოგია სავსებით ხსნის (596, 4) ტაეპის ორგვარი გააზრების შესაძლებლობას და იე. ჯავახიშვილის განმარტება აბსოლუტურ შეუვალობას ანიკებს ტაეპის ტრადიციულ კონტექსტს („საჭურველნი გარ ვერ ვითხენ“), რომლის მიხედვით აქ **ს ა ჰ უ რ ვ ე ლ ი ს** მორთხმა აზე, ჩაცმაზეა ლაპარაკი.

ადრე ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ამ ტაეპის ყველა კომენტატორი – თეიმურაზ ბაგრატიონი, დ. ჩუბინიშვილი, დ. კარიჭაშვილი, ა. შანიძე – ასევე ერთსულოვანი არიან იმ მხრივ, რომ აქ იარაღის ასხმაზეა ლაპარაკი, ოღონდ არის ერთი მეტად საყურადღებო ნიუანსური განსხვავება: მათი განმარტებით „საქურველნი გარ ვერ ვითხენ“ ი ა რ ა ლ ი ს გ ა რ ს შ ე მ ო რ ტ ვ მ ა ს, ი ა რ ა ლ ი ს ა ს ხ მ ა ს ნიშნავს, ივ. ჯავახიშვილი კი საგანგებოდ მიუთითებს, რომ აქ სა-ქურველის მორთხმაზე, ე.ი. საქურველის ჩაცმაზეა ლაპარაკი. მეცნიერის გამოკვლევით ძველ ძეგლებში დამოწმებული მასალის მიხედვით აბჯარს იცვამენ, სწო-რედ საქურველის (აბჯარის) ჩაცმამ შეცვალა გამოთქმა – „საქურველის ართხმა“: „უგვევლია – წერს ივ.ჯავახიშვილი – ფრიდონს უნდოდა ეთქვა, რომ მან ს ა - ქ უ რ ვ ე ლ ი ს მ ო რ თ ხ მ ა, ე.ი. ჩაცმა ვერ მოასწრო.

მაგრამ შ.რუსთველის ხანზე უფრო ადრე უკვე საქურველის ჩაცმა იხმარე-ბა. მაგ. ამირანდარეჯანიანში სწერია: „შეესხდით უკეთესსა ცხენებსა, ჩაე-ცვით საქურველები“ = ო (A – 441, გვ. 148<sup>16</sup>).

შოთაძე ვეფხისტყაოსანში ჩვეულებრივ ა ბ ჯ რ ი ს ჩ ა ც მ ა ს ა ხ მ ა რ ო ბ ს.<sup>29</sup>

ჩვენ საგანგებოდ ვაჩერებთ ყურადღებას ამ გარემოებაზე, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანი დეტალია ცალკეულ ვარიანტთა შესადაარებლად და შინაარსის გასააზრებლად.

მაშასადამე, თუ ს ა ქ უ რ ვ ე ლ ს ი ც ვ ა მ ე ნ , მაშინ ვარიანტებიდან – „გარ ვერ ვითხენ“, „ვერ გარ ვითხენ“, „გარვე ვითხენ“, „ვერ გავითხენ“, „ვერ გარდვითხენ“ – ამ აზრს ყველაზე ზუსტად სწორედ „საქურველნი ვერ გარდ-ვითხენ“<sup>30</sup> გამოხატავს, ხოლო ყველა სხვა წაკითხვა ამ სიტყვის ვარიანტული ფერისცვალება უნდა იყოს გადაწერის პროცესში. ამ ტაეპის სხვადასხვა ვარიან-ტთა შორის ავტორისეულ ტექსტად და lectio difficilior-ად სწორედ ეს უკანას-კნელი გვეჩვენება:

უქურველსა მიღალატეს, ს ა ქ უ რ ვ ე ლ ნ ი ვ ე რ გ ა რ დ ვ ი თ ხ ე ნ .

თუ ამოსავლად სიტყვის ამ ფორმას მივიღებთ, ცხადი გახდება, რომ გამოი-წვია მისი ვარიაციები. სავსებით გასაგებია, რომ ეს იშვიათი სიტყვა პოემის შემდეგდროინდელ გამამწერთათვის გაუგებარი იყო, რის გამოც გადაწერისას გამოყვეს სარიტმო ერთეული „ვითხენ“<sup>31</sup>, ცალკე დარჩა „გარდ“, რომელიც, „დ“ = ონით დაბოლოებული, უაზრო ჩანდა; ამიტომ ჩამოსცილდა ეს ასო და დარ-ჩა „გარ“<sup>32</sup>, „ვითხენ“ სიტყვისგან განცალკევებით დაწერილი („გარ ვითხენ“); შემდგომი საფეხური უნდა იყოს უარყოფითი ნაწილაკისა და ზმნისწინის მიერ ადგილის შენაცვლება (ვერ გარ > გარ ვერ) და ზოგიერთ ხელნაწერში „რ“ = ს რედუქცია; ორი სხვა ვარიანტი კი („ასრე ვითხენ“ // „ამად ვითხენ“) გაუგება-რი ტექსტის გააზრების ცდაა მსგავსი რითმებით გაწყობილი (667)

სტროფის მეოთხე ტაქტის ანალოგიით. პომის მცოდნე და დაკვირვებულ გადამ-  
წერტ არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენოდათ ხსენებული სამი სტროფის საირთ-  
მო სიტყვათა მსგავსება, და რადგან „გარ ვერ ვითხენ“ მათთვის თავისთავად  
გაუგებარი იყო, მათ წარმოდგენაში მოხდა „ვითხენ“ სიტყვის აზრობრივი გაიგი-  
ვება „სევდა მიტხოს“ გავლენით (ახალი გააზრებით: „უკაზმავსა მოლაღატეს,სა-  
ქურველი ცოტა ვიქონიეო“), მაგრამ ამ შემთხვევაში, შინაარსის დახვე-  
წას ხელს უშლიდა „ვერ გარ“, ლექსი კი მოითხოვდა მათ სანაცვლო ორ მარცვალს  
– ასე გაჩნდა ერთ შემთხვევაში „ასრე ვითხენ“, ხოლო მეორეში – „ამად ვითხენ“.

მაშასადამე, ჩვენი ფიქრით, პირვანდელი ტექსტის მეტამორფოზას ამგვარი  
საფეხურები უნდა გაეგლო: ვერ გარდვითხენ KO > ვერ გარ ვითხენ (ვითხე V )  
DU V , ვერ გა[რ]ვითხენ H > გარ ვერ ვითხენ WR<sup>1</sup>, გარვე[რ]ვითხენ Z > ასრე  
ვითხენ ABMX CL E I // ამად ვითხენ F, GJ T, Y.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ  
მიერ კემშარიტად მიჩნეული წაკითხვა (სხვადასხვა ვარიანტებით წარმოდგენილი)  
ხელნაწერთა რამდენიმე განსხვავებულ რედაქციაშია. უნდა ვფიქროთ, რომ იგი  
საკმაოდ ძველი დედნის კუთვნილებაა და სტროფი თავდაპირველად ასე იქნებოდა  
გამართული:

გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთნი ხენი ვით ჰხენ!  
მერმე მიტხრა: „მოგახსენებ, აწ სიტყვანი რომ მკითხენ,  
იგი მტერნი გამილომდეს, აქანამდის რომე ვითხენ,  
უკაზმავსა მილაღატეს, საქურველნი ვერ გარდვითხენ“.

\*  
\*  
\*

ყოველივე ამის შემდგომ გადავხედოთ (1424) სტროფს, სადაც მესამე ტაქტ-  
ში კვლავ აბჯარზეა ლაპარაკი:

„ტარიელსა უსალამეს, მას აღვისა მორჩსა ვით ხეს,  
მიულოცეს გამარჯვება, ერთმანერთი მოიკითხეს,  
არა სპირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს,  
თავნი მათნი გაალომნეს, მათი მბრძოლი იშველ–ითხეს“.

(1423 (1424)).

ზემოთ ჩვენ უკვე მოვიხმეთ თეიმურაზ ბაგრატიონისეული განმარტება ამ ტაქ-  
ტისა (აბჯარი „არ შეიმცირეს, არ მოიკლეს“), განმარტება, რომელიც ტრადიციუ-  
ლი გახდა ვეფხისტყაოსნის კვლევის და ბეჭდვის მთელი ისტორიის მანძილზე. მაგ-  
რამ თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებას თუ ყურადღებით დავაკვირდებით, არ

შეიძლება შეუმჩნეველი დაგვარჩეს ერთგვარი ჰოკმანი – იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მკვლევარი ცდილობს დაგვარწმუნოს ტაეპის თარგმანების კეშმარტებაში, და სწორედ ამიტომ მეტი დამაჯერებლობისთვის ამ განმარტებას დამატებით განმარტებას ურთავს. აი. ისიც: „ა რ ა ს კ ი რ დ ა , ა რ ი ნ ა ნ ე ს , რ ო მ ა ბ ჯ ა რ ი ა რ გ ა ი თ ხ ე ს – გაითხეს, შეიმსუბუქეს, შეიმცირეს. არ გაითხეს – არ შეიმცირეს, არ მოიკლეს (ესრეთსა შინა ეამსა ქაჯთა ბრძოლისასა ვითარ ძალ იდებოდა მოკლება საჭურველისა გმირთა მათგან, რომელთაცა ესევეითარი ძლევამოსილება მიიღეს სიმხნითა და საჭურველითა დასთრგუნეს მტერნი მისნი)“<sup>33</sup> და ვაკვირდეთ ფრჩხილებში მოთავსებულ ტექსტს – ავტორი თითქოს ეკამათება განმარტებას და სავსებით სამართლიანად შენიშნავს: ქაჯებთან ბრძოლის დროს „ვითარ ძალ იდებოდა მოკლება საჭურველისა გმირთა მათგან“ – მართლაც, რატომ უნდა იყოს აქ ლაპარაკი აბჯრის „გათხევაზე“ – შემსუბუქებასა და შემცირებაზე? განა შეიძლება აბჯრისთვის (ე.ი. როგორც თავდასაცავი, ისე შესატევი საჭურველისთვის) რაიმეს მოკლება და ისიც ბრძოლის წინ? ან რატომ უნდა დასკირებოდათ ეს ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს?

საფუძველი რომ გვქონდეს ამ პასაჟის „მეორისამებრ განსჯისა“, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იმ აბჯრის ამბავი, რომელიც ემოსათ ჩვენს გმირებს ქაჯებთან ბრძოლისას. ეს აბჯარი სავსებით განსაკუთრებული აბჯარია – იგი ადრე დევთა საკუთრებას შეადგენდა და ქაჯებთან ბრძოლისთვის იყო განკუთვნილი. როდესაც ავთანდილმა ტარიელს შეატყობინა, რომ ნესტანდარეჯანი ქაჯებს ჰყავთ შეპყრობილი და მის გამოსახსნელად ქაჯებთან ომი გარდუვალა, ტარიელმა გაიხსენა, რომ რაც მან დევები დახოცა, “მას აქათ მათი აქა ძეს საჭურკლე ძვირ–ნაფასები”. მეგობრებმა მოისურვეს ენახათ “საჭურკლე თუ რა ზომია”, “დალეწეს კარი ორმოცი” და “პოვეს საჭურკლე უსახო”, “მაგრამ აქ მთავარია, რომ მათ “პოვეს ერთი ზარადხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი”, აი, აქედან იწყება საკუთრივ აბჯრის ამბავი:

ზ ე დ ა ე წ ე რ ა : “ ა ქ ა ძ ე ს ა ბ ჯ ა რ ი ს ა კ ვ ი რ ე ე ლ ი ო ,  
 ჯ ა კ ე – მ უ ზ ა რ ა დ ი ა ღ მ ა ს ი , ხ რ მ ა ლ ი ბ ა ს რ ი ს ა , მ კ რ ე ლ ი ო ,  
 თ უ ქ ა ჯ ნ ი დ ე ვ თ ა შ ე ე ბ ნ ე ს , ი ყ ო ს დ ღ ე ი გ ი ძ ნ ე ლ ი ო ,  
 უ მ ი ს ქ ა მ ი ს ო დ ვ ი ნ ც გ ა ჰ ხ ს ნ ი ს , ა რ ი ს მ ე ფ ე თ ა მ კ ღ ე ე ლ ი ო ”

კილობანი გახსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამიტანი,  
 რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი,  
 ჯაკვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი მგვანი,  
 ზურმუხტისა ბუდეებითა იყვნეს, ვითა ლუსკუმანი.  
 თ ვ ი თ ო მ ა ნ თ ვ ი თ ო რ ა ი ც ვ ე ს , თ ა ვ ი ს თ ა ვ ს გ ა მ ო ს ც დ ი ნ დ ი ა ნ ,

ჯ ა ქ ე — მ უ ზ ა რ ა დ ს ა ა ბ ჯ ა რ ი მ ა რ თ ვ ე რ ა ვ ე რ მ ო ჰ კ ი -  
დ ი ა ნ ,

ხმალი რკინისა მოჰკრიან, ვით ბამბის მკედსა სჭრიდიან.

მათ უღირს ყოვლად ქვეყანად, შევატყვე, არ გაჰყიდიან”

(1368 (1370)).

როგორც ვხედავთ, დეეთა ქვაბში ნაპოვნ აბჯარს განსაკუთრებული თვისებები მიეწერება— ეს აბჯარი უნდა ეცვათ დევებს, თუ ქაჯებს შეეხმიან, ამ პირობის დარღვევას კი მოჰყვება საბედისწერო დანაშაული: ზარადხანის ქაჯებთან ბრძოლამდე გამხსნელი მეფეთა მკვლელი შეიქმნება (ამგვარად, ამ აბჯარს ადევს საკრამენტალური ტაბუ— მეფის ვალმრთობის იმ ტენდენციის პირობებში, რომელიც პომის შექმნის ეპოქას ახასიათებს, მეფეთა მკვლელობა თვით ღმერთის წინააღმდეგ ხელის ამართვას უღრის). აქვე რუსთველი საგანგებოდ, გამიზნულად აჩერებს მკითხველის ყურადღებას საჭურველის ღირსებებზე— „ჯაქე—მუზარადი“ აღმასი“ იმდენად მტკიცეა, რომ მას აბჯარი „მართ ვერა ვერ მოჰკიდიან“ (აქ გავიხსენოთ (1424) სტროფის „არა სჭირდა“—ესე იგი, ჩვენს გმირებს ქაჯებთან ფიცხელ ომში არაფერი დაშავებიათ, არ დაჭრილან), ხოლო „ხრმალი ბასრისა, მჭრელიო“ რკინას ბამბის ძაფივით კრის. დაბოლოს, პოემაში ვარკვევითაა ნათქვამი, რომ ტარიელმა და ავთანდილმა „პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი, რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი“. ერთი ტანი აბჯარი ნიშნავს სრულ აბჯარს, საჭურველის სრულ ანაკრებს: „ერთი მეომრისა და ერთი საბრძოლო ცხენის საჭურველის სრულ ანაკრებს აგრეთვე ერთი ტანი აბჯარიც ეწოდებოდა“— განმარტავს ივ. ჯავახიშვილი სწორედ (1369) სტროფზე დაყრდნობით<sup>34</sup>. ეს აბჯარი რუსთველის ყურადღების ცენტრშია: ქაჯებთან ომის წინ პოეტი გვეუბნება, რომ ტარიელმა და ავთანდილმა აბჯარი „თვითომან თვითო ჩაიცვეს“ ამას გარდა „ერთი ფრიდონის საძღვნობლად შეკრეს ღვედითა“ (როგორი ცოცხალი ყოფითი დეტალი!)<sup>35</sup> შემდეგშიც არ ავიწყდება რუსთველს მკითხველს გააგებინოს, რომ „მათ უძღვნეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჰაბუკად ქებულსა“ (1383). მაშასადამე, ძნელ-საომარი ქაჯებისგან ნესტანის გამოსახსნელად წასულ სამ გმირს დეეების ქვაბში ნაპოვნი განსაკუთრებული აბჯარი აცვია.

ყოველივე ეს არაა მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი ორნამენტი, გამარჯვებებით სავე ეპოქის საბრძოლო სულით ნაკარნახევი გაფეტიშება საომარი იარაღისა. ამ ეპიზოდს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის განვითარებაში განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია — ასე წინასწარ ამზადებს რუსთველი თავისი პომის მკითხველთ ქაჯებთან ბრძოლის ძღვეამოსილი დასასრულისთვის.

ახლა ვეცადოთ დავაკავშიროთ ყოველივე ეს ჩვენ მიერ განსახილველად წარმოდგენილ ტაქთან: „არა სჭირდა, არ ინანეს, რომ ა ბ ჯ ა რ ი ა რ გ ა ი თ -



ხ ე ს “. აბჯრის ასეთი დეტალური აღწერის შემდეგ ნუთუ რუსთველი უკანასკნელად მხოლოდ იმისთვის ახსენებდა მას, რომ მკითხველისთვის ეთქვა – გმირებმა „აბჯარი არ გაითხეს“—ო?

სხვათაშორის, თეიმურაზ ბაგრატიონს შესანიშნავად ესმის დევთა ქვაბში ნაპოვნი აბჯრის დანიშნულება პოემის სიუჟეტურ განვითარებაში, იცის, რომ სამმა გმირმა სწორედ ამ საკუთრეელის მეოხებით მიიღო „ესევეითარი ძღვეამოსილება სიმხნითა“ და სწორედ ამ „საკუთრეელთადასთრგუნეს მტერნი მისნი“. მაგრამ კომენტატორის ეკვი ტაეპის შინაარსის განმარტების მიმართ მხოლოდ შეფარვით არის გამოთქმული.

ერთადერთი მკვლევარი, რომელმაც ეკვი შეიტანა ტაეპის მიღებული გააზრების კეშმარიტებაში, არის პავლე ინგოროყვა. თავისი რედაქციით 1953 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნისთვის“ დართულ ნაშრომში „გასწორებანი პოემის ტექსტის დანარჩენი დაზიანებული ადგილებისა“ პ. ინგოროყვა წერს: „სტროფი 1424ვ. 1951 წლის გამოცემაში „არა სპირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს“ („არ გაითხეს“ კონტექსტს არ უდგება). გასწორდა კონტექსტის შესაბამისად: „არასპირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი გარ გაითხეს“. შეად. სტროფი 596,4 „უკაზმავსა მილალატეს, საკუთრეელნი გარ ვერ ვითხენ“<sup>36</sup>. პ. ინგოროყვას ეს შესწორება კონიექტურათა რიგს მიეკუთვნება, რამდენადაც ვეფხისტყაოსნის ყველა ხელნაწერი გვაწოდის ერთსა და იმავე ტექსტს „აბჯარი არ გაითხეს“.

მას შემდეგ, რაც გამოჩნდა სიტყვა „ართხმა“ და გამოთქმა „საკუთრეელის ართხმა“, აღარავითარ ექვს აღარ უნდა იწვევდეს ამ ორი ტაეპის

„უკაზმავსა მილალატეს, საკუთრეელნი ვერ გარ დ ვ ი თ ხ ე ნ“

(596)

და „არა სპირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს

(1424)

შინაარსობრივი და ლექსიკური კავშირი, ისევე, როგორც (596)—ში ლაპარაკია საკუთრეელის გარდათხმაზე ანუ ჩაცმაზე, (1424)—შიც აბჯრის ჩაცმა უნდა იგულისხმებოდეს. ვცადოთ ტაეპის თარგმანება სიტყვის ამ მნიშვნელობის შესაბამისად: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი შეხვდნენ ერთმანეთს, გამარჯვება მიულოცეს, ერთმანეთი მოიკითხეს; არაფერი სპირდათ, არ ინანეს, რომ აბჯარი ჩაიძვეს— აი, თუ ასე გავიგებთ ტაეპს, მხოლოდ მაშინ იქნება ქაჯებთან მეტრძოლი გმირების მიერ ჩაცმული აბჯარი კონკრეტული, უკვე ჩვენთვის ცნობილი დევების ქვაბიდან წამოღებული აბჯარი, სხვაგვარად იგი კარგავს თავის მხატვრულ ფუნქციას და უბრალო, ამორფულ აბჯრად იქცევა. ამგვარი გააზრებით სავსებით ნათელია პირველი ფრაზის კავშირი მეორესთან — სწორედ იმიტომ, რომ ჩვენს გმირებს ეს აბჯარი ეცვათ, არ დაჰკრილან იმ საზარელ ომში, როდესაც „ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა“. ყოველივე ამის ფონზე წაკითხვა „აბჯარი არ

გაითხეს“ (ე.ი. არ შეიმცირეს) მხოლოდ და მხოლოდ რითმის სისრულისთვის შექმნილი სიტყვიერი სამკაულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

როგორც უკვე ვთქვით, პოემის ხელნაწერებში. დატულია წაკითხვა „აბჯარი არ გაითხეს“, R—შია „აბჯარი არ გარ ითხეს“. ჩვენი აზრით (596) ანალოგიით აქაც „გარდათხმა“ ზმნა უნდა ყოფილიყო: „რომ აბჯარი გარდაითხეს“.

თუ ამგვარი „მეორისამებრ განსჯა“ სამართლიანია, მაშინ საბოლოო სახით ტაეპი და შესაბამისად მთელი სტროფი ასე წარმოგვიდგენია:

„ტარიელსა უსალამეს , მას აღვისა მორჩსა ვით ხეს,  
მიულოცეს გამარჯვება, ერთმანერთი მოიკითხეს:  
არა სჭირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი გარდაითხეს,  
თავნი მათნი გაალომნეს, მათი მბრძოლნი იშველ—ითხეს“.

\*  
\*  
\*

ერთი მხრივ „თხელი“ — დან ნაწარმოები სიტყვა „თხება“, მეორე მხრივ, კი „ართხმა // ათხმა“ რითმათწარმოების თვალსაზრისით ერთნაირი შესაძლებლობისი მქონენი აღმოჩნდნენ; საუკუნეთა განმავლობაში „ართხმა“ სიტყვის მნიშვნელობის მივიწყებამ მასთან დაკავშირებულ ფრაზებს (596; 4; 1424,3) ღრმა ცვლილებები განაცდევინა, პოემის მრავალგზისი გადაწერისას „ართხმა—გარდათხმა“ თანდათანობით განიღვენა ტექსტიდან — სამაგიეროდ, მისი ადგილი დაიკავა რითმათწარმოებით ანალოგიური შესაძლებლობის მქონე, მაგრამ მნიშვნელობით სრულიად სხვა სიტყვამ; გადამწერებმა ტაეპი გაიაზრეს გარეგნული ანალოგიის საფუძველზე („სევდა მოთხოს“ — „საქურველნი ასრე ვითხენ“ — „რომ აბჯარი არ გაითხეს“). ეს სულაც არაა გამონაკლისი — გადამწერთა მიერ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში შეტანილი მრავალი კონიექტურა, რომელიც ძირითადი ტექსტის მიბაძვითაა შექმნილი, მოწმობს მათ მიერ რუსთველის ენის და პოემის ტექსტის საფუძვლიან ცოდნას, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ რთული, გაუგებარი სიტყვა გაეაზრებინათ უფრო მარტივი, გასაგები სიტყვით, მით უმეტეს, რომ რითმათა ერთგვარი დამთხვევა შინაარსის იგივეობის ილუზიას ქმნის.

რუსთველის დახვეწილი პოეტური ტექნიკის და სიტყვათშემოქმედების უსაზღვრო შესაძლებლობებისათვის საოცარიც კი იქნებოდა რითმის ერთ გაყინულ ფორმულაზე პოემის სამი სტროფის აგება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიერ განხილულ სტროფებში ეს გამორიცხულია. (596, 667 და 1424) სტროფებს აკავშირებს საერთო ფუძეზე აგებული სამი სარითმო სიტყვა (ხე, კითხვა, თხება—თხად მიჩნევა), ხოლო მეოთხე კი განსხვავდება— „მომაქარვოს სევდა, მოთხოს

(667, 4) „შემცირებას“, შემსუბუქებას“ ნიშნავს, (596, 4 და 142, 3)–ში კი საქურ-  
კელთან დაკავშირებით, „ართხმის“ (აბჯრის ჩაცმის) მნიშვნელობით უნდა გაეგოთ.

\*  
\* \* \*

მაგრამ „გარდათხმა“ სიტყვასთან დაკავშირებული ძიება მხოლოდ ამით არ  
ამოიწურება: ირკვევა, რომ ეს სიტყვა უცხო არაა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა  
ლექსიკონისთვის – ფორმით „გარდამრთხმელო“ იგი გვხვდება ერთ გვიანდელ ხელნა-  
წერში – ესაა F<sup>1</sup>, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, პოემის ტექსტის თვალსაზ-  
რისით მეტად საყურადღებოა, აქ უნდა გავიხსენოთ პოემის (1007) სტროფი:

„ფრიღონ მოსთქვამს: „რა შეგასხათ, ვერ საქებო, ვერ სათქმელო!

ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამხმელო,

მოახლეთა სალხინოო, სიციოცხლეო, სულთა მდგმელო,

ცისა ეტლთა სინათლეო, დამწველო და დამანთქმელო!“

მეორე ტაქს მრავალფეროვანი, აზრით განსხვავებული ვარიანტები ახლავს:

ABCMX – ხმელთა მზეო სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამხმელო

KO,DUV – „ „ „ „ „ „ გარდამხმელო

G, Z – „ „ სამყაროთა „ „ „ გარდამხმელო

T – „ „ „ მნათობთ „ „ გარდამხმელო

I[R] – „ „ „ სამყაროთა „ „ შექთა გარდამხმელო

R' – „ „ „ სამყაროთა „ „ შექთა გარდამრთხმელო

HN – „ „ „ „ „ „ გარდამხმელო

J – „ „ „ სამყაროთა მნათობთ „ „ გარდამხმელო

W – „ „ „ „ „ „ გარდამსმელო

F – „ „ „ სამყაროთა „ „ შექთა მამფენელო

ამ ვარიანტებიდან შედარებით ელემენტარულია „სამყაროსა“ შეცვლა მრავ-  
ლობითი ფორმით „სამყაროთა“, მსგავსი შემთხვევები პოემის ხელნაწერებში  
მრავალია და გადამწერის კალამს ეკუთვნის: პოემის სხვა ანალოგიური მაგალი-  
თების მიხედვით, „სამყარო“ ვეფხისტყაოსანში ყველგან მხოლოდობით რიცხვშია<sup>36</sup>  
და ცხადია, რომ ძირითადი წაკითხვა ამ ტაქსისა „სამყაროსა“ უნდა იყოს; ასე-  
ვე ძირითადია „მზისა“ (და არა „მნათობთ“, როგორც J T ხელნაწერებშია). ეს ორი  
შემთხვევა მარტივ ვარიანტთა რიგს განეკუთვნება – სირთულე იწყება შემდეგ.  
„ეტლს“ ენაცვლება „შუქი“, ერთგან „ეტლთა გარდამხმელი“–ა, მეორეგან – „შუქ-  
თა გარდამხმელი“. რას ნიშნავს ერთი ან მეორე? პირველ ყოვლისა, დასადგენია  
თვით „გარდამხმელი“–ს მნიშვნელობა, მით უმეტეს, რომ სწორედ ამ სიტყვას

ენაცვლება მნიშვნელობით განსხვავებული და საკმაოდ გაუგებარი ვარიანტები: გარდამხმელო, გარდამხუმელო, გარდამხმელო, გარდამრთხმელო, გარდამხდელო, გარდამსმელო, მამფენელო.

ბოლო ვარიანტი – მამფენელო (F) შეიძლება a priori უკუთვალდოთ – იგი არღვევს რითმას და ამიტომ არ შეიძლება პოემის ძირითადი ტექსტის კუთვნილება იყოს; ასევე შეუფერებელია სტროფის სარიტმო სისტემისთვის (= მელი) HJ N ვარიანტი „გარდამხდელო“ – იგი აშკარად დამწერისეული კონიექტურაა და მასთან დაკავშირებით ტაეპის ახსნის ყოველგვარი ცდა ფუჭი შრომა იქნებოდა. ამგვარად რჩება ოთხი: გარდამხუმელო, გარდამხმელო, გარდამსმელო, გარდამრთხმელო. ამათგან „გარდამხუმელო“ ( ABCMXE ) იგივე უნდა იყოს, რაც გარდამხმელო“; საერთო სამეფო სახლის ხელნაწერებს აქვთ ეს დამახასიათებელი თვისება – სიტყვაში უმარცვლო „უ“ (ე) ჩართვა<sup>37</sup>, მაშასადამე, ეს ვარიანტი ფაქტურად იგივეა, რაც „გარდამხმელო“, მასვე უკავშირდება პრევერების ჩართვით ოდნავ ფორმით განსხვავებული „გარდამხმელო“ (=გარდამომხმელო), ამას მოსდევს „გარდამსმელო“, და ბოლოს – „გარდამრთხმელო“. ყველა ამ ზმნას გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და კონტექსტთან მიმართებაში განმარტებას მოითხოვს. ვეფხისტყაოსნის რედაქტორ-გამომცემლებმა (თითქმის ყველამ უკლებლივ – ბროსემ, ჩუბინაშვილმა, ქართველიშვილმა, კარიკაშვილმა, აბულაძემ, კიკინაძემ, ინგოროყვამ, აგრეთვე პირველი საიუბილეო გამოცემის კომისიამ) ძირითადად მიიჩნიეს ტექსტი „ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამსმელო“, ჩანს, ვახტანგისეული გამოცემის ავტორიტეტზე დაყრდნობით. აი თეიმურაზ ბაგრატიონისეული თარგმანება ამ ტაეპისა: „ქმელთა მზენი ქვეყნისა მშვენიერნი არიან და რომელიცა მათგანი აღმატებიან მშვენიერებითა, მზეზედაც უმჯობესნი იქმნებიან (რეცა და თავისი ეტლი, ესე იგი საველი ურემი მზემ უნდა დაანებოს ამის მშვენიერებას, რეცა მზესა; ესევეითარნი მშვენიერნი თავის ეტლიდამ გარდასმენ და თვითონ მზის მაგიერად მზისა ეტლსა ამხედრდებიან“<sup>38</sup> მაგრამ თუ ჩაუუკვირდებით, ასეთი ახსნა ტექსტის გააზრებას და გააზრანებას უფრო ჰგავს, ვიდრე მის ძალდაუტანებელ განმარტებას. თუ ამ ტაეპის მიხედვით ტარიელი „მზისა ეტლთა გარდამსმელია“ (?), აქვე, მეოთხე ტაეპში იგი „ცისა ეტლთა სინათლეა“.

ამ მხატვრული სახის სირთულისა და ბუნდოვანებისთვის შეიძლება საგანგებო ყურადღება არ მიგვექცია, საეჭვოდ რომ არ გვეჩვენებოდეს ვარიანტი „ეტლთა გარდამსმელო“. 1966 წელს გამოქვეყნებულ პოემის გამოცემებში ტაეპი სხვა რედაქციითაა წარმოდგენილი: „ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამხმელო“, თუმც მისი შინაარსის განმარტება ჩვენთვის უცნობია. არ შეიძლება არ

დაგვაფიქროს ამ ორი სიტყვის (გარდამსმელო— გარდამხმელო) გრაფიკულმა მსგავსებამ. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში საკმაოდ ხშირია მსგავს ასოთა ერთმანეთში არევა და ამის შედეგად ახალი სიტყვის მიღება (გავიხსენოთ „ასითა-სახითა“ მეტად ცნობილი მაგალითი)<sup>39</sup>, არაა საფუძველს მოკლებული აქაც იგივე კალმისმიერი ცდომილება ვივარაუდოთ და გავარკვიოთ — რომელი სიტყვაა ნამდვილი და რომელი lapsus calami —ს შედეგად წარმოქმნილი. მით უმეტეს, რომ ორივე მათგანი ტაეპის შინაარსის გასაგებად აუცილებლად კონკრეტულ განმარტებას მოითხოვს.

ვარიანტთა გარდაცემის მიხედვით თითქმის უდავო ჩანს, რომ ვახტანგისეული გამოცემის „გარდამსმელო“ დამახინჯებული „გარდამხმელო“, წარმოქმნილი „ს“ და „ხ“ ასოთა აღრევის შედეგად<sup>40</sup>, ამგვარად, ეს ვარიანტი და მასთან დაკავშირებული თარგმანებაც ტაეპისა უარსაყოფი უნდა იყოს. ამის შემდგომ გასარჩევი გვრჩება ვარიანტები: ეტლთა გარდამხმელო— შუქთა გარდამხმელო— შუქთა გარდამართხმელო. პირველ ორში „ეტლთა / შუქთა“<sup>41</sup> გარდამხმელო — ზმნის მნიშვნელობა დაუდგენელია, სამაგიეროდ მესამე — R<sup>1</sup> -ის ვარიანტი: „ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა შუქთა გარდამართხმელო“ მოგვაგონებს ფსალმუნის ადრე მოხმობილ პასაჟს: „შეიმოსე ნათელი, ვითარცა სამოსელი, გ ა რ დ ა ა რ თ ხ ე ნ ც ა ნ ი, ვითარცა კარაფნი“ და გვაძლევს გასაღებს გავხსნათ არა მარტო ტაეპის პირვანდელი მხატვრული სახე, არამედ ავეხსნათ კიდევ ვარიანტთა წარმოშობის მიზეზები და გზები. მაშასადამე, თუ „გარდართხმა“ გარდაფენაა, (1007)სტროფის მეორე ტაეპის ასე უნდა გავიგოთ — ფრიდონი მიმართავს ტარიელს: „ხმელთა მზეო, სამყაროსთვის მზისა შუქთა გარდამფენო“. ეს კი უკვე რუსთველისთვის დამახასიათებელი მხატვრული სახეა, რომელიც პოემაში არაერთხელ გვხვდება<sup>42</sup>.

აი, აქ გამოჩნდა მეტად „რაციონალური“ ხელნაწერის — ბებურიშვილისეული ვეფხისტყაოსნის ( F ) ვარიანტის გაჩენის მიზეზიც: გადამწერს ხელთ ჰქონდა დედანი, რომელშიც იყო „შუქთა გარდამართხმელო“, მან იცოდა სიტყვის მნიშვნელობა და განმარტა იგი: „მამფენელო“ (= მომფენელო). ესაა უზუსტესი ლექსიკოლოგიური განმარტება — გავიხსენოთ სულხან — საბასეული: „გარდართხმა — გარდაფენასავით“. ვეფხისტყაოსნის ჩვენთვის უცნობმა გადამწერმა კი გახსნა მხატვრული სახე და ამგვარად შემოგვინახა ერთის შეხედვით საოცარი და ლექსთწყობის თვალსაზრისით საესეებით მიუღებელი ტექსტი, სინამდვილეში კი უქვევლი მოწმობა იმისი, რომ ამ ტაეპში ადრევე სიტყვა „გარდამართხმელო“ უნდა ყოფილიყო<sup>43</sup>.

ყოველივე ამის შემდეგ ძნელი არაა დავადგინოთ ვარიანტულ წაკითხვათა გარდაცემა: შუქთა გარდამართხმელო R<sup>4</sup> > შუქთა მამფენელო F > შუქთა გარდამხმელო<sup>44</sup> I R > ეტლთა გარდამხმელო ( - მხუმ ABCMX ) ABCMX, E, DU V, KO, G, Z//

ეტლთა გარდამხმელო T//ეტლთა გარდამხმელო HJN > ეტლთა გარდამხმელო W.  
როგორც ვხედავთ, ვარიანტები დალაგდა ლოგიკური თანამიმდევრობით –  
რთულიდან მარტივისაკენ. ამგვარად გააზრებული ნაირკითხვანი „შეუქცევად  
ცვლილებათა“ ისეთ წყებად გვეჩვენება, რომლის პირიქით, შებრუნებით წარმოდ-  
გენა (და მითუმეტეს, ახსნა) ლოგიკას უნდა ეწინააღმდეგებოდეს.

ამრიგად, (1007 ) ტაეპის თავდაპირველი სახე ასეთი იქნებოდა :  
„ფრიდონ მოსთქვამს: „რა შეგასხათ, ვერ საქებო, ვერ სათქმელო,  
ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა შუქთა გარდამრთხმელო,  
მოახლეთა სალხინოო, სიციოცხლეო, სულთა მდგმელო,  
ცისა ეტლთა სინათლეო, დამწველო და დამანთქმელო!“

\*  
\* \*

ყოველივე ამის შემდგომ დაგვრჩენია ეთქვათ, რომ, ჩვენის ფიქრით, რუსთვე-  
ლის ლექსიკა იცნობოდა ართხმა// გარდათხმა // გარდართხმა სიტყვას (მნიშვნე-  
ლობა – ჩაცმა, გადაფენა/, რომელიც დროთა ვითარებაში ხელნაწერთა უდიდეს  
წილში დაიკარგა და შემორჩა მარტო მისი ნაკვალევი. მხოლოდ სამმა ხელნაწერ-  
მა შემოგვინახა იგი: ესენია – KO : გარდეთხენ (596 ) და R1 გარდამრთხმელო  
(1007) . ჩანს, სიტყვის მნიშვნელობა თანდათან დავიწყებას მიეცა და მისი გადა-  
წერის და გააზრების პროცესში დაწერილობამაც იცვალა სახე, ძველ ძეგლებში  
დამოწმებული მნიშვნელობის, ლექსიკონთა განმარტებისა და ვეფხისტყაოსნის  
შესაბამის სტროფთა ვარიანტებისა და კონტექსტის მიხედვით გვეგონია, რომ ეს  
სიტყვა რუსთველის ლექსიკის კუთვნილება იყო.

P. S. თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტებიდან“ აღებული სიტყვები „მეორი-  
სამებრ განსჯისა“ არის არა სათაური–სამკაული, როგორც ერთხელ შემნიშნეს,  
არამედ ის უაღრესად მყარი საფუძველი, რომელსაც ეს ნაკვლევი ეყრდნობა.  
თეიმურაზ ბაგრატიონის ეს სიტყვები ტექსტის შესაძლებელ სხვადასხვაგვარ .  
ინტერპრეტაციაზე მიუთითებს, რაც ტექსტის კრიტიკის განვითარების გარკვეულ  
დონეს ასახავს.

თავისი ზოგადი მნიშვნელობით ეს სიტყვები რუსთველოლოგიური ტექსტოლოგიის  
განვითარებას უკავშირდება . ვახტანგ VI – ის და თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშ-  
რომები ჩვენთვის ფასიელია არა მხოლოდ იმ კონკრეტული მასალით. რომელიც  
დღემდე ასაზრდოებს რუსთველოლოგიას, არამედ ვეფხისტყაოსნის ტექსტის შეს-  
წავლის თეორიის თვალსაზრისითაც. ვახტანგის „თარგმანებაში“ არაიშვიათად

გვხვდება შენიშვნა: „მე არ ვიცოცხლე იცოდეთ, სთარგმნეთ“<sup>1</sup>. ადამიანური გულწრფელობის და მეცნიერული კეთილსინდისიერების მაღალ ნიმუშად რჩება ერთი განმარტებისთვის დართული შენიშვნა: „მართლა კი არ ვიცი და მე ასრე მგონიაო“. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის გვირგვინოსან პიროვნებას, რომელიც ივიწყებს მეფურ ჰონორს და ასეთი მომხიბლავი უბრალოებით ამბობს – „მართლა კი არ ვიციო“.

თქმა არ უნდა, ვახტანგ VI – ეს შეედლო სრულიად განუმარტავად დაეტოვებინა ის, რაც არ იცოდა, მაგრამ მან სხვაგვარად განსაჯა. ტექსტისადმი მიდგომის თვალსაზრისით ეს მოვლენა სცილდება კონკრეტული გამონაკლისის ფარგლებს და, სისტემად ქცეული, არის არა უბრალოდ ადამიანური იმპულსი, არამედ უკვე მეთოდი ტექსტის კრიტიკისა.

ეს ყოველივე ტექსტის ვახტანგისეული კვლევის მაღალი თეორიული დონის მაჩვენებელია: „სთარგმანებაში“ ჯერ მხოლოდ ერთი განმარტება გვაქვს, მაგრამ იქვე დაშვებულია პოტენციური შესაძლებლობა მეორე, უფრო მართებული განმარტებისა.

ტექსტის კრიტიკის ამ მეცნიერული იდეის განვითარებას ვხვდებით თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომში „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“. აქ უკვე ვხვდებით პოემის ერთი და იმავე სიტყვის თუ პასაჟის ორ შესაძლებელ განმარტებას: დაასრულებს რა ერთს, თეიმურაზ ბაგრატიონი იქვე მიუთითებს – „შეორისამებრ განსჯისა“ კი ეს ადგილი სხვაგვარად შეიძლება იქნას გაგებულიო.

ტექსტის კრიტიკის თვალსაზრისით ეს ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა – იგი უპირველეს ყოვლისა, ჩვენგან ორსაუკუნენახევრით დაცილებული რუსთველოლოგიის მაღალი მეცნიერული ღირსების მაჩვენებელია. დაქვევა განმარტების სისწორეში – რის საფუძველსაც პოემის ტექსტი საკმაოდ ხშირად იძლევა – და ძიება სხვა განმარტებისა – სწორედ ესაა ტექსტის ქვეშეშარტი კრიტიკა.

რუსთველის პოემის განმმარტებელთა აზროვნების ეს მემკვიდრეობითობა ერთბაშად არ ჩანს, მას მიკვლევა სჭირდება: რუსთველოლოგიის მამამთავართა ნაშრომებში ასახული თეორიული ნააზრევი მოელის თავის მკვლევარს.

სიტყვები – „შეორისამებრ განსჯისა“ – საოცარი ლაკონიურობით გამოხატავს თეიმურაზ ბაგრატიონის კვლევის მეთოდის მაღალ ფილოლოგიურ დონეს. ეს პრინციპი ძალაში რჩება დღესაც: ვეფხისტყაოსნის ბევრი პასაჟი მოითხოვს გადახედვას, ანალიზს, გამოკვლევას თანახმად თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ ნაანღერძევი „შეორისამებრ განსჯისა“ . . .

1. სტროფთა ნუმერაცია მითითებულია ვეფხისტყაოსნის 1966 წლის გამოცემის მიხედვით: შოთა რუსთველი—ვეფხისტყაოსანი. ტექსტი ძირითადი ვარიანტებითა და ლექსიკონითურთორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, 1, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1966 (ფრჩხილებში ვათავსებთ სტროფის ნომერს პოემის 1957 წლის გამოცემის თანახმად).

2. თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბილისი, 1960, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, გვ. 66.

3. იქვე, გვ. 79.

4. იქვე, გვ. 260.

5. ნ. მარი , Т. Р. · 1 V—1902, გვ. 97; ვ. ბ ე რ ი ძ ე, ენიმკის მოამბე, 111, 1938, გვ. 179; ვარსკვლავთმეტყველება, 1957, გვ. 197. 207; ფერთამეტყველება, 1953, გვ. 177.

6. სხვათაშორის, თეიმურაზ ბაგრატიონი არაა თანმიმდევრული თავის განმარტებაში: თუ (596) სტროფში მან სავსებით სწორად გაშიფრა სარითმო სიტყვათა რაობა, ეს საყურადღებო მიგნება ვერ გამოიყენა (667) სტროფის პირველი ორი ტაეპის განმარტებისას (იხ. თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბილისი — 1960, გვ. 78—79).

7. შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი , ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1957. ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, შეადგინა აკაკი შანიძემ, გვ. 396.

8. იქვე, გვ. 364.

9. იქვე, გვ. 364.

10. ბროსეს, ჩუბინიშვილის, ქართველიშვილის, კარიჭაშვილის, აბულაძის, კიკინაძის, ინგოროყვას, 1957 წლის გამოცემები პოემისა.

11. თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება, გვ. 66.

12. შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი , ვეფხისტყაოსანი, ტფილისი, 1903, გვ. 283.


13. შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი , ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1957, გვ. 364.


14. აქ ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ (596, 4) და (1424, 3) ტაეპებში 'სავსებით კონკრეტულ საჭურველზე, აბჯარზეა ლაპარაკი, (667, 4)—ში კი აბსტრაქტულ სეედაზე.


15. „ნითხენ“ სიტყვა იარაღის ასხმის მნიშვნელობით მხოლოდ ერთხელ გვხვდება პოემაში.

16. Е. З. Бертельс, Избранные труды, Низами и Физули, М., 1962; ნიზამის პოემების ტექსტის დადგენასთან დაკავშირებით მკვლევარი შენიშნავს: „Наири“









სურ. 3. Q1052 (XVII სკდების, ნაქვედელი)

წითელი რამზესი იტყვიან სიყვარული მსრდადეს: ს.  
 მხოლოდნი მთა: ბევრჯერო: ჭ: ბრძენი მსრდადეს: ს.  
 ყმა: უფროს: თუ: შერათ: მტრობის თანა ბევრო: მსრდადეს: ს.  
 ჭ: სიყვარული: შერათ: მტრობის თანა ბევრო: მსრდადეს: ს.  
 ყმა: რედა: სო: სიყვარული: თანა: მისს: ვიღეს: მსრდადეს: ს.  
 სიყვარული: იხილეს: თანა: სიყვარული: სიყვარული: ს.  
 მხოლოდნი: სიყვარული: ჭ: ვიღეს: მხოლოდნი: მსრდადეს: ს.  
 ჭ: ბევრო: მხოლოდნი: მსრდადეს: სიყვარული: სიყვარული: ს.  
 თუ: მხოლოდნი: ვიღეს: სო: სიყვარული: ჭ: მხოლოდნი: სიყვარული: ს.  
 მხოლოდნი: ჭ: ბევრო: მხოლოდნი: მხოლოდნი: სიყვარული: სიყვარული: ს.  
 მხოლოდნი: სიყვარული: ვიღეს: მხოლოდნი: მხოლოდნი: სიყვარული: სიყვარული: ს.  
 ჭ: ხმა: მხოლოდნი: სიყვარული: სიყვარული: სიყვარული: სიყვარული: ს.  
